რომან რუტუა

ქალამნებიდან ჩემპიონობამდე

და კიდევ...

წინასიტყვაობა

ყოველი ადამიანის ცხოვრებაში დგება მომენტი, როდესაც მას თავისი ცხოვრების სხვებისთვის გაზიარების სურვილი უჩნდება. უმეტეს შემთხვევაში, ამ სურვილს ბუხრის პირას, ან კერიასთან შვილიშვილებისათვის მოყოლილი, ხშირად რომანტიკულად შეფერილი საკუთარი თავგადასავლებით იკმაყოფილებენ. მაგრამ რაც უფრო მრავალფეროვანი, შინაარსიანი და, თანაც, წარმატებულია განვლილი ცხოვრება, მით უფრო დიდ აუდიტორიას მოითხოვს იგი. ასე იბადება მემუარები, დოკუმენტური პროზა, რომელიც მხატვრულ ტექსტებზე არანაკლებ საინტერესოდ იკითხება.

წიგნი, რომელიც თქვენს წინაშეა ერთი წარმატებული ქართველის ცხოვრების შესახებ მოგითხრობთ. კაცის, რომლის სახელი და გვარი — რომან რურუა, უფროსი თაობის ადამიანებისათვის ძალიან ნაცნობია, გასული საუკუნის 60-70-იან წლებში ის ქართული სპორტის დიდ გამარჯვებებთან ასოცირდებოდა. ამ თაობის მკითხველებს წიგნი არა მარტო ფაქტებს გაახსნებს, იმ ემოციებსაც განუახლებს, არაერთგზის საბჭოთა კავშირის, მსოფლიოს თუ ოლიმპიური ჩემპიონი ჭიდაობაში, — რომან რურუა რომ განაცდევინებდათ და იმ დროის „დიადი საბჭოეთის“ ნაწილად ქცეულ საქართველოში, ეროვნული ენერგიის გამოვლენის, ეროვნული სიამაყის ერთი იშვიათი საშუალებათაგანი იყო. ამ მკითხველისთვის, დიდი დაგვიანების მიუხედავად, უთუოდ საინტერესო იქნება დიდი სპორტის კულისებში შეხედვა და იმის ჩვენებაც, გარეგნული ბრწყინვალების უკან რამდენი ოფლი, ცრემლი იღვრებოდა, რამდენი ინტრიგა იხლართებოდა და ფარული გარიგებებიც დგებოდა, რის შესახებაც ასე გულახდილად, შეულამაზებლად მოგვითხრობს ამბის მთავარი გმირი.

წიგნი არანაკლებ საინტერესო იქნება ახალგაზრდებისთვისაც. მასში ისინი ქართული სპორტის ისტორიასთან ერთად, იმასაც გაეცნობიან, როგორ ცხოვრობდა XX საუკუნის მეორე ნახევრის „საბჭოთა საქართველოში“ ხალხი, რომელთაც იმ დროს საქმოსნებს ეძახდნენ და იმის მიუხედავად, რომ ეს სიტყვა, თავისი შინაარსით, აბსოლუტურად იდენტურია ინგლისური ბიზნესმენისა, — დღეისათვის ყველაზე პრესტიჟული და წარმატებული პროფესიის აღმნიშვნელად რომ ვიყენებთ, მაშინ „საქმოსანს“ ცალსახად უარყოფითი დატვირთვა ჰქონდა. საქმოსნებად მოხსენიებული ადამიანები კანონის დამრღვევად, ანტისოციალურ ტიპებად მიიჩნეოდნენ და საზოგადოებრივი აზრი მათ წინააღმდეგ განაწყობდა ადამიანებს, თავად მათ კი დღევანდელზე ათჯერ მეტი გამჭრიახობის, გონებამახვილობის და არანაკლები შრომისმოყვარეობის გამოვლენა სჭირდებოდათ წარმატების მისაღწევად. ისევე როგორც სპორტული ინტრიგების შესახებ თხრობისას, რომან რურუა აქაც იშვიათ გულწრფელობას იჩენს, რაც წიგნის ერთი მთავარი ღირსებაა.

ვისაც ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში უკეთ გარკვევა სურს, მათთვისაც ეს წიგნი, ერთი საუკეთესო მატიანეთაგანია. მთავარი გმირი საინტერესო ამბებს ყვება საქართველოსთვის ურთულესი, ე.წ. გარდამავალი ხანის, გასული საუკუნის 90-იანი წლების შესახებ. უამრავი რამ იცის, ბევრი საქმის კურსშია.

და ბოლოს, ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვათ წიგნის სათაურის შესახებაც. „ქალამნებიდან ჩემპიონობამდე და კიდევ...“ საკუთარი ცხოვრების მაგალითზე, წიგნის ავტორი თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ამქვეყნად მოსვლით ყოველ ადამიანს თანაბარი სასტარტო პირობები ეძლევა და ნიჭით, უნარით, შრომისმოყვარეობით ნებისმიერი დასახული მიზნის მიღწევა, თითქმის ყველა ოცნების ასრულება შესაძლებელია.

რომან ვლადიმერის ძე რურუა

დაიბადა 1942 წლის 25 ნოემბერს.
1959 – 1972 წწ. ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ორ წონით კატეგორიას (62-70კგ) კურირებდა. ამ წონით კატეგორიებში დღემდე ერთადერთი მოჭიდავეა მსოფლიოში, რომელიც არც ერთ უცხოელ მოწინააღმდეგესთან არ დამარცხებულა.
1964 წ. – ტოკიო (იაპონია) – ოლიმპიური თამაშები – ვერცხლი (დაუმარცხებლად)
1966 წ. – ტოლიდო (აშშ) – მსოფლიო ჩემპიონი
1967 წ. – ბუქარესტი (რუმინეთი) – მსოფლიო ჩემპიონი
1968 წ. – მეხიკო (მექსიკა) – ოლიმპიური ჩემპიონი
1969 წ. – მარ-დელ-პლატა (არგენტინა) – მსოფლიო ჩემპიონი
1970 წ. – ედმონტონი (კანადა) – მსოფლიო ჩემპიონი
1963-64-65-67-70-71 წწ. სსრკ ჩემპიონი, მათ შორის
1963-67-71 წწ. – სსრკ ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონი

1999-2003 წწ. საქართველოს პარლამენტის წევრი

მუხურჩა

სოფ. მუხურჩა, 40-იანი წლები, რურუეგის ოჯახი

სპორტულ მსოფლიოს, მით უფრო სრულიად საქართველოს იგი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში გამართულ ჩემპიონატებიდან ახსოვს. თავად კი საკუთარი თავი მაშინ აღმოაჩინა, როცა ორი წყვილი ქალამანი დიდ სიმდიდრედ მიაჩნდა. ძროხის ტყავის ქალამანი სუსტი იყო, მალე იხეოდა, ხარის — უკეთესი, კამეჩისა — ხომ, საერთოდ, დიდ სიმდიდრედ ითვლებოდა. სკოლისაკენ მიმავალ გზაზე ზამთარში ქალამანს ჭყაპა-ჭყუპი გაუდიოდა. ამიტომ ჩალა (ტაროს პერანგი) გამუდმებით ჩანთაში ედო. სკოლის კართან ქალამნები უნდა გამოეცვალა...

ეს გზა, უფრო სწორად ბილიკი, მაშინ მარტვილის რაიონის სოფელ მუხურჩაში იხლართებოდა. აქედან მარტვილისა და აბაშის რაიონულ ცენტრებამდე ზუსტად ერთი და იგივე მანძილია, 15 კილომეტრი. თუმცა, ქალამნებიანი ბიჭის თვალის გაწვდენაზე დანარჩენი სამყარო მხოლოდ აბაშის სადგურიდან გასული ორთქმავლის ცაში ზოლად გავლებულ ორთქლამდე მოსჩანს, და შეუცნობი ხმაც იმავე, ჯერ უნახავი ორთქმავლის ჩიქ-ჩიქსა და ყვირილს მოაქვს. მან ჯერ არ იცის, რომ მოვა დრო და ამ გზით აქაურობას დატოვებს, რომ მსოფლიოს უდიდესი ქალაქები — მოსკოვი, მეხიკო, ტოკიო, ტოლიდო, ბუქარესტი, მარ-დელ-პლატა, ედმონტონი და სხვა, მრავალათასიანი დარბაზებითა და მაყურებლით მისი პატივისცემის ნიშნად ფეხზე ადგება, მისივე ქვეყნის ჰიმნს დაუკრავენ და დროშას მაღლა ასწევენ... მაგრამ ეს მერე. ახლა, 1940-იანი წლებია და მხოლოდ მუხურჩა.



რომან რურუა:

— დედაჩემი ალასანიას გვარის ქალი იყო, ზინაიდა იოსების ასული, სენაკის რაიონის სოფელ გეჯეთიდან. ჩვენს სოფელში, მუხურჩაში დეიდამისთან სტუმრობდა თურმე. მოსწონებია მამაჩემს, გაუკითხავთ-გამოუკითხავთ, გარიგება-გამორიგებით, როგორც მაშინ იცოდნენ, საქმე ქორწილამდე მისულა. ნორმალური ოჯახი შექმნეს. ცხოვრობდნენ სიყვარულით, გაგებით, ერთმანეთის პატივისცემით. მახსოვს, დედა მამას ფეხს დაბანდა-ხოლმე. იმ დროს ეს ჩვეულებრივად მეჩვენებოდა. ახლა, რომ ვუფიქრდები, ვხვდები, ეს იყო ნიშანი მორჩილების. ქალმაც და კაცმაც ოჯახში თავისი ადგილი უნდა იცოდეს. მამა ოჯახის მეთაურია, მარჩენალი და მფარველი, დედა — მისი ხელქვეითი, დანარჩენები — ოჯახის რიგითი წევრები. დღეს ჩემს მეუღლეს ამას როგორ ვკადრებ, მაგრამ მაშინ ასე იყო...

მათ ცხოვრებაში კიდევ ერთი საინტერესო ეპიზოდია. დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე მამა თავის ორ ძმასთან და ცხენთან ერთად ჯარში გაიწვიეს. არ ვიცი, საიდან, როგორ, მაგრამ დედასთვის შემოუთვლიათ, შენი ქმარი დაჭრილია და ჩამოდიო, (ტუაფსეში თუ სადღაც იმ მიდამოებში). წასულა დედაჩემი, ქალმა ერთი ღერი რუსული არ იცოდა. მას სოხუმთან მამას ძმაკაცები დახვედრიან. ჩავიდნენ... რა ჰოსპიტალი, რის ჰოსპიტალი... მინდორში ეყარნენ დაჭრილ-დასახიჩრებული ჯარისკაცები. ყვიროდნენ, კვნესოდნენ, — მიშველე... რამდენს უშველიდი?!. მიუყვანიათ დედაჩემი ერთ-ერთთან და უთქვამთ, ეს არისო შენი ქმარი. მამა ისე ყოფილა შეცვლილი, დედას ვერც კი უცვნია, გამხდარი, წვერმოშვებული, კაცი ჭკუაზე არ იყო. დედა ბოლოს დარწმუნდა ნიშნით, რომელიც მამას სხეულზე ჰქონდა. წამოუყვანიათ, ხიდის ქვეშ დაუმალავთ, მემანქანეს წინასწარ მოლაპარაკებიან, მატარებელი ხიდზე უნდა გაეჩერებინა. მემანქანე ასეც მოქცეულა. დამსხდარან და აბაშამდე გამოჰყოლიან, იქიდან - სოფელში.

რაკი მამა ფრონტის ხაზიდან შეუთანხმებლად ჰყავდათ წამოყვანილი, დეზერტირობა რომ არ დაებრალებინათ, რაიონში სამედიცინო დასკვნა მისცეს, რომ ჭკუაზე არ იყო. მერე თანდათან გამომჯობინდა და საზოგადოებრივ ცხოვრებას დაუბრუნდა.

მამა — ვლადიმერ ზოსიმეს ძე რურუა მეურნე, მშრომელი კაცი გახლდათ. მთელი ცხოვრება კოლმეურნეობაში ბრიგადირად მუშაობდა. პატარა ტანის კაცი იყო, მაგრამ ღვინოს იტევდა. ცხოვრება ისე გალია, უზომოდ მთვრალი ან მობარბაცე არავის უნახავს. თამადად ხშირად ირჩევდნენ. სუფრასთან წესრიგი უყვარდა. სიტყვას მოხდენილად იტყოდა. მისი სადღეგრძელოები ქადაგებას უფრო ჰგავდა. ვთქვათ, მშობლების სადღეგრძელოს სვამდა, განმარტავდა მშობლის როლს, მათი დაფასებისა და პატივისცემისაკენ მოუწოდებდა ყველას. აუცილებლად იტყოდა ომში დაღუპულთა სადღეგრძელოს და მათ შორის ფრონტზე დაკარგულ თავის ორ ძმასაც მოიხსენიებდა. ამ სადღეგრძელოს წარმოთქმისას მამას თვალებზე უმალ ცრემლი მოადგებოდა-ხოლმე.

ბავშვებს სუფრასთან არ გვიშვებდნენ. თუ ჩვენთვის მოიცლიდნენ, შორიახლოს გაგვიშლიდნენ პატარა მაგიდას, თუ არა და, ვეშმაკობდით, განგებ ჩავუვლიდით სტუმრებს გვერდით, რომ სუფრიდან რამე მოეწოდებინათ. ისინიც დაგვიძახებდნენ, — მოდი ბიძია, აი, შენ ხაჭაპური... მთავარი ის

გახლდათ, რომ ჩვენ ვისმენდით უფროსების საუბარს, სადღეგრძელოებს, რაც მისაბაძი მაგალითი იყო ჩვენთვის.

მამა მკაცრი და წყნარი კაცი იყო, თუმცა, მისგან გინება არასდროს გამიგონია. — ჟულიკი ხარ შენ!.. — იტყოდა და სულ ეს იყო მისი შეგინება. ძალიან უყვარდა ცხენები. კარგი ცხენი ოჯახში ყოველთვის გვყავდა. გუთნისა და ტაჭკის ცხენი სხვაა, დასავჯდომი — სხვა. დასავჯდომ ცხენს გუთანში და ტაჭკაში არასდროს შეაბამდნენ. ის, საერთოდ, დიდ სიმდიდრედ ითვლებოდა, ფაეტონი და „ადინაჩკა“ კი — ფუფუნებად. სად იყო მაშინ სხვა ტრანსპორტი, სატირალში თუ ქორწილში, ყველგან ცხენებითა და ტაჭკებით დადიოდნენ. ურემს უფრო ტვირთის გადასაზიდად იყენებდნენ. მახსოვს,

ვიღაც ჩვენი ახლობელი გარდაიცვალა და მეზობელი სოფლიდან ცხენებით მომავალი ადამიანები რომ დავინახე, ჯარი მოდიოდა მეგონა. ასე ოცდაათამდე მხედარი იქნებოდა. ყველას ყაბალახი და ნაბადი ჰქონდა მოხვეული, თავზე ბოხოხი ეხურა, აზიაცკებში თუ ცარსკებში და გალიფე შარვლებში იყვნენ გამოწყობილნი... ადამიანების სახე ძალიან ნაციონალური გახლდათ.

სოფლად ყველაზე დიდი ზეიმით აღდგომასა და შობა-ახალ წელს აღნიშნავდით. ბებია ყველაზე გემრიელ მჭადს აკეთებდა. რატომღაც იმ მჭადის ჭამა ყველის გარეშე შეიძლებოდა. თურმე ბებია მჭადს მარილს უკეთებდა. სამეგრელო და მჭადი კი იცით საიდან მოდის, მაგრამ მარილის ხმარება მჭადში რატომღაც მიღებული, უფრო სწორად, გავრცელებული არ იყო.

ბებია — მინა გახოკია — უაღრესად მორწმუნე ქალი იყო. დღეს დილის ლოცვით იწყებდა და საღამოს მწუხრის ლოცვით ამთავრებდა. განათლება საერთოდ არ ჰქონდა მიღებული, მაგრამ უზარმაზარი შინაგანი კულტურისა და ზნეობის განსახიერება გახლდათ. შრომა უყვარდა. მიუხედავად იმისა, რომ ქვრივი იყო, ჭირნახული ყოველთვის სხვაზე მეტი ჰქონდა. მისგან სესხულობდნენ ფქვილს, ყველს, სიმინდს... ფულსაც კი. რა გინდა, რომ არ ჰქონოდა. საქონელი ყოველთვის ჰყავდა, ვენახიც ჰქონდა... დილით უზმოზე ბოთლიდან რამდენიმე ყლუპ ღვინოს მოსვამდა-ხოლმე.

რვა შვილიშვილი ვყავდით. არ ვიცი, სხვებისგან განსხვავებით მე მეტი შრომისმოყვარეობა შემატყო, პატივისცემა თუ მორჩილება, მაგრამ შვილიშვილებში პატარაობიდანვე გამომარჩია. გადაწყვიტა, რაც გააჩნდა, ყველაფერი ჩემთვის დაეტოვებინა. პრეტენზია არც არავის გასჩენია, თუმცა გაყოფილები არც ვყოფილვართ. ჩვენი სახლები ერთმანეთის გვერდიგვერდ იდგა და, ფაქტობრივად, ერთად ვცხოვრობდით.

ბებია დარდიანი ქალი იყო. ორი შვილი დაეღუპა ჯარში. სიცოცხლის ბოლომდე ელოდა, იქნებ ცოცხლები არიანო... შვილების დარდმა დააბერა. ამ დარდისა და მძიმე ცხოვრების მიუხედავად საკმაოდ დიდხანს იცოცხლა. ზუსტად რამდენი წლის იყო, თვითონაც არ იცოდა. რომ ვკითხავდით, — ბებია, როდის დაიბადეო?.. გვპასუხობდა: — აი, ბიქტორი რურუა რომ

დეიბადა, მეც მაშინ დევიბადეო, ის — დილით, მე კი საღამოს დავბადებულვარო... ქართულად საერთოდ არ ლაპარაკობდა, რა თქმა უნდა, ესმოდა, მაგრამ არ ლაპარაკობდა. — მეგრული რომ იცოდეს, ისეთი ქალი მოიყვანე ცოლადო, — მეტყოდა-ხოლმე. ბებია 1969 წელს გარდაიცვალა.

მუხურჩაში ჩემი ბავშვობა შრომასა და სიცელქეში გადიოდა. სოფლის საბავშვო ბაღი ჩვენს სახლში იყო გახსნილი. ბაღის გამგე დედაჩემი გახლდათ. ამიტომ წესრიგს ყველაზე მეტად ჩემგან ითხოვდა. ერთხელ ახალი სათამაშოები მოგვიტანეს. ამ სათამაშოებში ვაშლი და მსხალიც ერია. მახსოვს, პირველად რომ დავინახე, ნამდვილი მეგონა. ისე მაინტერესებდა შიგნით რა იყო, ვეღარ მოვითმინე და ამოვჩიჩქნე.

ოჯახში მეორე ვაჟი ვარ, 1942 წლის 25 ნოემბერს დავიბადე. ჩემი ძმა ჩემზე ოთხი წლით უფროსი იყო. დედას ხშირად ვაბრაზებდით. გამოგვეკიდებოდა გასალახად, უკან რომ მოგვეხედა, სირბილი უნდა შეგვენელებინა და დაგვეწეოდა, ამიტომ თავქუდმოგლეჯილები, უკანმოუხედავად გავრბოდით. ქვებზე, დაახლოებით ერთ მეტრ სიმაღლეზე იდგა ჩვენი ოდა-სახლი. გარშემო ვურბენდით. მერე დედა კუთხეში შეჩერდებოდა. კიდევ ერთ წრეს რომ შემოვირბენდით, — ჰოპ, — და ჩავუვარდებოდით ხელში. ბოლოს, სირბილით რომ ვეღარ ვშველოდით თავს, სახლის ქვეშ შევძვრებოდით-ხოლმე. იქ კი ვერ შემოდიოდა. ხან საწნახელში ვიმალებოდით და იქიდან ველაპარაკებოდით. ვერც იქ გვაწვდენდა ხელს. გალახვა დედაჩემისგან არ მახსოვს, მაგრამ საკმაოდ მკაცრი იყო. იშვიათად მოგვეფერებოდა.

სოფელში ბავშვი წამოიზრდებოდა თუ არა, მაშინვე შრომაში აბამდნენ. როგორც ვიზრდებოდი, საქმეც ისე მემატებოდა. უსაქმური არასდროს ვყოფილვარ. სანამ თოხის დაჭერას შევძლებდი, ძროხისთვის ჩალას მაკრეფინებდნენ. ათასჯერ უნდა დაიხარო და აიწიო, რომ რაღაც მოაგროვო. მახსოვს, სულ პატარა ვიყავი, მამაჩემმა მე და ჩემს ძმას უღელში კამეჩები რომ შეგვიბა და სახნავად გაგვიშვა. მაშინ გუთანიც არ იყო. გუთანი 50-იან წლებში შემოვიდა. კავით — ოგაფით* ვხნავდით. ეს კავი მიწას ბელტებად აქეთ-იქით ყრიდა და ფეხით ძნელი დასაჭერი იყო. კავს წინ ხერხის მსგავსი დანაყოფები ჰქონდა. პირველი — გრძელია. გრძელს თუ გამოსდებ, სიღრმეში მიდის, თუ ნამეტანია სიღრმე, მეორეზე გამოსდებ და ასე ნელ-ნელა მოკლდება. მერე რომ მოაბრუნო, უნდა გადმოათრიო. მოხნულ მიწას გაფხვიერებაც სჭირდებოდა. წითელი თიხის მიწაა, ისეთი მაგარი, მტრისას იმის გაფხვიერება, მითუმეტეს თუ გვალვაც დაერთო. ჩელტი ჰქვია იმას, რითაც მიწის დაფშვნას ვცდილობდით. დაგვსხამდნენ ამ ჩელტზე და დაათრევდნენ. რაც დაიფშვნებოდა, ხომ კარგი, რაც არა და, დაგვაჭერინებდნენ თოხს ხელში და მიდი... ვაი, ჩემო სიცოცხლე... რას იზამ, მიწა თუ არ დაქუცმაცდა, ისე მარცვალს ვერ ჩააგდებ. ადრე კვალში კი არ ითესებოდა, მობნევით თესავდნენ. კვალში დათესვა გუთნის შემდეგ შემოვიდა. რა პერიოდი გავიარეთ, ხვნაც ჭირდა, თესვაც, მაგრამ პურიც იყო, სიმინდიც და ხალხი მშიერი არ დადიოდა...

ძმები შურდულ და რომან რურუეები

* ოგაფა — კავი (მეგრულ დიალექტზე)

ახლა სიმინდს აღარ თოხნიან. ადრე სამჯერ თოხნიდნენ. პატარა თოხი გამიკეთეს და სანამ თბილისში არ წამოვედი, სულ ვთოხნიდი და ვთოხნიდი. კოლმეურნეობის მიწა მქონდა მოზომილი, საზღვრებზე ჯოხი ჩავარჭვე, რომ არავინ გადმოსულიყო. მიწის ეს მონაკვეთი ჩემს სახელზე ეწერა და მინდოდა, ყველაზე კარგი სიმინდის ყანა მქონოდა. თავის გამოჩენაზე ვოცნებობდი. ეტყობა, იქიდან იწყება ეს ჟინი, — სწრაფვა წინ, პირველობისკენ.

რომან რურუა: ბავშვობიდან მოყოლებული დღემდე ვშრომობ...

როცა სოფლად ჩაის პლანტაციების გაშენება დაიწყო, ბავშვებიც ჩაგვრთეს ამ საქმეში. კოლმეურნეობას ჩაის კრეფა უჭირდა, ვერ ერეოდა. სკოლიდან ჩაის საკრეფად გვიშვებდნენ. თითოეულ მოსწავლეს თავისი გეგმა ჰქონდა შესასრულებელი. ეს ვალდებულება იყო და თავს ვერავინ აარიდებდა. სხვათა შორის, ამაში ფულს გვიხდიდნენ.

სკოლიდან დაბრუნებულებს საქონელი „კომუნიდან“ საბალახოდ უნდა წაგვეყვანა. სანამ საქონელს მარცხენა ფერდი კარგა გვარიანად არ შეებერებოდა, შინ ვერ მივდიოდით. ჰოდა, მოვიგონეთ ასეთი რამ: მარილიანი წყლით მოვრწყავდით იმ ბალახს, რომელსაც საქონელი არ ეკარებოდა და მერე ძირიანად გლეჯდა. ხოლო გადაჭარბებული რაოდენობის მარილის მიღების გამო, უზომოდ ბევრ წყალს სვამდა და მუცელიც ებერებოდა. თუ ამას ვერ მოვახერხებდით, მაშინ ბალახი 3-4 კილომეტრიდან ზურგით უნდა გვეზიდა, თანაც იმ სიმძიმის, რის აწევასაც შევძლებდით. სწორედ აქედან იწყება ეშმაკობაზე, მოხერხებულობასა და ვალდებულების შესრულებაზე ფიქრი და პირველი ნაბიჯები.

თუ რამე სასიკეთოა დღეს ჩემში იმ ცხოვრებიდან მომყვება. მომყვება დედისგან, მამისგან, ბებიასგან, მამიდისგან, იმ ადამიანებისგან, ვინც მაშინ ჩემს ირგვლივ ცხოვრობდნენ და შრომობდნენ.

მახსოვს ერთი მოხუცი კაცი, ესტატე რურუა. დილით საქონელს რომ გავდენიდი, გზაზე შემომხვდებოდა-ხოლმე, ჯიბეში ჩაიყოფდა ხელს და ერთ კაკალს მომცემდა. მასზე კარგი კაცი არ დაიარებოდა ამ ქვეყნად, ასე მეგონა. ამდენი წლის ვარ და ახლაც თვალწინ მიდგას მოხუცი ესტატე, მხატვარი რომ ვიყო, დავხატავდი, ისე ნათლად ჩამრჩა მეხსიერებაში. წაღები და გალიფე შარვალი ეცვა, ზემოდან მუქი ფერის ფართე ჯიბეებიანი „ბლუზა“, ჩამწკრივებული დიდი ღილებით...

მაგონდება კიდევ ჩვენი კოლმეურნეობის მებაღე — მამანტი სართანია. იმან დღე დაგვაწია, რა დამავიწყებს. ბავშვები ზედმიწევნით ზუსტ ინფორმაციას ვფლობდით, ვის ბაღში მოდიოდა კარგი კიტრი, ნესვი ან საზამთრო... ჰოდა, ცოდვა გამხელილი სჯობს, ხშირად წაგვიცდებოდა-ხოლმე ხელი. ათას ხრიკებს ვიგონებდით ამ ჩვენთვის სასურველი ხილის დასაგემოვნებლად. შემოვიკრავდით დაფოთლილ ხის ტოტებს მთელს სხეულზე და შევესეოდით ხოლმე საზამთროსა და ნესვის ბაღს.

ერთხელ, დაახლოებით ასე — 12-13 წლის ბიჭები ვიქნებოდით, რომ მოვილაპარაკეთ, კოლმეურნეობის ბაღიდან საზამთრო და ნესვი მოგვეპარა. მო-

ვახერხეთ კიდეც. იმ მშვენიერ დღეს საზამთროთი ნასიამოვნებნი მდინარეში ვბანაობდით, მამანტი თოფით ხელში თავზე რომ დაგვადგა. წამოკრიფა ჩვენი ტანსაცმელი, იღლიაში ამოიდო, თოფი მოგვიშვირა და გვიბრძანა:

— ახლავე ამოდით წყლიდან! დაპატიმრებულები ხართ!

ამოვედით, დაგვამწკრივა ტიტვლები, ერთი კილომეტრი მაინც გვატარა ასე და კოლმეურნეობის ბაღში მიგვიყვანა. დაგვაყენა დედიშობილები ბაღში ფარდულის გასწვრივ, ჩვენი ჩადენილი „დანაშაულის“ ადგილას და გვითხრა:

— ახლა, ოქმს შევადგენ, თქვენს დანაშაულს აღიარებთ, პირობას დადებთ და ხელსაც მომიწერთ, რომ აღარაფერს მოიპარავთ!

ჩვენი განაჩენის გამოცხადების შემდეგ თავის გოგოს — როენას — გასძახა, ქაღალდი და საწერ-კალამი მომიტანეო და ისიც წამოვიდა ჩვენსკენ ქაღალდითა და კალმით ხელში. ვაიმე დედა, როენა მოდისო და ავიფარეთ ხელი, შევტრიალდით, ერთმანეთს ამოვეფარეთ... სირცხვილით ვიწვოდით, თან მამანტის თოფის გვეშინოდა. გვეგონა, მართლა გვესროდა... მოკლედ, შედგა ოქმი, ხელი მოვაწერეთ, მამანტის შევპირდით, მეტს აღარ ვიზამთო და გაგვიშვა. გავიხარეთ, რა კარგი კაცია, გვაპატია, გაგვათავისუფლაო...

მამანტი, მამაჩემი და პარმენ რურუა სოფლის თავკაცები, მედიატორები იყვნენ, მათი სიტყვა კანონი იყო, შეადგენდნენ ოქმს, ხელს მოაწერდნენ და მორჩა, იქ მთავრდებოდა ყველა პრობლემა თუ სადაო საკითხი. ხალხიც ყველაფერს უჯერებდა.

ახალგაზრდები საღამოობით ორი სოფლის შესაყართან ვიკრიბებოდით, ჯარობანა ერქვა. ორივე სოფელი მთელი დღე თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა. 7-8 საათის შემდეგ ერთი სოფლის გოგოები და ბიჭები მეორეს გადასანახულებლად მივდიოდით და — პირიქით. ჩვენი სოფლის ბიჭები მეზობელი სოფლის გოგოებს ეარშიყებოდნენ, ისინი — ჩვენსას. ეს იყო ჩვენი გასართობი. სოფლად კინო იშვიათი მოვლენა გახლდათ. სხვადასხვა სოფელში სხვადასხვა გვარია, მაგრამ პირველ რიგში მაინც გვარს გამოიკითხავდნენ, ნათესავი, თუნდაც შორეული, არ იყოსო. დედის გვარსაც აუცილებლად იკითხავდნენ. თუ სხვა გვარის იყო, ესე იგი, შეიძლებოდა არშიყობა, მოწონება, გაცილება-გამოცილება და ა.შ.

მახსოვს, ამ მხრივ მოზარდის პირველი ნაბიჯები, როგორი განცდები და ემოციები გვიპყრობდა. არ იცი, საიდან დაიწყო, რა თქვა. მოზვერივით უყურებ, გიყურებს... ეკითხები, — როგორ ხარ? — კარგად, — გპასუხობს. მერე აღარ იცი, საუბარი როგორ გააგრძელო. ფიქრობ, ნეტავ თავად გეტყოდეს რამეს?!. მაგრამ არაფერს გეუბნება. პირველად ვინც მომეწონა, ვის მიმართაც ის წრფელი გრძნობა გამიჩნდა, იმას არ დავლაპარაკებივარ, იმას ვერაფრის თქმა გავუბედე. იმიტომ, რომ მეგონა მისი შესადარი არ ვიყავი. ჩემს თავს ვეუბნებოდი, — ლამაზი არ ხარ, სიმაღლე არ გაქვს, კარგად არ სწავლობ, კარგი ოჯახის შვილი კი ხარ, მაგრამ — ღარიბი, თუმცა, სხვასთან შედარებით სოფელში შეძლებული ოჯახი გვერქვა.

საკუთარ თავზე ასეთმა უარყოფითმა წარმოდგენამ ჩემში რაღაც მანამდე უცნობი ძალა და წარმატების დიდი სურვილი წარმოშვა. ჩემს თანატოლებს შორის სპორტულ შეჯიბრებებში — სირბილი იქნებოდა ეს, ბურთის თამაში, ჭიდაობა, აწევა, სიმაღლეზე ხტომა თუ სხვა, ჩემს უპირატესობას ყოველთვის ვგრძნობდი. ამან მაფიქრებინა, ბედი სპორტში მეცადა.

ჩვენს სოფელს თავისი საფეხბურთო გუნდი ჰყავდა. შეჯიბრებებს მეზობელი სოფლების გუნდებთან მართავდა. ძალიან მინდოდა ჩემი სოფლის გუნდში თამაში, მაგრამ პატარა ვიყავი და არ მათამაშებდნენ. მახსოვს, მუხურჩაში სოფელ ონოღიის საფეხბურთო გუნდი ჩამოვიდა. ათი მოთამა-

რომან რურუა: ამ ფოტოზე ჩემი მშობლები მსოფლიო პირველობის ჯილდოს, ოქროს მედალს დაჰყურებენ. ნეტა, იცოდნენ კი, რა არის მსოფლიო, საიდან იწყება ან სად მთავრდება?!.

შე ჰყავდათ, ერთი აკლდათ. სტუმრებმა იქ შეკრებილ მაყურებელს გვკითხეს:

— ვინ თამაშობს კარგად?

— მე!

პასუხი ყველას დავასწარი და ჩემდა გასაოცრად მიმიღეს თავის გუნდში. დაცვაში მათამაშეს. სისხლი გავუშრე ჩემს სოფლელებს, ბურთი არ გავატანინე. პირველი ტაიმის შემდეგ ატყდა დავა, — ეს ჩვენია, თქვენთან რატომ თამაშობსო?!. ბოლოს მკითხეს:

— საით გინდა თამაში?...

გადაწყვეტილება მეზობელი გუნდის სასარგებლოდ მივიღე, — თამაში აქ დავიწყე და ბოლომდე აქ დავრჩები-მეთქი. ვინც შემამჩნია და დამაფასა, ვინც გამომარჩია, იმისთვის არ მიღალატია. ერთგულება თანდაყოლილი თვისებაა, რომელიც ან გაქვს, ან — არა. ადამიანს ეს ბავშვობიდანვე ეტყობა. პატარა ვიყავი, მაგრამ ჩემის მხრივ ეს თვისება ისე გამოვხატე, როგორც შემეძლო. მათაც დამაფასეს. შემდეგ შეჯიბრებებზე, სადაც უნდა ვყოფილიყავი, მომაკითხავდნენ, არ დაიღალოო, ველოსიპედზე შემომისვამდნენ და მივყავდი. იმ დღიდან ჩემი სოფლის გუნდშიც ჩამრიცხეს. ძირითად შემადგენლობაში ვთამაშობდი. სად იყო მაშინ სპორტული ფეხსაცმელი, მინდორზე ფეხშიშველები დავრბოდით.

იმ დროისთვის წარმატებული ფეხბურთელი მერქვა. და დაიწყო ჩემი დიდი სიყვარული ფეხბურთის მიმართ. გადავწყვიტე, ფეხბურთელი გავმხდარიყავი. ჩემს გადაწყვეტილებაში სოფლის ერთადერთ რადიოს, რომელიც კალისტრატე გაგუას სახლში იყო დამონტაჟებული, დიდი წვლილი მიუძღვის. მაშინ სოფელში დენი არ იყო. მივუსხდებოდით აკუმულატორზე მიერთებულ რადიოს და ვუსმენდით ბოხ, რიხიან ხმას, ფეხბურთის მატჩი რომ მიჰყავდა. — ყურადღება! ყურადღება! ლაპარაკობს თბილისი, ლაპარაკობს თბილისი!.. (ეს ხმა განუმეორებელი ეროსი მანჯგალაძის გახლდათ, მაგრამ ამას მხოლოდ წლების შემდეგ გავიგებ.) მესმოდა უამრავი ადამიანის ყვირილი, წივილი, კივილი... სულ მაინტერესებდა, როგორი იყო სტადიონი, როგორ იტევდა ამდენ ხალხს...

მაშინ სოფლის ბავშვებში ასეთი ჭორები დადიოდა: ვითომ, მოსკოვის „დინამოს“ კარში შიმპანზე ეყენათ. — აბა, იმას გოლს ვინ გაუტანსო?.. კაცო, მაიმუნი ბურთს იჭერსო!.. შიმპანზემ სანაია შეცვალა და ქართველებს ბურთი ვერ გააქვთო. თბილისის „დინამოელებს“, — შავგულიძესა და პაიჭაძეს, — მარჯვენა ფეხი დაბრონილი აქვთ, ლუქი ადევთო. პაიჭაძეს დაურტყია, შიმპანზე შუაზე გაუხევია და ახლა მარჯვენა ფეხით თამაშის უფლებას არ აძლევენ, ამიტომ მარცხენა ფეხით თამაშობსო...

ვინ იცის, სადამდე მიდიოდა ჩვენი ბავშვური ფანტაზია?! ასეა თუ ისე, მე ფეხბურთელობა გადავწყვიტე. მითხრეს, თბილისში „ნორჩ დინამოელთა“ კლუბი არსებობს და, ალბათ, მიგიღებენო... ჰოდა, ქალაქის გზას დავადექი.

1955 წლის ზაფხული იყო. მანამდე თბილისი კი არა, 15 კილომეტრია ჩემი სოფლიდან აბაშამდე, აბაშა არ მენახა. დედაჩემმა თბილისში წასაღებად სიმინდის ფქვილი გამიმზადა და ერთ მოხუც კაცს, იულონ რურუას გამომაყოლა. მივედით აბაშის სადგურში. მოდის ორთქმავალი, ჩიქ-ჩიქ... ისმის ხმა და რომ მოგვიახლოვდა, არ დამეტაკოს-თქო, ვიფიქრე და ამ კაცს ამოვეფარე. მაშინ სამგზავრო ბილეთს კი შეიძენდი, მაგრამ ადგილები დანომრილი არ იყო და შესვლა დასწრებაზე იყო. — აბა, ჩქარაო... — მითხრა იულონმა და წინ გამიძღვა. ამ ზედახორაში ძლივს შევეკვეხეთ. ქვემოთ თავისუფალი ადგილი არ იყო და ზემოთ, სადაც ბარგის ადგილია, ჩემს ფქვილის ტომარასთან ერთად ერთ კუთხეში ჩამოვჯექი. თაგვივით ვიყურებოდი. მგზავრებს ვათვალიერებდი. ზოგი პაპიროსს ეწეოდა, ზოგი მეზობელთან ადგილს იყოფდა, — ჩეიწიე, ჩამეიწიე... ზოგი ნასვამი იყო, ზოგიც უსვამი, ვინ დარდიანი ჩანდა, ვინ — უდარდელი... მაშინ ვაგონის ფანჯრები არ იხსნებოდა. მახსოვს, აუტანელი სიცხე და სულთახუთვა. ასე ოფლში გაწურული ჩამოვედი ქალაქამდე. დიდუბის სადგურში გამოგვიცხადეს, — მოემზადეთ, თბილისში შევდივართო. საბარგულიდან სასწრაფოდ ჩამოვხტი. გზაში ძველი შარვალი მეცვა, ახალი თან მომქონდა. დედაქალაქს ახალი შარვლით უნდა შევხვედროდი. ჰოდა, გამოვიცვალე... ბაქანიდან ქალაქში გამოსასვლელი გზა გვირაბით გამოდიოდა. ეს პირველი გვირაბი იყო, რომელიც ვნახე. გვირაბიდან გამოვძვერი და პირდაპირ უზარმაზარ ქალაქში ამოვყავი თავი. გამაოცა შენობების სიდიდემ, ტრამვაის რიხრიხმა. იმ საღამოს ჩემმა მეგზურმა შინ, თავისთან გლდანის ქ. №2 მიმიყვანა. მეორე დღეს ბიძაჩემი (მამიდას ქმარი) მოძებნა და ჩემს ფქვილთან ერთად ჩამბარა.

მუხურჩაში ოჯახთან

თბილისი
1955-1961 წწ.

რომან რურუა
თბილისი,
1956 წ.

რომან რურუას მამიდა — ალექსანდრა რურუა მეუღლესთან, თეოფილე ფანცულაიასთან და ერთადერთ ქალიშვილთან ერთად თბილისში, ქობულეთის აღმართზე ნაქირავებ ერთოთახიან ბინაში ცხოვრობდა. თეოფილე 30-იანი წლების რეპრესიებში იყო მოყოლილი. 30-იანი წლების ბოლოს ნავთლუღის სადგურის უფროსი ყოფილა. ცისტერნა ვაგონი, რომელიც სავსე უნდა ყოფილიყო, ცარიელი აღმოჩენილა. მათი შემოწმების საინტერესო მეთოდი ჰქონიათ. მიდის ვაგონები, ვიღაც ქვას ესვრის, თუ სავსეა ვაგონი, ყრუ ხმას გამოსცემს, თუ ცარიელი — წკრიალას. ჰოდა, ასე აწკრიალებულმა ხმამ თეოფილეს 17 წელი ციმბირში, ნარილსკში გაატარებინა.

მამიდას ოჯახი ხელმოკლედ ცხოვრობდა, მაგრამ სოფლიდან ჩამოსული ბიჭი მაინც გულთბილად მიიღეს. რაკი „ნორჩ დინამოელშიც“ ჩარიცხეს, რომანმა ქალაქში დარჩენა საბოლოოდ გადაწყვიტა და სწავლა მე-9 კლასიდან თბილისის 57-ე საშუალო სკოლაში განაგრძო. სწავლით მაინცდამაინც არც სოფლის სკოლაში გამოირჩეოდა. სუსტი მოწაფე იყო. აქაურ თანაკლასელებს შორის ხომ, საერთოდ, დაჩაგრულად იგრძნო თავი. არადა, ის უცნობი ძალა და თავის გამოჩენის დაუოკებელი ჟინი მასში სულ უფრო და უფრო მატულობდა. საკუთარი თავის ძიებაში მთელი ენერგია ფეხბურთისკენ მიმართა. კარგი მონაცემები ჰქონდა, მაგრამ, თითქოს, რაღაც მაინც ისე არ იყო, როგორც მას სურდა, როგორც მანამდე წარმოედგინა. უპირატესობას თანატოლებთან შედარებით ვერც „ნორჩ დინამოელში“ გრძნობდა. მაშინ მიხვდა, რამხელა სხვაობა ყოფილა ნამდვილ საფეხბურთო ტყავის ბურთსა და ძროხის თუ ცხენის ბალნისგან გაკეთებულ ბურთს (გორგოლას) შორის, რომ თუ გინდა, კარგი ფეხბურთელი იყო, სწორედ ამ ტყავის ბურთით უნდა იკენწლაო და არა ტრიფოლიატის. თუმცა, ტრიფოლიატის ნაყოფით და ნაბდის ბურთით ვარჯიშსაც აქვს თავისი დადებითი მხარე. თბილისელი ბავშვები ტექნიკურად უკეთესად მომზადებულნი აღმოჩნდნენ. უკეთესნი კი ფორმით შემოსეს. ამან ძალიან ატკინა გული. თუმცა, ეს არავის გაუგია და ვარჯიში ჩვეულ რეჟიმში განაგრძო. ვინ იცის, ფეხბურთში იქნებ მართლა მიეღწია დიდი წარმატებებისთვის, რომ არა ერთი შემთხვევა...

თბილისი, 1957 წ.
რომანი
ფიზკულტურის
მასწავლებელთან,
№57 სკოლა
საპირველმაისო
აღლუმზე

რომან რურუა:

— ჩემს თანაკლასელთან, შოთა დრიაშვილთან მდგმურად ერთი ბათუმელი ბიჭი, ილია ტუღუში ცხოვრობდა. ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი იყო და თან კლასიკურ ჭიდაობაში ვარჯიშობდა. იმ დროისთვის უკვე საქართველოს ნაკრების წევრი გახლდათ. ერთხელ ილიამ ორჯონიკიძის ქუჩაზე №38-ში, სპორტულ დარბაზში ვარჯიშის საყურებლად გაგვიყოლა. ვადევნებდი თვალს ამ ძალისმიერ შერკინებას და სულ უფრო და უფრო მომწონდა. ვარჯიშის დამთავრების შემდეგ მე და ჩემი მეგობარი დარბაზის აივანზე ილიას ველოდებოდით, წყალს გადაივლებდა და შინ ერთად უნდა წავსულიყავით. ქვემოდან ვიღაც ჭაღარა კაცმა ამოგვძახა:

— გინდათ ჭიდაობა?

თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიეთ.

— აბა, ჩამოდით დაბლა!

ჩამოვედით და პირდაპირ ექიმ ბაბულიას კაბინეტში გვიკრა თავი. ექიმმა გაგვსინჯა, აგვწონა, წნევა გაგვიზომა და დაასკვნა:

— არა უშავთ, გამოდგებიან...

სავარჯიშოდ მეორე დღეს დაგვიბარეს, თან სავარჯიშო ტრუსები და წინდები იქონიეთო. ან „ტაპოჩკები“ უნდა გცმოდა, ან წინდები. „ტაპოჩკების“ ფული სად იყო და მივედით წინდებით. მაშინ რეზინიანი წინდა ჯერ კიდევ არ იშოვებოდა. ურეზინო მაღალყელიან წინდაზე, ფეხიდან რომ არ გაგვძრომოდა (ფეხშიშველი ვარჯიში არ შეიძლებოდა), მსხვილ რეზინს ე.წ. პადიოსკას ვიჭერდით. მერე რეზინიანად დავახვევდით საჭირო სიმაღლემდე და ხალიჩაზე ასე გავდიოდით. რეზინა ისე გვქონდა დაჭიმული, ვარჯიშის შემდეგ მის ნაკვალევზე თითი ჩაეტეოდა.

პირველი სინჯი ძალისმიერი იყო, თოკზე ასვლა — ჩამოსვლა, რგოლებზე აწევა და ა.შ. ყოველივე ეს სხაპა-სხუპით შევასრულე. მერე ხალიჩაზე მე და ჩემი ძმაკაცი ერთმანეთის პირისპირ დაგვაყენეს, — მიაწექით, გადამკვეთ ხაზს ვინ გადასძალავსო. მე 60 კგ ვიყავი, ჩემი მეგობარი შოთა — 100 კგ-ზე მეტი. მივაწექი და დავძარი ადგილიდან.

— ე, ბიჭო, სირცხვილია, რას შვრები?!. — მიძახდა, მაგრამ შევუდექი და ვძლიე.

თანდათან აგვიხსნეს ჭიდაობის ანი-ბანი. იმდენად კარგად ავითვისე, რომ ვარჯიშის დაწყებიდან ორ კვირაში პიონერთა სასახლეში შეჯიბრზე გამოიყვანეს. დღემდე მახსოვს ჩემი მეტოქის სახე, ურუშაძე იყო გვარად, მეორე თანრიგოსანი. შერკინებისას ხალიჩიდან გამირბოდა. ერთხელ გაიქცა, ორჯერ, სამჯერ და მეც გავბრაზდი, — რას გამირბიხარ-მეთქი, — დავეტაკე და კედელს მივახეთქე. გაფრთხილება მომცეს. პირველად მაშინ გავიგე, რა არის ხალიჩაზე უხეშობა. მწვრთნელმა დამარიგა, მოწინააღმდეგეს პატივი უნდა სცეო, ხალიჩაზე კულტურული და ზრდილობიანი უნდა იყოო... მერე ამ ბრძოლაში ჩემი მოწინააღმდეგე კულტურულად დავამარცხე და გავხდი ჩემპიონი. კლასიკურ ჭიდაობაში ეს ჩემი პირველი წარმატებაა (1959 წ).

ფეხბურთს თავი დავანებე. გულმა საბოლოოდ საჭიდაო ხალიჩისკენ გამიწია. ვარჯიშის დაწყებიდან სამი თვის შემდეგ პირველ თანრიგოსანთა შორის თბილისის პირველობაზე გამიყვანეს. მე თანრიგი საერთოდ არ მქონდა, მაგრამ გამონაკლისის სახით დამიშვეს. იმ დროისთვის საკმაოდ ცნობილი მოჭიდავეები დავამარცხე და ფინალში ნოდარ ფილიშვილს შევხვდი.

დავიწყეთ ჭიდაობა, რაღაც ფანდი გავაკეთე და უცბად სასტვენის ხმა გაისმა. წააგეო, — მითხრეს. — კაცო, რა წავაგე, მოწინააღმდეგეს არაფერი გაუკეთებია-მეთქი. — ხალიჩას ბეჭებით შეეხეო... მაშინ ასეთი წესი იყო, ხალიჩას ბეჭებით რომ შეხებოდი, თუნდაც შენივე ნებით, სუფთად წაგებას ნიშნავდა. ეტყობა, ფანდის ჩატარების დროს ხალიჩას ბეჭებით შევეხე და წაგებად ჩამითვალეს. მეორე ადგილზე გავედი.

20 დღის შემდეგ ქუთაისში გაიმართა ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის საქართველოს პირველობაზე. მახსოვს, ცხინვალიდან საკმაოდ ძლიერი მოჭიდავე, გვარად ჩეხოევი იყო ჩამოსული. მის სიძლიერეზე ლეგენდები დადიოდა, კაცი კი არა დათვი არისო, ყინულიან წყალში ბანაობსო... სიმართლე გითხრათ, შემეშინდა კიდეც. მაგრამ ნათქვამია, ისე არ წვიმს, როგორც ქუხსო, ჩეხოევი დავამარცხე და გავხდი საქართველოს ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის.

თბილისი, 1990-იანი წლები, რომან რურუა მწვრთნელთან - ნერსეს აკოფოვთან

ერთ წელიწადში თბილისის პირველობაზე გამოვედი. ზედიზედ სამ სპორტის ოსტატს მოვუგე. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ნორმატივი უკვე შევასრულე და საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატი გავხდი. ამის მიუხედავად ოსტატობის გაფორმებაზე არ მიფიქრია, თუმცა ეს უკვე საკმაოდ დიდი მიღწევა იყო. ამ დანომრილ სამკერდე ნიშანს მოსკოვი გზავნიდა. მაგრამ მე სხვა გეგმები მქონდა. თბილისის პირველობა ტრამვაი-ტროლეიბუსების სპორტულ დარბაზში გაიმართა. სწორედ იქ თქვა ჩემმა პირველმა მწვრთნელმა, ნერსეს აკოფოვმა, — თავი მომჭერით, თუ რურუა მსოფლიო ჩემპიონი არ გახდესო... ჩემი მეორე მწვრთნელი, რომელმაც ასევე მნიშვნელოვანი სამსახური გამიწია, სსრკ დამსახურებული მწვრთნელი ილია ჩხარტიშვილი გახლდათ.

ეს პერიოდი იყო ჩემთვის მომავალი დიდი წარმატებების დასაწყისი. ყველა შეეჯიბრს, თუ რამე იმართებოდა, როგორც ახალგაზრდებში, ისე დიდებში, ვიგებდი.

●

ამ დროისთვის გაზეთებში უკვე კანტი-კუნტად ჩნდება რომან რურუას სახელი და გვარი. მაშინ სოფლებში სპორტული გაზეთი „ლელო“ იშვიათად უვარდებოდა ვინმეს ხელთ. ამიტომ მუხურჩაში მისი სპორტული წარმატებების შესახებ ჯერ არაფერი იციან. ჭორიკანა ქალების დონეზე თუ მოუკრავს ვინმეს ყური. იმ პერიოდში სოფელში ჩასულ რომანს დედა ისე, სასხვათაშორისოდ, ჰკითხავს, — გავიგე, ფეხბურთისთვის თავი დაგინებებია და ახლა ჭიდაობა დაგიწყიაო... მერე მეზობლის ქალის ნათქვამსაც გაუმეორებს, — მარომ მითხრა, მაგისგან რა მოჭიდავე უნდა გამოვიდესო... რომანი თავის გასამართლებლად იტყუება, — ფულს, 300 მანეთს მიხდიანო... მშობლები კი მხოლოდ იმას იგებენ, რომ მათ შვილს დამოუკიდებლად თავის რჩენა შეუძლია და ფულის გაგზავნას უწყვეტენ.

რომან რურუას უკვე შეცნობილი აქვს მასში ბავშვობიდან გამოყოლილი უცნობი ძალა. მან უკვე იცის, როგორ და საით წარმართოს თავისი ძალისხმევა, იცის, სად დაიოკოს პირველობის წყურვილი, როგორ გამოიჩინოს თავი. ცდილობს, ცხოვრებას ისევე შეეჭიდოს, როგორც მეტოქეს, დამოუკიდებლად, მხოლოდ საკუთარი თავის იმედით.

თბილისში ცხოვრება ისევ ჭირს. იგი მადლიერებით ტოვებს მამიდის სახლს და თარხნიშვილის ქუჩაზე ერთ პატარა ოთახს ქირაობს. ბინა „კერასინკით“ რის ვაივაგლახით ძლივს თბება. სოფლიდან გამოყოლილი საბანი მისი ზრდის პარალელურად მოკლდება. ამიტომ სანახევროდ პალტოს იშველიებს. 57-ე დღის სკოლას მე-7 მუშა-ახალგაზრდობის საღამოს სკოლით ცვლის და მუშაობას ჯერ მტვირთავად კლარა ცეტკინის ქუჩაზე მდებარე ლიმონათის ქარხანაში იწყებს, შემდეგ — ცეცხლფარეშად ოპერის უკან ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში. დილა უთენია (5.00 სთ.) გარბის სამუშაოზე. ცეცხლს დაანთებს, ან სხვა სამეურნეო საქმით დაკავდება. მერე ნავთლუღში გარბის, იქ ამ სამსახურის ფილიალია, იქაც იგივეს აკეთებს და უკან ბრუნდება. კუს ტბაზე უნდა ივარჯიშოს, ბევრი, რაც შეიძლება ბევრი... რადგან გაგებული აქვს, შრომა არ იკარგებაო...



თბილისი, 1961 წ. სსრკ გუნდური პირველობა
რესპუბლიკებს შორის,
შეხვედრა მსოფლიო ჩემპიონთან
ვლადიმერ სტაშკევიჩთან



რომან რურუა:

— 1961 წელს ქუთაისში გაიმართა ჩემპიონატი დიდებს შორის საბჭოთა კავშირის პირველობაზე. შეჯიბრზე გასვლის წინ თითოეული სპორტსმენი სამედიცინო შემოწმებას გადიოდა. მივედი ექიმთან, ჩამხედა თვალებში და მითხრა, — სიყვითლე გაქვს, შენი ჭიდაობა არ შეიძლებაო. კინაღამ გადავირიე, — რა სიყვითლე, რის სიყვითლე?.. ვეხვეწე და, როგორც იქნა, მომცა ეს ცნობა. თავს მართლა კარგად ვგრძნობდი.

რუსეთიდან მოსკოვის ნაკრები იყო ჩამოსული. შეჯიბრებამდე ერთი კვირით ადრე ვარჯიშებს თბილისში გადიოდა. ამ ვარჯიშებზე ორ მეტოქეს — გენადი საპუნოვსა და რაგულინს შემახვედრეს. ერთმაც და მეორემაც ისეთი ფანდები გამიკეთა, კინაღამ მომკლეს. ვარჯიშზე ორივემ მომიგო.

ჩავედით ქუთაისში, გამოვედი შეჯიბრზე და პირველი ეს საპუნოვი არ შემხვდა?!. არ ვიცი, როგორ, მაგრამ ამ ბიჭს პირწმინდად 9:0 მოვუგე. მახსოვს, „ლელოს“ ცნობილი ფოტოკორესპონდენტი მიშა ზარგარიანი მოვიდა ჩემთან და ვიღაც ქაჩალ კაცზე მიმითითა, — საბჭოთა კავშირში ჭიდაობაში ეს ყველაზე დიდი კაცია, შენ რომ ფანდებს აკეთებდი, თავზე ხელს იკიდებდა, — ამას რას ვხედავ, ეს ვინ არისო?!. კარგი თვალით გიყურებს და აბა, შენ იციო... შემდეგ შეხვედრებზე ცალი თვალით ამ კაცისკენ ვიყურებოდი, ყურადღებას თუ მაქცევს-მეთქი...

ფინალამდე ერთი შეხვედრა დამრჩა. ჩემი მეტოქე სპორტის დამსახურებული ოსტატი, მსოფლიო ჩემპიონი, საბჭოთა ნაკრების წევრი, მსოფლიო თასის მფლობელი ვლადიმერ სტაშკევიჩი იყო. გამაფრთხილეს, კისერზე ხელი არ დაადო, იქიდან „ვერტუშკას“ აკეთებსო. სტაშკევიჩთან შეხვედრა სუფთად წავაგე. წუთში რაღაც ფანდი გამიკეთა და წააგეო, მითხრეს. არადა, ქულებით რომ წამეგო, ფინალში გავდიოდი.

საბჭოთა კავშირის პირველობაზე გამართულ ჩემპიონატზე VI ადგილი

დავიკავე. ამ შეჯიბრზე საბჭოთა ნაკრების წევრობის კანდიდატად დამასახელეს. დამწყები მოჭიდავისთვის ეს დიდი წარმატება გახლდათ. მე კი ყველაფერთან ერთად უდიდესი გამოცდილებაც მივიღე. სტაშკევიჩთან დამარცხების შემდეგ მითხრეს, — ხომ გაგაფრთხილეთ, კისერზე ხელი არ დაადოო. — არ დამიდია-მეთქი, — ვამბობდი, — როგორ არა, დაადეო, — მიმტკიცებდნენ. თურმე თვითონ მომკიდა ხელი ხელზე და ჩემი ხელი თავის კისერზე დაიდო. რა მნიშვნელობა აქვს ფანდის გასაკეთებლად შენ დაადებ ხელს, თუ თვითონ დაგადებინებს?!. შედეგი მიღწეულია. პირველად მაშინ მოვედი აზრზე, თურმე რა ხდება, მაშინ დავფიქრდი ჭიდაობის ტექნიკასა და ტექნოლოგიაზე.

ერთი ექიმი-მოჭიდავე იყო ჯემალ ქარუმიძე. იმისგან გავიგე, ტექნიკურად როგორ შეიძლება ფეხის ხმარება (კლასიკურ ჭიდაობაში ფეხის გამოყენება არ შეიძლება). რაღაც-რაღაცეები გვასწავლა. ფეხი ისე უნდა იხმარო, ვერც მსაჯებმა და ვერც მრავალათასიანმა დარბაზმა ვერ შეამჩნიოს. დავიწყე ამაზე ფიქრი და მუშაობა. ბოლოს, ისე დავვოსტატდი, არ მახსოვს, ფეხის გარეშე მეჭიდაოს, მაგრამ ეს არასდროს შეუმჩნევიათ არც მსაჯებს და არც მაყურებელს. ჭიდაობა ისე დავამთავრე, ფეხის ხმარების გამო ჩემთვის შენიშვნაც არასდროს მოუციათ. მოწინააღმდეგის გარდა, ეს არავის უგრძვნია.

ამ ჩემი ხელოვნებით ვარჯიშზე ზოგიერთ 90 კგ-მდე წონით მეტოქეებსაც ვუგებდი. ერთხელ მძიმეწონიანმა მოჭიდავემ ნიძლავზე საათიც კი დადო, — აბა, თუ მომიგებო?!. მოვუგე. — არ ითვლება, ფეხი იყოო, — ამტკიცებდა. მეორედ დამაჭიდეს, კიდევ მოვუგე. მეტოქე ამაოდ ცდილობდა, ყველა დაერწმუნებინა, რომ ფეხი ვიხმარე. ახლა პირველად ვამბობ, იყო ფეხი, ნამდვილად იყო. მაგრამ ეს იმდენად ტექნიკურად გავაკეთე, რომ ვერც მსაჯებმა და ვერც გაფაციცებით თვალყურმადევარმა მოჭიდავეებმა ვერ შეამჩნიეს.

ქუთაისის შემდეგ, 1961 წლის ივნისში ცნობილი გახდა, რომ მე საბჭოთა ნაკრების კარს მივუკაკუნე. პრესა ახმაურდა, სპორტულ საზოგადოებას ახალგაზრდა პერსპექტიული მოჭიდავის გამოჩენას აუწყებდა. წლის ბოლოს კი სსრკ ნაკრების წევრი გავხდი.

სპორტში ჩემმა ორ თუ სამწლიანმა მოღვაწეობამ ყველაზე ღირებული, რაც შემძინა, საზოგადოების ცნობიერებაში ჩემი გვარის დამკვიდრება გახლდათ. მას შემდეგ, რაც ჩემი გვარი პრესის ფურცლებზე გამოჩნდა, აღარავის უჭირდა მისი გაგება და ქაღალდზე გადატანა. მანამდე, სადაც უნდა მივსულიყავი, ორჯერ-სამჯერ მაინც გამამეორებინებდნენ. ახლა კი გვარს — რურუა — ხალხის ცნობიერებაში თავისი ადგილი ჰქონდა ნაპოვნი და არა მარტო საქართველოში. აი, ეს მომენტი დამამახსოვრდა ძალიან კარგად.

●

თბილისში 60-იანი წლები თავბრუდამხვევი ხიბლით ტრიალებს. პატეფონს დიდი ბაბინებიანი მაგნიტოფონი ცვლის, ფოლკლორს სერიოზული მეტოქე გამოუჩნდა. მოდაში საესტრადო მუსიკა შემოდის. პოპულარობის პიკს აღწევს ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს გუნდი აკაკი დოგვაძის ხელმძღვანელობით. ახალ დროს ახალი ფავორიტები ჰყავს: დები იშხნელები, დები ჩაფიძეები, მარეხ გოძიაშვილი, კონსტანტინე მაკარიძე, სოლიკო კოროშინაძე, და-ძმა კერვალიძეები, ხალხური სიმღერის უბადლო შემსრულებელი ილია ზაქაიძე... და მანამდე ჯერ არსად გაგონილი ჯაზი — კონსტანტინ პევზნერის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჯაზ-ორკესტრი.

თბილისში ცხოვრება მკვეთრად იცვლება თავად რომან რურუასთვისაც და ეს უპირველესად მეგობრებთან, თანატოლებთან ურთიერთობაში აისახება. ის უკვე აღარ არის 30 ქალაქელ თანაკლასელს შორის ერთი სოფლელი, სწავლით დაჩაგრული ბიჭი. წარმატებულმა სპორტულმა კარიერამ მას

საკუთარი თავის რწმენა შემატა. სკოლის პერიოდში მუდამ ჩრდილში მყოფი, შემდეგ ეტაპზე თანდათან ყურადღების ცენტრში ექცევა. ყოველთვის, როცა თანატოლები იკრიბებიან, მისი უპირატესობა აშკარად იკვეთება, რაც უდაო ფავორიტად აქცევს. იგი ყველგან და ყველასათვის სასურველი სტუმარია, სუფრასთან კი ხშირი თამადა. მას უსმენენ, მისი სჯერათ და პატივს სცემენ. საზოგადოების მხრიდან ასეთი დამოკიდებულება რომან რურუას საკუთარ ქმედებაზე კონტროლს უმკაცრებს. მას არა აქვს წაბორძიკების უფლება და ამის ნებას არც სხვას აძლევს.

რომან რურუა:

— სკოლა ახალი დამთავრებული გვქონდა, ჩემი მეგობრის ძმის ქორწილში რომ დაგვპატიჟეს. ჩვენი სამეგობრო წრიდან ერთ-ერთმა ოჯახის ახლობელი ახალგაზრდა ქალბატონი საცეკვაოდ გამოიწვია. ზედმეტად ვულგარულად ეცეკვებოდა. ქალბატონი ძალიან შეწუხდა. მეორედ გამოიწვია, იმავეს აკეთებს. ვიგრძენი, როგორ შეურაცხყოფდა მანდილოსანს და ძალიან გავბრაზდი. გადავხედე ჩემს მეგობრებს, ყველას თვალი ჰქონდა მორიდებული, ვითომ ვერ ამჩნევდნენ. ცეკვა რომ დამთავრდა, დავუძახე ჩემს მოცეკვავე მეგობარს, — გამოდი გარეთ, შენთან საქმე მაქვს-მეთქი!.. მიუხედავად იმისა, რომ გაბრაზება არ გამომიხატავს, არც არაფერი მითქვამს, რატომღაც მიხვდნენ, გარეთ რატომ გამყავდა. ყველა უკან გამოგვყვა. ატყდა ჩოჩქოლი, — არ გინდა, არ გაიყვანო, არ დაარტყაო... ესე იგი, მე თუ მივხვდი, რომ ღირსეულად არ იქცევა, თქვენც მიხვედრილხართ, ხომ?!. მაშინ რატომ მოგვყვებით, რა იცით, რომ გავლახავ?!. და თუ მიხვდით, რომ თქვენი მეგობრის ქმედება არაკაცურია, თვალს რატომ ხუჭავთ?!. მოკლედ, ვერ გავლახე, ქორწილი მივატოვე და შინ გაბრაზებული წამოვედი. გვიანობამდე ვერ მოვისვენე. ავდექი და სახლში მივაკითხე იმ ჩემს ძმაკაცს, რომელიც უღირსი მეგობრის გალახვაში ხელს ყველაზე მეტად მიშლიდა. არც ის გამოვიდა გარეთ. მიხვდა, რომ მასაც გავლახავდი. ფანჯრიდან მაინც მივაწვდინე ხელი და ერთი დავარტყი.

ამით რისი თქმა მინდა, — მე, სწავლაში ჩამორჩენილი სოფლელი ბიჭი, მუდამ უკანა პლანზე მდგომი, პიროვნულად ისე ჩამოვყალიბდი, ისე გავიზარდე, რომ ღირსების შეგრძნებით უკვე ბევრ მათგანზე მაღლა ვიდექი. ეს კი მათ შორის ჩემს უპირატესობაზე მიანიშნებდა. სწავლა მარტო გაკვეთილის მომზადება არ არის. ცხოვრება თავად გიტარებს გაკვეთილებს და შენც მაქსიმალურად უნდა შეითვისო მისგან ყოველივე კარგი. არ ვიცი, რა მოუვიდათ ამ ჩემს კლასელ ხუთოსნებსა და ოთხოსნებს?! სკოლის შემდგომ ეტაპზე ბევრი მათგანი მართლა ჩრდილად იქცა. ზოგმა ინსტიტუტიც კი ვერ დაამთავრა, ზოგს საპროტექტოროდ მე მივყვებოდი უმაღლეს სასწავლებელში, რომ არ გაერიცხათ. მათგან განსხვავებით, ჩემთვის სკოლის შემდგომი პერიოდი ზრდის, პიროვნებად ჩამოყალიბების, მომავალი დიდი წარმატებებისთვის მზადების ეტაპად იქცა.

●

— 1961 წელს კალათბურთში ცნობილი მწვრთნელის — დათიკო ქამუშაძის რეკომენდაციით სპორტული სიებით სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე ვაბარებდი. სოფლიდან ჩამოსვლა დამაგვიანდა. გამონაკლისის სახით გამოცდა ცალკე დანიშნეს. ქართულ ენასა და ლიტერატურაში წერით გამოცდას ვაბარებდი. აუდიტორიაში ორნი ვისხედით, მე და კალათბურთელი ვახტანგ ცხადაძე. მახსოვს, გამომცდელი გავიდოდა თუ არა, შპარგალკას ამოვიღებდი და ვიწერდი, შემოვიდოდა — გავჩერდებოდი... ბოლოს, როგორც იქნა, მოვილაპარაკეთ, ხუთიანი დამიწერა და სტუ-

დენტიც გავხდი. თუმცა, იმავე წელს ფეხზე ოპერაცია გამიკეთეს და ლექციებზე სიარული ველარ შევძელი. პირველი კურსიდან გაცდენების გამო გავირიცხე.

●

შემდეგ წელს რომან რურუა მისაღებ გამოცდებს ფიზკულტურის ინსტიტუტში აბარებს, მაგრამ ქულები აკლდება და უმაღლესი სასწავლებლის მიღმა რჩება. ამ მომენტმა აფიქრებინა, სწავლაზე დრო აღარ დაეხარჯა და მთელი თავისი გონება და ენერგია სპორტისკენ მიემართა. როცა იმავე საგამოცდო ქულებით მწვრთნელთა სკოლაში ჩარიცხეს, იქიდან კი შემდეგ ფიზკულტურის ინსტიტუტში გადაიყვანეს, საკუთარი სურვილით, აბსოლუტურად გააზრებულად, უარი თქვა სწავლაზე და მთელი თავისი ყურადღება და ენერგია ვარჯიშისკენ გადაიტანა. ამ პერიოდში იგი უკვე საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრია. ის გრძნობს, რომ თუ სწავლას საფუძვლიანად მოჰკიდა ხელი, სპორტული ზრდის საუკეთესო დრო გაუფრინდება, რომელმაც დიდი სპორტისკენ მიმავალ გზაზე უნდა გაიყვანოს. მიაჩნია, რომ ეს ოთხი წელიწადი ფიზიკური ძალის განვითარებას, სწორი სუნთქვითი პროცესის ჩამოყალიბებასა და შესისხლხორცებას უნდა მოანდომოს. 25 წლის შემდეგ სწავლა შეიძლება, ვარჯიშით კი, რამდენიც უნდა ივარჯიშოს სპორტსმენმა, წარმატების მიღწევა ძნელია, რადგან ამ ასაკში ფიზიკური ზრდის პროცესი დასრულებულია. ამიტომ ურჩევს იგი დღესაც ყველა ახალგაზრდას, თუ მისი მიზანი დიდ სპორტში მოსვლა და დამკვიდრებაა, დროებით სწავლა-განათლება და სხვა ინტერესებიც გვერდზე გადადოს და ფიზიკური ზრდის ასაკი მაქსიმალურად გამოიყენოს. რაც შეეხება სწავლას, განათლების მისაღებად 3-4-წლიანი პაუზა არაფერს ცვლის. 18-დან 23-წლამდე ასაკი კი სპორტსმენის კარიერაში გადამწყვეტ როლს თამაშობს.

მისთვის სწორი გამოდგა მისივე გათვლა.

1961 წ. თბილისის სპორტის სასახლე, სსრკ თასზე გუნდური პირველობა
საძართველოს ნაკრები: ა. ხაბეიშვილი, ფ. გველესიანი, დ. გვანცელაძე, ა. ქორიძე, რ. რურუა, ზ. უგრეხელიძე, ბ. მირიანაშვილი, რ. აბაშიძე (გუნდის კაპიტანი)

ტრავმა

სპორტულ სამყაროში რომან რურუას ვარსკვლავი 1961 წელს გაბრწყინდა. ის-ის იყო ახალი მწვერვალების დასაპყრობად ემზადებოდა, რომ ჯერ არ მოშუშებულ ძველ ტრავმას ახალიც დაემატა და 1962 წელს საერთოდ გამოეთიშა შეჯიბრებებს.

რომან რურუა:



— პირველი ტრავმა 1960 წელს თბილისის პირველობაზე გამართულ ჩემპიონატზე ნოდარ ფილიშვილთან მეორედ შეხვედრის დროს მივიღე. ტრავმა იმდენად გამირთულდა პროფესორმა კოლია გურგენიძემ ოპერაციის გაკეთება გადაწყვიტა. მაშინ მენისკის ოპერაცია მედიცინაში ახალი დანერგილი იყო. პირველად ბორის სიჭინავას გაუკეთეს, მეორედ — ბიჭიკო ასკურავას, მესამედ — მე. თაბაშირში გახვეული ფეხი ისე დამისუსტდა, ცარიელი ძვალი და ტყავი იყო დარჩენილი. ფეხის თითზე მობმული ბინტი კისერზე მქონდა ჩამოკიდებული. მხოლოდ ცერა თითზელა ვგრძნობდი სიცოცხლის ნიშანწყალს, ისიც ოდნავ. ცერზე მობმული ბინტით გადავდებდი-ხოლმე ფეხს ერთი ადგილიდან მეორეზე. ექიმებს ჩემს საბოლოო გამოჯანმრთელებასთან დაკავშირებით რაიმეს თქმა უჭირდათ. დინამოს სამედიცინო დისპანსერში ვიწექი. იქვე საავარჯიშო დარბაზი იყო. შევდიოდი დარბაზში და ზურგზე დაწოლილი თაბაშირიანად ვვარჯიშობდი. კარგა ხნის შემდეგ, როცა ფეხმა ნელ-ნელა აღდგენა დაიწყო და სიარული შევძელი, ხალიჩაზეც გავედი. პირველივე ვარჯიშზე პარტნიორმა შემთხვევით მაინცდამაინც ნაჭრილობევ ფეხზე დამარტყა ფეხი. ძალიან მეტკინა. ხალიჩიდან ხელით გამიყვანეს. ამ დროს ჩამწვდა ერთ-ერთი ცნობილი მწვრთნელის ხმა, — დამთავრდა მაგის კარიერაო... ეს რომ გავიგე, დარბაზიდან აღარ გავსულვარ. ხან თოკზე ავდიოდი, ხან რგოლებზე ვიწეოდი, ერთი სიტყვით, ტკივილის მიუხედავად ვარჯიში ჩვეულ რეჟიმში განვაგრძე. მეტიც, ჩემმა მდგომარეობამ მიკარნახა, რომ ჩამორჩენის დასაფარად დღეში ორჯერ მევარჯიშა, რათა დაკარგული აღმედგინა... აქედან დაინერგა ორჯერადი ვარჯიში ჭიდაობაში, მარტო სსრკ-ში კი არა — მსოფლიოში. ორჯერადი ვარჯიშის შემდეგ სასურველი შედეგიც მივიღე. მოვიდა დრო, როცა ხალიჩაზე უნდა გავსულიყავი. ამას მოჰყვა ის წარმატებები, რომელსაც 1961 წლის ბოლომდე მივაღწიე.

სსრკ ნაკრები გუნდის წევრი 1961 წელი

პირველად სსრკ ნაკრების წევრის ფორმაში

1961 წლის ივნისში ქუთაისში გამართულ პირად პირველობაზე წარმატების შემდეგ უკვე სსრკ-ს ნაკრებში კანდიდატად დამასახელეს, წლის ბოლოს კი — საქართველოს ნაკრების წევრი გავხდი. ეს უპრეცედენტო შემთხვევა გახლდათ, როცა სსრკ-ს ნაკრების წევრი რესპუბლიკის ნაკრების წევრი არ იყო. 1961 წლის დეკემბერში თბილისში გაიმართა სსრკ გუნდური პირველობა რესპუბლიკებს შორის, პლუს მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდები, ე. ი. სულ 17 გუნდი მონაწილეობდა.

მახსოვს, გუნდის დაკომპლექტების დროს სსრკ ნაკრების წევრმა და საქართველოს ნაკრების წევრმა მერაბ ღუდუშაურმა მწვრთნელებს ურჩია, — მეც და შოთა სეფაშვილსაც თავი დაგვანებეთ, რურუა ყველას სჯობს, გუნდში ის დააყენეთო... მე, პირველი თანრიგოსანი, მოულოდნელად მოვხვდი საქართველოს ნაკრებში 63 კგ წონით კატეგორიაში.

ყველაზე დაძაბული შეხვედრა რუსეთისა და ბელორუსიის ნაკრებ გუნდებთან წარიმართა. ძნელი იყო იმის პროგნოზირება, თუ რომელი გუნდი გაიმარჯვებდა, თუმცა, ყველა თვლიდა, რომ მე წავაგებდი, რადგან სპორტის დამსახურებულ ოსტატს, რომის ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს — ოლეგ კარავაევს ვხვდებოდი. კარავაევი გაბედული და უაღრესად ტექნიკური მოჭიდავე იყო. პირველი მან წამოიწყო თავისი ძირითადი („коренной“) ფანდის „суфлекс“-ის გამოყენება, მაგრამ ვერ დაასრულა და ხიდზე აღმოჩნდა. ძლივს გადამირჩა სუფთა წაგებას. ხი-



თბილისი, 1961 წ. ოლეგ კარავაევთან შერკინება

დიდან რომ გამექცა, ჩოქბჯენში კიდევ მივაყოლე რამდენიმე ქულა, ზუსტად იგივე განმეორდა მეორე პერიოდშიც. საბოლოოდ 9:0 დავამარცხე. მეორე დღეს გაზეთები სპორტის მოყვარულ საზოგადოებას სენსაციას აუწყებდა. ოლეგ კარავაევმა კი ინტერვიუში განაცხადა, — ჩვენ კიდევ შევხვდებით და მაშინ ვნახოთო...

1961 წ. ფინალი, სსრკ თასი (გუნდური), ოლეგ კარავაევი და რომან რურუა

შემდეგი შეხვედრა იყო რუსეთის ფედერაციის ნაკრებთან, სადაც ჩემს წონაში გამოდიოდა სპორტის დამსახურებული ოსტატი, მსოფლიო ჩემპიონი, მსოფლიო თასის მფლობელი — ვლადიმერ სტაშკევიჩი. შეხვედრის წინ გამახსენდა ქუთაისში ხუთი თვის წინ წაგებული შეხვედრა სტაშკევიჩთან. ახლა კისერზე ხელის დადებას აღარ ვაპირებდი. მერაბ ღუდუშაურმა ამიხსნა, მის ყოფილ მოწინააღმდეგესთან როგორ უნდა მეჭიდავა. დამარიგა, — არ დაუთმო, თუ დაგარტყა, არ მოგერიდოს, შენც დაარტყი, თუ უპასუხოდ დატოვე, აუცილებლად მოგიგებსო...

შეხვედრა ძალიან დაძაბულად დაიწყო. ორივე გუნდის პროგნოზირებით წაგება მელოდა. ვლადიმერ სტაშკევიჩი თავისი ჩვეული მანევრით ჭიდაობდა, ძალიან უხეშად გაგლახავდა და თანაც მოიგებდა. ყველასთვის მოულოდნელად 1:0 მოვუგე. მართალია, ამ შეხვედრის შემდეგ ერთი კვირა საჭმელს ვეღარ ვჭამდი, სახე ისე მქონდა დახეთქილი, მაგრამ, რაც მთავარია, მოვიგე. ეს უკვე იყო ძალიან სერიოზული განაცხადი, რომ მე ფეხი შევდგი სრულიად ახალ გარემოში და წინ, წარმატებების მისაღწევად, ურთულესი გზის გავლა მელოდა.

ამ შეჯიბრის შემდეგ საქართველოში იაპონიის ნაკრები ჩამოვიდა. ავად ვიყავი, სიცხე მქონდა და ვიწექი. ვარჯიშზე არ დავდიოდი. შემომითვალეს, იაპონელთან უნდა იჭიდაოო. წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ მაინც დამითანხმეს. თან გამაფრთხილეს, შენი ჭიდაობის საყურებლად მთელი პოლიტბიურო მოდისო. ვასილ პავლოვიჩ მჟავანაძეს ასე უთქვამს, — თუ რურუა იჭიდავებს, წამოვალო...

მოსკოვი, 1963წ. ხალხთა III სპარტაკიადა, რომან რურუა, ირაკლი სარაჯიშვილი, როსტომ აბაშიძე

საქართველოს გუნდმა პირველი ორი შეხვედრა წააგო; მესამე — მე ვემზადები გამოსასვლელად. ოთახში ვიღაც ჭაღარა კაცი შემოვიდა (როგორც მერე გავიგე ირაკლი სარაჯიშვილი იყო), შემომხედა და თქვა, — ეს ვინაა ხელშეხვეული, ფეხშეხვეული, ორი შეხვედრა წავაგეთ და კიდევ ინვალიდი გამოგყავთო?!. წელში მართლა ვერ ვიმართებოდი, გასახურებელი წამალი გამიკეთეს და ხალიჩაზე ისე გამიშვეს.



თბილისი, 1963 წ. სპორტის სასახლე, რომან რურუა და მწვრთნელი პეტრე იორდანიშვილი

ორი წაგების შემდეგ დარბაზი ღელავდა და ნამდვილად არ მინდოდა, მესამე წაგებით მაყურებელი საბოლოოდ იმედგაცრუებული დამეტოვებინა. გამარჯვებისთვის ყველაფერი გავაკეთე... დარბაზი ფეხზე ამდგარი ოვაციებით შეხვდა ჩემს გამარჯვებას. ფეხზე იდგა პოლიტბიუროც... როგორც შემდეგ მითხრეს, ძალიან ლამაზი და კარგი სანახაობა გამოვიდა. მაყურებლისთვის ვიჭიდავე და დავანახე, თუ რა სილამაზე ახლავს კლასიკურ ჭიდაობას. დაღლა და ემოციებისგან დაცლა მხოლოდ ფარდის მიღმა ვიგრძენი.

●

აქედან დაწყებული მივხვდი, რომ უნდა ვიჭიდავო ორი მიმართულებით: პირველი — უზრუნველვყო ჩემთვის მოგება; და მეორე — ვასიამოვნო მაყურებელი. მაყურებელი ჩემთვის გახდა მეტად საპატივცემულო სტუმარი, სტუმარს კი თაყვანი უნდა სცე, ჭიდაობის ნახვით მან სიამოვნება უნდა მიიღოს. ამიტომ დღეს, როცა მაყურებელს ეხვეწებიან, რომ როგორმე მოდით და მოგებაში მოგვეხმარეთო, ჩემი აზრით, არ არის სწორი. ხალიჩაზე თუ სტადიონზე ვერავინ მოგეხმარება, აი, ბურთი და აი, მოედანი, შენი თავის პატრონი შენა ხარ, გარედან ვერაფერს გიშველიან. როდესაც მაყურებელი თავის ფავორიტს მხარს უჭერს, ეს მის მეტოქეზეც დადებითად მოქმედებს. მეტოქე უფრო აგრესიული ხდება. აქედან გამომდინარე, შეიძლება უარყოფითი შედეგი მივიღოთ. როცა სპორტსმენმა იცის, რომ მოწინააღმდეგე, მსაჯი და მაყურებელი, ყველა მის წინააღმდეგ არის განწყობილი, თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმს, და უფრო მეტსაც ავლენს. მას სხვა გამოსავალი არ რჩება.

მაგალითისთვის ჩემი წარსულიდან რამდენიმე შემთხვევას გავიხსენებ. ბულგარეთში ერთ-ერთ ტურნირზე ჭიდაობის დროს მაყურებელმა მხარი თავის რჩეულს დაუჭირა, მე კი რაღაც „უუუ“-ს ძახილით მიმიღო. როგორც ადრე განმიმარტეს ეს „უუუ“ ძალიან დიდ შეურაცხყოფას ნიშნავდა. ტრიბუნისაკენ შევტრიალდი და ასეთი შეხვედრისთვის თავის დახრით

მადლობა გამოვხატე. იმ მომენტში ძალიან გავბრაზდი ჩემდამი ასეთი უპატივცემულობისათვის და ჩავუთქვი, — ახლა განახებთ „უუუ“-ს!.. არასოდეს დამავიწყდება შეხვედრის შემდეგ ფეხზე ამდგარი მაყურებელი ოვაციით და ტაშით ჩემი გამარჯვების ნიშნად. მოწინააღმდეგე შეგნებულად არ წავაქციე, მაყურებელი ჩემს უპირატესობაში დავარწმუნე, ვანახე საჭიდაო ხელოვნების მაღალი კლასი და კლასიკური ჭიდაობის შესაძლებლობები. ასე ვაიძულე ფეხზე ადგომით პატივი მიეგოთ სილამაზისთვის, სიძლიერისთვის და ვაჟკაცობისთვის.

თუ გინდა, ცნობილი იყო და საზოგადოებას თავი დაამახსოვრო, ვაჟკაცურად, დაუზარებლად და მაქსიმალურად უნდა აკეთო ის, რაც შეგიძლია.

1967 წელს, მსოფლიო პირველობაზე ბუქარესტში, სიტუაციიდან გამომდინარე, ძალიან უხეშად მოვიქეცი, მაგრამ მაპატიეს. **КГБ**-მ თვალი დახუჭა. გადამარჩინა ჩემმა სამართლიანობამ უსამართლობის წინააღმდეგ. ეტყობა, ზოგჯერ ჩადენილი დანაშაული უდანაშაულობაზე მიუთითებს, როცა სხვა გზას აღარ გიტოვებენ.

1972 წელს, ულიანოვსკში სსრკ პირველობაზე, პირველ შეხვედრაზე ადგილობრივი მოჭიდავე ყველას დასანახად ძალიან უხეშად მომექცა. ტუჩებიდან სისხლი წამსკდა, შეხვედრა გააჩერეს, ტუჩები გავიწმინდე და დაუფიქრებლად, უეცრად ისეთი ვლეწე მოწინააღმდეგეს, ადგილზე დაბზრიალდა. ჩემი უხეშობა გაამართლეს, მსაჯებმა არ მომხსნეს, ვითომ არც არაფერი მომხდარა, შეხვედრა გავაგრძელეთ და მოვიგე.

რატომ მპატიობდნენ, არ ვიცი, განსჯა თქვენთვის მომინდვია, მკითხველო.

ისევ ტრავმა

— 60-იანი წლების დასაწყისს დავუბრუნდეთ. 1962 წლის გაზაფხულზე სოფელში წავედი. ჩემდა სამწუხაროდ, რაღაც გაურკვეველ გუნდურ ჩხუბში მოვყევი და მეორე ფეხი ვიტკინე. დავბრუნდი თბილისში. მუხლი თანდათან გამისივდა, დამიმძიმდა... ვერა და ვერ მოვირჩინე. ვერ ვვარჯიშობდი, გავიდა სამი თვე, მდგომარეობა არ შეიცვალა. მითხრეს საოპერაციო არისო. ამასობაში დედამაც შემომითვალა, — სოფელში ჩამოდი, ექიმთან მე მიგიყვანო. ჩავედი. წამიყვანეს აბაშაში. იქ ბიძაჩემის — ფედია ალასანიას — მეზობლად, სოფელ ნორიოში ერთი ექიმბაში ცხოვრობდა. ახლაც მახსოვს, ბაბილინა ერქვა, გვარად კაჭარავა. ბაბილინამ ჯერ გამსინჯა, მერე წავიდა, რაღაც აგურისფერი ფხვნილი და ქონი (თხის ქონის მსგავსი სუნი ჰქონდა) მოიტანა, ერთმანეთში აზილა და ამ ფეხზე მასაჟის გაკეთება დამიწყო. ექიმისგან გაფრთხილებული ვიყავი, თითი არ დააკარო, თორემ ფეხი მოსაჭრელი გაგიხდებაო. ბაბილინას კი გავუძალიანდი, ექიმის ნათქვამიც გავუმეორე, მაგრამ ერთი ჩაილაპარაკა, მაგის მეტი რა ვიცი მეო და თავისი საქმე გააგრძელა. ქსოვილზე კვერცხის ცილა დაასხა, ზემოდან ეს ფხვნილი მოაყარა, დამატყეპა ფეხზე და შემიკრა. თანაც გამაფრთხილა, სანამ კარგად არ გაშრება, ფეხი არ მოღუნოო. ქსოვილი რომ შემაშრა, ისე მომიჭირა, ძალიანაც რომ მდომოდა, ფეხს მაინც ვერ მოვხრიდი. ასე ვიყავი სამი დღე. სამი დღის შემდეგ მითხრა: — აი, შენ წამალი, ფხვნილი, კვერცხი ქე გექნება სახლში და შენ თვითონ გაიკეთეო. რამდენჯერმე გავიკეთე და, მართლა, სასწაული მოხდა, მუხლიდან სითხე გამიქრა და შესიება დაცხრა. რაც მთავარია, ოპერაციას გადავურჩი. ტრავმის გამო უცებ დავიკარგე, ჩემი გვარის ჭაჭანება არსად ჩანდა. რურუას მზე ჩაესვენაო, ამბობდნენ... ყველაფერი თავიდან დასაწყები შემექმნა. ფეხი მოვირჩინე.

ამასობაში ერთი წელიც მიილია და 1963 წლის ხალხთა მესამე სპარტაკიადაზე მონაწილეობის მისაღებად მზადება დავიწყე. 1963 წელი ჩემთვის წარმატებულად დაიწყო.

თილისმა – სამყურა ბალახი და წაუგებელი ცხვირსახოცი



– ხალხთა მესამე სპარტაკიადისთვის ბორჯომში ვემზადებოდით. გაგონილი მქონდა, ოთხყურიან ბალახს თუ იპოვი, ბედნიერებას მოგიტანსო. ფეხბურთის სტადიონზე, მინდორში შეგნებულად ვეძებდი სამყურა ბალახებში ოთხყურიანს. სულ ძირს ვიყურებოდი. ვეძებდი და ვიპოვე. მოვწყვიტე, წიგნში საგულდაგულოდ შევინახე და სპარტაკიადაზე თან გავიყოლე.

1963 წელს მამიდაჩემმა ცხვირსახოცი მაჩუქა. შეჯიბრის დროს სპორტსმენს ცხვირსახოცი თან უნდა ჰქონდეს ოფლის, სისხლის მოსაწმენდად. ასეთი წესი იყო მაშინ და ახლაც არის. მამიდაჩემის გაუთოებული, გაწკიპინებული ცხვირსახოცით პირველად მოსკოვის ხალხთა მესამე სპარტაკიადაზე ვიჭიდავე და ჩემპიონი გავხდი. შემდეგ კიდევ ვიჭიდავე და კვლავ ჩემპიონი გავხდი. მოკლედ, ეს ოფლიანი და ჭუჭყიანი ცხვირსახოცი არასდროს გაგვირეცხია, ყველა შეჯიბრზე თან მქონდა და სულ ვიგებდი. მერე ამან თანდათან, წლების განმავლობაში სახელი გაითქვა, – „გამარჯვების ცხვირსახოცს“ ეძახდნენ.

ამერიკაში მსოფლიო პირველობაზე ვიჭიდავე და ჩემპიონი გავხდი. ჩემი გამოსვლის შემდეგ მოვიდა ერთი მოჭიდავე ჩემთან და მთხოვა: – **Роман, дай платок...** ჯერ უარი ვუთხარი, მერე ვიფიქრე, რომ წააგოს მე დამაბრალებს-მეთქი და ვათხოვე. გავიდა და მოიგო. მეორე შეჯიბრზე კიდევ მთხოვეს, არც თუ ისე ძლიერმა მოჭიდავემ მოიგო. ერთი სიტყვით, ამ ცხვირსახოცს არასდროს წაუგია. ქსოვილის ეს პატარა ნაჭერი სადაც თან მახლდა, ყველა შეხვედრაზე ვიმარჯვებდი. უცხოელს ვერ იპოვით ჩემთვის მოეგოს, ასეთი გვარი არ არსებობს. ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონი ზედიზედ სამჯერ გავხდი. მესამედ საავადმყოფოდან გამომიყვანეს და პირდაპირ ხალიჩაზე გამიშვეს. თანაც ჩემს წონაში კი არა, მაღალ წონაში გავხდი ჩემპიონი. ამ შეჯიბრზე ჩემს მეგობარს ვიქტორ იგუმენოვს წარბი ჰქონდა გახეთქილი, ცხვირსახოცი მთხოვა, გავიდა და ფინალი მოიგო. 1965 წელს საბჭოთა კავშირის პროფკავშირების სპარტაკიადაზე ერთ-ერთ მოწინააღმდეგესთან შეხვედრისას ნეკნები გავიტეხე. ტრავმის მიუხედავად შეხვედრა განვაგრძე და მოწინააღმდეგე ისე დავამარცხე, ქულა არ წამიგია. მეხიკოს ოლიმპიადაზე ცხვირიდან სისხლი წამსკდა, მაგრამ ცხვირსახოცი თან მქონდა და ჩემპიონი გავხდი. ჩვენს გუნდში ერთადერთი მე გავხდი ჩემპიონი.

1972 წელს სსრკ-ს ჩემპიონატზე თილისმა სასტუმროში დამრჩა და შამილ ხისამუტდინოვთან 1:3 წავაგე. შედეგად მიუნჰენის ოლიმპიადაზე ვერ მოვხვდი. ძალზედ გავნაწყენდი, არავის ნახვა მინდოდა და თბილისში დავბრუნდი. ორ კვირაში იგუმენოვი მირეკავს, – სად არის ცხვირსახოცი, სასწრაფოდ გამომიგზავნეო... წავედი აეროპორტში და ცხვირსახოცი ამანათთან ერთად ხომალდის მეთაურს – მამონტოვს გავატანე. მოსკოვში მას „დომოდედოვოს“ აეროპორტში 21-ე ოთახში დაუტოვებია. იგუმენოვმა ეძება, მაგრამ ვერ იპოვა. მერე მეც გავფრინდი, მაგრამ ვერც მე მივაკვლიე. იგუმენოვმა მიუნჰენში ვარჯიშზე ნეკნები გაიტეხა და ვერ იასპარეზა.

რას მივაწეროთ ეს, შემთხვევას თუ თილისმას?! როცა 9 წლის მანძილზე გაურეცხავი, ოფლითა და სისხლით გაჟღენთილი ცხვირსახოცი – თილისმა წავიდა ჩვენგან, გამარჯვებაც წავიდა...

„ОБ ЭТОМ СКОРО УЗНАЕТ ВЕСЬ МИР“...

მოსკოვი (სსრკ)
1963 წელი – სსრკ ხალხთა III სპარტაკიადა

– სსრკ ხალხთა სპარტაკიადები ყველაზე მასშტაბური შეჯიბრებები იყო. იგი ოთხ წელიწადში ერთხელ იმართებოდა და თავისი მნიშვნელობითა და სიძლიერით ჭიდაობაში ოლიმპიურ თამაშებსაც კი უტოლდებოდა. მასში 15 რესპუბლიკა, მოსკოვი და ლენინგრადი მონაწილეობდა. ეს იყო ოლიმპიური თამაშების წინა შერჩევითი შეჯიბრი.

რურუა მარჯვენა ხელს წინ წაიღებს და საპუნოვი წამოიკიდებს („Кочерга“)

1963 წელს საბჭოთა კავშირში ხალხთა მესამე სპარტაკიადა გაიმართა. მე პირველად ვიღებდი მონაწილეობას და ათეულში მოხვედრაზე ვოცნებობდი. პირველი შეხვედრა მოსკოვის ცსკ-ს დარბაზში ოლიმპიურ და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონთან ოლეგ კარავაევთან მქონდა. ჩვენ ერთმანეთი ხალიჩაზე უკვე მოსინჯული გვყავდა, 1961 წელს თბილისში საბჭოთა კავშირის გუნდურ პირველობაზე. ის შეხვედრა ჩემი გამარჯვებით დამთავრდა. გამახსენდა კარავაევის ინტერვიუ, – არა უშავს, ერთმანეთს კიდევ შევხვდებით და ვნახოთო... – რომ დაიქადნა. მითხრეს, კარავაევი გემუქრებაო. ვიფიქრე, ის ჩემპიონია, მე რა ვარ?.. ჩემმა მზემ გამოანათა თუ არა, ამ ტრავმის გამო ისევ თვალს მიეფარა. ცოტა შევშინდი კიდეც, მაგრამ პირველივე შეხვედრაზე კარავაევს დღე ვაყარე... მე თავად გამიკვირდა, ისე ადვილად მოვუგე.


საპუნოვი თავს იცავს...

მოსკოვი, 1963 წ.
ხალხთა III სპარტაკიადა

ოლეგ კარავაევი ბელორუსიის სახელით ასპარეზობდა. რამდენიმე შეხვედრა სხვადასხვა მოჭიდავესთან კიდევ მქონდა, მეოთხე – რუსეთის სახელით მოასპარეზე გენადი საპუნოვთან. საპუნოვი ძალიან ტექნიკური, მგრძნობიარე მოჭიდავე იყო და ჩემი დიდი ძალისხმევის მიუხედავად 3:1 დავმარცხდი.

მე საპუნოვთან დავმარცხდი, მაგრამ მან ჩემს შემდეგ უკრაინელ იური გრიგორიევთან იჭიდავა და წააგო. ესე იგი, ფინალში გავედით საპუნოვი, გრიგორიევი და მე. საპუნოვი ორივეს შეგვხვდა, შეხვედრების შედეგი ცნობილია. ადგილების საბოლოო განაწილება ჩემი და გრიგორიევის შეხვედრის შემდეგ გაირკვეოდა. ანუ, გრიგორიევისა და რურუას შეხვედრის მოსალოდნელი შედეგების ანგარიშის მიხედვით:

1. გ. საპუნოვი გახდება ჩემპიონი, თუ რ. რურუა ი. გრიგორიევს მოუგებს ქულებით ან შეხვედრა ფრედ დამთავრდება;

2. ი. გრიგორიევი ჩემპიონი გახდება, თუ ქულებით მაინც მოუგებს რ. რურუას;

3. რ. რურუა ჩემპიონი გახდება, თუ მოიგებს სუფთად, ან 7 ქულის სხვაობით.

ეს გახლდათ ყველაზე მძიმე ამოცანა, რომელიც შეხვედრის წინ უკვე ცნობილი იყო. ახლა ჯერი სპორტსმენებზეა, ვინ როგორ შეძლებდა მის წინ დასახული სირთულის გადალახვას.



მოსკოვი, 1963 წ.
ხალხთა
III სპარტაკიადა

დაიწყო ჩემი და გრიგორიევის შეხვედრა. პირველივე წუთზე რაღაც გამიკეთა, გარეთ გავვარდი, ერთი ქულა დავკარგე. მსაჯმა ჩოქბჯენში მიმითითა. ვიცოდი, გრიგორიევი ჩოქბჯენში ძლიერი იყო და არ მინდოდა, შეხვედრა აქედან გაგვეგრძელებინა, მაგრამ რას ვიზამდი. ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. მერე მდგომში 8 ქულა გავაკეთე, ვიგებ 8:1 და პირველი პერიოდიც მიიწურა. პირველი პერიოდი კი დამთავრდა ჩემი გამარჯვებით, მაგრამ დარჩა მეორე 5 წუთი. ჭიდაობა დავიწყეთ თუ არა, ისეთი მოგვერდი გამიკეთა, ჰაერში რომ ვიყავი უკვე ვფიქრობდი, სანამ დავეშვებოდი, რა უნდა გამეკეთებინა. ხიდზე დავეშვი და ბრძოლა იქიდან შეუჩერებლივ გავაგრძელე. იური ხიდზე შევაყენე, ამას ფანდების სერია მოვაყოლე და საბოლოო შედეგით 16:7 მოვიგე. ეს შეხვედრა იყო ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი საუკეთესო.

დარბაზში არნახული დაძაბულობა სუფევდა. ვიღაცამ (მგონი, ანზორ ხაბეიშვილმა) ზურგზე სიხარულით ისე ძლიერად დამარტყა, ერთი კვირა ხუთი თითის ანაბეჭდი ვატარე. ეს იყო ნამდვილი სენსაცია.

გაზეთი „Советский Спорт“-ი აღნიშნავდა, რომ სსრკ ნაკრების უფროსი მწვრთნელის განცხადებით, რომან რურუამ, ერთმა კაცმა ყველა შეხვედრაში იმდენი ქულა გააკეთა, რამდენიც 100 კგ წონით კატეგორიაში ყველამ ერთად აღებულმაო.

ჭიდაობის მსოფლიო ფედერაციის გენერალური მდივანი მილან ერცეგანი კი იგივე გაზეთში წერდა: — **„На ряду с В. Сташкевичем, К. Вырупаевым и О. Караваевым родился еще один великолепный борец с большими потенциальными возможнастями Роман Руруа, об этом скоро узнает весь мир!“**



მოსკოვი, 1975 წ.
ხალხთა IV სპარტაკიადა,
ჭიდაობის მსოფლიო
ფედერაციის გენერალური მდივანი
მილან ერცეგანი და რომან რურუა

ასე ძლიერად, ალბათ, არასდროს მიჭიდავია. საშინელი აჟიოტაჟი ატყდა. დარბაზი ქუხდა. ერთი ცნობილი მწვრთნელი იყო — ვასილ ილურიძე, მე გულშემმატკივრობდა, ჭიდაობის დროს ხალიჩასთან ახლოს მოვიდა. პირველად ამ კაცზე ვნახე, როგორ შეიძლება ადამიანს თმები ყალყზე დაუდგეს. გადარეული იყო.

ჩემი მოწინააღმდეგე უძლიერესი მოჭიდავე გახლდათ და უხეშზე უხეში. მასთან ვარჯიშსაც კი ყველა ერიდებოდა. ერთადერთი კაცი ვიყავი, ვარჯიშში თვალდახუჭული რომ მივდევდი. ჩემთან უხეშობა არ გასდიოდა. ოდნავი ასეთი ქმე-

ყველა დროის უძლიერესი
შემადგენლობა სსრკ ნაკრებში
ერთ წონით (63 კგ) კატეგორიაში
გენადი საპუნოვი,
იური გრიგორიევი და რომან რურუა

დება და მაშინვე ვპასუხობდი. უხეშობაში ისეთივე ტექნიკური ვიყავი, როგორც ფეხის ხმარებაში. მსაჯებისგან ამისთვის გაფრთხილება არასდროს მიმიღია. თუ მინდოდა, მოწინააღმდეგეს ისე შეუმჩნევლად დავამტვრევდი, შემდეგ აღარ ვარგოდა. ზუსტი მოქმედება ვიცოდი.

უხეშობა ეს არის ხედვა, სიტუაციის ზუსტი გაგება. მე კი არ ვურტყამდი, დასარტყმელ ადგილას თავს ან ხელს მივადებდი

მოსკოვი, 1963 წ. ხალხთა III სპარტაკიადა,
ი. გრიგორიევი,
რ. რურუა,
გ. საპუნოვი (მსოფლიო ჩემპიონი),
ვ. კაციუბა,
ს. აგამოვი

რომან რურუა და გენადი საპუნოვი სპორტული
კარიერის დამთავრების შემდეგ

და ისეთ ბიძგს ვაძლევდი, პირდაპირ ვხვრეტდი. თავით ავივლიდი თვალთან ან ცხვირთან (წერტილები ვიცოდი), ერთი მკვეთრი მოძრაობა და მორჩა, საქმე გაკეთებული იყო. ამით დარტყმის ტექნოლოგია ბიძგითი დარტყმით შევცვალე.

გრიგორიევისა და ჩემი შეხვედრა არაჩვეულებრივი სანახაობა გამოვიდა.

1963 წელს საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონი პირველად გავხდი. მართალია, მსოფლიო ჩემპიონთან — საპუნოვთან დავმარცხდი, მაგრამ გრიგორიევთან გამარჯვებამ საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მომიტანა. ეს კი იმის განმსაზღვრელი იყო, თუ ვინ მიიჩნეოდა ყველაზე ძლიერ მოჭიდავედ საბჭოთა კავშირში. აქედან იწყებოდა ტოკიოს ოლიმპიადისთვის მოჭიდავეთა შერჩევა. ასე აღმოვჩნდი რჩეულთა შორის პირველ ნომრად, რაც ერთგვარ პრივილეგიასაც ნიშნავდა.

მაშინ ასეთი სისტემა იყო, შეიძლება ქვეყნის შიგნით ძლიერი იყავი, მაგრამ საერთაშორისო შეხვედრებისთვის — გამოუსადეგარი. ეს სისტემა კარგად ვიცოდი. ამიტომ ყველა ტურნირს სერიოზულად ვეკიდებოდი. შეჯიბრებებს ვიგებდი როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. არავისთვის მიმიცია საშუალება ჩემზე ცუდი დახასიათება გაეკეთებინა. 1963 წლიდან 1972 წლამდე პირველობა არავისთვის დამითმია, ისე დავამთავრე ჩემი სპორტული კარიერა.

„Призывник Руруа“

— როცა სამხედრო სამსახურში გაწვევის ასაკი დამიდგა უკვე საკმაოდ პრესტიჟული და პერსპექტიული მოჭიდავის სახელით მიცნობდნენ. საბჭოთა არმიას მოსკოვში თავისი სპორტული კლუბი ცსკა (**Центральный Спортивный Клуб Армии**) ჰყავდა. ბუნებრივია, დაინტერესებული იყო კარგი სპორტსმენების მობილიზებით. მაშინ თბილისში გოგოლის ქუჩაზე ვცხოვრობდი. ჩვენი რაიონის კომისარმა — კანანოვმა თავისთან გამომიძახა და მოსკოვიდან, გენშტაბიდან მოსული დეპეშის შინაარსი გამაცნო: — **„Немедленно доставить призывника Руруа Романа в Москву по адресу...“** — გაემზადეო, მითხრა და თან პრესტიჟულ ნაწილში მოხვედრა მომილოცა. მან ეს მოწვევა დიდ პატივად და ღირსებად ჩათვალა.

— არსად არ წავალ! — ვუთხარი კანანოვს.

— არ შეიძლება, ეს ბრძანებაა, ბილეთი უკვე აღებულია, გინდა თუ არა, წასვლა მაინც მოგიწევს... — მიპასუხა.

კანანოვიდან წამოსულმა პირდაპირ სპორტკომიტეტში სახელმწიფო მწვრთნელს ვახტანგ კუხიანიძეს მივაკითხე, ჩემი ჯარში გაწვევის ამბავი ვამცნე. როგორი საქმე იყო საქართველოს სპორტკომიტეტისთვის, რომ გამზადებული ჩემპიონი მოსკოვისთვის მიერთმიათ?! კუხიანიძემ მაშინვე თავმჯდომარის მოადგილეს ლევან სანაძეს მთავრობის სახლში გამაყოლა. იმ დღეს ცეკას ბიუროს სხდომა ტარდებოდა. მივედით. ჩვენდა ბედად, შესასვლელთან მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გივი ჯავახიშვილს შევხვდით, სხდომიდან გამოდიოდა.

— საქმე მაქვს, — უთხრა ლევანმა. მე იქვე ახლოს ვიდექი ატუზული. — რურუა ჯარში მიყავთ მოსკოვში, მაგის გაშვება როგორ შეიძლება, იქნებ დაგვეხმაროთო... — სთხოვა.

ჯავახიშვილი შენობაში ლევანთან ერთად შებრუნდა. სხდომათა დარბაზში, პირდაპირ მჟავანაძესთან მივიდა და ყურში ჩასჩურჩულა, — ასეთი ამბავია და უნდა გადავარჩინოთო... ცეკას პირველმა მდივანმა იქვე, სხდომაზევე მყოფ ამიერკავკასიის ჯარების სარდალს გენერალ სტუჩენკოს მიმართა:

— მოსკოვიდან დეპეშა ყოფილა მოსული, რურუას ჯარში იძახებენ, იქნებ მოგვეხმარო, რომ დავტოვოთ...

სტუჩენკომაც სხდომიდანვე დარეკა მოსკოვში, გენშტაბში:

— **Кто прислал такую телеграмму из Москвы? Пока я здесь командующий, никто не имеет права на такую телеграмму! Немедленно изучить вопрос и доложить мне!**

ჯავახიშვილი და სანაძე გახარებულები გამოვიდნენ შენობიდან. მას შემდეგ აღარავის მოვუკითხივარ. ჩემი საბუთები სადღაც გაქრა.

მაშინ მოსკოვში რომ წავსულიყავი, იქიდან, ალბათ, აღარც გამომიშვებდნენ. ამიტომაც იღონეს ყველაფერი იმისთვის, რომ მე საქართველოში დავრჩენილიყავი.

სტამბული (თურქეთი)
1963 წელი

— ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის მისაღებად საჭირო იყო სპორტსმენთა საერთაშორისო ტურნირებზე გასინჯვაც. სპარტაკიადის შემდეგ პირველი ტურნე თურქეთში გვქონდა. საბჭოთა კავშირისა და თურქეთის ნაკრებ გუნდებს ერთმანეთთან ამხანაგური შეხვედრა უნდა გაემართათ. სხვათა შორის, 37-წლიანი პაუზის შემდეგ ეს იყო საბჭოთა კავშირის სპორტული დელეგაციის პირველი გასვლა თურქეთში. იმ პერიოდში საბჭოთა სპორტსმენს აუცილებლად თავზე შლაპა უნდა ჰხურებოდა და კისერზე ჰალსტუხი ჰკეთებოდა. დავემორჩილეთ ამ წესს. მაშინ ჰალსტუხი პირველად გავიკეთე, შლაპაც დავიხურე. ასე მეგონა, შლაპა მხოლოდ პროფესორებსა და ხნიერ ხალხს უნდა ეტარებინათ. ამიტომ გულში, ვფიქრობდი, რა დროს ჩემი შლაპაა-მეთქი.

სტამბულში ჩვენი ნაკრების ჩასვლა თურქებსა და ბერძნებს შორის კვიპროსის გამო ომის დაწყებას დაემთხვა. ქუჩებში ტანკები და ჯავშანტრანსპორტიორები დადიოდა. სამი შეხვედრა იყო დაგეგმილი, მაგრამ კონფლიქტის გამო ქალაქში გამოვიკეტეთ. აქ გამოგვიცხადეს, რომ სსრკ-ს ნაკრებს სტამბულის ნაკრები უმასპინძლებდა. გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირმაც სასწრაფოდ შეცვალა და ჩვენს გუნდს მოსკოვის ნაკრები უწოდა. ე. ი. ერთმანეთს საბჭოთა კავშირისა და თურქეთის ნაკრებები კი არა, მოსკოვისა და სტამბულის ნაკრებები ვხვდებოდით. მოსკოვის ნაკრების სახელით რვა წონით კატეგორიიდან ოთხი ქართველი გამოვდიოდით: ომარ ეგაძე, რომან რურუა, დავით გვანცელაძე და როსტომ აბაშიძე.



შეჯიბრებები ცირკის მსგავს, მრგვალი ფორმის შენობაში გაიმართა. შუაში 1,5 მ სიმაღლეზე პედესტალი იყო, გარშემო უამრავი მაყურებელი და კიბეებზე ვინტოვკიანი ჯარისკაცები. ჩემი მეტოქე საკმაოდ ცნობილი თურქი მოჭიდავე, მსოფლიო ჩემპიონი — იაშარ ილმაზი გახლდათ. დავიწყეთ ჭიდაობა, მოვკიდე მოწინააღმდეგეს ხელი და ვგრძნობ, მისრიალებს, თურქ ფალავანს ქონი წაესვა. მანამდე ასეთი რამ გაგონილიც არ მქონდა. მე ტემპში ვჭიდაობდი, გაუჭირდა ჩემი ტემპის გაძლება და სიმულიანტობა დაიწყო. ზოგჯერ სპორტსმენი თვალთმაქცობს, რომ დრო გაიყვანოს.



ასე მოიქცა იაშარ ილმაზიც. ერთი წუთი ვიჭიდავეთ, შეეშინდა, მიხვდა, რომ დავღლიდი, მოიგონა ტრავმა, შეხვედრა შეაჩერეს და ექიმი გამოიძახეს. ამასობაში სუნთქვაც აღიდგინა. დავიწყეთ ხელახლა ჭიდაობა, რაღაც მომენტში ხალიჩიდან გადამაგდო, მაგრამ მეტრნახევრის სიმაღლიდან როგორღაც ძირს ფეხზე დახტომა მოვახერხე. ისევ უკან ამოვხტი, შეხვედრა განვაახლეთ. გაბრაზებულ გულზე ხალიჩიდან რომ მოვიქნიე, პირდაპირ ხალხში გაადინა ბარტყანი. მაყურებელი სულ რაღაც ორ მეტრში იჯდა. კიდევ კარგი, დარბაზში გამაგრილებელი სასმელების ბოთლით შეტანა აკრძალული იყო, თორემ, ალბათ, ჩამქოლავდნენ. ატყდა ყიჟინა, ფალავანი მოგვიკლაო... თურქები ძალიან ემოციური ხალხია, აღმერთებენ თავიანთ სპორტსმენებს. ეს ილმაზიც იკრუნჩხებოდა... ექიმები დაესივნენ... მოკლედ, გაგიჟდა, გაცოფდა ხალხი, მუშტებზე იკბინებოდა... მსაჯი იტალიელი იყო. შეხვედრას ხშირად აჩერებდა, ჩემს დაწყნარებას ცდილობდა. ერთი სიტყვით, არ მაჭიდავეს, შეხვედრა ფრედ დაგვამთავრებინეს და მაყურებელიც დამშვიდდა.

ჩვენი შეხვედრის დასრულების შემდეგ კიდევ ხუთი შეხვედრა უნდა გამართულიყო. მინდოდა ჭიდაობის სანახავად დარბაზში დავმჯდარიყავი, მაგრამ უფლება არ მომცეს, — ხალხი გაღიზიანებულია და ვინმემ რამე არ გესროლოსო. გასახდელში გამომამწყვდიეს. საშხაპეში ჩავედი, სარდაფივით იყო, ნახევრად მიწის ქვეშ. შუა ბანაობაში ხმა შემომესმა, მოვტრიალდი და ვხედავ, რკინის გისოსებიან პატარა სარკმელთან სამი ბიჭი ჩაცუცქულა და მეძახის: — დონღუზ, დონღუზ... რუსიენ, რუსიენ... უარყოფის ნიშნად ხელი გავაქნიე: — ნოუ რუსიენ, გურჯისტან, გურჯისტან-მეთქი... მაშინვე მოლბნენ, ოღონდ რუსი არ ვყოფილიყავი და სხვა პრეტენზია ჩემს მიმართ არაფერი ჰქონდათ. დავძმაკაცდით კიდეც.

სტამბულში მხოლოდ ერთი შეხვედრა ჩავატარეთ. ვიდრე საბჭოთა კავშირს დავუბრუნდებოდით, ბოსფორის სრუტის დასათვალიერებლად წაგვიყვანეს. მთელი დელეგაცია ერთ-ერთ მაღაზიაში შევედით. დავათვალიერეთ რაღაცეები, მოვისინჯეთ, ავრიეთ-დავრიეთ, რა თქმა უნდა, არაფერი ვიყიდეთ და გამოვდიოდით, გამყიდველი რომ აწიოკდა. რუსული სცოდნია და მიგვალანძღა. ახლა ის გვეძახდა: — დონღუზ, დონღუზო... ძალიან გავბრაზდი, უკვე გასულები ვიყავით, მაგრამ მოვტრიალდი და გავეკიდე ამ ქალს, — ვინა ხარ რომ გვაგინებ, ამდენ ხალხს შეურაცხყოფას რა უფლებით გვაყენებ, შენი დონღუზი და შენი დედაც-მეთქი... გამყიდველი გაიქცა და ოთახში ჩაიკეტა. ჩვენი დელეგაციის გარდა მაღაზიაში არავინ იყო. სხვათა შორის, მაშინ პირველად ვნახე, ამხელა მაღაზიაში მხოლოდ ერთი გამყიდველი რომ ვაჭრობდა. გამომიყვანეს იქედან, დამსვეს ავტობუსში, კი დავწყნარდი, მაგრამ ახლა ის მაწუხებდა, ჩემი საქციელის გამო ჩვენები რომ გამიწყრებოდნენ. იმ დროს, როგორც წესი, КГБ-ს თანამშრომელი ყველგან დაგვყვებოდა. მერე მოსკოვში წერდა დახასიათებას, ვინ როგორ მოიქცა. ჩემს შესახებ არაფერი დაუწერია. ალბათ, ჩათვალა, რომ ამით თითოეული ჩვენგანის ღირსება და ქვეყანა დავიცავი. დელეგაციის ხელმძღვანელმა, რუსეთის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ, კრუპინმა კი, რომელიც ამ ინციდენტის მოწმე გახდა, ავტობუსშივე შემაქო, — „მალადეც პარენო!..“

საზღვარგარეთ ეს ჩემი მეორე გასვლა გახლდათ. პირველად პოლონეთში გამართულ ტურნირზე ვიყავი.



მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო ნიუანსები

— ყველა ტურნირი, რომელშიც მონაწილეობა მიმიღია, ბუნებრივია, არ მახსოვს. ტურნირებს მაინცდამაინც დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებდი. თუმცა, უპასუხისმგებლოდ არასოდეს მოვკიდებივარ. ჩემთვის ღირებული, ოლიმპიურ თამაშებში, საბჭოთა კავშირის, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში გამარჯვება იყო. ტურნირები ამ შეჯიბრებებს შორის მოსამზადებელი ეტაპია. უნდა შეისწავლო და გამოცადო საკუთარი თავი და მოწინააღმდეგეც.

საქართველოში დიდი ხანია უმოწყალოდ ვატყუებთ სპორტის მოყვარულ საზოგადოებას, როცა ტურნირზე გამარჯვებულ ამა თუ იმ სპორტსმენის შესახებ ვაუწყებთ, ოქროს მედალი აიღოო. გამარჯვებულმა პირველი ადგილი აიღო და არა — ოქრო. ტურნირის სიმბოლური მედალი არც ოქროა, არც — ვერცხლი და არც — ბრინჯაო. ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს სპორტული ტერმინოლოგიით მანიპულირება. ეს კი უპირველესად სპორტის სამინისტროში მყოფ ადამიანებს და ჟურნალისტებს ევალებათ.

ჩვენ ბავშვებს დიდ სპორტსმენებად კი არ ვზრდით, ვაფუჭებთ და იცით, როგორ? 17 წლის მოზარდი რომელიმე საერთაშორისო ტურნირზე თუ გაიმარჯვებს, ისეთ აჟიოტაჟს ვტეხთ, თავი მართლა ჩემპიონი ჰგონია. დავუშვათ, ჩემპიონი მეორედაც გახდა, მას მიაჩნია, რომ მსოფლიო მწვერვალები დაპყრობილი აქვს და ყოყოჩობს. იმაზე არ ფიქრობს, ჩემპიონი დიდებში გახდეს. ნაადრევად ნუ დავაბერებთ ამ ბავშვებს! მაგრამ ეს უკვე რეფორმის საკითხია.

დღეს ჩვენ შემთხვევითი ჩემპიონები გვყავს და არა — სტაბილური. ერთხელ და ორჯერ გამარჯვება ნამდვილ ჩემპიონობას არ ნიშნავს. უძლიერესი არ არის ის, ვინც პირველად იგებს, ბედმა თუნდაც მეორედ გაუღიმოს. უძლიერესი იყო გივი კარტოზია, რომელიც შეჯიბრებიდან აუცილებლად გამარჯვებული ბრუნდებოდა; უძლიერესი იყო ლევან თედიაშვილი, არც მის გამარჯვებაში ეპარებოდა ვინმეს ეჭვი; სტაბილური ვიყავი, ალბათ, მეც, იმიტომ, რომ არცერთი საერთაშორისო შეხვედრა არ წამიგია. კვარცხლბეკზე ყოველთვის პირველი ადგილი მეკავა, მხოლოდ ერთხელ ვიდექი მეორე ადგილზე და ისიც წაუგებლად, ცნობილი მიზეზების გამო.

ცნობილმა მწვრთნელმა გენადი საპუნოვმა ჭიდაობაზე მსჯელობისას ასეთი რამ თქვა: **„Есть две категории борцов - хорошие и великие...“** მე კარგი მოჭიდავე ვარ, „ველიკი“ რომ ვყოფილიყავი, ოლიმპიური ჩემპიონიც გავხდებოდიო...

არიან მოჭიდავეები, რომლებიც საბჭოთა კავშირის ჩემპიონები გახდნენ, მაგრამ მსოფლიო ან ოლიმპიური — ვერა. მაგალითად, დავით გვანცელაძე ბრწყინვალე მოჭიდავე იყო, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი შვიდჯერ გახდა (თანაც მაშინდელი კონკურენციის პირობებში), მაგრამ ვერც ევროპის, ვერც მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული ვერ მოიპოვა. თუმცა, ნამდვილად ღირსი იყო.

პირიქითაც ხდებოდა. მაგალითად, ავთანდილ ქორიძე საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ვერ გახდა, მაგრამ მსოფლიოც მოიგო და ოლიმპიური თამაშებიც. საერთაშორისო შეხვედრებში ბრწყინვალედ ასპარეზობდა. მსგავსი ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ამგვარი მომენტები ფსიქოლოგიურ ნიუანსებთან არის დაკავშირებული და მის დაძლევაში სპეციალისტი უნდა დაგეხმაროს.

ამ მხრივ პირადად მე ჩემს თავს სპეციალისტზე მეტად ვშველოდი. თავად შემქონდა ცვლილებები ტაქტიკაში და ტექნოლოგიაში. შენიშვნას ვისმენდი და ისე ვირგებდი, როგორც მჭირდებოდა. ერთხელ, 1961 წელს, „ლუჟნიკებში“ უფროსმა მწვრთნელმა ვიაჩესლავ კოჟარსკიმ თქვა, უკვე დროა კომბინაციურ ჭიდაობაზე გადავიდეთო და ახსნა, რა არის კომბინაციური ჭიდაობა, — შედიხარ ფანდზე, აქედან მეორე ფანდზე გადადიხარ და შეიძლება მესამეზეც გადახვიდე. რატომღაც ჩვენს წრეში ამ კომბინაციურმა ჭიდაობამ განვითარება ვერ ჰპოვა, მაგრამ მე კარგად დამამახსოვრდა, ჩემს საჭიდაო ხელოვნებაში განვავითარე და უმაღლეს დონემდე ავიყვანე. ასეთი მოქმედებით დროს გავუსწარი. სამწუხაროდ, სხვებმა ეს ვერ შეძლეს. მისი განვითარება ვერც მსოფლიო ფედერაციამ ვერ შეძლო...

1961 წელს აღმომაჩნდა ნაკლი. ეს ჩემს დახასიათებაშიც აღნიშნეს, — **„Он хороший парень, но не двигается, на ковре заштопорен на одном месте...“** ეტყობა ძალიან დაძაბული ვჭიდაობდი, ფეხის გადაადგილება მიჭირდა, ერთ ადგილას ბოძივით ვიყავი დარჭობილი...

ეს მოისმინა ერთმა მოჭიდავემ, იყო ასეთი — ბორის გურევიჩი, ბრწყინვალე ტექნიკის მფლობელი, ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მსოფლიო ჩემპიონი, 52 კგ წონით კატეგორიაში ასპარეზობდა. ერთად ხშირად ვვარჯიშობდით. იმ ხანად მე დიდი სპორტისათვის დამწყები მერქვა, მას უკვე წამსვლელი. ჩემი ნაკლის შესახებ რომ გაიგო, იმ დღესვე მითხრა, — რომჩიკ, მე გასწავლი ხალიჩაზე როგორ უნდა იცეკვოო... გამიკვირდა, მეგონა მართლა ცეკვის სწავლებას მთავაზობდა. ჯიუტად უარზე ვიყავი, არ მინდა, არ ვიცი ცეკვა-მეთქი... იცინა, ხელკავი გამიყარა და, ჰოპ, ჰოპ... წინ, უკან... მასთან ერთად ფეხის სწორად გადაადგილება დამაწყებინა. ამიხსნა, რომ ფეხი თავსა და ტანს დროულად უნდა მისდევდეს. შენ თუ წინ გხრიან და ფეხი ერთ ადგილზე უცვლელად გიდგას, წონასწორობას კარგავ და დაცემამდე ბევრი აღარაფერი გიკლია. ამიტომ, რომ არ წაიქცე, ფეხი ტანის და თავის მოძრაობის პარალელურად უნდა ამოძრაო. ფეხი რაც უფრო მეტს მოძრაობს, მით უკეთესი. მოწინააღმდეგე მარცხნივ გექაჩება? — გაყევი. მარჯვნივ წაგიყვანს? — მიდი, უარი არ თქვა. თუ გაუძალიანდი, მალე დაიღლები. ფეხი ლოკატორის როლს ასრულებს... ძალიან ბევრი ნიუანსია და, სამწუხაროდ, ამ თემაზე არავინ საუბრობს, ეს არავის გაუშიფრია. დღევანდელ ჭიდაობას რომ ვუყურებ, ყველა დაძაბულია.

1960-იანი წლები, დასვენების დროს განუყრელ რადიომიმღებთან

ჩემი ნაკლი სულ მახსოვდა და ვცდილობდი მისი გამოსწორება ოლიმპიადამდე მომესწრო. რაც ფეხის მოძრაობა ვისწავლე, ყველგან, ხალიჩაზე, მინდორში, ტყეში, ღრეში სულ „ვცეკვავდი“, სულ ამას ვაკეთებდი მეტოქის გარეშეც კი. არასდროს მითქვამს უარი მოწინააღმდეგის სურვილზე. მარცხნივ მექაჩებოდა, მივყვებოდი, თავისკენ მექაჩებოდა, მივდიოდი მისკენ... ყველა ამ მოძრაობას ფეხი თან დაჰყვებოდა. თუ ფანდებს კარგად ფლობ, მოწინააღმდეგეს უნდა მიჰყვე კიდეც, სიტუაცია უნდა შეიგრძნო და მოქმედება დაასწრო. ეს არ ისწავლება, ეს ორგანიზმის თანდაყოლილი თვისებაა. მოწინააღმდეგე რაღაცაზე გიწვევს, შენც პასუხობ და შენი ეს ქმედება შენივე გონების კარნახს ასწრებს. თუ პროფესიონალი ხარ, მოზარდში სწორედ ეს თვისება უნდა დაინახო, ეს ძაფი უნდა შენიშნო. წლობით კი არ უნდა აწვალო და მერე უთხრა, შენგან არაფერი გამოვაო...

რომან რურუა
და იური
გრიგორიევი

ტალინი (ესტონეთი)

— 1964 წელი ოლიმპიადის წელია. დავიწყეთ მზადება. მანამდე ტალინში საბჭოთა კავშირის პირველობაზე უნდა გვეასპარეზა, აქაც უნდა დაგვემტკიცებინა კიდევ ერთხელ, ვინ არის ოჯახში ყველაზე ძლიერი. ოლიმპიური საგზური საპუნოვს, გრიგორიევსა და ჩემს შორის უნდა განაწილებულიყო. ამ დროისათვის ჩვენ უკვე ჩამოვიტოვეთ სტაშკევიჩი, ვირუპაევი და კარავაევი. ჩვენი სახით ახალი თაობა გამოჩნდა, ძველები სათადარიგოში დარჩნენ. ტალინმა უნდა გადაწყვიტოს, ვინ წავა ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე.

ტალინში საბჭოთა კავშირის პირველობა გრიგორიევისა და ჩემი შეხვედრით დაიწყო. როგორც ყოველთვის, უაღრესად დაძაბული შეხვედრა შედგა. პირველი ქულა მან აიღო, მეორე — მე. ერთ მომენტში გრიგორიევმა რაღაც ფანდი წამოიწყო, მეც ვუპასუხე. მსაჯებმა შეხვედრა გააჩერეს, ერთმანეთს ეკითხებოდნენ, — რა გააკეთესო?.. ვერ აღიქვეს, რა მოხდა, დასკვნა ვერ გამოიტანეს, დიაგნოზი ვერ დასვეს. ჯერ მე მკითხეს, — რა გაკეთეო? — არ ვიცი-მეთქი. მერე — გრიგორიევს, — არ ვიცი, — იმანაც მხრები აიჩეჩა. საბედნიეროდ, ჭიდაობაში იშვიათად, მაგრამ ასეთი ამბებიც ხდება, როცა ქმედება აღქმას ასწრებს. ამას ინსტიქტი ჰქვია. რაკი ვერაფერი გაარკვიეს, 2:2 დაგვიწერეს. შეხვედრა განვაგრძეთ. სანამ შეგვაჩერებდნენ, გრიგორიევი ჩოქბჯენში იდგა, ამიტომ ისევ ჩოქბჯენში დააყენეს. ჩოქბჯენში ძალიან ძლიერი ვიყავი, გამოვიყენე ჩემი უპირატესობა და მოწინააღმდეგე ღირსეულად დავამარცხე.

ორჯერ უკვე საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ვიყავი, სპარტაკიადაც მოგებული მქონდა. ასე რომ, ტოკიოში ჩემს გამგზავრებას ხელს, თითქმის, აღარაფერი უშლიდა. თუმცა, საპუნოვი 1963 წლის მსოფლიო ჩემპიონი იყო. ამიტომ დიდი სიფრთხილე მმართებდა ჩემი უპირატესობის დასამტკიცებლად, მით უფრო, რომ საპუნოვის პირადი მწვრთნელი, სსრკ ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი ვიაჩესლავ კოჟარსკი იყო.

1964 წ. სსრკ ნაკრების წევრები ტოკიოს ოლიმპიური თამაშების წინ.
სხედან: გ. საღარაძე, ნ. ხოხაშვილი, ვ. ბალავაძე (მწვრთნელი), დ. გვანცელაძე, პ. იორდანიშვილი (მწვრთნელი), თ. ხითარიშვილი; **დგანან:** ო. ეგაძე, რ. რურუა, ა. კიკნაძე, ფ. ჩიკვილაძე, რ. მახალთაძე, ა. ქიბროწაშვილი, რ. აბაშიძე, ა. ცხოვრებოვი, შ. ლომიძე



ტოკიო (იაპონია)

— 1964 წელს იაპონია მე-18 ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ ემზადებოდა. ჩვენ კი მასში მონაწილეობის მისაღებად დასკვნითი ეტაპის გავლა ალუშტიდან ვლადივოსტოკში გავაგრძელეთ. ვლადივოსტოკი კლიმატური თვალსაზრისით შეარჩიეს, იაპონიასთან გეოგრაფიული სიახლოვის გამო. სპორტსმენებს იქაურ ჰავას აჩვევდნენ, მერე აკლიმატიზაციის პრობლემა რომ აღარ შექმნოდათ. ვლადივოსტოკში რამდენიმე საკონტროლო შეხვედრის გამართვა ბოლო ეტაპი გახლდათ. ჩემს წონაში ერთმანეთის კონკურენტები სამი მოჭიდავე ვიყავით: საპუნოვი, გრიგორიევი და მე. მოწინააღმდეგეები შეგვირჩიეს, იყო ერთი ასეთი — იური კოლოპოვი. ის ჯერ საპუნოვს შეახვედრეს. შეხვედრაზე იკვეთება: რუსი რუსს უთმობს, საპუნოვი მასთან ქულას ქულაზე იღებს, აშკარაა, კოლოპოვი მის წისქვილზე ასხამს წყალს. ეშმაკობს, თავს გადააგდებინებს — გადმოაგდებინებს, რომ ყველას დაანახოს, აი, საპუნოვი რა კარგად არის მომზადებული! ჩემთან ჭიდაობისას კი თავს იკლავს, ისე მექცევა, როგორც მტერს. ჩვენს წონაში ორი გამორჩეული მეტოქე გვყავდა, ერთი ეს კოლოპოვი და მეორე ვიტალი ტულუპოვი. ორივე ეჭიდავა საპუნოვს და ორივემ ბრწყინვალედ წააგო. ასეთივე ბრწყინვალე წინააღმდეგობა გაწიეს ჩემთან. გამწარებულმა კოლოპოვს დღე ვაყარე, მიმიქარავს საპუნოვი. ხალიჩა მიატოვა.

— რას შვრები, იურა?! — უყვირიან რუსები. ქართველები ცოტანი ვიყავით, კლასიკოსები, თავისუფალი მოჭიდავეები და ძიუდოისტები. მოუბრუნდა ჩემი მეტოქე საპუნოვის გულშემატკივრებს და შეუძახა:

— შეუძლებელია, მიდით და თქვენ თვითონ ეჭიდავეთ!..

ტულუპოვთანაც იგივე განმეორდა. ეს ჩემი უპირატესობის ისეთი აშკარა გამოხატულება გახლდათ, რომ თვით ვიაჩესლავ კოჟარსკიმაც კი, რომელიც საპუნოვის პირადი მწვრთნელი და ამავე დროს საბჭოთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი იყო, ოლიმპიურ თამაშებში 1963 წლის მსოფლიო ჩემპიონის საპუნოვის წაყვანა ვერ გაბედა და პირველ ნომრად მე, საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი დამასახელა.

ჩავედით ტოკიოში. მომზადებული კარგად ვიყავი, მაგრამ საერთაშორისო გამოცდილება მაინც მაკლდა. ფინალში მე, უნგრელი პოიაკი და იუგოსლავიელი მარტინოვიჩი გავედით. იმრე პოიაკი იმ დროისთვის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი მოჭიდავე გახლდათ, სამჯერ მსოფლიო ჩემპიონი, სამჯერ — ოლიმპიური ვერცხლის მფლობელი. ტოკიო მისთვის მეოთხე და უკანასკნელი შანსი იყო. 37 წლის სპორტსმენის კარიერა დასასრულს უახლოვდებოდა. ასევე სახელოვანი ფალავანი იყო იუგოსლავიელი მარტინოვიჩიც, მსოფლიო ჩემპიონატების მეორე და

Men's Featherweight, Greco-Roman Glossary / Event History / CSV / PRE

Games	Age	City	Team	Phase	Unit	Date	Result
1964 Summer	21	Tokyo	Soviet Union	Final Round	Match #1	1964-10-19	Rurua (URS) , Polyák (HUN) draw
1964 Summer	21	Tokyo	Soviet Union	Round Five	Match #2	1964-10-19	Rurua (URS) decision, Sakurama (JPN)
1964 Summer	21	Tokyo	Soviet Union	Round Four	Match #5	1964-10-19	Rurua (URS) decision, Mewis (BEL)
1964 Summer	21	Tokyo	Soviet Union	Round Three	Match #6	1964-10-18	Rurua (URS) decision, Skrydstrup (DEN)
1964 Summer	21	Tokyo	Soviet Union	Round Two	Match #12	1964-10-17	Rurua (URS) fall (4:26), Sille (TUR)
1964 Summer	21	Tokyo	Soviet Union	Round One	Match #7	1964-10-16	Rurua (URS) decision, Macioch (POL)

1964 წ. ტოკიო, იაპონელი მოჭიდავე საკურამა და რომან რურუა



1964 წ. ტოკიო, ფინალი, უნგრელი მოჭიდავე იმრე პოიაკი და რომან რურუა

1964 წ. ტოკიო, ფინალი, უნგრელი მოჭიდავე იმრე პოიაკი და რომან რურუა

მესამე ადგილების მფლობელი, ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი... და მათ ფონზე მე, 22 წლის მსოფლიო ასპარეზისათვის, პრაქტიკულად, დამწყები მოჭიდავე.

ფინალში პირველი შეხვედრა პოიაკსა და მარტინოვიჩს უნდა გაემართა. მაგრამ იუგოსლავიელმა მოჭიდავემ ექიმის ცნობა წარადგინა, ვითომ შეუძლოდ იყო და ხალიჩაზე ერთმანეთის პირისპირ მე და უნგრელი მოჭიდავე აღმოვჩნდით. რაც იმას ნიშნავდა, რომ პოიაკს გაეხსნა პირდაპირი გზა ჩემპიონობისაკენ, თუ, რა თქმა უნდა, ჩემთან შეხვედრას ფრედ დაამთავრებდა. ამ ბოლო შეხვედრამდე პოიაკს ექვსი შეხვედრა ჰქონდა ჩატარებული, მე — ხუთი. არადა, მარტინოვიჩს რომ ეჭიდავა, ფინალი სულ სხვაგვარად წარიმართებოდა. პირველად ერთმანეთს პოიაკი და მარტინოვიჩი შეხვდებოდნენ, ხოლო შემდეგ პირველი ადგილის ბედი ჩემთან შეხვედრაში გადაწყდებოდა, სადაც ჩემპიონობის მეტი შანსი და ვარიანტები მეძლეოდა.

ვფიქრობ, მარტინოვიჩი პოიაკის სასარგებლოდ შეხვედრას შეგნებულად გამოთიშეს. მაშინ ასეთი წესი იყო: თანაბარი ქულების შემთხვევაში გამარჯვებულად ცხადდებოდა ის, ვისაც მეტი შეხვედრა ჰქონდა გამართული. ფინალში ერთმანეთში გათამაშებული ქულები წყვეტდა ყველაფერს. ამიტომ პოიაკის ერთადერთ მიზანს, როგორმე თავის დაცვა და შეხვედრის ფრედ დამთავრება წარმოადგენდა.

ჭიდაობის დაწყებისთანავე მოწინააღმდეგეს ხელი მოვკიდე თუ არა, ვიგრძენი, ხელი მისრიალებდა. მსაჯებს ვანიშნე, — ხელი მისრიალებსმეთქი. შეხვედრა შეაჩერეს. პოიაკი შეამოწმეს, — გაწმინდეთო... — ბრძანეს და ისევ ხალიჩაზე დააბრუნეს. მაგრამ გაწმენდა რას უშველიდა?!. პოიაკს ხალიჩაზე საპნით ხომ არ დაბანდნენ?!. გაუსვ-გამოუსვეს პირსახოცი და ამით დამთავრდა მისი გაწმენდა. გაფრთხილების მიცემა არ შეიძლებოდა, რადგან დასტურდებოდა, რომ გაქონილი იყო და მაშინ შეხვედრიდან უნდა მოეხსნათ.



ეს, აქამდე უცნობი ფოტო ინტერნეტში ერთ-ერთ უცხოურ ვებ-გვერდზე 2011 წელს გამოჩნდა. ეს შეხვედრა მსაჯების გადაწყვეტილებით ფრედ 0:0 დამთავრდა, რამაც გამარჯვება პოიაკს მოუტანა. საინტერესოა, როგორ დამთავრდა 0:0, როდესაც ამ ფოტოზე აშკარად ჩანს, რომ ეს თუნდაც ერთი ქულაა და სხვა გზა პოიაკს აღარ აქვს?!.



1964 წ. ტოკიო, I ადგილი პოიაკი,
II - რომან რურუა, III - მარტინოვიჩი

ასე იყო თუ ისე, ჭიდაობა განვაგრძეთ. პოიაკი ხალიჩიდან გამირბოდა, თავს იცავდა. რამდენიმე ქულის გაკეთება მაინც მოვახერხე, მაგრამ არ ჩამითვალეს. ერთ მომენტში „აბრატნიზე“ ავწიე, ჰაერში მყავდა, უნდა დამეხეთქებინა და სასტვენის ხმაც გაისმა, — წითელ ხაზზე ფეხი დაადგიო. არ ვიცი, მართლა ასე იყო თუ არა, მე ის ვიცი, რომ მოწინააღმდეგე ის-ის იყო ბეჭზე უნდა დამეხეთქებინა, რომ ხელიდან გამაგდებინეს. მოგვერდი გავაკეთე, ხიდზე შევაყენე, არ ჩამითვალეს, — მაისურზე მოქაჩეო... არადა, მაისურის მოქაჩვით ხიდზე როგორ დადგებოდა?!.

მსაჯების მხრიდან ასეთი წნეხის მიუხედავად 4:0 მოვუგე, თუმცა, არც ერთი ქულა არ ჩამითვალეს. ეს შეხვედრა ფრედ 0:0 აღნიშნეს, ფრე კი ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში პოიაკის გამარჯვებას ნიშნავდა.

მოგვიანებით, ლოზანაში ეს შეხვედრა ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ განიხილა. ჩვენი შეჯიბრი იუგოსლავიელ მწვრთნელს ლუბომირ ივანოვიჩს ფირზე გადაულია. ამ განხილვას საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი კატულინიც ესწრებოდა. განხილვის შემდეგ ჩემთვის გამარჯვება 3:0 მოუკუთვნებიათ, ისიც უთქვამთ, ასეთი რამ არ უნდა დაგვმართნოდაო... მაგრამ ეს უკვე არაღაფერს ცვლიდა.

იუგოსლავიელი
მწვრთნელი
ლუბომირ
ივანოვიჩი

პოიაკთან შეხვედრის დამთავრების შემდეგ საოცარი განცდა დამეუფლა. ხელი ორივეს აგვიწიეს. ფრე გამოაცხადეს. ხალიჩაზე გავიყინე. მე ხომ ვიცი, რომ ფრე პოიაკის გამარჯვებას ნიშნავდა. ადგილიდან არ ვიძროდი, ვიდექი და ვგრძნობდი, რომ საერთოდ არ ვიყავი დაღლილი, რომ კიდევ უამრავი ძალა და ენერგია მქონდა. ამან ჩემს თავზე ძალიან გამაბრაზა, — ვის დაუტოვე ეს ენერგია, რა შავ ქვად გინდა? რატომ დგახარ ასე თავისუფლად? რატომ არ სუნთქავ მძიმედ, შეზღუდულად, გული რატომ არ გიწუხს?! იდექი ახლა ხალიჩაზე დოინჯშემოყრილი, ის კი გადის გამარჯვებული... და ასე თვითგვემაში ვიყავი, რომ დამებადა კითხვა, — ეს არის მსოფლიო? იმის იქით აღარაფერია? მაშინ ვთქვი: — დედას გიტირებ, მსოფლიო!... მაშინ მივხვდი, რომ გამარჯვებისთვის ბოლომდე უნდა დაიხარჯო, ყველაფერი უნდა გაიღო, არაფერი არ უნდა დაიტოვო... თავისუფლად შემიძლია ვთქვა, რომ ამ შეხვედრის შემდეგ გავხდი ნამდვილი მოჭიდავე.

ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში მეორე ადგილზე ისე გავედი, შეხვედრა არ წამიგია. სხვათა შორის, მეორე დღეს პოიაკი ოლიმპიურ სოფელში მოვიდა. ჩვენს უფროს მწვრთნელთან და ჩემთან შეხვედრა ითხოვა. კონიაკი მოიტანა, დაგვლოცა და ბოდიში მომიხადა, მე წარმავალი ვარ, შენ — მომავალი, ჩემპიონი აუცილებლად გახდებიო. ძალიან ვაჟკაცურად მოიქცა და მას შემდეგ მის მიმართ უაღრესად დიდი პატივისცემით ვარ განმსჭვალული.

უნგრეთში რამდენჯერმე ვიყავი და უნგრელმა ჟურნალისტებმა (ეტყობა, იცოდნენ, რაც მოხდა) არა ერთხელ მთხოვეს ამ შეხვედრის კომენტარი. არასდროს არაფერი მითქვამს, ძლიერმა გაიმარჯვა-მეთქი, მხოლოდ ამას ვამბობდი. არც საქართველოში და არც სხვაგან არ მილაპარაკია ტოკიოში მომხდარის შესახებ. ახლა პირველად ვამბობ, თუმცა შეიძლება არც ვიყო სწორი, მაგრამ ვამბობ იმიტომ, რომ ისტორიას სიმართლე უნდა შემორჩეს.

1968 წ. მეხიკო, იმრე პოიაკი და რომან რურუა

პოიაკი მართლა იყო გამარჯვების ღირსი. ოლიმპიადა ოთხჯერ იჭიდავა. ასეთები მხოლოდ იმრე პოიაკი და დღეისათვის ალექსანდრე კარელინია. პოიაკი ოლიმპიურ თამაშებში სამჯერ მეორე ადგილზე გავიდა, — ჰელსინკში, მელბურნსა და რომში. ტოკიო მეოთხე იყო. მსაჯებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ ის ჩემპიონი გამხდარიყო. მართალია, იმ წუთებში გული ძალიან დამწყდა, მაგრამ მერე გავიაზრე, ამ კაცმა ამდენი იჭიდავა, ასეთი ტიტულოვანი იყო, კარგი რა, გახდეს ჩემპიონი!.. ამ ქვეყანაზე ყველაფერი შენი ხომ არ არის, ცოტა სხვასაც ერგოს?!

რამდენიმე წლის წინ უნგრეთში ვიყავი. პოიაკმა შინ მიმიპატიჟა და მედლები დამათვალიერებინა. „ჩემს“ მედალს იქ საპატიო ადგილი ეკავა...

ალალი იყოს მისთვის ეს მედალი.

„ადამიანი, რომელმაც დროს გაუსწრო“

— ჟურნალ „დროშაში“ ცნობილმა პროფესორმა ივანე ალიხანოვმა ჩემს შესახებ დაწერა ვრცელი სტატია სათაურით „ადამიანი, რომელმაც დროს გაუსწრო“. ის გულისხმობდა იმ ცვლილებებს, რომელიც კლასიკურ ჭიდაობაში 60-იან წლებში ჩემს მიერ იქნა დანერგილი. ეს გახლავთ ყოველდღიური ორჯერადი ვარჯიში, ჭიდაობის ტექნიკასა, ტექნოლოგიასა და ტაქტიკაში ცვლილებების შემოტანა, ასევე რამდენიმე ახალი ფანდი, რომელსაც დღემდე აქტიურად იყენებენ, თუმცა, ავტორის ვინაობა შესაძლოა, ბევრმა არ იცის. ამ ცვლილებების წყალობით ყოველთვის ყველაზე მეტ ქულას ვაკეთებდი. პირველმა მე დავიწყე მთავარი მოწინააღმდეგეების ჩანაწერებით შესწავლა და აღწერა. მაშინაც და შემდგომშიც ეს ბევრმა სპორტსმენმა გამოიყენა.

იმ პერიოდში ჩემს საჭიდაო ხელოვნებაში დაიბადა ბევრი ახალი ფანდი. ერთ-ერთი, რომელსაც „Бычок“-ი (მოზვერი) დაარქვეს (ე.ი. მოღერებული ხარ და მოწინააღმდეგე გვერდიდან კისრით დარტყმით გადაგყავს ჩოქბჯენში), საკმაოდ პოპულარული გახდა. უტყუარი ფანდია. პირადად მე ყველა ჩემს მოწინააღმდეგეს ვუკეთებდი. ერთხელაც ჩემი ეს ფანდი გაზეთ „Советский Спорт“-ში ცნობილი მოჭიდავის, მსოფლიოს მრავალგზის და ოლიმპიური ჩემპიონის ვალერი რიაზანცევის საავტორო ფანდად მოიხსენიეს. სტატიის ავტორს, ცნობილ ჟურნალისტს იან დიმოვს კიევში დავურეკე და ვთხოვე შეცდომა გაესწორებინა, — ჰკითხეთ თვით რიაზანცევს, იგუმენოვს, საპუნოვს ან მწვრთნელებს, ვინ არის ამ ფანდის ავტორი-მეთქი. კორესპონდენტმა ინფორმაცია გადაამოწმა, მე ბოდიში მომიხადა, მომდევნო ნომერში კი შესწორება გამოაქვეყნა.

ჭიდაობაში დღეში ორჯერადი ვარჯიში ჩემი შემოღებული და დანერგილია. გივი კარტოზიამ სპორტის ამ სახეობაში ყოველდღიური ვარჯიში დანერგა და დროს ამით გაუსწრო. მე კი დღეში ორჯერადი ვარჯიში დავამკვიდრე და ამით გავუსწარი დროს. სპეციალისტები ორჯერადი ვარჯიშის შედეგებს რომ დააკვირდნენ, მიხვდნენ, რომ სპორტსმენის წარმატებისთვის ეს აუცილებელია. სხვა დანარჩენზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

პოპულარობის ხვედრი

რომან რურუას პოპულარობა წლების ათვლის პარალელურად მატულობს და არა მარტო თბილისში. იგი პოპულარულია როგორც საბჭოთა, ისე მსოფლიო სპორტულ სივრცეში. ის, რომ ცნობადი სახეა, ამას თავადაც გრძნობს. თუმცა, ეს მის ხასიათში ბევრს არაფერს ცვლის. პოპულარობა, თითქოს, ერთგვარ უხერხულობასაც კი უქმნის, ხშირად კითხვაზე, — ვინ ბრძანდებითო, საკუთარი ვინაობის გამხელა მორიდებია. ბუნებით თავმდაბალი ადამიანია, ამიტომ ქედმაღლობას ვერ ისისხლხორცებს. წარმატებები და ტიტულები მისთვის ხონჩით არავის მიურთმევია. თითოეული გამარჯვება, ისევე როგორც პოპულარობა, უზარმაზარი შრომის ნაყოფია და სხვა არაფერი.

წარმატებას ნელ-ნელა ეკონომიკური სტაბილურობაც მოჰყვება. 1963 წელს ხალხთა მესამე სპარტაკიადაზე გამარჯვების შემდეგ თბილისში ბინას აძლევენ. იმ ხანად საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის თავმჯდომარე ირაკლი სარაჯიშვილი გახლდათ. ფედერაციის არსებობის ისტორიაში, ალბათ, ყველა დროის საუკეთესო ხელმძღვანელი, რომელიც უანგაროდ ემსახურებოდა ქართულ სპორტს. მას საკმაოდ სერიოზული ავტორიტეტი ჰქონდა მაშინდელ მთავრობაში. მოჭიდავეებს სხვადასხვა პრობლემების მოგვარებაში ეხმარებოდა, რეკომენდაციებს უწევდა, არა ერთს გაუმართა ხელი და მათ შორის რომან რურუასაც. ირაკლი სარაჯიშვილმა ახალგაზრდა, პერსპექტიული და უკვე წარმატებული მოჭიდავისთვის ბინის გამოყოფა თბილისის მაშინდელი პირველი მაისის რაიონის რაიკომის მდივანს ედუარდ შევარდნაძეს სთხოვა. შევარდნაძემ რურუა თავისთან დაიბარა, განცხადება დააწერინა და აღმასკომის თავმჯდომარეს — ხიტურიძეს მეორე დღესვე ვაჟა-ფშაველაზე ოროთახიანი ბინის გადაცემა დაავალა.

1965 წ. ფინეთი,
ავტოგრაფი ფინელი
გულშემატკივრებისთვის

პოპულარობას საზოგადოების ინტერესი სდევს თან, ინტერესს კი — ჭორები, ხშირ შემთხვევაში აბსოლუტურად უსაფუძვლო. 60-70-იან წლებში რომან რურუას მიმართ

საზოგადოების ინტერესი და მისი პირადი ცხოვრების შესახებ ცნობისმოყვარეობა იმდენად დიდი იყო, რომ თბილისში არა ერთი მითიური ჭორი გავრცელდა.

ერთ-ერთი ასეთი ჭორის პერსონაჟად ცნობილ მოჭიდავესთან ერთად ლეგენდარული საბჭოთა მზვერავი აბელიც გახადეს. მთელი თბილისი ლაპარაკობდა, — სასტუმრო „ივერიის“ რესტორანში მათ შორის კონფლიქტი მომხდარაო. რომან რურუას აბელის ცოლი საცეკვაოდ გამოუწვევია, არაეთიკურად მოქცევია, ჰოდა, აბელს მეუღლის შეურაცხმყოფელი გაულახავსო...

ამ ჭორმა ისეთი მასშტაბები მიიღო, იმდენად გავრცელდა, თავად რომან რურუასაც კი უყვებოდნენ. ერთხელ წყნეთში ყოფილა სტუმრად და თანამესუფრე მილიციის პოლკოვნიკს უთქვამს, — იმ ჩხუბის დროს მეც იქ ვიყავი, შენი ბრალი იყო, მაგრამ მთვრალი იყავი და გეპატიებაო... საქმე ისეთ აბსურდამდე მივიდა, რომ პირზე ადგებოდნენ, ჩემი თვალით გნახეო... რა თქმა უნდა, ჭორებს აყოლილმა მილიციის პოლკოვნიკმა საკადრისი პასუხი მიიღო, მაგრამ იმის გასარკვევად თუ რა გახდა ამ მოარული ხმების საბაბი, რომან რურუამ ძნელაძის ქუჩაზე კალინინის რაიონის მილიციის რაიონულ განყოფილებას მიმართა. უბნის რწმუნებულმა, მიხეილ ურიდიამ დაუდასტურა, რომ ჩხუბი სასტუმრო „ივერიის“ რესტორანში მართლა მომხდარა და როცა დებოშის ამტეხი ახალგაზრდა კაცი შეუპყრიათ, განწირული ხმით გაიძახოდა თურმე, გამიშვით რურუა ვარო... როგორც ჩანს, აქედან აიტაცეს ჭორის მოყვარულებმა ეს ამბავი, თუმცა უცნაურია, აბელი რატომღა გარიეს. მაგრამ იმ ხანად ორივე — რომან რურუაცა და აბელიც იმდენად პოპულარულები იყვნენ, რომ ოღონდ მათზე ელაპარაკათ, სიმართლესა და მოგონილს შორის ზღვარის გავლებაზე ვიღა ფიქრობდა.

იყო ასეთი შემთხვევაც, რომ რუსეთიდან საქართველოში სტუმრად ჩამოსული უგზო-უკვლოდ გამქრალი ორი ქალბატონის სახელიც კი დაუკავშირეს რომან რურუას. ამ ამბის გამო იგი რესპუბლიკურ პროკურატურაშიც კი დაიბარეს. არადა, ზუსტად იმ დღეებში, როცა ეს ქალბატონები საქართველოს სტუმრობდნენ, თავად რომან რურუა რუსეთში გახლდათ.

ცოლის მოყვანაც კი სცადა ვიღაცამ მისი სახელით. სასიძო მომავალ ცოლეულებს ცნობილი მოჭიდავის სახელით გაეცნო. ქობულეთიდან თბილისში მამიდასთან ორი აბიტურიენტი გოგონა ჩამოსულა. ერთ-ერთს აქ ახალგაზრდა კაცი გაუცვნია, რომელიც ამ გოგონასაც და მის ახლობლებსაც არწმუნებდა რომანი ვარ, რურუაო. ქალი დაუნიშნავს, ოჯახი ქორწილისთვის ემზადებოდა უკვე. ვინ იცის, ეს ამბავი იქნებ, მართლაც, ქორწილით დამთავრებულიყო, შემთხვევით ერთ მოჭიდავეს თავად რომან რურუასთვის რომ არ ეთქვა, გავიგე, ცოლის მოყვანას აპირებო. ეს მოჭიდავე ამ გოგონას ოჯახის ახლობელი აღმოჩნდა. რა თქმა უნდა, ნამდვილი რომან რურუა ოჯახს გაეცნო და ქობულეთელი გოგონაც თაღლით საქმროს გადაურჩა.

ჯიბის ქურდი რომ ჯიბის ქურდია, ისიც კი იბრალებდა რურუობას. ვინ იცის, რამდენი ასეთი ჭორი გავრცელებულა, მაგრამ ეს პოპულარული ადამიანების ხვედრია და ვერავინ შეძლებს ამისგან თავის დაღწევას. რაც უფრო დიდია პოპულარობა, ჭორებიც მით უფრო მასშტაბურია.


ჩამოვიდა
რურუა?
ესე იგი
პირველ
ადგილზე
ფიქრი სხვას
არავის შეუძლია!

●

სპორტულ კარიერაში გავლილი ეტაპი, რომელიც ტოკიოს ოლიმპიური თამაშებით დაგვირგვინდა, მხოლოდ პირველი ნაბიჯები იყო ზენიტისკენ მიმავალ გზაზე. 1964 წლიდან ყველაფერი ხელახლა იწყებოდა, ისევ საბჭოთა კავშირის პირველობა, მსოფლიო პირველობა, სხვადასხვა ტურნირი, სპარტაკიადა და კვლავ ოლიმპიადა. საკუთარ თავსაც და მაყურებელსაც უნდა დაუმტკიცოს, რომ ის შემთხვევითი ჩემპიონი არ არის, რომ მთავარი გამარჯვებები ჯერ კიდევ წინ არის, რომ მალე მოვა დრო, როცა იტყვიან: ჩამოვიდა რურუა, ე.ი. პირველ ადგილზე ფიქრი სხვას არავის შეუძლია!

●

1965 წელს იგი კვლავ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ხდება, მაგრამ ქვეყნის შიგნით პირველობის მიუხედავად ფინეთში მსოფლიო პირველობაზე მისი მოწინააღმდეგე იური გრიგორიევი მიჰყავთ. ამასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის ჭიდაობის სამმართველოს უფროსს — არკადი ლენცსა და უფროს მწვრთნელს — ვიაჩესლავ კოჟარსკის შორის კონფლიქტიც კი წარმოიშვა. მწვრთნელებს ასეთი არგუმენტი გააჩნდათ: ვინაიდან ერთ წონით კატეგორიაში ამდენმა ძლიერმა მოჭიდავემ მოიყარა თავი, ვინმე ტიტულის გარეშე რომ არ დარჩეს, მნიშვნელოვანი შეჯიბრებები უნდა გადავანაწილოთო. შესაძლებლობის ფარგლებში რაღაც ყველას უნდა რგებოდა. საპუნოვს უკვე ჰქონდა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული, რურუას ორჯერ საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა ხვდა წილად, თანაც ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში მიიღო მონაწილეობა. მათი აზრით, ახლა გრიგორიევის ჯერი იყო. მითუმეტეს, რომ გრიგორიევმა ამ შეჯიბრებისთვის 21 კგ დაიკლო. კოჟარსკი თვლიდა, ასეთ ფორმაში გრიგორიევი აღარასდროს იქნებოდა და მისი სპორტული კარიერის დასრულება მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის გარეშე უსამართლობა იქნებოდა. გუნდის წარმატებებისა და ოქროს მედლების მიუხედავად კოჟარსკი სამსახურიდან მაინც გაათავისუფლეს. დღეს რომან რურუა მიიჩნევს, რომ კოჟარსკის მაშინდელი გადაწყვეტილება სწორი იყო.

ფინეთის ქალაქ ტამპერეში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე წასასვლელად საბჭოთა კავშირის ნაკრების მეორე ნომერი იური გრიგორიევი დასახელდა. თუმცა, რომან რურუას მიმართ ეს იმდენად დიდი უსამართლობა იყო, რომ იგი თადარიგში მაინც მიჰყავთ. ამას თავად იური გრიგორიევიც გრძნობს და რომან რურუას ჰპირდება, რაც უნდა მოხდეს, მომავალ წელს იგი უარს იტყვის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობაზე და სიტყვას აძლევს, — ყველაფერს გავაკეთებ, რომ შენ წახვიდეო. კონკურენტებს შორის ასეთი დამოკიდებულება ჭიდაობის ისტორიას არ ახსოვს. ისინი, როგორც წესი, ერთმანეთს „მტრებად“ მიიჩნევენ.

რურუა ყველანაირად ცდილობდა გრიგორიევის დახმარებას. მაშინ შეხვედრების ვიდეოზე გადაღება ჯერ შემოსული არ იყო. ამიტომ მოწინააღმდეგეებს იგი საკუთარი ჩანაწერების მეშვეობით სწავლობდა. თითოეულ მოჭიდავეზე ჰქონდა ინფორმაცია, ფიზიკურად ვინ ძლიერი იყო, ვინ — სუსტი, რა ფანდებს ფლობდა, როგორი დგომი ან სუნთქვა ჰქონდა. იმ პერიოდში მსგავსი ჩანაწერები საბჭოთა კავშირის ნაკრებში არავის გააჩნდა. ეს პრაქტიკა მოჭიდავეებში მოგვიანებით დაინერგა. რომან რურუა თავისი ჩანაწერების მიხედვით გრიგორიევს რჩევებსა და რეკომენდაციებს გულწრფელად და უხვად აძლევდა.

1965 წელს იური გრიგორიევი მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

რომან რურუას ასეთი რაინდული დამოკიდებულება მისი უახლოესი მოწინააღმდეგეების მიმართ, ნაკრებში მის ავტორიტეტს აძლიერებს. მისი მოქმედება მისაბაძი ხდება თითოეული სპორტსმენისათვის. გუნდის წევრები ერთმანეთს პატივს სცემენ და ანგარიშს უწევენ. თავის მხრივ თავისი სიტყვის ერთგული რჩება იური გრიგორიევიც. მართალია, რურუას მისი დახმარება არ დასჭირვებია, მაგრამ ის ყველაფერს აკეთებს, რომ მოწინააღმდეგესა და მეგობარს ტოლიდოს 1966 წლის მსოფლიო პირველობისკენ მიმავალი გზა გაუხსნას.

საკადრისი პასუხი

რომან რურუა: – 1965 წელს მოსკოვში საბჭოთა კავშირის პროფკავშირების სპარტაკიადა გაიმართა. საშუალოზე ოდნავ მაღალი დონის შეჯიბრი იყო. ასეთ შეჯიბრებებზე იშვიათად გამოდიოდი. მე იგი ოლიმპიური თამაშების, მსოფლიო და საბჭოთა კავშირის პირველობის ფონზე არ მიმაჩნდა მნიშვნელოვნად, თორემ ისე რესპუბლიკებისთვის საკმაოდ ანგარიშგასაწევი შეჯიბრი გახლდათ. მასში მონაწილეობას, რა თქმა უნდა, საბჭოთა საქართველოს რესპუბლიკის თხოვნით დავთანხმდი.

ფინალის წინა შეხვედრაზე ერთ-ერთი რესპუბლიკის მოჭიდავესთან ორთაბრძოლის დროს მე-7 და მე-8 ნეკნი გავიტეხე. არადა, შეხვედრის დამთავრებამდე ხუთი წუთიღა იყო დარჩენილი და, თანაც, ვიგებდი. შეხვედრის გაგრძელება, თითქმის შეუძლებელი გახლდათ. ერთის მხრივ აუტანელი ტკივილი მაწუხებდა, მეორეს მხრივ ხალიჩაზე დაბრუნება სიკვდილთან თამაშს ნიშნავდა, რადგან გატეხილი ნეკნები ღვიძლთან ძალიან ახლოს იყო და ოდნავ არასწორ რხევასაც კი შესაძლოა, სავალალო შედეგი მოჰყოლოდა. ექიმებმა შეხვედრიდან მომხსნეს. ეს რომ ჩემი მოწინააღმდეგის მომხრეებმა გაიგეს, ეცნენ ამ ბიჭს, ხელში აიტაცეს, გამარჯვება მიულოცეს და დარბაზიდან ასე ხელში აყვანილი ბურთაობით გაიყვანეს.

ამ აჟიოტაჟმა ჩემზე ძალიან ცუდად იმოქმედა. მსგავსი რამ არასდროს განმიცდია. არ ვიცი, გაბრაზება მომერია, შეურაცხყოფილად ვიგრძენი თავი თუ ღირსებაშელახულად, ფაქტია, გადაწყვეტილება მივიღე ხალიჩაზე დაბრუნებულიყავი. ექიმების დასკვნა ჩემს ჯანმრთელობასთან დაკავშირებით გავაპროტესტე:

– რატომ მომხსენით? ჭიდაობას ვაგრძელებ!

ხალიჩიდან ფეხი აღარ მოვიცვალე. მსაჯებმა ნახევარი საათი ითათბირეს, გადაწყვეტილება შეცვალეს და მოწინააღმდეგე ხალიჩაზე დააბრუნეს. ასეთი რამ ჭიდაობის ისტორიაში არ მომხდარა, რომ გამარჯვებაგამოცხადებული შეხვედრა გაეგრძელებინოთ. ექიმებმა პასუხისმგებლობა ჩემს ჯანმრთელობასთან დაკავშირებით წერილობით მოიხსნეს და კიდევ ერთხელ განმიმარტეს, რომ ჩემთვის ჭიდაობის გაგრძელება სიკვდილთან თამაშის ტოლფასი იყო. გატეხილი ნეკნი ღვიძლს რომ შეერჭოს, სავალალო შედეგი მოჰყვებაო. მაგრამ იმ წუთში ტრავმაზე და, მითუმეტეს, სიკვდილზე ნამდვილად არ ვფიქრობდი. მაშინ მხოლოდ ჩემი მდგომარეობით გახარებული ადამიანებისთვის საკადრისი პასუხის გაცემის სურვილი მამოძრავებდა.

შეხვედრა განვაგრძეთ. ვიცი, მთელი ძალით და ენერგიით უნდა ვიჭიდავო. პასიურობას არავინ მაპატიებს. ფანდს თუ არ გავაკეთებ თავი მაინც ხომ უნდა დავიცვა?!. არადა, ტკივილი თავისას შვება... ვიღაც მაყურებელმა ტრიბუნიდან მიკარნახა: – **Роман! Вздохни глубоко и держи дыхание пока хватит терпение...** მართლაც, ღრმად ჩავისუნთქე, მუცელი გავბერე, მარჯვენა ხელით ნეკნი დავიცავი და მარცხენა ხელით ბოლომდე სუნთქვაშეკრულმა ისე ვიჭიდავე, ქულა არ წამიგია და არც გაფრთხილება მიმიღია. შეხვედრა მოვიგე. გავხედე ჩემი მეტოქის მომხრეებს და გავიფიქრე:

– ახლა, მიდით და მიულოცეთ რამდენიც გინდათ...

როცა მე ნეკნების გატეხვის გამო ექიმებმა შეხვედრიდან მომხსნეს, მოწინააღმდეგე ჩემთან რომ მოსულიყო, ბოდიში მოეხადა, ოდნავი სინანული მაინც გამოეხატა, გავიდოდი ხალიჩიდან და შეხვედრას დავთმობდი, მაგრამ რაკი ის და მისიანებიც ჩემმა დამტვრევამ ასე გაახარა, არ ვაპატიე და ზეიმი გლოვად ვუქციე. ამ შეხვედრის შემდეგ სასწრაფო გამოიძახეს და საავადმყოფოში წამიყვანეს. ღამის 12 საათია. პალატაში ვწევარ. ვფიქრობ, ერთი შეხვედრაღა დამრჩა, ჩემპიონობისთვის ფრეც მაწყობს. რა უნდა შეხვედრის ფრედ დამთავრებას?!. ტკივილს გავუძლებ და ჩემპიონიც გავხდები...

გადავწყვიტე, საავადმყოფოდან გამოვპარულიყავი. შვეიცარს ფული მივეცი, ტანსაცმელი მოვაპარინე, ტაქსი გამოვაძახებინე და სასტუმროში წავედი. მაგრამ მეორე დღეს, ჩემი სურვილის მიუხედავად, წყვილში არ ჩამსვეს, მოწინააღმდეგესთან არ დამაწყვილეს და შეჯიბრს გამთიშეს.

ჩემი მხრიდან ეს უზარმაზარი რისკი და თავგანწირვა გახლდათ.



თითქოს
წაგებულია მომენტი, მაგრამ
ქვემოთ ფოტოზე იხილეთ გაგრძელება.

მოწინააღმდეგე მსოფლიო ჩემპიონი ჩეხი
მოჭიდავე ირჟი შვეცი ბეჭებზეა!

„თუ რომელიმე
თქვენგანს მოუნდება
იმის თქმა,
რომ რომან რურუა
ორგზის ოლიმპიური
ჩემპიონია, თამამად
თქვით ეს.
თქვენ არ შეცდებით,
ეს სიმართლეა.“

იან დიმოვი

















„რომან რურუამ ჭიდაობის ხელოვნება ახალ სიმაღლეზე აიყვნა, ამ სიმაღლიდან იდეალამდე კი მხოლოდ ერთი ნაბიჯია. რურუა მსოფლიოში ყველა დროისა და ეპოქის საუკეთესო მოჭიდავეთა რიცხვში უნდა მოვიხსენიოთ.“

„ქართული სპორტის ფოტოისტორია“
2008 წ.



ტოლიდო (აშშ)
1966 წელი – მსოფლიო პირველობა

– ტოლიდოში ფინალის წინა შეხვედრა ირანელ მოჭიდავესთან უნდა გამემართა. მახსოვს, ვახტანგ ბალავაძე გამომიგზავნეს, ირანელი შენთან ჭიდაობაზე უარს ამბობსო. ეს მოწინააღმდეგის უფლებაა, არ უნდა და არ გამოვა. გამოგვაცხადეს თუ არა, ხალიჩაზე ჩემზე ადრე ის დადგა. ეტყობა, მისი მხრიდან ეს ტაქტიკური ნაბიჯი იყო, რომ მე არ მოვმზადებულიყავი და გასვლის წინ საბრძოლო განწყობა არ მქონოდა.

დავიწყეთ ჭიდაობა და მთელი ენერგიით შემიტია. ერთ მომენტში ხალიჩის მიღმა უკნიდან მომეპარა, ვითომ ხალიჩაზე ეგონა თავი. ხელები მომხვია და იატაკზე თავით დამასო. მისი მხრიდან ეს დიდი უხეშობა იყო. ზოგჯერ განწყობისთვის გაბრაზება მაკლდა და იმ წუთში ზუსტად ეს მჭირდებოდა. ჭიდაობა ამის მერე დავიწყე და შეხვედრა დიდი უპირატესობით მოვიგე, დავამტვრიე კიდეც. მსაჯებმა მომცეს საშუალება, მეკეთებინა, რაც მინდოდა. ამის შემდეგ ის ხალიჩაზე არასდროს მინახავს.

ფინალში სანამ გავიდოდი, თავს ნერვიულობა და დაძაბულობა შევნიშნე.

1966 წ. ტოლიდო

1966 წ. ტოლიდო

1966 წ. ტოლიდო,
რ. რურუა, ვ. ტროსტიანსკი, ს. რიბალკო,
გ. საპუნოვი, ვ. იგუმენოვი,
ვ. ანისიმოვი, ა. კოლესოვი (მწვრთნელი),
ა. შმაკოვი, ვ. ოლეინიკი



ვახტანგ ბალავაძე და რომან რურუა

უფროსი მწვრთნელი ვიაჩესლავ კოჟარსკი,
რომან რურუა და მისი მუდმივი თანამგზავრი
მწვრთნელი ალექსანდრე სენატოროვი



დარბაზში ადგილი ვერ ვიპოვე და ტრიბუნაზე ერთ-ერთი მწვრთნელის გვერდით დავჯექი. ალექსანდრე სენატოროვი ძალიან გამოცდილი და სერიოზული მწვრთნელი იყო, თავის დროზე სანდრო კანდელაკ-თანაც უჭიდავია. როგორც ჩანს, ნერვიულობა შე-მატყო და კისერზე მასაჟის გაკეთება დამიწყო. რა-მდენიმე წუთით, მაგრამ საკმაოდ ღრმად ჩამძინებია მის მკერდზე მიყუდებულს. რომ გამოვიღვიძე, სადა ვარ-მეთქი, ვკითხულობდი. ამ ჩაძინებამ ნერვიულო-ბისგან გამათავისუფლა და დაძაბულობა მომიხსნა. იმ დღიდან სენატოროვი ჩემი საჭიდაო კარიერის მუდმივი თანამგზავრი გახდა, ყველა შეჯიბრზე თან მახლდა, შეხვედრის წინ ჩემთან ახლოს მოსვლას და გასაუბრებას მის მეტი ვერავინ ბედავდა.

ტოლიდოს მსოფლიო ჩემპიონატზე ფინალში შვედ მოჭიდავეს — მსოფლიო ჩემპიონის გუსტავ ფრეის შვილს შევხვდი. სუფთა რომ მომეგო, ირა-ნელი — II, ხოლო შვედი III ადგილზე გადიოდა. ჩემს ხელში იყო მათთვის ადგილების განაწილება. შვედი მოჭიდავე ნაკლები ქულებით დავამარცხე და ამით საშუალება მივეცი, მეორე ადგილის მფლობე-ლი გამხდარიყო.

ჩემპიონის ემოცია

— 1966 წელს ჩემპიონი პირველად გავხდი. მაშინ ჩემთვის პირველად აიწია დროშა და შესრულდა სახელმწიფო ჰიმნი. ამ ემოციის აღწერა, თუ რას გრძნობს იმ წუთებში სპორტსმენი, ძალიან ძნელია. მახსოვს, მოგვიანებით, როცა ფიგურულ სრიალში ირინა როდნინა და მისი პარტნიორი, იგორ ზაიცევი ჩემპიონები გახდნენ, ირინას თვალებიდან ცრემლები გადმოუგორდა. ოპერატორმა ფართო კადრით ეს მომენტი ძალიან კარგად დააფიქსირა. მსოფლიომ ნახა ირინას ცრემლები. მაშინდელმა კომენტატორმა ასეთი კომენტარი გააკეთა: ირინამ პირველმა იტირაო... არ არის მართალი. მანამდე მეც ვიტირე, ჩემზე ადრე, ალბათ, სხვაც იტირებდა. ასეთ წუთებში სიხარულის ცრემლები ყველას თან დაჰყვება, ოღონდ ზოგი ამჟღავნებს, ზოგი — ვერა.

ვისაც ეს არასდროს განუცდია, მისთვის ჰიმნის აჟღერება და ქვეყნის დროშის აწევა ჩვეულებრივი მოვლენაა, ჩემთვის კი ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი ცხოვრებაში. სწორედ ამიტომ გამოვთქვი პროტესტი ბაქოში, სადაც 2007 წელს თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიო პირველობა გაიმართა.

ერთ-ერთ წონაში ბულგარელი მოჭიდავე მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ბულგარეთის სახელმწიფო ჰიმნის ნაცვლად ორჯერ სხვადასხვა ქვეყნის ჰიმნის ფონოგრამა ჩართეს. ორჯერ შეეშალათ, ორჯერვე შეწყვიტეს ცერემონია და ბოლოს გამარჯვებულს მედალი და სიგელი ჰიმნის გარეშე გადასცეს. მივედი ჭიდაობის ფედერაციის ბიუროს წევრთან — გოჩა ძასოხოვთან და ვუთხარი, — ნუ გგონიათ, რომ მარტო მედალია ყველაფერი, ბოდიში მოუხადეთ ბულგარელ მოჭიდავეს და მის საპატივსაცემოდ დროშაც ასწიეთ და ჰიმნიც დაუკარით-მეთქი. ჩემს გარდა ამის თქმა თავში აზრად არავის მოსვლია. გოჩა ტაქტიკურად მოიქცა, როცა ჭიდაობის მსოფლიო ფედერაციის ბიუროს წევრებს უთხრა, ეს საზოგადოების აზრიაო და შეცდომის გამოსწორება სთხოვა. მოთხოვნა შეასრულეს.

რა იქნებოდა მედალი ამ ცერემონიის გარეშე?! ამის გაგება შეუძლია მხოლოდ მას, ვის საპატივსაცემოდაც ეს ხდება და არა იმას, ვისაც ასეთ სიმაღლეზე დგომა არასდროს რგებია.

გოჩა ძასოხოვი
და რომან რურუა

„Как Роман сказал, так и будет!“

1966 წლიდან 1972 წლამდე რომან რურუა საბჭოთა კავშირის ნაკრების გუნდის კაპიტანია. მას ერთნაირად მიაგებენ პატივს როგორც საბჭოეთში, ისე საზღვარგარეთ. იგი ავტორიტეტია ხალიჩაზე და ხალიჩის მიღმა. მან დაამკვიდრა გუნდში კონკურენტებს შორის რაინდული დამოკიდებულება, მეგობრობა, ერთმანეთის გატანა. თავად წესრიგის მოყვარული სხვებისგანაც იგივეს მოითხოვს. მკაცრია, მაგრამ სამართლიანი. ალბათ, ეს კრიტერიუმები გახდა გადამწყვეტი იმისთვის, რომ გუნდის კაპიტნის ყველაზე დემოკრატიულ არჩევნებში ხმების უმეტეს ნაწილს ის იღებს.

სსრკ ნაკრები გუნდის კაპიტანი

რომან რურუა:

– 1965 წლის ჩათვლით საბჭოთა ნაკრების გუნდის კაპიტანი მსოფლიოს მრავალგზის და ოლიმპიური ჩემპიონი, ლენინგრადელი მოჭიდავე, მძიმეწონოსანი ანატოლი როშჩინი იყო. 150-კაციან გუნდს კაპიტანი ფარული კენჭისყრით უნდა აერჩია. 150 კაციდან ნებისმიერს შეეძლო გამხდარიყო კაპიტანი. კანდიდატები არ სახელდებოდა, თითოეულ მოჭიდავეს ეძლეოდა ბიულეტენი, რომელშიც ის მისთვის სასურველ პიროვნებას აღნიშნავდა (არჩევნების ეს უჩვეულო მოდელი დღესაც საყურადღებოა და იქნებ მისაღები იყოს დღევანდელი საქართველოსათვის?!). ბიულეტენების დათვლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მე 40 ხმა მივიღე, საპუნოვმა – 29, ამდენივე – იგუმენოვმა, სხვებმა – უფრო ნაკლები. პირადად მე ხმა იგუმენოვს მივეცი.

გარდა იმისა, რომ გუნდის კაპიტანი გავხდი, საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელთა საბჭოშიც შემიყვანეს. იმ დროისთვის ეს უპრეცედენტო მოვლენა გახლდათ. ანგარიშს მიწევდნენ როგორც სპორტსმენები, ისე მწვრთნელები. ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტის დროს ხშირად უთქვამთ: – **„Как Роман сказал, так и будет!“**-ო.

სხვათაშორის, ერთადერთი კაცი ვიყავი შეკრებებზე შავი ღვინო რომ ჩამქონდა. სადილზე ფეხზე დგომით დავლევდი-ხოლმე. სხვას დაელია კი არა, ალკოჰოლის სუნიც რომ ჰქონოდა, გუნდიდან გააგდებდნენ. არ ვიცი, რატომ, მაგრამ მე ეს უფლებები მქონდა. ღვინოს სპორტსმენისთვის მავნე-

ბელ სასმელად მიიჩნევენ. ეს ასე არ არის. პირიქით, ორგანიზმისთვის საჭიროც კია. მომქანცველი ვარჯიშის შემდეგ ერთი ჭიქა შავი ღვინო ენერგიის აღდგენისთვის უებარი წამალია. მაშინვე დაგივლის ტანში და ისე დაგაძინებს, როგორც არასდროს. ძილი კი ჯანმრთელობის და ხანგრძლივი სიცოცხლის უტყუარი მაჩვენებელია. ჩემთვის ეს არავის უსწავლებია, არც არსად წამიკითხავს, მაგრამ ყოველთვის ასე ვიქცეოდი და აბსოლუტურად საღი და ჯანმრთელი ვიყავი, ნერვებსაც ვაკონტროლებდი. ღვინის დალევას შეჯიბრის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე ვწყვეტდი. ამ დროს ფორმაში მაქსიმალურად უნდა შევსულიყავი. ვიწყებდი ფიქრს, ფსიქოლოგიურ მომზადებას. გონებაში ყოველდღიურად გავივლიდი ყველა მოწინააღმდეგეს და მათთან ჩემს წარმოსახვაში ვჭიდაობდი. ეს მომზადების ბოლო ფაზაა.

●

— საბჭოთა კავშირის ნაკრები მსოფლიო სპორტულ სამყაროში ერთ-ერთი უძლიერესი იყო. ჩვენი სპორტსმენები ყველგან გამორჩეულნი იყვნენ, როგორც ფიზიკური მონაცემებით, ასევე ზნეობით, ღირსებით, წესრიგით, კულტურით... ჩვენ მარტო ტიტულებზე კი არა, კულტურაზე, ეთიკაზე, მაღალ მორალზე გვქონდა პრეტენზია.

ერთხანობას ნაკრებში არაერთი ქურდობის ფაქტი დაფიქსირდა. ამ მანკიერმა მოვლენამ თანდათან ინტენსიური ხასიათი მიიღო. ტურნირებზე თუ შეკრებებზე გუნდის წევრები თვალსა და ხელს შუა კარგავდნენ ფულს ან რაიმე ღირებულ ნივთს. აშკარა იყო, ვიღაც ხელმრუდობდა, მაგრამ ვინ, არავინ იცოდა.

ერთხელ ალუშტაში საწვრთნელ ბაზაზე ჩვენი ოთახიც გაქურდეს, ოთახი, რომელშიც ნაკრების ოთხი ქართველი წევრი ვიყავით. მოვიდნენ გამომძიებლები და დაიწყეს გარკვევა, ვინ რა დაკარგა. ცალ-ცალკე დაგვკითხეს, ერთი, მეორე, მესამე და ბოლოს — მე.

— არაფერი დამიკარგავს! — ვუთხარი გამომძიებლებს.

— როგორ არაფერი, ფული არ გქონდა? — მკითხეს გაკვირვებულებმა.

— მაქვს, წიგნის ფურცლებში სათითაოდ ჩაწყობილს ვინახავ... — სამალავის ადგილიც დავაკონკრეტე.

რაკი ვიცოდი, რომ ქურდობა გახშირებული იყო, ფული წიგნში შეგნებულად დავმალე, თანაც ამისთვის ქიმიის ქართულ ენაზე გამოცემული სახელმძღვანელო საგანგებოდ შევარჩიე, ქართული წიგნი რა ჯანდაბად ენდომებათ-მეთქი.

უფროსი მწვრთნელი ანატოლი კოლესოვი, ალექსანდრე სენატოროვი და რომან რურუა

დასვენების დროს, ნიკოლაი იაკოვენკო, რომან რურუა და ვალენტინ ოლეინიკი

გამომძიებლებს ეს ვუთხარი და მეორე დღეს ფული გაქრა. ისევ მოიწვიეს გამომძიებლები.

— თქვენს გარდა არავისთვის მითქვამს, რომ ფულს წიგნში ვინახავდი, თქვენ ხომ არსად თქვით?.. — იქით დავიწყე გამოძიება.

— ჩვენ გვაბრალებ?.. — დაბნეულები და გაოცებულები მეკითხებოდნენ. ვერაფერი გაარკვიეს. ბოლოს, ჩათვალეს, რომ, ალბათ, ვიღაცამ დაინახა ფულს სად ვინახავდი და ყველაფერი ამით დამთავრდა.

ამ ამბიდან დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, საბჭოთა კავშირის ნაკრები იტალიაში ევროპის პირველობაზე მონაწილეობის მისაღებად მიემგზავრებოდა. მითხრეს, ევროპა უნდა იჭიდაოო, და მეც დავთანხმდი. ეს პირველი შემთხვევა იყო ევროპას რომ დავთანხმდი. მახსოვს, მე და ჩემი უახლოესი კონკურენტი საპუნოვი გვერდი-გვერდ ვისხედით და მან, თავისთვის, გულდაწყვეტილმა ჩაილაპარაკა:

— Если бы позволили последный раз отбороться, я от души отборолся и закончил бы карьеру.

— ძალიან გინდა? — ვკითხე.

— ძალიან მინდოდა... — მიპასუხა.

მწვრთნელებს ვუთხარი, რომ თავს კარგად ვერ ვგრძნობდი და გათავისუფლება ვითხოვე. ევროპის საგზური საპუნოვს დავუთმე. იტალიაში გამგზავრებამდე ერთი კვირით ადრე თბილისში დაბრუნების ნება მომცეს.

ჩანთა ჩავალაგე, ფული ნივთების ბოლოში ღრმად შევაცურე (მანეთებთან ერთად 200 დოლარიც მქონდა) და ტაქსი გამოვიძახე. დრო ჯერ კიდევ იყო. ამიტომ დაბლა ჩავედი, ვივარჯიშე, ვისადილე, ყველას გამოვემშვიდობე, წარმატებები ვუსურვე და ჩემს ოთახში დავბრუნდი. ამასობაში ტაქსიც მოვიდა. მოვიძიე ჩემი ფული, მაგრამ ვერ ვიპოვე. წასასვლელი ფული აღარ მქონდა, თანაც ძალიან მინდოდა, სიტუაციაში გავრკვეულიყავი, ამიტომ დარჩენა გადავწყვიტე.

ქურდის ძებნა სპორტულ ჟინად, აზარტად გადამექცა. უნდა ამომეხსნა, ვინ იყო ქურდი. არავის დაუნახავს ფული სად და როდის შევინახე. ოთახში მარტო ვიყავი. ვერც ფანჯრიდან დაინახავდა ვინმე. ჩემი ოთახის სარკმლის მიღმა მხოლოდ სივრცე მოსჩანს. მაშ, რა ხდება? ფული ისე მოიპარეს, ნივთები არეულიც კი არ იყო. თითქოს ქურდმა ზედმიწევნით ზუსტად იცოდა, საიდან უნდა აეღო.

ეს ამბავი მხოლოდ მწვრთნელებს ვუთხარი. იგუმენოვის ნახვა მინდოდა და მოგვიანებით მის ოთახში შევიარე. მასთან ერთად ოთახში საპუნოვი და კიდევ ერთი მოჭიდავე — სლავა კუსტოვი ცხოვრობდა. კარი შევაღე თუ არა კუსტოვი მეუბნება: **— Заходи, заходи, Роман Владимирович, чего вы стоите...** იგუმენოვი ოთახში არ დამიხვდა და უკან გამოვედი. კიბეებზე ჩავდივარ და უცბად თავში რაღაც აზრმა გამიელვა. კუსტოვის ჩვეულებრივი ნათქვამი უცნაურად მომეჩვენა, მაგრამ რატომ, თავადაც ვერ ვხვდები. რაღაც ეჭვი გამიჩნდა. ცოტა ხნის შემდეგ მათთან ოთახში ისევ შევედი. იგუმენოვი საწოლზე არის წამოწოლილი, ისვენებს. ჩემს დანახვაზე ღრმად ჩაისუნთქა. თვალებში მიყურებს, მეც ვუყურებ... მივხვდი, ჩემი გაქურდვის ამბავი იცოდა. ალბათ, მწვრთნელებისგან გაიგო. ისევ ღრმად ჩაისუნთქა.

— რა მოგივიდა? — ვკითხე.

— Что - то сердце колет. — მითხრა. სკამი ავიღე, იგუმენოვის საწოლთან მივიტანე და ჩამოვჯექი. კუსტოვი ჩემს ზურგს უკან იწვა. იგუმენოვს მაჯაზე ხელი მოვკიდე და პულსი გავუსინჯე.

— ას წელს იცოცხლებ... — გავამხნევე ვიქტორი.

იგუმენოვს კი ველაპარაკებოდი, მაგრამ იმ წუთებში თავში ისევ ის უცნაური აზრი მიტრიალებდა. მინდოდა, წამომეწყო კუსტოვთან ამ თემაზე საუბარი. უცბად, მოუფიქრებლად, ეს მოქმედება რას დავაბრალო თავადაც არ ვიცი, კუსტოვისკენ მკვეთრად მოვტრიალდი, თვალი თვალში გავუყარე და ვკითხე:

– Слава, у тебя какой пульс?

– У меня 56-58...

მის მაჯას თვალი თვალში გაყრილი დავწვდი. პულსი 80-მდე ავიდა. მისი პასუხისთვის ყურადღება აღარ მიმიქცევია, კუსტოვის მაჯისცემამ ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახადა. კუსტოვს შუბლზე ხელი დავადე. მერე მოვტრიალდი იგუმენოვისკენ და ვუთხარი:

– Виктор Михаилович, он болен, его надо лечить!

იგუმენოვი გაფართოებული თვალებით მიყურებდა და გაოგნებული მისმენდა. ხმა არ გაუცია, ისე გამოვედი ოთახდან. გამოსვლის წინ მივაძახე:

– ჩემი ოთახის კარს ღიას დავტოვებ და 30 წუთში დავბრუნდები, სანამ გვიანი არ არის, შეცდომის გამოსწორება კიდევ შეიძლება...

30 წუთის შემდეგ, რა თქმა უნდა, არაფერი შეცვლილა. ამის შემდეგ მწვრთნელთა ოთახში შევედი და განვაცხადე, რომ ვიცოდი, ფული ვინ მოიპარა და მოვითხოვე, ეჭვმიტანილი დამეკითხა. მწვრთნელები ამაზე არ დამთანხმდნენ.

კუსტოვი საკმაოდ ტიტულოვანი სპორტსმენი იყო, საბჭოთა კავშირის ნაკრებში პირველ წონით კატეგორიაში ნომერ პირველი მოჭიდავე გახლდათ, ამიტომ სიფრთხილე იყო საჭირო. მე კატეგორიულად ვითხოვდი, ჩემი ეჭვი კუსტოვთან დაკავშირებით სასწრაფოდ გამოერკვიათ. ისინი მეუბნებოდნენ, რომ ამას აუცილებლად გაარკვევდნენ, ოღონდ მათ მიერ დასახული გეგმით. გამოიძახეს გამომძიებლები, მილიციის უფროსი და გეგმის რამდენიმე ვარიანტი გამაცნეს. მათი აზრით, ასე პირდაპირ ხელის დადება შედეგს არ მოიტანდა და ამიტომ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ფოსტიდან ყველა გზავნილს შეამოწმებდნენ, ხოლო შეკრების დასრულების შემდეგ, მოჭიდავეები ავტობუსში რომ ჩასხდებოდნენ, ყველას უკან გამოიყვანდნენ და სათითაოდ გაჩხრეკდნენ. მათი ეს გეგმა ჩემთვის მიუღებელი აღმოჩნდა. ჩემთვის პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა იქვე და იმ წუთში გარკვეულიყო ყველაფერი და რადგან არ დამეთანხმნენ, ამიტომ ასეთი წერილობითი განცხადება გავაკეთე:

– ჩემი ყოფნა იმ გუნდში, სადაც ელემენტალური წესრიგი არ არის დაცული, სადაც ქურდობის ფაქტებს სისტემატიური ხასიათი აქვს, შეუძლებლად მიმაჩნია და გთხოვთ, ნაკრების წევრობიდან გამათავისუფლოთ!

მსგავსი განცხადება ნაკრების არსებობის ისტორიაში არავის გაუკეთებია. ყველა თავს იკლავს, როგორმე ნაკრებში მოხვდეს, მე კი გასვლას ვითხოვ და თანაც რა მიზეზით?! ეს იმ ხანად ბომბის აფეთქების ტოლფასი იყო. როგორც კი ეს ამბავი ცენტრალური კომიტეტის ყურამდე მივიდოდა, ყველა უმკაცრესად დაისჯებოდა. ძალიან უხერხული სიტუაცია შეიქმნა. მწვრთნელები მთხოვდნენ, განცხადებაზე უარი მეთქვა და მპირდებოდნენ, რომ ყველაფერს გაარკვევდნენ.

კუსტოვი დასაკითხად გაიყვანეს. დაკითხვიდან ოთხი საათის შემდეგ ოთახიდან მისი პირადი მწვრთნელი ვასილ გრომიკო გამოვიდა და თქვა: – **„Признался этот подлец“**. კუსტოვი იმაშიც გამოტყდა, რომ ნაქურდალს კალათბურთის მოედანზე ქვის ქვეშ მალავდა. ის ადგილი მწვრთნელებს თავადვე აჩვენა.

მოჰყავთ კუსტოვი, ფეხშიშველა, საცვლების ამარა. მას ხელში ჩემი ფული, მათ შორის დოლარებიც, უჭირავს და ნიშნის მოგებით მაჩვენებს. მაშინ საბჭოთა მოქალაქისთვის დოლარის ქონა სერიოზული დანაშაული იყო. კუსტოვმა ეს იმიტომ გააკეთა, რომ ყველას ეფიქრა, ის კი დაიჭირეს, მაგრამ რურუას ეს რა ჩაუდენია, კანონის წინაშე პასუხისმგებლობა მასაც მოუწევსო... მაგრამ შეცდა ვარაუდში, მე დოლარის წარმომავლობის ყველა საჭირო დოკუმენტი გამაჩნდა.

განგაში გამოცხადდა. ღამის თორმეტი საათი იყო. ყველას სათათბირო

ოთახში მოგვიყარეს თავი. კრება ჭიდაობის სამმართველოს უფროსს არკადი ლენცს მიჰყავდა. კუსტოვი ჩვენს წინაშე წარსდგა. ყველა ეკითხებოდა, რატომ, როდის ან რა მიზეზით ჩადიოდა დანაშაულს. მეც ვკითხე:

— სლავა, რატომ მომპარე ფული?

— მაცივრის ყიდვა მინდოდა... — მიპასუხა.

— გეთქვა და ფულს ისე მოგცემდი... — სიტყვა დამთავრებული არ მქონდა, რომ პირველ აღიარებას მეორეც მოაყოლა.

— წიგნიდან რომ ფული დაკარგე, ისიც მე მოვიპარე. გამომძიებელთან შენს საუბარს ოდნავ გაღებული კარიდან ვალენტინ ოლეინიკმა მოჰკრა ყური, მერე ჩვენთან შემოვიდა და სიცილით მოყვა.

სიმართლე გითხრათ, შემეცოდა. ბოლოს, კუსტოვმა ისიც გვითხრა, რომ ნაკრებში სხვაც ქურდობდა, თუმცა, ვინ, არ დაუკონკრეტებია.



რომან რურუა
და ვიქტორ
იგუმენოვი

კრების დასასრულს გამოიძახეს მილიცია. კუსტოვი დაატიმრეს და სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. მერე ციხიდან გაიქცა. პატიმრებმა მასთან ერთად რომ იხდიდნენ სასჯელს, თქვეს: — დაიმუქრა, რურუას მოვკლავო... უშიშროების სამსახურმა შემომითვალა, ვიდრე არ დავიჭერთ, ფრთხილად იყავიო. შსს-ს თანამშრომელი მომამაგრეს, ყველგან შორიახლოს დამყვებოდა. თბილისში კუსტოვის ცოლიც კი ჩამოიყვანეს, იქნებ თან გამოჰყვესო, მაგრამ კუსტოვი არ ჩამოსულა. ციხიდან გაქცევის შემდეგ კიდევ იქურდა. ნაქურდალის გაყოფის დროს მის ამხანაგს, ვისთან ერთადაც ციხიდან გაიქცა, ოქროს საათი შეხვედრია. ამ საათის გამო მოკლა თავისი მეგობარი. კუსტოვი დაიჭირეს და, როგორც მერე გავიგე, ციხეში ჩამოახრჩვეს, თუ თავი ჩამოიხრჩო. ასე დაამთავრა სიცოცხლე.

მისი სიტყვები სულ მახსოვდა, სათათბირო ოთახში რომ თქვა, ჩემს გარდა სხვაც ქურდობსო. იმ წუთებში ნამდვილად არ ტყუოდა. ამას გულწრფელად ამბობდა. შევიმუშავე გეგმა, როგორ მომეძებნა მეორე ქურდი. პირველ რიგში მოვიძიე ინფორმაცია სამი წლის მანძილზე სსრკ-ს მასშტაბით ჩატარებული შეკრებების შესახებ და ამ შეკრებებზე დაფიქსირებული ქურდობის ფაქტები. მერე ავიღე იმ სპორტსმენების სია, ვინც ამ შეკრებებზე გადიოდა მომზადებას. აღმოვაჩინე, რომ ყველა იმ შეკრებაზე, სადაც ქურდობა მოხდა, სიაში ერთი გვარი ფიგურირებდა. სხვათაშორის, ბაკურიანში ჰქონდათ შეკრება და ქურდობის ფაქტი იქაც დაფიქსირდა. ჩემმა კვლევამ შედეგი გამოიღო.

მოვიწვიე კრება. დარბაზში 150 კაცი იჯდა. მწვრთნელებიც დავისწარი. მე მათ განვუცხადე, რომ ჩემმა გამოძიებამ შედეგი გამოიღო და ქურდი ვიპოვე. ყველას ერთი სული ჰქონდა, გაეგო ვინ იყო ქურდი, მაგრამ ვიდრე გვარს დავასახელებდი, განვმარტე, რა გზით მივაგენი. ბოლოს, — **Казаков, встаньте!** — დავიძახე. კაზაკოვი ადგა. თვალი თვალში გავუყარე და ვუთხარი:

— თქვენ ქურდი ხართ, სადაც იყავით, ყველგან ქურდობის ფაქტი დაფიქსირდა!

საკმაოდ მაღალი ბიჭი იყო. იდგა ფეხზე ამდენ ხალხში ეს ერთი კაცი, დარცხვენილი, თავჩაღუნული...

ჩემი ახსნა იმდენად დამაჯერებელი იყო, მტკიცებულება კი იმდენად — არგუმენტირებული, რომ ეჭვი არავის შეპარვია. კაზაკოვს ხმა აღარ ამოუღია, თავი დახარა და გამოტყდა. წლების შემდეგ მოსკოვში, რესტორანში შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს და კაცმა, რომელიც მეგონა თოფს მესროდა, გადამკოცნა და ბოდიში მომიხადა.

მაშინ კი საბჭოთა კავშირის ნაკრებში ქურდობებს ამით წერტილი დაესვა.

მეხიკო (მექსიკა)
1966 წელი – მცირე ოლიმპიადა

– 1966 წელს მეხიკოში მცირე ოლიმპიადა ჩატარდა. ვინაიდან ოლიმპიური ქალაქი ზღვის დონიდან 2300 მ სიმაღლეზე იყო, საცდელი შეჯიბრებები უნდა გამართულიყო, რომ ექიმებს განესაზღვრათ დატვირთვის დროს როგორ იმოქმედებდა სპორტსმენების ჯანმრთელობაზე მაღალი ჰავა, რამდენად შეეგუებოდნენ ისინი ადგილობრივ კლიმატს. საბჭოთა კავშირიდან სპეცთვითმფრინავით 350 სპორტსმენი წაგვიყვანეს.

მეხიკოში გამგზავრების წინ, დელეგაცია რომ შეიკრიბა, გამოცხადდა, ვინ და რამდენი სპორტსმენი რომელი საზოგადოებიდან მიდიოდა და ჩემზე თქვეს, რომ ვიყავი სოფლის სპორტული საზოგადოება „ურაჟაის“ წევრი. საქართველოში ასეთი საზოგადოება იყო „კოლმეურნე“, საბჭოთა კავშირში კი – „ურაჟაი“. ჰოდა, რომ გამომაცხადეს, დელეგაციამ მოითხოვა ფეხზე ავმდგარიყავი, აინტერესებდათ, ვინ ვიყავი. 350 კაცში მე ერთადერთი გახლდით სოფლის საზოგადოებიდან.

რა თქმა უნდა, ექიმებიც გამოგვაყოლეს. ექიმები ყოველ ფეხის ნაბიჯზე თან დაგვდევდნენ, მაჯისცემას გვისინჯავდნენ, წნევას გვიზომავდნენ, გაღვიძებისთანავე რაღაც აპარატურას გვიკეთებდნენ, რომ შეემოწმებინათ, როგორ გვეძინა. ერთი სიტყვით, ამ მცირე ოლიმპიადას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ერთთვიანი ვარჯიშის შემდეგ შეჯიბრებებიც დაიწყო. კლასიკურ ჭიდაობამდე ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში გაიმართა. ვინაიდან საბჭოთა დელეგაციაში თავისუფალ სტილში მოჭიდავეები არ გვყავდა, ჩვენი გუნდიდან ვიღაცამ თქვა, – ჩვენ ხომ არ გვეჭიდავა? მართალია, კლასიკოსები ამის სპეციალისტები არა ვართ, მაგრამ ვსინჯოთო... ყველამ თანხმობა განაცხადა, მაგრამ შეჯიბრის წინა დღეს თავისი თანხმობა ყველამ უარყო, გარდა ორი კაცისა – იგუმენოვი და რურუა.

მახსოვს, ფინალში ბერძენ მოჭიდავეს შევხვდი. მას 1966 წელს მანჩესტერის მსოფლიო პირველობაზე თავისუფალ ჭიდაობაში მე-4 ადგილი ჰქონდა აღებული. მსოფლიოში მე-4 ადგილის მფლობელი არ არის სუსტი მოჭიდავე. თანაც ჩემს წონაში (63 კგ) კი არა, ჩემზე დიდ წონაში (70 კგ) ვიჭიდავეთ. ერთი ქულა არ დამიკარგავს, ისე მოვუგე. გავხდი მცირე ოლიმპიადის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში.

მეხიკოში გავიცანი ერთი ძალიან საინტერესო ადამიანი, მწვრთნელი ჰუსეინ თავდგირიძე. იგი სპორტულ საზოგადოებაში ერკმენის გვარით იყო ცნობილი. შეჯიბრებების წინ თავისუფალ ჭიდაობაში მავარჯიშებდა. ქართულად ძლივს ლაპარაკობდა. გამოვკითხე, მექსიკაში საიდან და როგორ მოხვდა. მიამბო, – თურქეთიდან ოჯახთან ერთად (მეუღლე და ქალ-ვაჟი ჰყავდა) გამოვიქეცი. თურქები ჩემი გვარის შენარჩუნების უფლებას არ მაძლევდნენ. გვარის გამო ციხეში სამჯერ ვიჯექიო. ჩემი ცოლი ყურძენაშვილიაო გვარად. – ერკმენი რა არის-მეთქი, – ვკითხე, – დიდთავას ნიშნავსო, – ასე ამიხსნა.

ჰუსეინს უმცროსი ძმა ჰყავდა – ქემალ ერკმენი, ანუ იგივე ჯემალ თავდგირიძე. ცნობილი მსაჯი იყო. თურქეთში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. მისი სახელი და გვარი – ერკმენი გაგონილი მქონდა, პირადად ვიცნობდი, მაგრამ ქართველი თუ იყო, რას ვიფიქრებდი. ჰუსეინი საქართველოში დავპატიჟე. მახსოვს, თვალებზე ცრემლი მოადგა და მითხრა: – „მე იცი, ისე მოკდე, ვერ ელირსები ჩემი ქვეყანა ნახო...“ მაშინ საბჭოთა კავშირის ვიზის

მიღება, მითუმეტეს, თურქეთის მოქალაქისთვის, თითქმის შეუძლებელი გახლდათ.

სხვათა შორის, მისგან გავიგე, რომ თურქეთში 14 მოჭიდავე ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი, ეთნიკურად ქართველი ყოფილა. ჰუსეინს მათი სია და ფოტოები ვთხოვე. მომცა. მე ეს სურათები თბილისში „საქინფორმის" ფოტოკორესპონდენტს — გივი კიკვაძეს გადავეცი ასლების გასაკეთებლად. გააკეთა კიდეც. დედნები მე ერთი წლის შემდეგ, მეხიკოს ოლიმპიადაზე ისევ ჰუსეინს გადავეცი. მაშინ თბილისიდან ქართული ხალხური სიმღერის ფირფიტებიც ჩავუტანე საჩუქრად, ძალიან გაიხარა. სამწუხაროდ, ბატონი გივი კიკვაძე მოულოდნელად გარდაიცვალა. მოვიკითხე ის სურათები, იქნებ არქივში მაინც მიაგნოთ-მეთქი, მაგრამ ვერ იპოვეს. იმ 14 კაციდან ერთ-ერთის გვარი მახსოვს მხოლოდ — იაშარ დოგუ — ოლიმპიური და ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი, ასევე მრავალი ტიტულის მფლობელი. ამ კაცმა სამი წონითი კატეგორია გამოიცვალა და ყველგან მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

ცნობილი მსაჯი ძემალ ერკმენი (თავდგირიძე) და რომან რურუა

დღეს ჩვენებურებს მსოფლიოში სად აღარ დავეძებთ, ვეძებთ წინაპრებს და მათ ნაკვალევს. საქართველომ არ იცის, ვინ არის ის 14 კაცი. არადა, როგორ დაამშვენებდა ეს ჩვენი ჭიდაობის ისტორიას. სახელოვანი ფალავნები არასდროს გვაკლდა. ამ მხრივ ღარიბები ნამდვილად არა ვართ. ჭიდაობაში დღესაც ქართველებს პროცენტულად ვინ შეგვედრება, და ის 14 კაციც რომ დაგვემატოს, საერთოდ რა იქნებოდა?! სპორტის ამ სახეობაში ღმერთისგან ბოძებული ნიჭი გვაქვს, ნიჭი და უნარი, რომლის მსგავსი სხვა არცერთ ერს არ გააჩნია.

მცირე ოლიმპიადაზე კლასიკურ ჭიდაობაში მოწინააღმდეგეებს ჩემთან ჭიდაობა უჭირდათ. ჩემი ფიზიკური უპირატესობა აშკარად გამოიკვეთა. იქაურ კლიმატს შესანიშნავად შევეგუე. ექიმები წამდაუწუმ მაჯისცემას და წნევას გვისინჯავდნენ. მახსოვს, დილით პულსი 36 მქონდა. ჯანმრთელობის მხრივ არანაირი პრობლემა არ შემქმნია, ყველაფერი იდეალურად იყო. ბევრს გაუჭირდა, ზოგი ბოლომდე ვერ ჭიდაობდა. მახსოვს, მექსიკელი მოჭიდავე, ჩემთან შეხვედრისას ისე დაიღალა, რომ ჭიდაობაზე უარი განაცხადა.

მცირე ოლიმპიადის ჩემპიონი გავხდი როგორც თავისუფალ, ასევე კლასიკურ ჭიდაობაში.

მეხიკოში შეჯიბრებების დასრულების შემდეგ ექიმებმა სამედიცინო დასკვნა გააკეთეს და აღმოჩნდა, რომ ყველაზე კარგი შედეგი მე მქონდა. 350 კაცში პირველ ადგილზე გავედი. გარდა იმისა, რომ ორი შეჯიბრის ჩემპიონი გავხდი, ჯანმრთელობის თვალსაზრისითაც ჩემპიონობა არავისთვის დამითმია.

აქედან იწყება მზადება მეხიკოს ოლიმპიური თამაშებისთვის.

მცირე ოლიმპიადიდან დაბრუნების შემდეგ ევროპის პირველობა გაიმართა. როგორც ყოველთვის, არ წავსულვარ. ხელიდან გავუშვი 1967 წლის ევროპის პირველობაც, დავთმე მსოფლიო თასი. იმიტომ, რომ გუნდში ჩემს გარშემო საკმაოდ ძლიერი მოჭიდავეები იყვნენ და მათაც უნდა ჰქონოდათ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლინების საშუალება.

საერთოდ, მე წელიწადში საშუალოდ 5-6 შეჯიბრში ვიღებდი მონაწილეობას. მცირე ოლიმპიადიდან დიდ ოლიმპიადამდე გამოვედი სხვადასხვა ტურნირზე და ყველაფერი მოვიგე. მათ შორის ვიგებ მსოფლიო პირველობასაც.

მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი ვალერი რიაზანცევი და რომან რურუა

ადრიატიკის ქვეყნების თასი 1967 წელი

— იუგოსლავიაში, კუნძულ კორჩულაზე ადრიატიკის თასისთვის საბრძოლველად საბჭოთა კავშირიდან ოლიმპიური გუნდი გავემგზავრეთ. კვების თანხა ხელზე მოგვცეს, თავად იზრუნეთო. აქედან წავიღეთ სხვადასხვა პროდუქტი: ძეხვი, ხიზილალა... ერთ დღეს შეჯიბრის დამთავრების შემდეგ, მოვილაპარაკეთ, საერთო სუფრა გაგვეშალა და ვისაც რა გვქონდა, გამოგვეტანა. მახსოვს, ლენინგრადელმა მოჭიდავემ ანატოლი როშჩინმა, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, არაფერი მაქვს, ვერაფერსაც ვერ გამოვიტანო... საღამოს ვახშამს შევექცეოდით, როშჩინის ყვირილი რომ გავიგონეთ:

— **Кто взял?!..**

— **Что, кто, что взяли?..** — ვეკითხებოდით როშჩინს, მაგრამ ხომ ვერ იტყოდა, რომ პროდუქტი დაკარგა?!. ამიტომ იმეორებდა და იმეორებდა:

— **Кто взял?..**

კვდებოდნენ ბიჭები სიცილით. როშჩინს თავისივე ხიზილალა ვაჭამეთ და ჩვენც მივირთვით, რა თქმა უნდა... ამ სახალისო ოინის იდეის ავტორი მე გახლდით.

ამ შეჯიბრზე ერთ-ერთი შეხვედრა ბულგარელ მოჭიდავეს საკმაოდ ბევრი ქულით მოვუგე. შეხვედრის დამთავრების შემდეგ, გავიგონე მწვრთნელები როგორ ეჩხუბებოდნენ. ბულგარული ენა რუსულს წააგავს. მოგვიანებით ვკითხე მწვრთნელებს, რატომ ეჩხუბებოდნენ. მიპასუხეს, დავარიგეთ, არ გააბრაზო, შეხვედრა მშვიდობიანად წაიყვანე, როგორმე ფრედ დაამთავრეო და ამან კიდევ ქულების გაკეთება დაგიწყოო...

იუგოსლავიიდან, რა თქმა უნდა, ადრიატიკის ქვეყნების თასით დავბრუნდით.

პირველ რიგში: ი. ზაიცევი, ვ. ზუბკოვი, რ. კაზაკოვი, რ. რურუა, ვ. ბაკულინი
მეორე რიგში: ა. როშჩინი, ვ. რიაზანცევი, ვ. იგუმენოვი, ა. ნაზარენკო, ნ. იაკოვენკო

სსრკ ხალხთა IV სპარტაკიადა
1967 წელი

1967 წ. სპარტაკიადა, სერგეი აგამოვთან ფინალური შერკინაბა

— 1967 წელი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ მისი შედეგები განსაზღვრავს 1968 წლის მეხიკოს ოლიმპიური თამაშების კანდიდატებს.

მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში საბჭოთა კავშირის ნაკრებში მე ისევ პირველი ნომერი ვიყავი, სიფრთხილე მაინც საჭირო იყო. ჩვენს წონაში მე და იური გრიგორიევი ისევ უდაო ფავორიტებად, ლიდერებად ვრჩებოდით, მაგრამ ასპარეზზე თანდათან ახალი თაობაც გამოჩნდა. საჭირო იყო დაკვირვება, სიტუაციის კონტროლი, ვინმეს შენზე უკეთესი შედეგი ხომ არა აქვს, ან შენზე ძლიერი ხომ არ არის?!. ამას ვაკონტროლებდი არა მარტო საბჭოთა კავშირის მასშტაბით, არამედ მსოფლიო სპორტულ სივრცეშიც. ჭიდაობაში, მართლაც, შესანიშნავი მონაცემების მქონე ახალგაზრდები მოვიდნენ. როცა მე არ ვასპარეზობდი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ივანე ზაიცევი გახდა, ევროპის — სერგეი აგამოვი. მაგრამ ეს ჩემთვის საშიში არ იყო. ამ საზოგადოებაში თავს ძალიან კარგად ვგრძნობდი.



მართალია, გრიგორიევმა ჩემს გამო მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის მიღებაზე უარი თქვა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, მე მთელი დატვირთვით არ მევარჯიშა და ჩემი უპირატესობა არ დამემტკიცებინა. მას რომ თავი ჩემზე ძლიერად წარმოეჩინა, მწვრთნელები მაშინვე იფიქრებდნენ, რომ გრიგორიევი რურუაზე უკეთესია. ამიტომ ჩემს გზას ვაგრძელებდი.

1967 წ. სპარტაკიადა, ივანე ზაიცევთან ორთაბრძოლა

1967 წელს ხალხთა IV სპარტაკიადა გაიმართა, ანუ იგივე ოლიმპიური თამაშები, ოღონდ საბჭოთა კავშირის მასშტაბით. ამ შეჯიბრებაზე საპუნოვი ჩემი კონკურენტი აღარ იყო. მან ჭიდაობას თავი დაანება. მის მაგივრად მოსკოვიდან ივანე ზაიცევი, ბაქოდან სერგეი აგამოვი დაგვემატა. ორივე ძლიერი მოჭიდავე იყო. როგორც აღვნიშნე, სადაც მე არ ვმონაწილეობდი, ჩემპიონები ესენი ხდებოდნენ. ერთი ევროპის, მეორე სსრკ ჩემპიონი გახდა.

უახლოესი კონკურენტები უკან მოვიტოვე და ფინალის წინა შეხვედრა ისევ გრიგორიევთან გავმართე.

ვჭიდაობთ... დაგარტყამს, დაგარტყამსო... — მეძახიან აქეთ-იქიდან, იმიტომ, რომ გრიგორიევს უხეშობის გარეშე ჭიდაობა არ შეეძლო. თანაც ჩემთან ფრე არ აწყობს, მოგება უნდა. — **Юра, не надо!** — ვეუბნები. მოდის და მოდის... — **Юра, не надо!** — კიდევ ვუმეორებ. თავისას არ იშლის. ახლა, რადგან არ იჯერებს, უნდა ვანახო ჩემი ხელოვნება. მიუხედავად იმისა, რომ უხეშობის ტექნიკას ძალიან კარგად ვფლობდი, თუ აუცილებელი არ იყო, არასდროს ვიყენებდი. ამას მაშინ მივმართავდი, როცა მოწინააღმდეგე ჩემს კეთილგანწყობას ბოროტად იყენებდა.

ორჯერ გავაფრთხილე, არ დაიჯერა, და მე უკვე სულ რამდენიმე წამი მჭირდება იმისთვის, რომ უხეშობაზე უარი ვათქმევინო. მოძრაობა გავაკეთე, თავი მაღლა ავწიე და მორჩა, იურას ნახევარი წარბი სისხლით ჰქონდა შეღებილი. სხვათა შორის, წარბი ძალიან ფაქიზი ადგილია. დიდი რაოდენობით იცის სისხლმა გადმოხეთქვა, მითუმეტეს, როცა ორგანიზმი გახურებულია. მსაჯებმა შეხვედრა გააჩერეს და გრიგორიევი ექიმის სკამზე დასვეს. წარბის გაკერვაში სამი წუთი გავიდა. ხუთი წუთი რომ გავიდეს, შეხვედრიდან მოხსნიან და მოგება მოწინააღმდეგეს ჩაეთვლება. ორი წუთის დასამატებლად მისი ექიმთან მიბრუნება, ჩემთვის პრობლემა არ იყო. ოდნავ შევეხებოდი გაკერილ წარბზე და სისხლი ისევ თქრიალით წამოვიდოდა. ისევ იუხეშა. ხოდა შევეხე. ეს ყველაფერი, თითქოს, შემთხვევით მოხდა. შემთხვევით კი არა, მიზანმიმართულად გავაკეთე, თუმცა, ეს არც მსაჯებს შეუმჩნევიათ, არც — მაყურებელს და არც თავად იურის. ეს იყო ჩემი შემოქმედების შედეგი. მეორედ დასვეს ექიმთან. წუთნახევარი კიდევ დაკარგა. ხალიჩაზე რომ დაბრუნდა, ნახევარი წუთი ჰქონდა დარჩენილი. შემეძლო ისევ ექიმთან მიმებრუნებინა, 30 წამიც გავიდოდა და სუფთა წაგება ჩაეთვლებოდა. ამ შემთხვევაში მესამე ადგილზე ვერ გავიდოდა, მაგრამ ეს არ გავაკეთე. მერე უკვე თვითონაც დამშვიდდა, ინიციატივა ჩემს ხელში გადმოვიდა და ქულებით მოვუგე. იური გრიგორიევი თავის ღირსეულ მესამე ადგილზე გავიყვანე. ფინალში კი აგამოვი დავამარცხე.

1967 წ.
სსრკ ხალხთა
IV სპარტაკიადა,
რ. რურუას
გამარჯვება
ი. გრიგორიევთან

მე გრიგორიევს ჭიდაობით კი არა, ჭიდაობის ტექნოლოგიით მოვუგე. მოვუგე უხეშობით და ჩემი უპირატესობა ამით დავამტკიცე, იმიტომ, რომ თავად იყო ძალიან უხეში მოჭიდავე. სუფთად მოგებაც შემეძლო, ექიმთან რომ მიმებრუნებინა, მაგრამ ეს ჩემი მხრიდან უსამართლობა იქნებოდა. დავამარცხე ქულებით, რაც მას ეკუთვნოდა და მისი უხეშობა ჩემს სიძლიერესთან ამით დავაბალანსე.

1967 წელს ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონი მეორედ გავხდი. საბჭოთა კავშირის სივრცეში ისევ ნომერ პირველი მოჭიდავე ვიყავი და ე. ი. ნომერ პირველი კანდიდატი 1968 წლის მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებზე გასამგზავრებლად.

ბუქარესტი (რუმინეთი)
1967 წელი – მსოფლიო პირველობა

– ბუქარესტი ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო. აქ მესამე შეხვედრა ადგილობრივ სემიონ პოპესკუსთან მომიწია. საკმაოდ ძლიერი მოჭიდავე გახლდათ. ასევე ძლიერი მოჭიდავე იყო იაპონელი ჰიდეო ფუძიმოტო. ორივე ჩემს შემდეგ მსოფლიოში მე-2 და მე-3 ადგილებს ინაწილებდა. სხვათა შორის, იმის მერე, რაც მე წონა გამოვიცვალე, ამოისუნთქეს, ერთიც გახდა მსოფლიო ჩემპიონი და მეორეც.

ბუქარესტში შეჯიბრების მეორე დღეს, დილით ვიღაცასთან ვიჭიდავე, მითხრეს, მესამე შეხვედრა საღამომდე არ იქნება და შეგიძლია დაისვენოო. ცოტა ხანს ვუყურე ჭიდაობას და წავედი. ჩვეულებრივი სპორტული ტანისამოსი მეცვა. გავიარე დაახლოებით 200 მეტრი და უცბად რადიოდან ჩემი გვარი შემომესმა. ჯერ ინგლისურად თქვეს რაღაც, მერე – რუსულად. რადიოთი მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეიძლება მოგმართონ, – როცა გიძახებენ. მაშინვე ეჭვი შემეპარა, მოვტრიალდი და უკან ჩქარი ნაბიჯით წამოვედი.

საჭიდაო ხალიჩა კალათბურთის მოედანზე, ღია ცის ქვეშ იყო გაშლილი. მაღლიდან გადმოვიხედე და დავინახე, ჩემი მოწინააღმდეგე, პოპესკუ უკვე ხალიჩაზე იდგა. კიბეები თავქუდმოგლეჯილმა ჩავირბინე. 5 წუთი დაგვიანება, ანუ იგივე გამოუცხადებლობა, სუფთა წაგებად ითვლება. სასწრაფოდ ჩავიცვი და ხალიჩაზე ფეხშიშველი გავვარდი... მერე გამორთეს წამზომი და თასმების შეკვრის საშუალება მომცეს.


1967 წ. ბუქარესტი,
სემიონ პოპესკუ და რომან რურუა

სპორტსმენები ხალიჩაზე გასასვლელად ერთი საათით ადრე ემზადებიან, გული მისდით, ოფლში იწურებიან, მე კი ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად აბსოლუტურად მოუმზადებელი შევვარდი ხალიჩაზე. ამის მიუხედავად, მოწინააღმდეგეს ძალიან ენერგიულად და ტემპში შევუტიე. ჩემს უპირატესობას მსაჯები ჭიდაობის დაწყებისთანავე აღნიშნავდნენ. მეტოქეს მთელი სულით და გულით მივდევდი, მაგრამ ის პასიურობდა. გვერდითმა მსაჯმა პოპესკუს პასიუ-

რობის ნიშნად დროშა ასწია. წესით მას გაფრთხილება უნდა მისცენ, მე — ერთი ქულა. ეს კი ჩემს მოგებას ნიშნავს. მაყურებელი აყვირდა. მსაჯებმა იმსჯელეს და შეხვედრა გაგვაგრძელებინეს. ვიგრძენი, რომ ტემპს უნდა მოვუმატო, რათა მოწინააღმდეგე დავჩაგრო. შევუტიე, მაგრამ პოპესკუ ჭიდაობაში არ მომდევს. მსაჯებმა შეხვედრა კვლავ გააჩერეს. ისევ აყვირდა ხალხი, ატყდა ერთი ალიაქოთი. შედეგად გაფრთხილება კიდევ არ მისცეს. მსაჯებს ვუთხარი, — არ მინდა, შეხვედრას ნუ გააჩერებთ, ნუ მისცემთ გაფრთხილებას, იმიტომ, რომ ამით თქვენ მას ასვენებთ და დრო გადის. ჩემი უპირატესობა გამოკვეთილია, წუთი-წუთზე დაიღლება და მოვუგებ-მეთქი. ამის შემდეგ პოპესკუ ახალ ხერხს მიმართავს და იწყებს სიმულიანტობას. ხალიჩის გარეთ გადაწვება, — ნეკნი მეტკინა, ხელი, ფეხი... მაგრამ მსაჯი შეხვედრას აღარ აჩერებს. პოპესკუ სიმულიანტობას აგრძელებს. ექიმები საეჭვოს ვერაფერს ხედავენ. ბოლოს, იმდენად აშკარად გამოიკვეთა მისი თვალთმაქცობა, რომ გვერდითმა მსაჯმა, მახსოვს, ამერიკელი იყო, დროშა ასწია და დაბლა აღარ უშვებდა. შეხვედრა არბიტრმაც შეაჩერა. ცხადია, სიმულიანტობისთვის გაფრთხილება უნდა მიეცათ, მაგრამ პოპესკუ, — ვაი დედაო... — გაიძახოდა და ამით მაყურებლის ემოციას თავის სასარგებლოდ ძალიან კარგად იყენებდა. გაგიჟდა ხალხი, ატყდა წივილ-კივილი. ამ დროს ვიღაცამ ვაშლი მესროლა და ზურგზე მომხვდა, მაყურებლისკენ მივტრიალდი და საკმაოდ უხეში ჟესტიკულაციით ერთი ადგილისაკენ მივუთითე. ამან ხალხი მთლად გადარია. ხალიჩაზე ვინ რას ისროდა და რა ხდებოდა, ამის გადმოცემა შეუძლებელია. შეხვედრას ჭიდაობის მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტი — როჟე კულონიც ესწრებოდა. მახსოვს, მისკენ გავიხედე და დავინახე, სკამი, რომელზეც ივჯდა, ამოუტრიალებია და თავზე დაეფარებინა, რომ არაფერი მოხვედროდა. მოკლედ, არ მაჭიდავეს, ეს შეხვედრა როგორღაც ჩააძაღლეს და ფრედ დაამთავრეს.

ფრე მე საქმეს მირთულებდა. პოპესკუსთვის რომ მომეგო, საშიში აღარაფერი იყო, მაგრამ ფინალში ესეც შემოდის. მერე მესამეც შემოვა და ჩვენს შორის ვინც უკეთესად მოუგებს ამ მესამეს, ჩემპიონი ის ხდება. თუმცა, აქ შეხვედრების თანმიმდევრობაც გასათვალისწინებელი იყო.

პოპესკუს შემდეგ თურქთან ვიჭიდავე. თუ ქულებით მოვუგებდი, ჩემს შემდეგ იგი პოპესკუს შეხვდებოდა, სუფთა წაგების შემთხვევაში — გავარდებოდა. მე ჩემი გასაკეთებელი გავაკეთე. თურქი ქულებით დავამარცხე და რუმინელ მოჭიდავეს დავუპირისპირე. ასე რომ, ფინალის წინა, მეხუთე შეხვედრა პოპესკუმ — თურქთან, მე კი იაპონელ მოჭიდავესთან გავმართე. თურქი პოპესკუსთან დამარცხდა და სიტუაცია ასე ჩამოყალიბდა: მე ფინალში არ ვჭიდაობ იმიტომ, რომ პოპესკუს უკვე შევხვდი. ახლა, იაპონელს თუ ქულებით მოვუგებდი, ან შეხვედრას ფრედ დავამთავრებდი, ფინალში ის და პოპესკუ შეხვდებოდნენ ერთმანეთს და ჩემი ბედი მათი გადასაწყვეტი იქნებოდა. ჩემპიონი მე ერთ შემთხვევაში ვხდებოდი, — ფინალი არ უნდა შემდგარიყო! ეს კი მხოლოდ და მხოლოდ მაშინ მოხდებოდა, თუ იაპონელს სუფთად მოვუგებდი, ანუ იაპონელსა და რუმინელს ერთმანეთში „ვაჭრობის“ საშუალებას არ მივცემდი.



რომან რურუა
და ჰიდეო
ფიძიმოტო

1967 წ.
ბუქარესტი,
გამარჯვებულთა
დაჯილდოება,
I ადგილი
რომან რურუა,
II - სემიონ
პოპესკუ,
III - ჰიდეო
ფუძიმოტო

დავიწყეთ ჭიდაობა. ფუძიმოტო ძალიან ფრთხილობს. მარცხენა ხელი ჩაკეტილი აქვს. იდაყვს ერთი სანტიმეტრითაც არ წამოწევს წინ, იმიტომ, რომ იცის, იქიდან რასაც გავაკეთებ. ამ სიტუაციაში ტაქტიკას აბსოლუტურად ვცვლი, მარცხენა იდაყვს ყურადღებას საერთოდ აღარ ვაქცევ და მარჯვენა ხელზე გადავდივარ. ამ სტილით ჩემს ცხოვრებაში არ მიჭიდავია. ასეთი ტაქტიკა არასდროს ამირჩევია. არ ვიცი, რამ მიკარნახა, ასე მოვქცეულიყავი, მაგრამ ფაქტია, ჩემმა არჩევანმა გაამართლა. მე ორივე ხელით მის მარჯვენას ვექაჩები, უნდა წავართვა, არ მაძლევს, მალავს და უკვე პასიური ხდება. ეს კი იმას ნიშნავს, მას გაფრთხილებას მისცემენ და ერთ ქულას დაკარგავს. ჩვენები მიყვირიან: „что ты делаешь, очки надо“... ქულის გაკეთებაზე დროის დაკარგვა არ ღირს, დრო ძვირფასია. ქულა მე არ მაწყობს, სუფთა მოგება მინდა. სუფთა რომ მოვიგო, ისეთ ფანდზე უნდა შევიდე, რომლიდანაც მოწინააღმდეგე ვერ გამექცევა, ან გაქცევის ნაკლები შანსი ექნება. როგორმე იდაყვი უნდა გამოვაწევინო. სწორედ ახლა მჭირდება „крест на крест“ ფანდზე შესვლა, მაგრამ არ მიშვებს, მარცხენა იდაყვი მთელი ძალით აქვს ჩაკეტილი. ამიტომ ისევ მარჯვენას ვექაჩები. შესვენების დროს ფუძიმოტოსკენ გავიხედე და შევნიშნე, მარჯვენა ხელზე მასაჟს უკეთებდნენ, თან რაღაცას უხსნიდნენ. მივხვდი მარჯვენა უკვე დაღლილი ჰქონდა. შეხვედრა რომ განახლდა, მოწინააღმდეგეს ისევ ამ ტაქტიკით ვეცი. მას ჰგონია, მარჯვენას ვთხოვ და უკვე იცის, ეს ხელი ვეღარ გაუძლებს, მარცხენა უნდა მიახმაროს, რაც იმას ნიშნავს, რომ იდაყვი უნდა გამოსწიოს. მარცხენა ხელი ოდნავ გამოსწია თუ არა, ჩემი ხელი იდაყვის ქვეშ ამოვუდე, ხელები შევაერთე და ჩავკეტე. ის ფიქრობს, რომ „суфлекс“-ზე გადავაგდებ და აზრადაც არ მოსდის, რომ „суфлекс“-იდან უკუღმა მოგვერდს გავუკეთებ. უკუღმა მოგვერდს მთელი ტრაექტორიით ვუკეთებ და ხიდზე ვაყენებ. მიჭირავს ხიდზე, მიყვირიან, დააწვინეო, მაგრამ ვგრძნობ, გამექცევა. კატასავით მოქნილი ბიჭი იყო. დრო ბევრი მაქვს. სახეზე დავხედე და ვხედავ, რომ ჩემი მუცელი მოწინააღმდეგის ცხვირიდან მილიმეტრებით არის დაშორებული. არ ვიცი, რამ მომაფიქრა, ჩემს ტაქტიკაში არასდროს მსგავსი არაფერი ყოფილა, მაგრამ ტვინი მკარნახობს, ჩემი ოდნავი რხევა და მოწინააღმდეგეს სასუნთქი არხები ჩაეკეტება. წინ წავიწიე და მისი ცხვირი დაიფარა. ფუძიმოტო ორ წამში გაბრტყელდა ხალიჩაზე. ცხვირი გავუშვი, მაგრამ რომ წამოიწიოს, ამის საშუალებას არ ვაძლევ. სასტვენს მაძლევენ, — გაუშვი, გაუშვიო... ხელიდან ძლივს გამაგდებინეს. ეს იყო კომბინაციური და ტაქტიკური ჭიდაობის ერთ-ერთი ბრწყინვალე ნიმუში, რაც სამწუხაროდ დღეს დავიწყებას მიეცა.

ამ შეხვედრაში ჩემი ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების მაქსიმუმი ჩავაქსოვე. წინასწარ ნამდვილად არ მიფიქრია, რას და როგორ გავაკეთებდი. მოჭიდავემ წინასწარ შეიძლება მოიფიქროს ტაქტიკა, მაგრამ ეს შედეგი არ იქნება. შედეგი ისაა, თუ მისი ქმედება სიტუაციის მიხედვით ორგანიზმის, ჭკუისა და გონების იმ წამიერი ნაკარნახევია. ეს არ ისწავლება. ასეთი რამ იშვიათად, მაგრამ ხდება ჭიდაობაში. ეს მე 1967 წელს ბუქარესტში მსოფლიო პირველობისთვის გამართულ შეჯიბრზე აღმოვაჩინე... და მსოფლიო ჩემპიონი მეორედ გავხდი.

მეხიკო (მექსიკა)
1968 წელი – ოლიმპიადა

– საბჭოთა კავშირის დელეგაცია მექსიკაში ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე ერთი თვით ადრე ჩავიდა. შევუდექით ინტენსიურ ვარჯიშებს, მაგრამ ვიდრე შეჯიბრი დაიწყებოდა, ზუსტად ერთი კვირით ადრე ყოველგვარი დატვირთვა შევწყვიტე. მწვრთნელებს ვარჯიშიდან გათავისუფლება ვთხოვე. არ ვიცი, რატომ, რა ძალამ მიკარნახა ასე მოვქცეულიყავი. ჩვენი გუნდის წევრები დილიდან საღამომდე ოფლში იწურებოდნენ, მე კი ოლიმპიურ სოფელში დავსეირნობდი და ნაკრების წევრების ვარჯიშს თვალს შორიდან ვადევნებდი. მათი დატვირთვის ფონზე ჩემი გორაობა და თავისუფლება იმდენად გამოიკვეთა, რომ ბევრს ჩემს შესაძლებლობაში ეჭვიც კი შეეპარა. – **„Что-то случилось, он себя плохо чувствует...“** – ჩურჩულებდნენ.

სიმართლე გითხრათ, რაღაც მომენტში ჩემს თავში ეჭვი მეც კი შემეპარა. გადავწყვიტე, ოლიმპიური სოფლიდან გავსულიყავი და მეხიკოს ირგვლივ ახლო-მახლო მდებარე სოფლები დამეთვალიერებინა. მექსიკის გაღატაკებულმა სოფლებმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ხალხი მიწურებში, ძალიან ღარიბად ცხოვრობდა, ჩვენზე გაცილებით უარესად. მახსოვს, ერთ-ერთი სოფლის შორიახლოს ბავშვებს გადავეყარე. მათში ყველაზე პატარა გულამოსკვნილი ტიროდა. შედარებით მოზრდილები მის წაყვანას ცდილობდნენ, მაგრამ ვერ ახერხებდნენ. მტირალა ბავშვი კისერზე შევისვი და ბიჭებს კვალდაკვალ მივდიე. მალე სოფელში ამომაყოფინეს თავი. გამოიშალა ხალხი, – ვინა ხარო, – მეკითხებოდნენ. მე ჩემს სპორტულ ტანისამოსზე გამოსახული წარწერისკენ მივანიშნე, დიდი ასოებით ეწერა – **CCCP**, – რაც იმაზე მეტყველებდა, რომ ოლიმპიური თამაშების საბჭოთა მონაწილე ვიყავი. ბავშვი პატრონს ჩავაბარე და უკან დავბრუნდი.

ასე სეირნობა-დასვენებაში გავატარე ბოლო ერთი კვირა. ამ ხნის მანძილზე მხოლოდ თეორიულად და სისხარტეზე ვმუშაობდი, რამდენჯერმე დიტო შანიძესთან ერთად მოთელვა ჩავატარე. საერთო გუნდურ პროგრამიდან გამოვედი და ინდივიდუალურ პროგრამაზე გადავედი.

Men's Featherweight, Greco-Roman Glossary / Event History / CSV / PRE

Games	Age	City	Team	Phase	Unit	Date	Result
1968 Summer	25	Ciudad de México	Soviet Union	Final Round	Match #1	1968-10-26	Fujimoto (JPN) draw, Rurua (URS)
1968 Summer	25	Ciudad de México	Soviet Union	Round Six	Match #2	1968-10-26	Rurua (URS) decision, Galinchev (BUL)
1968 Summer	25	Ciudad de México	Soviet Union	Round Five	Match #2	1968-10-26	Rurua (URS) decision, Alakoç (TUR)
1968 Summer	25	Ciudad de México	Soviet Union	Round Four	Match #3	1968-10-26	Rurua (URS) fall (8:56), Schneider (GDR)
1968 Summer	25	Ciudad de México	Soviet Union	Round Three	Match #5	1968-10-25	Rurua (URS) fall (4:37), Damjanović (YUG)
1968 Summer	25	Ciudad de México	Soviet Union	Round Two	Match #8	1968-10-24	Rurua (URS) fall (6:23), Hazewinkel (USA)
1968 Summer	25	Ciudad de México	Soviet Union	Round One	Match #8	1968-10-23	Rurua (URS) fall (5:28), Al-Karaghouli (IRQ)

მეხიკოს ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე მექსიკის პრესის, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლებს პროგნოზები თხოვეს, თუ ვინ გაიმარჯვებდა მოჭიდავეთა ტურნირში. ამ გამოკითხვის შედეგად რომან რურუა ერთადერთი იყო, რომელსაც ოცდაოთხივე გამოკითხულმა ჩემპიონობა უწინასწარმეტყველა და ჩვენმა ფალავანმა მათი ვარაუდი გაამართლა კიდეც.

„ათენიდან ათენამდე“
მეხიკო 1968
2007 წ.



რომან რურუა და ჯეიმს ჰოზევინკელი (აშშ)







ფინალამდე დარჩა 20 წუთი

დაიწყო შეჯიბრი. პირველი შეხვედრა სუფთად მოვიგე, ასევე — მეორე, მესამე, მეოთხე... ჩემმა ასეთმა ტრიუმფალურმა სვლამ ფინალისკენ ჭიდაობის მესვეურები იმდენად დააფიქრა და დაეჭვა, რომ სპორტსმენებიდან პირველი მე გამსინჯეს დოპინგზე. მოვიგე მეხუთე შეხვედრაც. ბულგარელებმა მთხოვეს სუფთა არ მომეგო და ქულებით მოვიგე. ოთხი მეტოქე, ერაყელი ალი კარაგული, ამერიკელი ჯეიმს ჰოზივინკელი, იუგოსლავიელი სრეტენ დამიანოვიჩი და გერმანელი ლოტარ შნეიდერი სუფთად დავამარცხე. თურქ მეთინ ალაკოჩს და ბულგარელ დიმიტრი გალინჩევს კი ქულებით მოვუგე.

ფინალში იაპონელ მოჭიდავეს ჰიდეო ფუძიმოტოს შევხვდი. შეხვედრა საღამოს თორმეტის ნახევარზე გაიმართა. სამი საათი ველოდებოდი ხალიჩაზე გამოძახებას. მუდმივ მზადყოფნაში, ასეთ ფსიქოლოგიურად დაძაბულ და ნერვულ მდგომარეობაში სამი საათის გატარება ძალიან ძნელია. მახსოვს, მოჭიდავეები, მწვრთნელები და საქართველოს დელეგაციის წარმომადგენლები ჩემი ოთახის კართან იდგნენ, შემოსვლასაც კი ვერ ბედავდნენ, რაიმეს თქმაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი და ჩემთან ერთად ელოდნენ, ხალიჩაზე როდის გავიდოდი. ტრაურში იყვნენ, ერთი მედალი იყო დარჩენილი და იქნებ ამან მაინც აიღოსო. მე რომ მედალი არ ამეღო, ეს იქნებოდა ჭიდაობის ისტორიაში ერთადერთი შემთხვევა, როცა საბჭოთა კავშირის გუნდი ოქროს გარეშე დარჩებოდა.

ფინალი, რომან რურუა და ჰიდეო ფუძიმოტო (იაპონია)

შესვენების დროს, რომან რურუა, მასაჟისტი ნიკოლაი პოდრეზი და გენადი საპუნოვი. საპუნოვი რურუას რჩევებს აძლევს...

საერთოდ, ჩვევად მქონდა, საბრძოლო ფორმას შეხვედრის დაწყებამდე 20 წუთით ადრე ვიცვამდი. იმ დღეს პირველად ვიჯექი ამდენ ხანს ფორმაში ჩაცმული პირსახოცმოხვეული. გავხედე ჩემს გულშემატკივრებს და გამეცინა, — ნუ გეშინიათ, — **Будет золото**-მეთქი, ვუთხარი.

ფუძიმოტოსგან განსხვავებით, მე რაკი შეხვედრების უმეტესობა სუფთა მოგებით მქონდა დამთავრებული, ფრეც მაწყობდა, მას — მხოლოდ ჩემი დამარცხება. უკვე ვიცი, გამარჯვებისთვის ის ნებისმიერ ავანტურაზე წამოვა. დასაკარგი არაფერი აქვს. ფრეს მიაღწევს, ქულებით წააგებს თუ — სუფთად, სამივე შემთხვევაში მეორე ადგილზე გადის. ამიტომ აუცილებლად გარისკავს. რისკი კი ზოგჯერ ამართლებს. მისი ეს ტაქტიკა კარგად ამოვხსენი, გადავწყვიტე, ფრთხილი ვყოფილიყავი და მსაჯებისთვის რაიმე საბაბი არ მიმეცა. თუმცა შეხვედრის დაწყებისთანავე მოწინააღმდეგე იმდენად აგრესიულად და აქტიურად წამოვიდა, რომ სულმა წამძლია და ღია ჭიდაობაში შევყევი. მახსოვს, ხელი შევაერთე, მოვქაჩე, უნდა გადამეგდო და ამ დროს ჩემი წინასწარი ტაქტიკური მოსაზრება გამახსენდა, რატომ გავრისკო?



ფინალი დამთავრდა, რომან რურუა ოლიმპიური ჩემპიონია!

მე გადაწყვეტილებას წამიერად ვცვლი. ამასობაში ვაგვიანებ. მოწინააღმდეგე ჩემს უარს თავის სასარგებლოდ შესანიშნავად იყენებს, ორივე ვბორძიკდებით, თეძოზე ვტრიალდები, და ხალიჩაზე ცალ-ცალკე, აქეთ-იქით ვეცემით. რაკი მისი დაწყებული ფანდია, ორ ქულასაც იღებს. ამის შემდეგ წინასწარ მოფიქრებულ ტაქტიკას ვივიწყებ და ღია ჭიდაობაზე შეგნებულად მივდივარ. აზარტი არც მოწინააღმდეგეს განელებია. ჩემი უპირატესობა მალევე იკვეთება და დაკარგულ ორ ქულას წამებში ვინაზღაურებ. იმ მომენტში ჩოქბჯენში მყავდა, დარწმუნებული ვიყავი, აქედან ველარსად გამექცეოდა, ჰაერში წამოვწიე, უნდა გადავაგდო და ამ დროს ცხვირიდან სისხლი თქრიალით წამსკდა. მოწინააღმდეგის ზურგი წითლად შეიღება. მსაჯებმა ფანდი აღარ დამამთავრებინეს, არადა, წესია ასეთი, დაწყებული ფანდი უნდა დაგამთავრებინონ, თუ რამეს დარღვევით არ აკეთებ. იმ წამში ვიგრძენი მსაჯების არაკეთილგანწყობა ჩემს მიმართ. შეხვედრა გააჩერეს და ექიმის სკამზე დამსვეს. ცხვირის ორივე ნესტოში ტამპონები გამიკეთეს, ამასობაში ხალიჩაც გაწმინდეს და შეხვედრა განვაახლეთ. სისხლის წასკდომამდე ვინაიდან მოწინააღმდეგე ჩოქბჯენში მყავდა, ვიფიქრე, ჭიდაობას აქედან გავაგრძელებდით, (ჭიდაობის წესების მიხედვით ასე უნდა ყოფილიყო), მაგრამ მსაჯმა მიგვითითა, — დგომიო. ესეც მსაჯების ჩემს მიმართ არაკეთილგანწყობაზე მიუთითებდა.

ყველაფერი დამთავრდა, ადგილები განაწილდა, ისევ მეგობრები არიან... **რომან რურუა** (ოქრო), **ჰიდეო ფუძიმოტო** (ვერცხლი), **სემიონ ბოპესკუ** (ბრინჯაო)

დავიწყეთ ჭიდაობა. ვგრძნობ, სუნთქვა მიჭირს, პირით სუნთქვის დროს ჟანგბადი არ მყოფნის. მალევე ცხვირიდან ტამპონები გამომივარდა და სისხლი წამომივიდა. შეხვედრა ისევ გააჩერეს. ექიმმა ისევ დამაწვინა და ორივე ნესტოში ტამპონები მაგრად გამიკვეხა. წამოვდექი, მსაჯმა შეხვედრის გაგრძელების ნიშანი მისცა და ამ დროს ორმა თეთრხალათიანმა ხალიჩაზე შემოირბინა და შეხვედრის გაჩერება მოითხოვა. ცხვირიდან ტამპონები პინცეტით გამომაძრეს და დოპინგზე გასასინჯად წაიღეს. ჩემს ექიმს, სისხლის შეწყვეტის მიზნით, ნიშადურის სპირტიც რომ გამოეყენებინა, ვინ იცის, შარი იქნებ ამაზეც მოედოთ?! და კიდევ რომ დამიწყო ტამპონის გაკეთება, გავბრაზდი, ბამბა გამოვართვი, მამაპაპურად დავახვიე და მე თვითონ გავიკვეხე ნესტოებში. ვიფიქრე, აქეთ დოპინგზე მედავებიან, იქით ჭიდაობის ჩოქბჯენში გაგრძელების უფლებას არ მაძლევენ, აგერ კიდევ ცხვირიდან ტამპონები გამომაცალეს, რამე შარი არ მომდონ-მეთქი. გადავწყვიტე, სიფრთხილე და ზომიერება შემენარჩუნებინა. მოწინააღმდეგის ავანტურას აღარ ავყოლივარ, ფრე მაწყობდა და სიფრთხილეს მოვუმატე. ბოლომდე, ამ ამოტენილი ცხვირით ვიჭიდავე, რისკის გარეშე. შეხვედრა ფრედ დავამთავრე და ოქროს მედლის მფლობელიც გავხდი. ეს არის ჩემი ერთ-ერთი შეხვედრა, რომელიც ფრედ შეგნებულად დავამთავრე, იმიტომ, რომ ოლიმპიური ოქროს ბედი წყდებოდა. შეხვედრის შემდეგ ისევ დოპინგკონტროლზე წამიყვანეს.

ოცნება ამისრულდა, მიზანს მივაღწიე. თუმცა, ოქროს მედლის მიუხედავად უკმაყოფილო დავრჩი. შემეძლო მოგება, მითუმეტეს ფუძიმოტო ბევრჯერ მყავდა დამარცხებული, მაგრამ იმის გამო, რომ მსაჯები საბჭოთა სპორტსმენების მიმართ ცუდად იყვნენ განწყობილნი, შეხვედრა ფრედ დავამთავრე. ჩვენი შეხვედრით დასრულდა მეხიკოს ოლიმპიური თამაშები. ჩემი მედალი 1968 წლის ოლიმპიადის ბოლო ოქრო იყო. საბჭოთა კავშირის გუნდში რვა მსოფლიო ჩემპიონიდან ოქროს მედალი მარტო მე მოვიპოვე.

1968 წ.
მეხიკო,
გამარჯვებულთა
საპატიო წრე
სარბიელზე,
შუაში ჭიდაობის
მსოფლიო
ფედერაციის
პრეზიდენტი
როჟე კულონი

1968 წ.
მეხიკო,
რომან რურუა
და თინათინ
ლეკვეიშვილი

●

და იყო ოქრო, თანაც ერთი კი არა ორი. რომან რურუას მეხიკოს ოლიმპიადაზე სტანდარტულ ოქროს მედალთან ერთად, მცირე ზომის იგივე ფორმის სამკერდე მედალიც გადასცეს.

მეხიკოს ოლიმპიადაზე საბჭოთა სპორტსმენებმა სულ 91 მედალი მოიპოვეს. აქედან 29-ოქრო, 32-ვერცხლი და 30-ბრინჯაო. მოსკოვი ოლიმპიურ ჩემპიონებს დიდი ზარ-ზეიმით შეხვდა. სადღესასწაულო შეხვედრა იყო დაგეგმილი თბილისშიც, თუმცა, უამინდობის გამო ფრენა სამი დღით გადაიდო. მოსკოვის აეროპორტში სამდღიანი მომქანცველი ლოდინის შემდეგ, თვითმფრინავმა გეზი თბილისისკენ აიღო, მაგრამ თბილისმა მისი მიღება კვლავ უამინდობის გამო ვერ შეძლო და სოხუმში დაჯდა. მგზავრებს გამოუცხადეს, შეგიძლიათ ერთი საათი გაისეირნოთო. ისინიც გარეთ გამოიშალნენ. ვიღაცამ ოლიმპიურ ჩემპიონს — რომან რურუას მოჰკრა თვალი და გადაწყვიტა, თბილისზე ადრე ოლიმპიურ ჩემპიონს აფხაზეთი მიაგებსო პატივს. ამ საქმის მოკვარახჭინება სოხუმელებმა აეროპორტის საინფორმაციო ბიუროდან დაიწყეს. რადიომ გამოაცხადა, რომ ფრენა თბილისის მიმართულებით დილამდე არ შედგებოდა. რომან რურუას და მის თანმხლებ რამდენიმე ადამიანს სხვა გზა აღარ დარჩათ გარდა იმისა, რომ სოხუმელების ნებას დაჰყოლოდნენ. იმ საღამოს შავიზღვისპირა სასტუმრო „აფხაზეთის“ საბანკეტო დარბაზში ჩემპიონების შესაფერი სუფრა გაიშალა. ამ ყველაფრის ორგანიზატორები და მასპინძლები სოხუმელი ძმები ლავრიკო და ემზარ ქაქუჩაიები იყვნენ, მათთან ერთად, რა თქმა უნდა, აფხაზებიც. სხვათა შორის, ამ სუფრას აფხაზი რურუაც ესწრებოდა, ადვოკატი ბორის რურუა.

რომან რურუამ მხოლოდ მეორე დღეს შეიტყო, რომ მისი თვითმფრინავი სოხუმის აეროპორტში დაჯდომიდან ზუსტად ერთ საათში გაფრენილა. ამ თვითმფრინავს უამრავი გულშემატკივარი დახვედრია. ელოდებოდნენ ჩემპიონს, ან ახლა გამოვა, ან ახლაო. რაკი პირველი არ გამოვიდა, ბოლო გამოვაო... მერე სალონშიც ასულან ხომ არ გვემალებაო... მაგრამ რას წარმოიდგენდენ, რომ ამ დროს ჩემპიონი სოხუმელებს ჰყავდათ „დატყვევებული“. სამაგიეროდ, მას დილით თბილისში გასამგზავრებლად პატარა თვითმფრინავი მოუმზადეს. მფრინავმა მდინარე აბაშის წყალს ააყოლა თვითმფრინავი, მუხურჩის თავზე რამდენჯერმე შემოატარა, ტრიუკების ხელოვნებაც აჩვენა და დედაქალაქისკენ გამოეშურა. როგორც იქნა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა თბილისამდე ჩამოაღწია. აქ მას ოთხდღიანი ლოდინით დაღლილმა და დაქანცულმა ხალხმა საზეიმო შეხვედრა მოუწყო, თუმცა, ამ შეხვედრას გამარჯვების პირველი ემოციები ცოტა განელებული ჰქონდა.

მარ-დელ-პლატა (არგენტინა) 1969 წელი მსოფლიო პირველობა

— ძალიან მინდოდა წონაში დაკლების ტანჯვა თავიდან ამეცილებინა და 1969 წლის მსოფლიო პირველობა მაღალ წონაში მეჭიდავა. მითუმეტეს, რომ დავამტკიცე, სსრკ-ში ამ წონაშიც უძლიერესი ვიყავი, ჩემპიონი გავხდი. მაგრამ შეკრებაზე მწვრთნელებმა გადაწყვიტეს, ვინაიდან მეხიკოს ოლიმპიადაზე საბჭოთა ნაკრებმა კლასიკურ ჭიდაობაში, ფაქტობრივად, ფიასკო განიცადა (ერთი ოქროს მეტი ვერ მივიღეთ), პოზიციების გასამაგრებლად, ავტორიტეტის დასაბრუნებლად, ყველამ თავის წონით კატეგორიაში უნდა იჭიდაოს, მათ შორის რურუამაც. მწვრთნელების გადაწყვეტილებით მე ისევ 62 კგ წონით კატეგორიაში უნდა მეასპარეზა. არ მინდოდა, მაგრამ, დაახლოებით 8-9 კგ ძალით დამაკლებინეს.

1969 წლის მსოფლიო პირველობა არგენტინაში, ქალაქ მარ-დელ-პლატაში გაიმართა. სხვათა შორის, ამ ქალაქიდან იყო იმ დროისათვის მსოფლიოში საკმაოდ ცნობილი და პოპულარული მსახიობი და მომღერალი ლოლიტა ტორესი. სხვადასხვა დროს სხვადასხვა მუსიკა მხიბლავდა, ხან ინდური, ხან ბერძნული... არგენტინაში ზუსტად მაშინ მოვხვდი, როცა ლოლიტა ტორესის ბრწყინვალე მუსიკაზე ვიყავი შეყვარებული. მარ-დელ-პლატას ქუჩებში რომ დავდიოდი, თვალწინ სულ ეს მომღერალი ქალი მედგა. სასტუმრო „ირუნა“-ში მე და ომარ ბლიაძე ერთ ოთახში ვცხოვრობდით. იქაურ ხელმძღვანელობასა და მომსახურე პერსონალთან ხშირი ურთიერთობა გვქონდა. მახსოვს, ერთხელ მათთვის მინდოდა მეთქვა, რომ ლოლიტას თაყვანისმცემელი ვიყავი. გულზე ხელი დავიდე და, — ლოლიტა, ლოლიტა... — რამდენჯერმე გავიმეორე ჩემი საყვარელი მომღერლის სახელი. შევეცადე ასეთი ფორმით ამეხსნა არგენტინელებისათვის ლოლიტას სიყვარული. გაეცინათ, მას შემდეგ ლოლიტას მეძახდნენ.

სასტუმროს გვერდით ხილის მაღაზია იყო. მე და ომარი ყოველ დღე ცოტ-ცოტას ვყიდულობდით. მესამედ რომ შევედით მაღაზიის მეპატრონემ ხილი აგვიწონა და მიუხედავად იმისა, რომ წონამ გადასახდელ თანხას გადააჭარბა, ხელის ჩაქნევით გვანიშნა, წაიღეთო. მეოთხედ რომ შევედით, ფული საერთოდ აღარ გამოგვართვა. უცხოეთში ასეთი რამ იშვიათია, ამიტომ გაგვიკვირდა, ასე რატომ მოიქცა. არგენტინაში ესპანურ ენაზე საუბრობენ. ეს კაციც ესპანურად ლაპარაკობდა, მაგრამ წარმოშობით ესპანელი თუ იყო, არ ვიცოდით. ხილის უფასოდ გამორთმევა მოგვერიდა და გამოველაპარაკეთ. ცოლ-შვილს დაუძახა, კონიაკი გამოიტანა, დაგვისხა და მათთან ერთად დაგვალევინა. მკერდზე ხელი დაიდო და გვითხრა, — ესპანია, იბერია... მიგვახვედრა, — ესპანელი ვარო, ეს ჩემი ცოლ-შვილიაო... მის ესპანურ საუბარში რამდენიმე სიტყვა დავიჭირე: ნანა და ნოხორილი. ნანა მეგრულად დედას ნიშნავს, ნოხორილი — ნასახლარს. ახლა, მეც მინდა გავაგებინო, საიდან ვართ და ვეუბნები: — რუსიენ, კავკასიენ... — ოქეი, —

თავს მიქნევს და ბოლოს ვთქვი: — სტალინ... — აა, სტალინ, კავკასიენ... ვიციო, ყველაფერს მიხვდა. შევეცადე ამ კაცისთვის ამეხსნა, რომ ჩვენც იბერია გვქვია. იბერია რომ გაიგო, — თქვენც ესპანელები ხართო? — გვკითხა. მართალია, იმის განმარტება, თუ რომელი იბერიელები ვიყავით, ვერ შევძელი, მაგრამ პირადად მე, მის მიერ ნათქვამი ორი ქართული სიტყვა გონებაში და გულში სამუდამოდ ჩამრჩა. დღესაც არ ვიცი, არის თუ არა ესპანურ ენაში ნანა და ნოხორილი, ან რას ნიშნავს, თუმცა, მაშინ ეს სიტყვები იმ კაცის ქართველებთან ნათესაური კავშირის უტყუარ მტკიცებულებად მივიჩნიე.

ერთ დილას საბანაოდ ქალაქგარეთ წაგვიყვანეს. საერთოდ ცივ წყალში არასდროს ვბანაობდი. ცნობილია, რომ ცივი წყალი კუნთებს ადუნებს და მგრძნობელობას უქვეითებს, მაგრამ არგენტინაში ჩემს ტრადიციას ვუღალატე და ცივ წყალში ჩავხტი. მთელი გუნდი ზღვაში, ნაპირიდან დაახლოებით 50 მეტრის მოშორებით ვიყავით, ვიღაცამ რომ დაიყვირა:



— ზვიგენი, ზვიგენი!..

გავიხედეთ და დავინახეთ, რაღაცა ფაფარაყრილი გაშმაგებით მოცურავს ჩვენსკენ. ღმერთმა უწყის წყლიდან ვინ როგორ ამოვიდა. გულგახეთქილები დავეყარეთ ნაპირზე. ზღვიდან თავქუდმოგლეჯილები რამ გამოგვაფორთხიალა, წესიერად ვერც კი გავიგეთ. სანაპიროს ის მონაკვეთი, სადაც ბანაობა ნებადართულია, ზვიგენისგან თავის დასაცავად ბადით არის შემოკავებული. ჩვენ პლაჟის გარეთ ვიყავით გასული, საშიში ამიტომ იყო. მეორე დღეს პლაჟზე უზარმაზარი მოკლული ზვიგენი ვნახეთ. არ ვიცი, ის ჩვენი ზვიგენი იყო თუ სხვა, ერთი ფაქტია, მსგავსი შემთხვევები არგენტინაში არცთუ იშვიათია.

პლაჟზე ჩვენმა გუნდმა ერთ საინტერესო ცერემონიაშიც მიიღო მონაწილეობა. იქ ასეთი წესი ჰქონიათ, ბავშვი თუ დაიკარგება, ვინმე კისერზე შეისვამს, ხალხი უკან ამოუდგება და პატრონის ძიებაში წინ და უკან დაატარებენ. ასეთი რამ ჩვენს იქ ყოფნაშიც მოხდა და ბავშვის პატრონის მაძიებლებს ჩვენც სიამოვნებით შევუერთდით.

შეჯიბრების დაწყებამდე ორი დღე იყო დარჩენილი. ერთ საღამოს მე და ომარ ბლიაძე მარ-დელ-პლატას ცენტრში სასეირნოდ წავედით. ლუდის ბარს მივადექით. ვხედავთ, პირდაპირ ვიტრინაში ცეცხლზე როგორ იწვის გოჭი, ქათამი, ინდაური, ცხვარი... მადის აღმძვრელად ტრიალებს პისტოლეტის მსგავს იარაღზე წამოცმულები. 8-9 კგ ხომ ძალით დამაკლებინეს, ამის შემყურეს შიმშილის გრძნობა ისე მომერია, თავს ძლივს ვიკავებდი. არადა, ორ დღეში მსოფლიო პირველობაა.

— თითო ნაჭერი ხორცი შევჭამოთ... — მეუბნება ომარი.

— ჯანდაბას ჩემი თავი, 3 კგ მაინც დასაკლები მაქვს, დავიკლებ, აბა, რას ვიზამ?! — მეც ვეთანხმები. შევედით, დავსხედით და ომარი ახლა იმაზე მითანხმებს, თითო ჭიქა ლუდიც დავაყოლოთ:

— სულ 200 გრამია, რა უნდა გვიქნას?!

— რაც არის არის, გავრისკავ... — ვერც ლუდზე ვამბობ უარს.

მიმტანს ორი ნაჭერი ხორცი და ორი ჭიქა ლუდი შევუკვეთეთ. ცოტა ხანში უკან ბრუნდება, მოაქვს ორი ცალი ლიტრიანი კათხა და გზადაგზა ასხამს. აქედან ვეძახით, — ნოუ, ნოუ... რა ნოუ, რის ნოუ.. ვერაფერს იგებს. ორივე კათხას ბოლომდე ავსებს და მაგიდაზე გვიდგამს. ამ ოქროსფერი, ცივი ლუდის დანახვაზე სურვილისგან ლამის გული წამივიდეს. თანდათან კათხა

ორთქლით რომ დაიბურა, ხომ მთლად გადავირიე. სურვილს ველარ ვუმკლავდები, ომარს კათხას ვუჭახუნებ და სულმოუთქმელად ვცლი... მე კი დავლიე, მაგრამ იმან გადაიფიქრა, აღარ დალია, სავსე კათხა მაგიდაზე დადგა.

— დალიე, დალიე! — ვეჩხუბები.

— ვერ დავლევ! — ქვა ააგდო და თავი შეუშვირა.

ძალიან გავბრაზდი, ამასობაში უცბად ჩაქცეული ლუდიც მომეკიდა, ტანში დამიარა. უკვე ბურანში ვარ.

— არა? — ვეკითხები ომარს.

— არა! — ისიც მპასუხობს.

მის კათხას ხელი დავავლე და სულმოუთქმელად ისიც ბოლომდე გამოვცალე. სასტუმროში როგორ მიმიყვანა, არ მახსოვს. კიდევ კარგი, მწვრთნელებმა ვერ დაგვინახეს. დილით რომ გამომეღვიძა პირველი, რამაც გონებაში გამიელვა, იყო, — ნეტა წონაში რამდენი ვარ?! ლოგინიდან წამოვდექი თუ არა, მაშინვე სარბენად წავედი. შემდეგ ცხელ აბაზანაში ჩავწექი, ლამის მოვიხარშე, მერე ისევ ლოგინს დავუბრუნდი და ყველაფერი, რისი დაფარებაც შეიძლებოდა, ზედ დავიყარე. ერთი სიტყვით, ამ პროცესში ის წონა დავიკელი, რაც წინა საღამოს ავკრიფე. შეხვედრამდე 3 კგ კიდევ მოსაკლები მაქვს. მეორე დღეს უნდა ავეწონეთ. მეორე დილისთვის ჩემს წონაზე 2,5 კგ-ით მეტი ვიყავი. 9 საათია. 2 საათზე საკონტროლო აწონვაა. 5 საათში 2,5 კგ უნდა მოვიკლო, მაგრამ როგორ?..

აი, რატომ მიყვარს საკუთარი თავი. იმ დილით ჩემს თავს აღთქმა მივეცი, რომ ეს არის ბოლო, რომ ორგანიზმს ამის შემდეგ უარს არასდროს არაფერზე ვეტყვი, ოღონდ ახლა დამმორჩილდეს, ოღონდ მოიკლოს წონა... ხომ გინდა, მსოფლიო ჩემპიონი მესამედაც გახდე?!.

საუნაში წავედი. ორი კაცი გამომაყოლეს. უფროსი მწვრთნელი ანატოლი კოლესოვი და 52 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ვლადიმერ ბაკულინი (ცოტა მასაც ჰქონდა მოსაკლები). იმ განწყობით მივდივარ, რომ ან მოვკვდები, ან წონაში დავიკლებ. მანამდე ასეთი საუნა არასდროს მენახა. ერთმანეთის მიყოლებით სამი ოთახი იყო: თბილი, საშუალო და ძალიან ცხელი. კოლესოვმა ინგლისური იცოდა და მომსახურე პერსონალი გააფრთხილა, — მესამე ოთახში ტემპერატურა მაქსიმალურად აწიეთო. მერე მე მომიბრუნდა და მითხრა:

— ჯერ პირველ ოთახში გავჩერდეთ.

— არა! — კატეგორიულ უარს ვაცხადებ.

— მაშინ მეორე ოთახში გავჩერდეთ... — ცდილობს დამითანხმოს.

— არა! — ისევ ცივ უარზე ვდგები და პირდაპირ მესამე ოთახში შევდივარ. ისეთი სიცხე იყო, იწვოდა იქაურობა. მახსოვს, დაწნული ხის სკამი იდგა. დავჯექი იმ სკამზე, კოლესოვი გვერდით მომიჯდა. ცოტა ხანში ცივი პირსახოცი მომიტანა, — თავზე დაიდე, არაფერი მოგივიდესო, — მაგრამ უარი ვუთხარი, პირსახოცისთვის ხელიც არ მიხლია. კოლესოვმა სიცხეს ველარ გაუძლო და გარეთ გავიდა. დავრჩი მარტო. ველოდები ოფლის გამოსვლას, მაგრამ არა და არ მოდის. ოთახში ყოფნა უკვე გაუსაძლისი ხდება და დავიწყე საკუთარ თავთან საუბარი.

სსრკ ნაკრების უფროსი მწვრთნელი ანატოლი კოლესოვი

— 2-3 საათი დაგრჩა აწონვამდე. ღირს ეს დრო იმისთვის, რომ გატყდე? შინაგანი ხმა მპასუხობს, — არა! მაშინ უნდა გაუძლო! რომ გაუძლო, კიდევ უნდა იჯდე.

კოლესოვმა შემოიხედა და მეძახის:

— გამოდი!

— არა! — ვეუბნები და საკუთარ თავთან საუბარს ვაგრძელებ, — ამ სამ საათში ყველაფერი უნდა მოითმინო. რამდენი წელია შენს გემოზე არც გიჭამია, არც გისვია. ყოველივე ამის საშუალება გექნება სულ ორიოდე საათის შემდეგ. პირობას გაძლევ, რომ ასეთ სიტუაციაში არასოდეს ჩავარდები, ქვეყანაზე უბედნიერესი კაცი იქნები... ვიხსენებ ჩემი სოფლის ანკარა წყაროს, ყანების შუაგულში რომ არის. წარმოვიდგინე როგორ ვეწაფები ცივ წყალს... (მაშინ რა ვიცოდი, რომ ორმოცი წლის შემდეგ ეს წყაროცა და მიწებიც ჩემი საკუთრება გახდებოდა?!.) წარმოვიდგინე შემდგომი ცხოვრება, რომ მე თავისუფალი ვარ, წონაში დაკლება აღარ მჭირდება...

რომან რურუა: თუ გინდა, მაყურებლის სიყვარული დაიმსახურო, მოწინააღმდეგისკენ უნდა ისწრაფვოდე...

ამ ოცნებებში ვიყავი, კოლესოვმა ისევ რომ შემოყო თავი და დამიყვირა:

— ახლავე გამოდი გარეთ!

გასვლაზე ისევ უარს ვამბობ. რომ გავიდე, მთელი ტანჯვა-წვალება წყალში ჩამეყრება. ორგანიზმი ისევ ხომ უნდა მივიყვანო იმ კონდიციამდე, ოფლმა დენა დაიწყოს. არადა, ოფლი არ მოდის. კანი გამომშრალია და იწვის... მთავარია, კულმინაცია გადავლახო. დრო თანდათან ხელში მადნება. ხელებზე დავიხედე, შემწვარი გოჭივით მქონდა გაწითლებული, კანზე მდინარესავით დაკლაკნილი ზოლები გამჩენოდა. ვიფიქრე, ხომ არ შევიწვი-

მეთქი, მაგრამ გამოსვლა თავში აზრადაც არ მომსვლია. საკუთარ თავთან საუბარი გავაგრძელე.

— აქედან არ გახვალ, ყველაფერს გააკეთებ იმისთვის, რომ ეს 2,5 კგ მოიკლო. მერე რაც უნდა მთხოვო, ნებისმიერ სურვილს შეგისრულებ...

კოლესოვი არ მასვენებს. ისევ შემოყო თავი და მეჩხუბება:

— ახლავე გამოდი!

— არა! — ვპასუხობ და გავარვარებულ ოთახში ჯიუტად ვრჩები. ამ დროს, თითქოს, ორ ნაწილად გავიყავი. ჩემს თავს მე აქედან ვესაუბრები, ის იქიდან მპასუხობს. მოლაპარაკება შედგა. მე პირობა მივეცი, რომ ეს იქნებოდა ბოლო და შევასრულე. რომ გავსულიყავი, მერე უკან ამ ჯოჯოხეთში შემოსვლა როგორი საქმე იყო?!. მეორედ ამას ვერ გავაკეთებდი, არც მაშინ და არც სხვა დროს. რომ გავსულიყავი, ვაი, თუ წონა დაკლებული არ მექნებოდა და ისევ შესაბრუნებელი გავხდებოდი?!. ჯინაზე ამიტომ ვიჯექი და ბოლომდე გავუძელი.

როგორც იქნა, ოფლის წამოსვლის ნიშნებიც გამოჩნდა. აწონვამდე დაახლოებით 40-50 წუთი იყო დარჩენილი ოთახიდან რომ გამომიყვანეს, დამაწვინეს და ახლო-მახლო თუ რამე იყო, ყველაფერი დამაფარეს. ოფლი მოდის და მოდის. ვფიქრობდი, — ნეტა ცოცხალი თუ ვარ?!. შეფუთულმა დროს მაქსიმალურად გავუძელი. მერე ცხვირი გამომაყოფინეს და ცივი ჰაერი რომ ჩავისუნთქე, სიცოცხლე დამიბრუნდა.

ეს იყო ყველაზე დიდი აღთქმა, რაც კი ოდესმე დამიდია. მისთვის არასდროს მიღალატია. ამიტომ დღესაც, როცა ვიტყვი, რომ მე ასე მინდა, ყოველთვის იმას ვაკეთებ.

საკონტროლო სასწორზე რომ დამაყენეს, ზუსტად 62 კგ ვიყავი. აქ კი ვარ ეს წონა, მაგრამ შეჯიბრის წინ იქ რომ დამაყენებენ, ხომ შეიძლება ცდომილება იყოს. 10 გრამს არ გაპატიებენ. ღმერთო დიდებულო, იქ იმ სასწორზეც ასე უნდა იყოს, მაგრამ რა ვიცი, რა იქნება?!. დავდექი იმ სასწორზე და ჩემი წონა აბსოლუტურად იდენტური აღმოჩნდა საკონტროლო სასწორზე ნაჩვენები წონისა. ვდგავარ და აღარ ჩამოვდივარ. ვიმეორებ და ვიმეორებ:



— ჩაწერეთ კაცო, ჩაწერეთ, ზუსტად აღნიშნეთ...

მერე ბორჯომი მომაწოდეს, მოვიყუდე, მაგრამ ყელში არ გადამდის. ორგანიზმმა მის მიღებაზე უარი თქვა. თავს ვაიძულებდი, როგორმე დამელია, ყლუპ-ყლუპად ვსვამდი. როგორც იქნა, ეს ერთი ბოთლი ბორჯომი ჩავისხი და ორგანიზმმაც ნელ-ნელა გამოღვიძება დაიწყო. ამის შემდეგ ისეთი ძალა და ენერგია ვიგრძენი, ვთქვი, ახლა გინდა ათი კაცი დამეჭიდოს-მეთქი. ცოტა საჭმელიც შევჭამე და ეს დაწყევლილი დროც გავიდა.

და მე მსოფლიო ჩემპიონი მესამედ გავხდი. იმ დღიდან წონაში დაკლება და ორგანიზმის ტანჯვა სამუდამოდ შევწყვიტე.

ფინალამდე, რა თქმა უნდა, რამდენიმე შეხვედრა მოვიგე. ზუსტად აღარ მახსოვს, მეოთხე თუ მეხუთე შეხვედრა გერმანელ მოჭიდავესთან გავმართე. მაშინ შეხვედრა ცხრაწუთიანი იყო. სამ-სამი წუთი ვჭიდაობდით, თითო წუთს ვისვენებდით. პირველი 2 ეტაპი დამთავრდა, ბოლო

სამი წუთია დარჩენილი და მეუბნებიან, — რომან 9:0 აგებო. — რას ჰქვია ვაგებ?! ტაბლოს გავხედე და 9 ქულა ჩემი რომ მეგონა, მოწინააღმდეგის სასარგებლოდ ეწერა. მომეჩვენა თუ რა მოხდა, არ ვიცი, ქულები ჩემად რატომ მივიღე. ეს რომ გავაცნობიერე, ვიგრძენი უფსკრულის წინ ვიდექი, ასეთი მომენტი ჭიდაობაში არასდროს მქონია. შეხვედრის მესამე ეტაპზე სასტვენის ხმის გაგონებისთანავე მოწინააღმდეგეს ძალიან სწრაფად და ენერგიულად შევუტიე. ამ სისწრაფეში მისი მოქაჩვა იმდენად ძლიერად მომივიდა, რომ მუხლზე პირდაპირ ცხვირით დამეცა. ვიდრე მსაჯები გაერკვეოდნენ, წამებში 16 ქულა გავაკეთე. აქეთ-იქიდან მეძახიან, — კიდევ ერთი ქულა გააკეთე და აშკარა უპირატესობა იქნებაო. 9:0 ვაგებდი, 8 წამში 16 ქულა ავკრიფე და ჩემგან კიდევ ერთ ქულას მოითხოვდნენ. გავბრაზდი, ქულა ჯინაზე აღარ გავაკეთე და შეხვედრა 16:9 დავამთავრე.



მარ-დელ-პლატაში გამართულ მსოფლიო პირველობაზე ფინალურ შეხვედრაში ყველაფერს საბჭოთა კავშირის ნაკრების დაუძინებელი მტერი რუმინელი მსაჯი იოან ბატიუ წყვეტდა. ხალიჩის სრული ბატონ-პატრონი იყო. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრებს არ სწყალობდა, ჩემს მიმართ ძალიან დადებითად იყო განწყობილი, პატივს მცემდა. ვიცოდი, უსამართლოდ არ დამჩაგრავდა, ცუდს არაფერს გამიკეთებდა. თავის განწყობას ყველა შეჯიბრზე მაგრძნობინებდა. ისიც ვიცოდი, საჭიროების შემთხვევაში დამეხმარებოდა კიდეც, მაგრამ საბედნიეროდ, მისი დახმარება არ დამჭირვებია. ჩემს მიმართ ასეთი განწყობის მიუხედავად არავის ვენდობოდი. ასე ვფიქრობდი, მსაჯი და მეტოქე ორივე ჩემი მოწინააღმდეგეა და ორივე უნდა დავამარცხო. ვიგებდი ლამაზად, კარგად, რაინდულად და ვაჟკაცურად. არავითარი აფიორა. როგორ გითხრათ, კაცები არ იფიცებიან, მაგრამ დასაფიცებლად რომ ყოფილიყო საქმე, ჩემი მოწინააღმდეგეებიც კი ჩემს თავს დაიფიცებდნენ. ჩემი სიტყვა კანონი იყო მათთვის და მსაჯებიც ჩემს მიმართ თავისთავად სიმპათიით განეწყვნენ. ხალიჩაზე თუ ხალიჩის მიღმა ღიმილით მღებულობდნენ.

და ბოლოს დამკვიდრდა ასეთი აზრი: ჩამოვიდა რურუა, ესე იგი, პირველ ადგილზე ფიქრი არავის შეუძლია! პირველი ადგილი შენია, არ გედავებითო, მოგვეხმარე თუ რამე შეგიძლიაო და მეც ვეხმარებოდი... ბევრ ქვეყანას ჩემი ვალი აქვს. საბჭოთა კავშირის ნაკრებში თუ რამე ჰქონდათ მოსალაპარაკებელი, ყველა ჩემთან გამოდიოდა კონტაქტზე და ხშირად ჩემი მეშვეობით ხდებოდა ურთიერთმოლაპარაკებები. საკუთარი თავის პატივისცემა ძვალსა და რბილში მქონდა და მაქვს გამჯდარი. თუ გინდა, სხვამ პატივი გცეს, საკუთარი თავის პატივისცემა უნდა ისწავლო. მე ჩემი ღირსება ყველაფერზე მაღლა დავაყენე, ამიტომ შეიკრა ასეთი წრე ჩემს ირგვლივ, ამიტომ ჩამოყალიბდა ჩემდამი ასეთი დამოკიდებულება. თუმცა, ღალატის მსხვერპლიც გამხადეს, თუნდაც ტალინში პირველი შეხვედრა რომ წამაგებინეს და იყო კიდევ სხვა მსგავსი მომენტები ჩემს ცხოვრებაში.

ტალინი (ესტონეთი)
1970 წელი – სსრკ პირველობა

– 1970 წელს გამართული საბჭოთა კავშირის პირველობა უკვე დიდ წონაში – 70 კგ-ში ვიჭიდავე. ვინაიდან ეს შეჯიბრება განსაზღვრავდა, ვინ იყო საბჭოთა კავშირში ნომერ პირველი მოჭიდავე, მინდოდა დამემტკიცებინა, რომ მე ამ წონაშიც უძლიერესი ვიყავი. მოსამზადებელ ეტაპს საზოგადოებები ატარებდნენ. მე საზოგადოება „კოლმეურნეს“ ერთადერთი წარმომადგენელი გახლდით და ამიტომ აქ ვარჯიში მარტოს მიწევდა. ტალინში ნახევრად მოუმზადებელი წავედი.

დაიწყო შეჯიბრება. პირველი შეხვედრა ქუთაისელ ბაქსან ლეკვეიშვილთან მომიწია. სხვათაშორის, ძლიერი მოჭიდავე გახლდათ. საკმაოდ ანგარიშგასაწევი მეტოქე იყო, საბჭოთა კავშირის ნაკრებს ეთამაშებოდა, ათეულში მოხვედრაზე ოცნებობდა.

პირველი შეხვედრაა. უფროსი მწვრთნელი – დავით გვანცელაძე მოვიდა ჩემთან და მითხრა:

– რომან, თავს ნუ მოიკლავ, ბაქსანს ვეტყვი და შეხვედრას დაგითმობს. შენ საჩემპიონო კაცი ხარ, მას ნაკლები შანსი აქვს, ამიტომ ძალები დაზოგე, არ დაიღალო, პირველ შეხვედრას შენს სასარგებლოდ დათმობს...

საერთოდ, მე მოწინააღმდეგესთან სამათხოვროდ საქმე არასდროს მქონია. როგორ ვიკადრებდი იმის თხოვნას, შეხვედრა დამითმე-მეთქი. ეს გადაწყვეტილება მწვრთნელებმა მიიღეს და ჩავთვალე, რომ ლეკვეიშვილი, ალბათ, თავადვე გააფრთხილეს. დავიწყეთ ჭიდაობა, გავიდა პირველი წუთები და არაფერი, ქულა არ მომცა. გავიდა მეორე პერიოდი და ისევ არაფერი. ვიფიქრე, ალბათ, მესამე პერიოდში დათმობს-მეთქი ქულას, მაგრამ მიწურულამდის მივედით და ვიგრძენი, არ აპირებს. შევეცადე უფრო აქტიური ვყოფილიყავი, იქნებ ვერ ახერხებს ისე, რომ შესამჩნევი არ იყოს და ღია ჭიდაობაში შევედი. ეს ჩემი გულახდილობა მან თავის სასარგებლოდ გამოიყენა, ჩოქბჯენში გადამიყვანა და ქულაც მიართვეს. დრო გადის. ვცდილობ, წამოვდგე ჩოქბჯენიდან, მაგრამ არ მიშვებს. ამასობაში დროც მიიწურა და პირველი შეხვედრა 1:0 წავაგე.

ეს სენსაცია იყო. რურუამ, რომელიც არავისთან აგებს, მარცხი განიცადა. რა გუნებაზე დადგები ამის შემდეგ?! ხალიჩაზე რას ვიტყოდი, გასახდელისკენ ისე წავედი, ხმა არ ამომიღია. უკან მოვიხედე და ვხედავ, ჯარი მომყვება, – მწვრთნელები, მონაწილეები, ყველა ტრაურშია. ერთმანეთს უხმოდ მისჩერებიან, მოახლოებას ვერ მიბედავენ. სკამს ხელი წამოვავლე, მათკენ გავექანე და ქართულად, გულიანად შევაგინე:

– თქვენი გამყიდველი დედა... თქვენს ჯინაზე ამ მედალს არავის გავატან!

ფინალამდე 6-7 შეხვედრა მაინც იყო დარჩენილი. ყველა სუფთად უნდა მოიგო, რომ ფინალში მოხვდე, თუ არა და, დაემშვიდობე ჩემპიონობას. გავაკეთე ეს საქმე. ექვსივე შეხვედრა მოვიგე, გავედი ფინალში და ოქროს მედლის მფლობელიც ღირსეულად გავხდი. ეს იყო ჩემი პასუხი. მე მათ ღალატს ძალით და მოქმედებით, შრომით და ოფლით დავუპირისპირდი და გავიმარჯვე. მოვიგე საბჭოთა კავშირის პირველობა, თანაც ჩემს წონაში კი არა, უფრო დიდ წონაში. მიზნად დავისახე მსოფლიო პირველობა დიდ წონაში მეჭიდავა და დამემტკიცებინა, რომ აქაც პირველობას არავის დავუთმობდი. გახარებული ვიყავი, რომ ამის შემდეგ წონაში დაკლება აღარ მომიწევდა.



1970 წ.
ტალინი,
სსრკ პირველობა,
სსრკ ნაკრების
წევრი
იური კოზინი
და რომან რურუა

ედმონტონი (კანადა)
1970 წელი
მსოფლიო პირველობა

– 1970 წლის მსოფლიო პირველობა კანადაში, ქალაქ ედმონტონში გაიმართა. მწვრთნელებმა ნება დამრთეს დიდ წონაში გამოვსულიყავი. პირველად ჩემს სპორტულ კარიერაში მომეცა საშუალება ჩემს ნებაზე მეჭიდავა. კვება და წყლის მიღება არ შემიზღუდავს. ამ მხრივ ორგანიზმს სრული თავისუფლება მივეცი. ამიტომ ჭიდაობა ძალიან მიხაროდა. ხალიჩაზე ამაღლებული განწყობით გამოვდიოდი. ფინალამდე ყველა შეხვედრა ბრწყინვალედ ჩავატარე. ერთი შეხვედრა პოპესკუსთან გავმართე, რუმინელებმა მთხოვეს და მე მას ქულებით მოვუგე, რომ მეორე ადგილზე გამეყვანა. ფინალში იაპონელ მოჭიდავეს შევხვდი. ეს ბიჭი ჩემთვის უცნობი იყო. მანამდე არც ხალიჩაზე შევხვედრილვარ და არც მისი ჭიდაობა მინახავს. ამიტომ მის გამოსვლას ვაკვირდებოდი. შეხვედრის დროს ყველა მოწინააღმდეგეს ერთი და იგივე ფანდს უკეთებდა. საერთოდ, ყველა მოჭიდავეს თავისი ძირითადი ფანდი აქვს. ყველა ცდილობს, შეხვედრის დაწყებისთანავე ეს, მთავარი და ძირითადი ფანდი გამოიყენოს, რომ თავისი უპირატესობა პირველსავე წუთებში გამოკვეთოს. ეს ნებისმიერი მოჭიდავის თვისებაა. ამის შესახებ ძალიან კარგად ვიცოდი, ამიტომ ჩემთვის ჭიდაობის პროცესში 2-3 წუთი დაკვირვება საკმარისი იყო, რომ მივმხვდარიყავი ესა თუ ის სპორტსმენი რისი მაქნისი ან გამკეთებელი გახლდათ. იაპონელ მოჭიდავეზე დაკვირვებამ დამანახა, რომ იგი ყველა მეტოქესთან ჭიდაობას იწყებს ფანდით, რომელსაც მოწინააღმდეგის მარჯვენა ხელიდან აკეთებს. ვინც ხელი გამოსწია, ყველას ეს ფანდი გაუკეთა. ამით ის შეხვედრებს ძალიან კარგად და შთამბეჭდავად იგებდა.



1970 წ.
კანადა,
ფინალი

როგორც იქნა, ჩვენი შეხვედრაც შედგა. გავწიე თუ არა ხელი, შემოტრიალდა და თავისი „საფირმო“ ფანდის გაკეთება დამიწყო. მარჯვენა შეგნებულად წავწიე წინ, ვიცოდი, რასაც მოიმოქმედებდა და წამში ხელი უკანვე წამოვიღე. იაპონელი ჩემი ხელის გარეშე, შებრუნებული ტანით დარჩა. მეც ეს მინდოდა. უკნიდან ორივე ხელი მოვხვიე და ხალიჩაზე დავაბერტყე. რამდენიმე წამში 12 ქულა გავაკეთე. ასეთ ტემპში ამდენი ქულის გაკეთება ადვილი აღსაწერი არ არის. შეხვედრა გააჩერეს და ქულების ათვლა დაიწყეს. მაშინ ვიდეოთი გადაღება ჯერ კიდევ არ იყო შემო-

სული, ამიტომ ზუსტად რამდენი ქულა გაკეთდა, ვერ იანგარიშეს. ტაბლოს გავხედე და ჩემს სასარგებლოდ 12:0 ეწერა. მერე იაპონელსაც შევხედე და გულში გამოვემშვიდობე, — კარგად იყავი... საბოლოოდ შეხვედრა 21:0 დავასრულე. ეს შეხვედრა ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ არა მარტო ედმონტონში, საერთოდ, ჩემს საჭიდაო კარიერაში.

1970 წ. ედმონტონი, მსოფლიო პირველობა, ფინალური დავჭილდოება...

წაგება-მოგების ბედს აქ მარტო ძალა არ წყვეტდა, რა თქმა უნდა, ძლიერი ვიყავი, მაგრამ ძირითადი აქცენტი კომბინაციურ ჭიდაობაზე, მრავალფეროვან ტაქტიკასა და ტექნიკაზე მქონდა გადატანილი. ვიწყებდი ერთი ფანდით, გადავდიოდი მეორეზე, მეორედან — მესამეზე და ა.შ. ამ დროს ძალიან ძნელია მოწინააღმდეგე მიხვდეს, რას აკეთებ. ეს არის კომბინაციური ჭიდაობა, რაშიც მე ძალიან კარგად ვიყავი დახელოვნებული და ამით მეტოქეს ადვილად ვამარცხებდი. აი, რითი გავუსწარი დროს. ასეთი ტაქტიკური სვლა ჭიდაობაში ახალი ხედვა გახლდათ, რომლის განვითარებაც ნიჭიერ სპორტსმენებს ხელეწიფებათ. ვინც ეს გამოიყენა, ბევრი მოიგო. ჩემი ჭიდაობა ყველას მოსწონდა, საინტერესო და შთამბეჭდავ სანახაობად გადაიქცეოდა-ხოლმე. ყველგან, სადაც ჩემს გამოსვლას გამოაცხადებდნენ, დარბაზიდან გასული ხალხი უკან მორბოდა და ეს მე სტიმულს მმატებდა, მე მათთვისაც უნდა მეჭიდავა. ასე იყო კანადაშიც. რადიომ რომ გამოაცხადა რურუა გამოდისო, დარბაზი მაყურებლით გაიჭედა. ყველას უნდოდა ჩემი ჭიდაობა ენახა.

ოქროს მედალთან ერთად კიდევ ერთი ჯილდო. რომან რურუა: ასე სახალხოდ არასდროს მიკოცნია...

ეს ჩვენი შეხვედრა რომ არა, შეიძლება იაპონელისთვის საუკეთესო ტექნიკისთვის პრიზიც კი მიეცათ და ჩემპიონატის საუკეთესო მოჭიდავედაც დაესახელებინათ, მაგრამ ედმონტონში საუკეთესო მოჭიდავედ მე დამასახელეს.

ოთხ მსოფლიო ჩემპიონატში ვარ გამარჯვებული, ოთხჯერ ვიყავი მსოფლიო პირველობის ოქროს მედალოსანი. აქედან სამჯერ ჩემპიონატის საუკეთესო მოჭიდავედ დამასახელეს. მეხიკოშიც საუკეთესო ვიყავი.

ერთ იმ დროისთვის ჩეხურ პოპულარულ სპორტულ ჟურნალში „Стадион“ მსოფლიოს 1970 წლის საუკეთესო სამი სპორტსმენი დასახელდა: მოკრივე — კასიუს კლეი (მუჰამედ ალი), ჩოგბურთელი — სანტანა და მოჭიდავე — რომან რურუა.





რომან რურუა:
ჩემი ჭიდაობა ყველას მოსწონდა, საინტერესო და შთამბეჭდავ სანახაობად გადაიქცეოდა-ხოლმე. ყველგან, სადაც ჩემს გამოსვლას გამოაცხადებდნენ, დარბაზიდან გასული ხალხი უკან მორბოდა და ეს მე სტიმულს მმატებდა, მე მათთვისაც უნდა მეჭიდავა...









რომან რურუა: ბევრი მოწინააღმდეგე მთხოვდა, რომ ეს ფანდი არ გამეკეთებინა, საშიშიც იყო და დამამცირებელიც.













სსრკ ხალხთა V სპარტაკიადა
1971 წელი

როგორც ყოველთვის, ოლიმპიური თამაშების წინ, ერთი წლით ადრე მოსკოვში ხალხთა სპარტაკიადა იმართებოდა. საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებმა მასში მონაწილეობის მისაღებად მზადება დაიწყო. საქართველოს უდაო ფავორიტი ჰყავს, დაუმარცხებელი მოჭიდავე რომან რურუა და არ სურს გაითვალისწინოს, რომ სპორტსმენს ამ დროისთვის ტრავმა აწუხებს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გადაწყვიტეს, რომ თუნდაც სპორტული კარიერის ფასად, რურუამ რესპუბლიკის სახელისთვის აუცილებლად უნდა იჭიდაოს.

რომან რურუა:

– 1970 წლის ბოლოს ავად გავხდი. ხერხემალზე დაგროვილი მარილებისგან წანაზარდები გამიჩნდა, სადღაც ნერვს აწვებოდა და საშინელი ტკივილები მქონდა. ამის გამო ჩემმა სხეულმა დეფორმაცია განიცადა. მოსკოვში რენტგენი გადამიღეს და საკავშირო სპორტკომიტეტმა სურათები მსოფლიოს წამყვან კლინიკებს გაუგზავნა. მკურნალობის ხარჯებს საბჭოთა კავშირის სპორტკომიტეტი იღებდა, ოღონდ სადმე რამე საშველი ყოფილიყო. ყველა სამკურნალო ცენტრიდან უარყოფითი პასუხი მოვიდა, – ამის განკურნება, ფაქტობრივად, შეუძლებელიაო. მხოლოდ მინსკში აღმოჩნდა ერთი ქირურგი, რომელმაც ოპერაციის გაკეთება თავის თავზე აიღო. ცნობილი მოჭიდავის, ალექსანდრე მედვედის რეკომენდაციით თავდაპირველად დავთანხმდი, მაგრამ მერე, როცა ოპერაციის მსვლელობის დეტალები ამიხსნეს, კატეგორიული უარი განვაცხადე.

1967 წ. მოსკოვი, სსრკ ხალხთა IV სპარტაკიადა, გივი კარტოზია და რომან რურუა



ქირურგი ხერხემალში ზურგიდან კი არ შედიოდა, მკერდიდან მუცლამდე უნდა გავეკვეთე და ხერხემალზე დაგროვილ წანაზარდებამდე ამ გზით მისულიყო. ზურგიდან რომ გაეჭრათ, ნერვის სადენი შეიძლებოდა დაზიანებულიყო და ძალიან ცოტა შანსი მრჩებოდა იმისთვის, რომ სამუდამოდ ინვალიდი არ დავრჩენილიყავი. რა თქმა უნდა, ქირურგიულ ჩარევას არ დავთანხმდი და თერაპიული მკურნალობა გავაგრძელე. ერთხანობას პიატიგორსკში გამაგზავნეს. ხან დაჭიმვებს, ხან წყლისქვეშა მასაჟებს მიკეთებდნენ. არაფერმა მიშველა.

1971 წლის ზაფხულში მოსკოვის №1 ცენტრალურ საავადმყოფოში დამაწვინეს. პაპანაქება ზაფხულია. სპარტაკიადისთვის გაგანია მზადება მიდის. მე ყველაფერს გამოთიშული ვარ. თავდაპირველად საქართველოში კი დავიწყე მომზადება, მაგრამ მერე პირდაპირ საავადმყოფოში ამოვყავი თავი და ბუნებრივია, ჩავთვალე, რომ წლევანდელი ხალხთა სპარტაკიადა უჩემოდ ჩაივლიდა. საავადმყოფოში ჩემთან საქართველოს ცენტრალური კომიტეტის სახელით ვახტანგ კუხიანიძე და ირაკლი სა-

რაჯიშვილი მოვიდნენ და მკითხეს, ჭიდაობას თუ შევძლებდი. მე ვუპასუხე, რომ შეჯიბრებისთვის მზად არ ვიყავი. ავანტურისტი უნდა იყო, რომ ასეთ პირობებში ხალიჩაზე გახვიდე. მაშინ მთხოვეს, რომ საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელებს შევხვედროდი. სპარტაკიადაზე ყველა რესპუბლიკის დელეგაციას თავისი შტაბი ჰქონდა გახსნილი, გუნდები იქიდან იმართებოდა. მეგონა, მთავარი ექიმი არ გამიშვებდა, მაგრამ პარტიის სახელით სთხოვეს და საავადმყოფოდან ერთი საათით გასვლის ნება დამრთო. შტაბში მიმიყვანეს. იქ ორი ცეკას მდივანი დამხვდა: დევი სტურუა და მიხეილ გოგიჩაიშვილი. მათ გარდა შტაბში სპორტკომიტეტის ხელმძღვანელი გიორგი სიხარულიძე, საგანგებოდ ჩამოყვანილი გივი კარტოზია და როსტომ აბაშიძე მელოდა. იმ დროისათვის ჭიდაობიდან უკვე ორივე წასული იყო.



1971 წ. მოსკოვი, სსრკ ხალხთა V სპარტაკიადა, მწვრთნელი და მასაჟისტი ძმები კაპიტონოვები და რომან რურუა

— როგორ ხარ? — მეკითხებიან, თან ხედავენ ჩემს მდგომარეობას.

ფსიქოლოგიურად კარგად ვიყავი, მაგრამ ფიზიკურად — კაცს ჩემი დანახვა შეაშინებდა. ვდგავარ კვაზიმუდოსავით დაჯღანული, ტანი აქეთ გამოწეული, თეძო-იქით, კისერი მოღრეცილი... ამის მიუხედავად, მეუბნებიან, — უნდა იჭიდაო. ჩემს მდგომარეობას ყურადღებას არავინ აქცევს. მაშინ იდეოლოგია ძალიან მაღალ დონეზე იყო. სამშობლო ამას ითხოვსო, პარტია შენგან ამას ელისო და ა. შ. ჩემი თაობა იმ პათოსით გაგვზარდეს, რომ პასუხისმგებლობა პარტიისა და სამშობლოს წინაშე ყველაფერზე მაღლა უნდა დაგვეყენებინა. მერე ამ პარტიულ მუშაკებთან საუბარში კარტოზია და აბაშიძეც ჩაერთო.

— რაც იქნება, იქნება, იჭიდავე. — მითხრა გივიმ და როსტომმაც მხარი აუბა.

— რა იქნება და წავაგებ შეხვედრას.

— წააგე, მერე რა უჭირს, ჩავთვლით, რომ ავად იყავი....

წინააღმდეგობის გაწევა კიდევ ვცადე:

— თქვენ კი ჩათვლით, მაგრამ წაგება მე რომ არ შემიძლია?!.

— ჰოო, ჩვენც ზუსტად ეგ გვინდა... — გაეცინათ.

ერთი სიტყვით, ბევრი წვალების შემდეგ დამითანხმეს და ასე გამხადეს ავანტურისტი, რაც შემდეგ ძალიან ძვირად დამიჯდა. შეჯიბრი მეორე დღეს იწყებოდა. იმ საღამოს ჩემთვის ტკივილების მოსახსნელად ნემსის გაკეთება გადაწყვიტეს და ცნობილ ტრავმატოლოგთან — ზოია მირონოვასთან (სპორტული მედიცინის ქირურგი იყო) ბინაში მიმიყვანეს. ამ ქალმა მითხრა, — ნემსით ხერხემალში უნდა შევიდეო... წავიდა და გამოიტანა უზარმაზარი ნემსი, „კავკასიელ ტყვე ქალში“ მორგუნოვის პერსონაჟს რომ უკეთებენ, დაახლოებით იმის მსგავსი. მშიშარა არა ვარ, მაგრამ ეს ნემსი რომ დავინახე, შიშით კინაღამ გადავირიე. თანაც, ხერხემალში უნდა შევიდეო...

— თავი დამანებეთ, არანაირი ნემსი არ მინდა, ისე ვიჭიდავებ! — ოღონდ ის ნემსი არ გაეკეთებინათ, ხალიჩაზე გასვლას რაღას დავეძებდი. იქიდან უნემსოდ წამოვედი.

მახსოვს, შეჯიბრება „ძმები ზნამენსკების“ სახელობის მძლეოსნობის დახურულ სტადიონზე იმართებოდა. დილით სასწორზე რომ დამაყენეს 64 კგ ვიყავი. მითხრეს, — შენს წონაში კი არა, 68 კგ წონით კატეგორიაში იჭი-



დავებო. სხვა დროს 7-8 კგ-ს სიმწრით ვიკლებდი და ახლა საავადმყოფოში წონა ბუნებრივად დავიკელი. წონა პროტოკოლში ჩაწერეს და ხალიჩაზე გამიშვეს. მეტოქე გამოვიდა, ხელი ჩამომართვა და გამიღიმა. მე ჩემს წონაში არ ვჭიდაობდი და ამიტომ მოწინააღმდეგეებს ნაკლებად ვიცნობდი, ფიზიკურად ყველა ჩემზე დიდი იყო. ნიკაპამდის ვწვდებოდი. ვერც ეს ბიჭი ვიცანი. სასტვენის ხმა რომ მისცეს, მე კი დავიწყე ჭიდაობა, მაგრამ ვხვდები, მეტოქე არ ჭიდაობს, ფართხალებს, ხალიჩიდან გამირბის. ამის გამო შეხვედრიდან ზუსტად 4 წუთში მოხსნეს.

მოგვიანებით, გავარკვიე, რომ ეს ის ბიჭია, რომელსაც ალუშ-

1971 წ.
მოსკოვი,
სსრკ ხალხთა
V სპარტაკიადა

ტაში საკონტროლო შეხვედრაზე ტვინის შერყევა დავმართე. ახლა, იქ რა მოხდა: საკონტროლო შეხვედრაზე ჩემთან ჭიდაობა ისე უხეშად დაიწყო, გრიგორიევი მიმიქარავს. ვინ არის ეს სულელი-მეთქი, ვიფიქრე, მსაჯებმაც მიმიშვეს, ზოგჯერ ასეთ მომენტებში ობიექტურები არიან, გინდა უხეში ჭიდაობა? მიდი და იჭიდავე... მომცეს უფლება ის მეკეთებინა, რასაც მეტოქე ითხოვდა და იმსახურებდა. ჰოდა, ისეთ დღეში ჩავაგდე, დამტვრევა არ ვაკმარე, ტვინის შერყევაც დავმართე. იქვე თავბრუსხვევა და გულის რევა დაეწყო. დარბაზიდან სასწრაფოთი წაიყვანეს. სამი თვე იწვა საავადმყოფოში. სპარტაკიადაზე ჩემი პირველი მეტოქე თურმე ეს ბიჭია. დაშინებული რაღას მეჭიდავებოდა?! ხალიჩაზე ამიტომ კანკალებდა და ფართხალებდა. თუ გეშინია, ვერ იჭიდავებ. აქედან მოყოლებული შვიდი შეხვედრა მოვიგე და სპარტაკიადის ჩემპიონი მესამედ გავხდი.

სხვათა შორის, საბჭოთა კავშირში კლასიკურ ჭიდაობაში სულ სამი კაცი ვართ სპარტაკიადის სამგზის ჩემპიონები: ანატოლი როშჩინი, ვასილ მირკულოვი და მე.

●

სპარტაკიადიდან იმ დღესვე საავადმყოფოში დავბრუნდი. მსოფლიო პირველობა ახლოვდებოდა. გუნებაში წასვლა კი მქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ ამ ტრავმისთვის რა მომეხერხებინა, არ ვიცოდი. ვიწექი საავადმყოფოში და ვფიქრობდი, საბჭოთა კავშირში ისევ №1 მოჭიდავე ვარ, ჩემი უპირატესობა ამ წონაშიც დავამტკიცე, მაგრამ თვენახევარში ბულგარეთში მსოფლიო პირველობა იწყება, მე კი ერთი თვეა აქ ვწევარ და ჯერჯერობით არანაირი შედეგი არ მიმიღია. ტკივილებმა ნერვები წაიღო...

საწოლზე მიჯაჭვული რომ არ ვყოფილიყავი, ხშირად ვმოძრაობდი, ვცდილობდი წოლის ისეთი პოზა მომეძებნა, ტკივილი შემემსუბუქებინა. ამ ფიქრში უცნაურმა აზრმა გამიელვა, რა არის ეს ოხერი ტკივილი, იმას იქით რა უნდა იყოს?!. მოდი, იმ წერტილს მოვძებნი, სადაც ტკივილის კულმინაციაა და ვნახავ, სადამდე გავუძლებ, ან ის როგორ მომერევა. ერთი სიტყვით, ჩემს ავადმყოფობას ომი გამოვუცხადე.

ლოგინში ნელ-ნელა ვტრიალებ, ტკივილი თანდათან მატულობს, მოვძებნე კულმინაცია და გავიყინე. რაც უნდა მოხდეს, მხარს არ შევიცვლი, ტკივილს განელების საშუალებას არ მივცემ. ან ის ვერ გამიძლებს, ან მე გავუძლებ მას... ეტყობა ნერვებთან ჭიდილით დავიღალე და ამ ბრძოლაში ჩამძინებია. რომ გამომეღვიძა, ოფლში ვცურავდი. ჩემთან ერთად პალატაში ჰოკეისტი ბიჭები იწვნენ. შეშინებულები მიყურებდნენ.

— რა მოგივიდა? — მეკითხებოდნენ.

გამოღვიძებულმა ვიგრძენი, რომ ტკივილი სადღაც გამქრალიყო.

— რა მოხდა, რაშია საქმე, ტკივილი სად წავიდა? — თავს თავადვე ვეკითხებოდი და მის მოძებნას განვაგრძობდი. მივაგენი, ისევ დავიჭირე და კულმინაციამდე ავიყვანე. იგივე განმეორდა. ჩამეძინა და რომ გამომეღვიძა, ტკივილი ისევ გაქცეულიყო. სამჯერ გავიმეორე ასეთი რამ, ტკივილი ჩემგან გაიქცა და მე მასზე ფსიქოლოგიურად გავიმარჯვე. 10 დღეში ტკივილებისგან განთავისუფლდი. წელში გავიმართე, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს აბსოლუტურ განკურნებას არ ნიშნავდა.

მსოფლიო პირველობისთვის მზადება რომ დავიწყე, დავიტვირთე.

ტრავმამ თავი ისევ შემახსენა და წელში მომხარა. ამ მდგომარეობის მიუხედავად, ვინაიდან სპარტაკიადა მოგებული მქონდა, პრეტენზია ბულგარეთში მსოფლიო პირველობაზე წასასვლელად მაინც გამიჩნდა.



შეუძლებელია სრულად აღწერა და გადმოცემა ყველა იმ შეხვედრის, რომელიც რომან რურუამ თავისი საჭიდაო კარიერის მანძილზე გამართა. აქ წარმოდგენილი ფოტოები, მხოლოდ მცირე ნაწილია ლეგენდარული მოჭიდავის სპორტული თავგადასავალისა...















რომან რურუა:
ჭიდაობაში ჩემი
შესაძლებლობების
15-20% დავკარგე, მაგრამ ეს
კანონზომიერია. დანაკარგის
გარეშე წარმატების მიღწევა
შეუძლებელია.
1963 წლიდან 1972 წლამდე
№1 მოჭიდავე ვიყავი,
თითქმის 10 წელი პირველობა
არავისთვის დამითმია...



სოფია (ბულგარეთი)

1971 წელი მსოფლიო პირველობა

— ბულგარეთში მსოფლიო პირველობაზე პირველი შეხვედრა ევროპის პრიზიორთან, უნგრელ მოჭიდავესთან, შტეერთან მქონდა. ტრავმის მიუხედავად საკმაოდ აქტიურად შევუტიე. პირველ ორ ეტაპს ქულებით ვუგებდი. ორივე მაღალი რანგის მოჭიდავე ვიყავით და ალალად, გულიანად ვჭიდაობდით. მაგრამ მოწინააღმდეგე პასიურობდა. მსაჯი გერმანელი იყო. ეს პასიურობა გახდა გერმანელი მსაჯისთვის იმის საბაბი, რომ შეხვედრის დამთავრებამდე ბოლო სამ წუთში ორივე მოჭიდავისთვის გაფრთხილება მიეცა. ცოტა ხანში გაფრთხილება ისევ ორივეს მოგვცეს. მეორე გაფრთხილებას მესამეც მიაყოლეს, ოთხ-ოთხი საჯარიმო ქულა დაგვიწერეს და ხალიჩიდან მოგვხსნეს. რაც იმას ნიშნავდა, რომ ფინალამდე მისვლა ურთულესი საქმე იქნებოდა.

საერთოდ, როცა ერთმანეთს ასეთი დონის და რანგის მოჭიდავეები ხვდებიან, — ერთი მსოფლიო, მეორე — ევროპის პრიზიორი, შეხვედრიდან არ ხსნიან. შეიძლება ერთ-ერთი მოხსნან, მაგრამ არა — ორივე. სამ წუთში სამი გაფრთხილება მისცენ, მითუმეტეს, ორივეს ერთად, ორივე პირველი ადგილის ფავორიტს, ასეთი რამ ჭიდაობის ისტორიას იშვიათად ახსოვს.

ჩვენ კი რა გაგვიკეთა მსაჯმა, შეხვედრა სუფთა წაგებად ჩაგვითვალა და ხალიჩიდან, გაგვაძევა. ექვს საჯარიმო ქულაზე უკვე გავარდნილი ხარ, ანუ ქულებით მეორე და მესამე შეხვედრაც რომ მომეგო, ან ფრე დამემთავრებინა, ფინალამდე მაინც ვერ მივიდოდი. არადა, ხუთი-ექვსი შეხვედრა იქნებოდა დარჩენილი. მსოფლიო ჩემპიონატზე ხუთი შეხვედრის სუფთა მოგებით დამთავრება იოლი საქმე არ გახლავთ. ქვეყანა მარტო შენი ხომ არ არის?!

ამის შემდეგ ოთხი შეხვედრა ვიჭიდავე და ოთხივე სუფთა მოგებით დავასრულე. მივედი მეექვსე, ანუ ფინალის წინა შეხვედრამდე. აქ მე იუგოსლავიელ მოჭიდავეს სრეტენ დამიანოვიჩს უნდა შევხვედროდი. კარგი მოჭიდავე იყო, მაგრამ სერიოზულ მეტოქედ არ ვთვლიდი. როგორც მინდოდა, მასთან ისე ვჭიდაობდი. ჩვენ წინასწარ შევთანხმდით, რომ თუ მე პირველ სამ წუთში ქულებს ვერ გავაკეთებდი, მაშინ შეხვედრას დავუთმობდი. წინააღმდეგ შემთხვევაში გზიდან ის ჩამომეცლებოდა. ეს გადაწყვეტილება იმიტომ მივიღეთ, რომ ერთმანეთის საქმე არ გაგვეფუჭებინა.

ერთი სიტყვით, მოვილაპარაკეთ. მასთან სუფთად თუ არა, ქულებით მაინც მოვიგებდი. ასეთი მოგება ჩემთვის ხელსაყრელი არ იყო. მისთვის მარცხი ნებისმიერ შემთხვევაში შეჯიბრებიდან გავარდნას ნიშნავდა. მე შენ გიგებ, ხომ?!. ამიტომ ნუ ამკიდებ იმ ერთ ქულას, ეს შენ არაფერში გჭირდება. თავისუფლად შემეძლო მასთან ასეთი სახის მოლაპარაკება, იმიტომ, რომ სხვაგან და სხვა დროს ხელი გამიმართავს, მივხმარებივარ. მოკლედ, შევთანხმდით.

შეხვედრა დაიწყო. პირველივე წუთებში ქულა რომ ვერ გავაკეთო, ეს შეხვედრა მერე უკვე მისია. თავადაც ხომ იცის, რომ ახლა დროს უნდა გაუძლოს, ამიტომ ხალიჩიდან გაქცევა დაიწყო და ეს სამი წუთი ხელში შემომაფრცქვნა. ის აქეთ-იქით გარბი-გამორბის, ხან ექიმთან არის, ამას მე ქულებად არავინ მითვლის... მისთვის გაფრთხილებაც კი არ მიუციათ, ალბათ იმიტომ, რომ დამიანოვიჩი ჭიდაობის მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტის მილან ერცეგანის თანამემამულეა და მსაჯები პატივისცემის ნიშნად მის მიხმარებას მეტ-ნაკლებად ყოველთვის ცდილობდნენ. ასეა თუ ისე, მე ეს სამი წუთი ხელში შემომაციცქნა და პირველი ეტაპი 0:0 დასრულდა.

სიტყვა სიტყვაა. მე სიტყვა მქონდა მიცემული და უკან აღარ წავიღებდი. შეხვედრის მეორე ეტაპზე, რაღაც მომენტში ხალიჩიდან გავედი, ტრავმა მოვიმიზეზე და ექიმს ვთხოვე, მომხსენი-მეთქი. ზოგიერთებივით ხალიჩაზე ბეჭზე ხომ არ დავწვებოდი?! ჩემს ცხოვრებაში არ წამიგია და მოწინააღმდეგის ხელის აწევით არც ამ შეხვედრას დავასრულებდი. შეხვედრის გაგრძელებაზე უარი ვთქვი და დამიანოვიჩს ფინალისკენ გზა გავუხსენი. ამით ჩემი სიტყვა შევასრულე. ფინალში ის გერმანელ მოჭიდავეს, გიუფერტს შეხვდა. ფინალურ შეხვედრაზე დამიანოვიჩი ისე გავუშვი, რომ ამ გერმანელთან ფრეც აწყობდა. შეხვედრიდან რომ მოვიხსენი, გერმანელები მეცნენ, — ეს რა ქენიო?!. გიუფერტი ევროპის ჩემპიონი იყო, სიაში შეჯიბრზე ქვემოდან მოდიოდა, ჩვენ — ზემოდან. ერთმანეთს რომ არ შეეხვედროდით, გერმანელმა მსაჯმა პირველი შეხვედრიდან ამიტომ მოგვხსნა. მე ყველაფერი გავაკეთე იმისთვის, რომ დამიანოვიჩი ჩემპიონი გამხდარიყო. გერმანელები მიხვდნენ, ასე რატომ მოვიქეცი, იმიტომ, რომ მათმა მსაჯმა, გიუფერტი მსოფლიო ჩემპიონი რომ გაეხადა, მე და ევროპის პრიზიორი შეხვედრიდან მოგვხსნა, 4-4 საჯარიმო ქულა მიგვაღებინა და გაგვაფუჭა, ნორმალურად ჭიდაობის საშუალება არ მოგვცა, გიუფერტამდის არ მიგვიშვა.

იუგოსლავიელს მასთან ფრე აწყობდა. რადგან ფედერაციის პრეზიდენტის ქვეყნიდან იყო, ცოტა მიეხმარნენ კიდეც, ფრე გააკეთებინეს და მსოფლიო ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა. სხვათა შორის, დამიანოვიჩი მსოფლიო ჩემპიონი მხოლოდ ერთხელ გახდა და ისიც ჩემი წყალობით.

რატომ აღმოჩნდა ჩემთვის უიღბლო ბულგარეთის მსოფლიო პირველობა?

მართალია, ტრავმამ იმოქმედა, ალბათ, სხვა შემთხვევაში პირველი შეხვედრა არ გამიჭირდებოდა, მაგრამ წარუმატებლობის მიზეზს მე უფრო ორი თვის წინ სპარტაკიადაზე ჩემს გახარჯულ ენერგიასა და განწყობაში ვხედავ. სპარტაკიადაზე იმიტომ კი არ გავიმარჯვე, რომ ძალიან კარგად ვიყავი მომზადებული, პირიქით, ასეთი მოუმზადებელი არასდროს ვყოფილვარ. პირველი შეხვედრა ოთხ წუთში და შემდეგი ექვსი შეხვედრაც, ჩემი ნერვებისა და შემართების ხარჯზე მოვიგე. მთელი ენერგია და განწყობა ამ შეჯიბრებას შევალიე და მერე მსოფლიო პირველობისთვის იგივე ნერვებისა და შემართების აღსადგენად თვენახევარი აღარ მეყო. ზუსტად აქ იჩინა თავი ჩემმა შეცდომამ და ავანტურამ. აი, ეს გამიკეთეს ცეკას მდივნებმა და პატრიოტიზმმა. ახლა, მკითხველმა შეაფასოს, ღირდა სპარტაკიადაზე ჩემი გამარჯვება?!

როცა ვამბობ, რომ მსოფლიოში შეხვედრა არ წამიგია-მეთქი, ამაში ბულგარეთის მსოფლიო პირველობასაც ვგულისხმობ, იმიტომ, რომ იქ ჩემთვის არავის მოუგია. ჯერ იყო და ხალიჩიდან ორივე ერთად გაგვაძევეს, მერე ტრავმის მომიზეზებით ჩემი ნებით მივატოვე მეტოქე, სიტყვის ერთგული რომ დავრჩენილიყავი. თუმცა, იქაც საბოლოოდ ადგილები ჩემი გადასანაწილებელი გახდა. ესეც მკითხველმა განსაჯოს.

ვინ შეცვლის რურუას?

„Руруа уже не тот Руруа.“

1972 წელი ოლიმპიური თამაშების წელია. საბჭოთა ნაკრები ოლიმპიადისთვის მზადებას იწყებს და, როგორც ჩანს, აქედანვე იწყება რომან რურუას წინააღმდეგ ინტრიგების ხლართვა. ოლიმპიადამდე საბჭოთა კავშირის პირველობა იმართება. რურუა მასში მონაწილეობის მიღებას არ აპირებს. ამ დროს ის ომსკში ინტენსიურ მკურნალობას გადის და თავის მეგობართან ვიქტორ იგუმენოვთან ცხოვრობს. ომსკელი იყო, აგრეთვე, საბჭოთა კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელი ვასილ გრომიკო. იგი იგუმენოვის სახლის ხშირი სტუმარი გახლდათ. სწორედ ის ითანხმებს რომან რურუას საბჭოთა კავშირის პირველობაზე იასპარეზოს, — ვნახოთ შენი ფიზიკური მდგომარეობა, რა დონეზე ხარ, თუ შევატყობ, რომ თავს კარგად ვერ გრძნობ, გაგათავისუფლებთო...

თავისი მდგომარეობით რურუაც ინტერესდება და თანხმდება, თუმცა, მოგვიანებით მიხვდება, რომ ეს დიდი შეცდომა იყო. ომსკიდან ისევ მოუმზადებელი პირდაპირ ულიანოვსკში მიდის, სადაც საბჭოთა კავშირის პირველობა უნდა გაიმართოს.



რომან რურუა:

— პირველი შეხვედრა ადგილობრივ მოჭიდავეს-თან მქონდა. საკმაოდ ძლიერი ბიჭი იყო და ძალიან უხეშად მეჭიდავებოდა. ერთ მომენტში პირდაპირ გა-მოექანა ჩემსკენ და, თავური დარტყმაო, რომ იტყ-ვიან, სახეზე თავი ზუსტად ისე მხეთქა. ეს აბსოლუ-ტურად გააზრებულად, ყოველგვარი შემთხვევითობის გარეშე გააკეთა. ტუჩებიდან სისხლი წამსკდა. ხელი მოვისვი და სისხლი რომ დავინახე, გაშლილი ხელი ისე ვლეწე ყურის ძირში, დატრიალდა და მუხლზე ჩაიჩოქა.

როგორც ის მომექცა, მეც ისევე მოვექეცი. შეიძ-ლება ეს არასპორტული საქციელია, მითუმეტეს ხა-ლიჩაზე, მაგრამ კაცური პასუხია. ამის გამო მსაჯებს შეხვედრიდან არ მოვუხსნივარ. ითათბირეს და გა-დაწყვიტეს, რომ ორივესთვის გაფრთხილება მოე-ცათ, — იმან დაარტყა და ამანაც უპასუხაო. ალბათ, ასეთ გადაწყვეტილებაში თავისი როლი ჩემმა ავტო-რიტეტმაც ითამაშა. შეხვედრა მოვიგე, მაგრამ ვგრძნობდი, ის აღარ ვიყავი, რაც ადრე. მე ხომ პირ-ველობისთვის არ მოვმზადებულვარ, ერთის მხრივ ტრავმამ, მეორეს მხრივ მოუმზადებლობამ, თავის კვალი დამამჩნია.

მესამე შეხვედრა შამილ ხისამუტდინოვთან გავ-მართე. გამოსვლამდე 30 წუთი იყო დარჩენილი, რომ აღმოვაჩინე, დარბაზში საქართველოს გარდა, ყვე-ლა რესპუბლიკის დროშაა გამოფენილი. საერთოდ, ჩვევად მქონდა, საბჭოთა კავშირში საქართველოს დროშას ვეძებდი, საზღვარგარეთ — საბჭოთა კავში-რისას. დარბაზის დირექტორთან მივედი და ვუსაყვე-დურე. ბოდიში მომიხადა, — ეს როგორ მოგვივიდა, ახლავე მოვნახავთო... ამას გარკვეული დრო დასჭირდა. რა დროს დროშა იყო, იქნებ ჯობდა ჩემი საქმისთვის მიმეხედა?! მაგრამ ასე კი მოვიქეცი. გამოსასვლელად ვემზადები, ჩემს თილისმას — ცხვირსახოცს ვეძებ და ვერ ვპოულობ, ჩანთაში არ არის, სასტუმროში დამრჩენია. მის მოსატანად დრო არ მეყოფოდა. სხვა რა გზა მქონდა, უთილისმოდ გავედი ხალიჩაზე. ვჭი-დაობთ. ხისამუტდინოვი ჩოქბჯენში მყავს, ჩოქბჯენში მართლა ძლიერი ვი-ყავი. ნახევარ მეტრზე წამოვწიე, უნდა ამოვქაჩო და გამახსენდა, რომ ხერხემალი მტკივა. ისევ დაბლა დავუშვი. ჩემი ძირითადი ფანდი ხელიდან გავუშვი. ეს შეცდომა იყო. ამ გრძელი ჩაჭიდებიდან მოწინააღმდეგე ამო-მიტრიალდა. ქვევიდან ხიდურზე ვდგავარ, ის ჩემსკენ ზურგით არის, უნდა ამოვკრა, მაგრამ ხიდზე შევყოვნდი. მოწინააღმდეგე არაფერს აკეთებს. რა-კი ჩემი დაწყებული ფანდია და ვერ ვამთავრებ, მსაჯები მიიჩნევენ, რომ მეტოქე წინააღმდეგობას მიწევს და ქულების ათვლას მის სასარგებლოდ იწყებენ: ერთი, ორი, სამი...

ხისამუტდინოვი გრძელი ჩაჭიდებიდან კი არ უნდა დამეტრიალებინა, მოკლე მანძილიდან ჩაჭიდება უნდა ამერჩია. ეს იყო ერთადერთი ტექნიკური შეცდომა, რომელიც სპორტულ ცხოვრებაში დავუშვი და ისიც საბედისწე-რო გამოდგა. შეხვედრა 3:1 წავაგე. ამან მწვრთნელებს ათქმევინა: — **„Руруа уже не тот Руруа.“**

ჩემგან ყველა ყოველთვის სასწაულს ელოდა. ჩემი ასეთი ჭიდაობა არავის ახსოვს. რახან ჩემი რანგი ველარ ვაჩვენე, მწვრთნელებსაც და სპორტის სხვა ხელმძღვანელებსაც საფიქრალი გაუჩნდათ, — ვინ შეცვლის რურუას?.. ჩემი უპირატესობის დასამტკიცებლად ოლიმპიურ თამაშებამდე დრო კიდევ მქონდა, ამიტომ მითქმა-მოთქმის გასაფანტად განცხადება გავაკეთე: — სათუო რომ არ გახდეს, ამ ეტაპზე ვინ უფრო ძლიერია, რურუა თუ ხისამუტდინოვი, ეს ოლიმპიადის წინა ტურნირზე რუმინეთში გავარკვიოთ, ამით წერტილი დაესმევა მოჭიდავეთა შერჩევას. მე გეგმაში ვზივარ, გეგმაშია ხისამუტდინოვიც, ერთმანეთს იქ შევხვდებით და ჩემს უპირატესობას დავამტკიცებ. ეს მიუნჰენის ოლიმპიადის ბოლო ტურნირი გახლდათ. შეჯიბრზე, გასინჯვის ბოლო ეტაპზე მე და ხისამუტდინოვი შევხვდებოდით და გაირკვეოდა, ჩვენს შორის უძლიერესი რომელი იყო. მითქმა-მოთქმას ამით წერტილი დაესმებოდა.

ვიდრე რუმინეთში წავიდოდით, საბჭოთა კავშირის ნაკრები კარპატებში — ვოროხტაში ვემზადებოდით. საკონტროლო შეხვედრაზე ერთმანეთთან მე და ხისამუტდინოვი დაგვაპირისპირეს. უპრობლემოდ მოვუგე 7:0. 15-20 დღეში რუმინეთშიც, ალბათ, იგივე ბედი ელოდა, მაგრამ ხისამუტდინოვი სატურნირო სიიდან სასწრაფოდ ამოიღეს. მისთვის რუმინეთშიც რომ მომეგო, მიუნჰენის ოლიმპიადაზე წასასვლელად პრეტენზიას უკვე ველარ გამოთქვამდნენ. ამიტომ გზიდან ჩამომაშორეს. რუმინეთში ყველაზე რთული მოწინააღმდეგე სლავა ტოპოროვი გამომაყოლეს, კაცი, რომელიც ჩემთან ძალიან კარგად ჭიდაობდა, წინააღმდეგობის გაწევა კარგად შეეძლო. თუ ხისამუტდინოვს სიიდან იღებთ, მის მაგივრად სხვას რატომ მიპირისპირებთ?! გზას რატომ მიღობავთ?! მაგრამ ეშინოდათ, ხისამუდტინოვს მოუგებსო და, მართლა, მოვუგებდი. სალაპარაკო აღარაფერი ექნებოდათ. საბჭოთა კავშირში რუსეთის წარმომადგენელს გარკვეული პრივილეგია ყოველთვის ჰქონდა და სწორედ ეს პრინციპი ამოქმედდა... მე რომ საბჭოთა კავშირის პირველობაზე წარმატებულად გამოვსულიყავი, ისევ ის სასწაული ფანდები მეკეთებინა, მაშინ პრეტენზია არავის ექნებოდა. მაგრამ რაკი საქმე სათუოდ გავხადე, სალაპარაკო მივეცი, ათასნაირი კუდი მოაბეს, ტყუილ-მართალი ერთმანეთში აურიეს და საშუალება აღარ მომცეს ამ სიტუაციიდან გამოვსულიყავი.

1970-იანი წლები, თბილისი, ნიკოლაი პარხომენკო, გენადი საპუნოვი, შამილ ხისამუტდინოვი, ეძიმი გენადი ბაკუშევი სტუმრად რომან რურუას ოჯახში

სპარტაკიადაზე ჩემი იძულებით გამოყვანა შეცდომა იყო, მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონი გავხდი. შეცდომა იყო, აგრეთვე, ულიანოვსკში ჩემი გამოსვლა, ისევე როგორც კარპატებში საკონტროლო შეხვედრებზე ხისამუტდინოვის დამარცხება. მე რომ ვარჯიშზე არ მომეგო, მაშინ მას რუმინეთში გამომაყოლებდნენ და ჩემს უპირატესობას დავამტკიცებდი. ძლიერ მოწინააღმდეგეს თავი სუსტად უნდა მოაჩვენო და დროს დაელოდო. მე კი პირიქით მოვიქეცი. სხვათა შორის, საბჭოთა კავშირის ჭიდაობის სამმართველოს უფროსმა ვიქტორ ბორისოვმა პრესაში განაცხადა: — რუმინეთში ტურნირზე ორივე მიდის, ვინც გაიმარჯვებს, ოლიმპიურ საგზურსაც ის მიიღებსო. მაგრამ ეს გადაწყვეტილება ხიფათის თავიდან ასაცილებლად შეცვალეს. ტურნირზე ხისამუტდინოვის მწვრთნელი ნიკოლოზ პარხომენკო, ტოპოროვი და მისი მწვრთნელი ვლადიმერ პისარიოვი გამომაყოლეს. სამივე ჩემი მოწინააღმდეგე იყო.

პირველი შეხვედრა ერთ ძალიან სუსტ მოჭიდავესთან გავმართე. ჭიდაობის დროს რაღაც იტკინა, ჩოქბჯენში მყავდა. ხალიჩაზე რომ დააბრუნეს, მსაჯმა-დგომიო, მიგვითითა. ჩემთვის სულ ერთი იყო ამ მეტოქესთან დგომი და ჩოქბჯენი, მაგრამ მსაჯს მაინც შევახსენე, ჩოქბჯენი იყო-მეთქი. მწვრთნელებმა — პისარიოვმა და პარხომენკომ ეს ჟესტი მერე ჩემს წინააღმდეგ გამოიყენეს. არადა, ეს შეხვედრა, კარგად მახსოვს დიდი ანგარიშით 20-ზე მეტი ქულით მოვიგე. მოვუგე ტოპოროვსაც.

ყველა შეხვედრა კარგად ვიჭიდავე, ყველა მოვიგე და ფინალში კვლავ სემიონ პოპესკუს შევხვდი. ეს შეჯიბრი მის ქალაქში ტარდებოდა. შეჯიბრს დარბაზიდან მისი ცოლ-შვილიც ადევნებდა თვალს. ორი ვაჟი ჰყოლია. პოპესკუმ მთხოვა:

— ცოლ-შვილი მიყურებს და წაგება არ მინდა, ფრედ დამამთავრებინე...

სხვაგან რომ ვყოფილიყავით, უარს ვეტყოდი, იმიტომ, რომ ვიცოდი, რუსები ამას როგორ გამოიყენებდნენ, მაგრამ რა მექნა, აბა, ცოლ-შვილი უყურებდა და მის ქალაქში ასეთი ცნობილი მოჭიდავე როგორ დამემარცხებინა?! ორივე მწვრთნელი გავაფრთხილე, პოპესკუ ფრეს მთხოვს, ფრეს შემთხვევაში მე მაინც ჩემპიონი ვარ და ეს ფრე უნდა გავაკეთო-მეთქი. უარი არ უთქვამთ და ასეც მოვიქეცი.

დავბრუნდით მოსკოვში. ასეთი წესი იყო, ტურნირიდან დაბრუნების შემდეგ ყველა მონაწილეზე გრიფით-საიდუმლო დახასიათება იწერებოდა.. ჩემს დახასიათებაში ჩაწერეს:

— „...ჭირვეული გახდა, ნერვებს ვეღარ თოკავს, მსაჯს ეკამათებოდა (ჩოქბჯენზე რომ შევახსენე, ეს გამოიყენეს), პოპესკუს შეხვედრის ფრედ დამთავრებას სთხოვდა. რურუა უკვე ის აღარ არის, ამიტომ გარისკვა არ ღირს...“

ამ შეფასებას მხოლოდ პისარიოვი და პარხომენკო გააკეთებდნენ, სხვა მწვრთნელი ამას არ დაწერდა, ანუ წინასწარ ყველაფერი გამიზნული იყო. ერთი სიტყვით, ყველანაირად ეცადნენ მინისტრი — სერგეი პავლოვი და მისი მოადგილეები ამაში დაერწმუნებინათ.

ამ გრიფით — საიდუმლო დახასიათების შესახებ ჯერ არაფერი ვიცოდი. კი ვხვდებოდი, რომ ჩემს წინააღმდეგ ინტრიგები იხლართებოდა, მაგრამ ოლიმპიადაზე თუ არ გამიშვებდნენ, ამის დაჯერება მიჭირდა. მიუნჰენის ოლიმპიადისთვის ბელორუსიაში, სტაიკებში ვემზადებოდით. ნესტიანი ადგილია და ჩემს ტრავმაზე ძალიან ცუდად იმოქმედა... ტკივილებმა თავი შემახსენა და წელში ისევ გადამხარა. თუმცა, მაინც მთელი დატვირთვით ვვარჯიშობდი. მზადების პროცესში ვიყავით უნგრეთის ნაკრები გუნდი რომ ჩამოვიდა. ჯერ გამოცხადებული არ არის მიუნჰენში ვინ წავა. მანამდე ორი შეხვედრა უნგრეთის გუნდთან უნდა გაგვემართა, ერთი — საბჭოთა კავში-

რის, მეორე — ბელორუსიის სახელით. მითხრეს, — ბელორუსიის სახელით უნდა იასპარეზოო. ცივ უარზე დავდექი:

— საბჭოთა ნაკრების წევრი ვარ, ბელორუსიის სახელით რატომ უნდა ვიჭიდავო?..

ეს იყო ჩემი მეოთხე შეცდომა. იმიტომ, რომ ხისამუტდინოვმა იჭიდავა და შეხვედრა მეტოქესთან ფრედ ძლივძლივობით დაამთავრა. მე იმ მოჭიდავესთან შეხვედრილი ვიყავი, ჩემთვის არაფერს წარმოადგენდა, ხალიჩაზე „დავახრჩობდი.“ ბელორუსიის სახელით ასპარეზობაზე უარი რომ არ მეთქვა, ხისამუტდინოვის შემდეგ მე შევხვდებოდი და ჩემს უპირატესობას ყველა დაინახავდა, მითუმეტეს, რომ ამ შეხვედრებს მინისტრი პავლოვი და მისი მოადგილეებიც ესწრებოდენ, მაგრამ ეს შესაძლებლობაც ხელიდან გავუშვი. ოთხივე შეცდომის დაშვებაში ხელი შემიწყო იმ ხალხმა, ვისთანაც წლების მანძილზე მქონდა ურთიერთობა. ეტყობა, მათ თავი მოვაბეზრე ჩემი წარმატებებით და ეს ვიგრძენი. დღეს ვთვლი, რომ ესეც ბუნების კანონზომიერება იყო.

ოლიმპიური თამაშების დაწყებიდან 20 დღით ადრე გუნდის შემადგენლობა გამოაცხადეს. ვარჯიშისთვის გუნდი დილის 9 საათზე ეწყობა. დავმწკრივდით. ყველა წონითი კატეგორია ცალ-ცალკე გამოაცხადეს, მეოთხე ჩემი წონითი კატეგორია იყო. სია ამოიკითხეს და რურუა ამ სიაში პირველ ნომრად არ აღმოჩნდა.

ასეთ სიტუაციაში არასდროს ვყოფილვარ. გარშემო ყველა შემომეცალა, დავრჩი მარტო. ადგილიდან ვერ ვიძროდი. პირველად ჩემს სპორტულ კარიერაში ამდენი წარმატებებისა და ტიტულების შემდეგ, გუნდის შემადგენლობაში პირველ ნომრად ვერ მოვხვდი. მახსოვს, ზუსტად იმ წუთებში საიდანღაც სევდიანი მუსიკის ხმა შემომესმა. ასეთი სიმღერაა: — ო, მამი, მამი... ვიფიქრე, — ამ ოხრებმა სპეციალურად ხომ არ დაუკრეს?!. სიმღერა დამთავრდა და მეც მივიღე გადაწყვეტილება:

— გუნდიდან მივდივარ!

ეს გადაწყვეტილება ერთადერთი სწორი ნაბიჯი იყო. ოთახში ავედი. ჩემი ნივთები ჩავალაგე. იგუმენოვთან ერთად ვცხოვრობდი. რომ დაინახა წასვლას ვაპირებდი, გადაირია, ვერ იჯერებდა:

— რას შვრები, მიდიხარ?.. — შემეკითხა.

— უკვე დროა, ასე სჯობს! - ვუპასუხე და ოთახიდან გამოვედი.

მწვრთნელებს გამოვემშვიდობე, ახლა მათ სცადეს ჩემი შეჩერება, მაგრამ ჩემი გადაწყვეტილება მტკიცე გახლდათ და მას ველარავინ შემაცვლევინებდა. მეორეხარისხოვანი არასდროს ვყოფილვარ და არც ვიქნებოდი. ხისამუტდინოვთანაც შევედი ოთახში, ეძინა, გავაღვიძე, ხელი ჩამოვართვი, გუნდში მოხვედრა მივულოცე, წარმატებები ვუსურვე და მასაც გამოვემშვიდობე. სხვათა შორის, კარგი ბიჭი იყო. ესტაფეტა ვიღაც არიფს კი არა, ბრწყინვალე მოჭიდავეს გადავეცი, შესანიშნავი ფალავანი დადგა. მიუნჰენში ოლიმპიურ ოქროს დაეუფლა, მსოფლიო ჩემპიონი ორჯერ თუ სამჯერ გახდა. მიუნჰენის ოლიმპიადაზე პოპესკუს შეხვედრია. მერე პოპესკუმ ბოდიში შემომითვალა, მაიძულეს და შეხვედრა დამათმობინესო. იმ პერიოდში შამილს ხელს უწყობდნენ. მოგვიანებით გავიგე, რომ სამედიცინო დახასიათებაში მისთვის გაცილებით უკეთესი მაჩვენებლები ჩაუწერიათ, ვიდრე ჩემთვის. ექიმებთან კარგი ურთიერთობა მქონდა და ოლიმპიადის შემდეგ აღიარეს, რომ პარხომენკოსგან ჰქონდათ დავალებული...

32 წლის ასაკში დავამთავრე ჩემი სპორტული კარიერა. სხვათა შორის, შემეძლო მიუნჰენში წასასვლელად ჩემს ძირითად წონაში, 63 კგ წონით კატეგორიაში პრეტენზია გამეცხადებინა, მაგრამ ამით ჯემალ მეგრელიშვილს გზას გადავუკეტავდი და ეს არ გავაკეთე. ყველას ვეხმარებოდი. ჩემი წყალობით გუნდში ბევრი მოხვდა, მათ შორის მეგრელიშვილიც, ამიტომ წინ აღარ გადავეღობე.

განუყრელი მეგობრები ვიქტორ იგუმენოვი და რომან რურუა ადრიატიკის ძვეყნეების თასის მფლობელები

მიუნჰენში გამგზავრებამდე ერთი კვირით ადრე იგუმენოვმა თბილისში დამირეკა და მითხრა, — ცხვირსახოცი რატომ არ დამიტოვეო?.. — არ გითხოვია-მეთქი, — ვუპასუხე. ნივთებს რომ ვალაგებდი, ხელში მეჭირა, ვიქტორმა დაინახა, მაგრამ არ უთხოვია. ამიტომ თან გამოვიყოლე. მერე კი გავუგზავნე, მაგრამ, როგორც უკვე გიამბეთ, დაიკარგა. იგუმენოვმა ცხვირსახოცი ვერ მიიღო და ჩემპიონი ვერც ის გახდა. იგუმენოვი რა შუაში იყო, მაგრამ ბუნების კანონზომიერებამ მისი მწვრთნელი გრომიკო დასაჯა. მას არ ჰყავს ოლიმპიური ჩემპიონი...

არ ვიცი, ბედისწერაა თუ უცნაური დამთხვევა, მაგრამ ულიანოვსკში, ხისამუტდინოვთან შეხვედრის დღეს, დილით აბაზანაში თმას რომ ვივარცხნიდი, სავარცხელი ხელიდან გამივარდა და პირდაპირ უნიტაზში ჩავარდა, დარბაზში საქართველოს დროშა არ დამხვდა, მერე აღმოვაჩინე, რომ ცხვირსახოციც დამრჩენია...

რას უნდა ნიშნავდეს ეს, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი ცხოვრებისეული წვრილმანები, ვერ ვხვდები. ერთი კი ფაქტია, ჩემი სპორტული კარიერის დასასრული აქედან იწყება.

ჭიდაობაში ჩემი შესაძლებლობების 15-20% დავკარგე, მაგრამ ეს კანონზომიერია. დანაკარგის გარეშე წარმატების მიღწევა შეუძლებელია. 1963 წლიდან 1972 წლამდე №1 მოჭიდავე ვიყავი, თითქმის 10 წელი პირველობა არავისთვის დამითმია, დავთმე და ჭიდაობა დავამთავრე კიდეც.

ეტყობა, ყველაფერს თავისი დრო აქვს. რაც უნდა ძლიერი იყო, რაც უნდა დიდი ავტორიტეტი გქონდეს, დასასრული ყველაფერს აქვს.

სხვადასხვა დროს მიღებული მედლები და ჯილდოები

ЧЕМПИОН СССР

ЧЕМПИОН СССР

ЧЕМПИОН СССР

ЧЕМПИОН СССР

ЧЕМПИОН СССР

V СПАРТАКИАДА НАРОДОВ СССР

ЗА ТРУДОВУЮ ДОБЛЕСТЬ
СССР

СССР
ЗНАК ПОЧЕТА

ЗА ТРУДОВУЮ ДОБЛЕСТЬ

FIRL

AD GLORIAM AD HONOREM
PYTLASIŃSKI

POLSKI ZWIĄZEK ZAPASNICZY
PZZ

ROMANIA

100 KROONI

МИНСК
1967



FSC

FILA SENATOR CLUB

AND

INTERNATIONAL FEDERATION OF ASSOCIATED WRESTLING STYLES

FILA

Dear Friend,

With kind regards and thanks for your significant participation in developing the world's wrestling styles.

Yours sincerely,

Gocha Dzasokhov
President of FSC

Raphael Martinetti
President FILA

2007-2008

В ПАМЯТЬ О ПОБЕДЕ
СОВЕТСКИХ СПОРТСМЕНОВ
НА ПЕРВЕНСТВЕ МИРА
ПО КЛАССИЧЕСКОЙ БОРЬБЕ

GEORGIA
10

XXII ОЛИМПИАДА МОСКВА 1980

FILA

ROMANIA

MINSK BELARUS

ΔΙΕΘΝΕΣ ΤΟΥΡΝΟΥΑ
ΠΑΛΗΣ ΑΚΡΟΠΟΛΗΣ
ΑΘΗΝΑ 1985



მორის ფოცხიშვილი

ჭ ი დ ი ლ ი

რომან რურუას

არც მთებმა
და არც
ბარჩხალა მზემ,
არამედ წლობით ბრძოლამ და შრომამ
ინგირ-მდინარედ გვაქცია ჩვენ,
ინგურ-სინათლედ, რომან!

ვით ჯიუტ მუხებს, გახსოვდეს რომ
ქართან პირისპირ გვიხდება დგომა,—
აკრძალურ ილეთს იყენებს დრო
ჩვენს წასაქცევად, რომან!

ახლა წლებთანაც ვჭიდაობთ ჩვენ,
იწყება ძველი ტოტების ტყდომა,
დღეს ემატება უბრალოდ დღე,
ჩვენს წასაქცევად, რომან!

მაგრამ სამშობლო გვიმაგრებს ფრთებს,
გულმა რა იცის მიმწუხრში კრთომა,
ეს გაუმარჯოს დაგრეხილ წლებს, —
გაფრენილ სიყრმეს, რომან!

კვლავ მოგვიხდება,
„ქო, ბიჭო, ქო“,
ლოდებზე ცინცხალ ტალღებად სხლტომა,
აკრძალურ ილეთს იყენებს დრო
ჩვენს დასაცემად, რომან!

მაინც ვჭიდაობთ და მაინც ვძლებთ,
რაც უნდა თეთრად დაგვფიფქოს დრომან...
მაშ, გაუმარჯოს ბარჩხალა მზეს,
ღრუბლებს რომ დასცემს, რომან!

1972 წ.

რომან რურუას

პოიაკო, პირშაობა შენი ვიცი, გამიგია,
და დღეიდან ჩვენ ორს შუა ეს ხალიჩა გამიგია.
მეხიკოში თუ ჩამოხვალ, იცი, რა დღეც დაგადგება,
ისე უნდა დაგამტვრიო, გაწყევლინო დაბადება.
მხოლოდ ამით, მხოლოდ ამით შენს ჯავრს ვიყრი ერთი ორად
და თბილისში დავბრუნდები ოლიმპიურ ჩემპიონად.
მაშინ ნახე ეს სახელი თუკი არ დაგისამარო,
მერე წადი და იხტუნე, ესა ვარ და ისა ვარო.

გოგი დოლიძის ეს ლექსი კოტე მახარაძემ სპორტის სასახლეში წაიკითხა 1964 წელს, ტოკიოს ოლიმპიური თამაშების შემდეგ. მაყურებლით სავსე მრავალათასიანი დარბაზი, როგორც იტყვიან, ტაშით დაინგრა.

გოგი დოლიძე

ზახა კასიაშვილი

მასშტაბური საჭიდაო

რომან რურუას - ფალავანთა ფალავანს

სეირია რაგვარი,
მამა-პაპის ნაგრამი,
საბურთაოდ გამხდარა
რუს-აფსუა-ალანთა,
რწმენით მიტომ გაალღვე
ლანგ-თემურთა ლაგამი,
საბუდარში სიძულვილს
ურცხვად მოეკალათა?!

ზვავად აზავთებულა,
ყელყელაობს აზარტი,
საჭიდაოს უკრავენ,
ზავი აღარ იდება,
შემოგორდა ფარდაგზე
დიდი წონის ღალატი,
ზიზღით გაზინთულია,
ხელი არ ეკიდება.

სისხლით შეთითხნილია,
საჭიდაო პერანგი,
წარსულის წამლეკავი
გიხსნის ახალ იარებს,
უკაცური ნაბიჯით
გეღერება ვერაგი,
შენს მტერს ერის ერთობის
რწმენა ააყირავებს.

სიყვარულის ფარ-ჩოხა
მოიმხარი კაცურად,
სიყვარულის სხივ-შუბით
მტერი შეაზანზარე,
შიში რა სათქმელია,
დრო და ჟამი გასცურა,
ჩაიყენე ძარღვებში
აღდგომილი ლაზარე!

ცოტა კიდევ, ცოტაც და...
დაეცემა ეგ დევი,
სინანულით აჯობე,
სათნოებით აჯობე,
და ამოდი წუმპედან,
აქამდე რომ ეგდევი,
შენ უნდა ამოკაცდე,
ეგენი თუ ქაჯობენ...

ხარება ხარ ღმრთისმშობლის,
დრო შენს პურსაც გამოსცრის,
შენი ბედი, მამულო,
ცაში უკვე გაირჩა,
შენი გონ-ზეიმების
აიტაცებს ხმას ლოცვის
ფალავანი ქვეყნების
საჭიდაო ხალიჩა!



ალექსანდრე კარელინი

სამგზის ოლიპმიური ჩემპიონი,
ცხრაგზის მსოფლიო ჩემპიონი,
თორმეტგზის ევროპის ჩემპიონი,
სსრკ-სა და რუსეთის მრავალგზის ჩემპიონი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი,
პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,
სახელმწიფო დუმის დეპუტატი

რომან რურუა – ლეგენდარული მოჭიდავე

– რომან ვლადიმერის ძე რურუა... ლეგენდარული მოჭიდავე, თავშეკავებული და სიტყვაძუნწი... ძალიან ღირსეული ადამიანი... გარეგნულადაც გამორჩეული. მახსოვს მისი ჩამოსვლა შეკრებებზე, არასოდეს უცდია წარმატებების სიმაღლიდან დაგვლაპარაკებოდა, თავს მოეხვია საკუთარი აზრი ან წვრთნის პროცესში ჩარეულიყო. ხანდახან რჩევებს იძლეოდა, უბრალო და გასაგები სიტყვებით. ჩემს მწვრთნელს, ვიქტორ მიხეილის ძე კუზნეცოვს ხშირად მოჰყავდა რომან ვლადიმერის ძის მაგალითი იმის საჩვენებლად, როგორი უნდა იყოს თითოეული სპორტსმენის დამოკიდებულება საკუთარი თავისა და გუნდში საკუთარი ადგილისადმი. ჩემთვის სრულიად ნათელია, რომ ის პატივისცემა და ავტორიტეტი, რომელიც რომან რურუას აქვს, არა მხოლოდ სპორტული მიღწევების, პირველ რიგში სწორედ მისი ადამიანური თვისებების დამსახურებაა.

მეამაყება, რომ რომან რურუასთან ერთად, ერთ ეპოქაში, ერთი ქვეყნის გუნდში ვასპარეზობდი. ვუსურვებ მას დღეგრძელობას. დაე, ვერანაირმა პერიპეტიებმა ვერ შეუშალოს ხელი ჩვენს საინტერესო ურთიერთობას.

დეკემბერი, 2008 წ.

იმრე პოიაკი
ოლიმპიური ჩემპიონი,
სამგზის მსოფლიო ჩემპიონი

რომან რურუა – განსაკუთრებული ადამიანი

– რომან რურუა იყო ჩემი ერთ-ერთი უძლიერესი მოწინააღმდეგე ხალიჩაზე და ამავე დროს ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარი. მე ყოველთვის დიდი სიამოვნებით ვიხსენებ მას. რამდენიმე წლის წინ მე მას ბუდაპეშტში, ჩემს სახლში ვუმასპინძლე, ეს იყო განსაკუთრებული საღამო.

მე ძალიან ბევრ საბჭოთა მოჭიდავეს შევხვედრივარ ჩემი კარიერის მანძილზე, მაგრამ რურუა იყო ყველაზე სრულყოფილი და მგრძნობიარე მათ შორის. ამიტომაც შეძლო უმაღლესი ოლიმპიური შეფასება მიეღო 1968 წელს, ყველაზე მაღალი ქულებით.

ჩვენ ვიყავით ერთმანეთის მოწინააღმდეგენი ხალიჩაზე და საუკეთესო მეგობრები ხალიჩის მიღმა. ძალიან კარგად მახსენდება 1964 წლის ტოკიოს ოლიმპიური თამაშები. ჩემი გამარჯვების აღსანიშნავად საბჭოთა მოჭიდავეებმა და მათ შორის რურუამაც საზეიმო წვეულება მომიწყეს, სადაც მათ მაჩვენეს ჩემი კარიერის მანძილზე გადაღებული სპორტული შეხვედრების ამსახველი მოკლე ფილმები და ასევე მიამბეს, თუ როგორ ემზადებოდნენ, როგორ ვარჯიშობდნენ წლების განმავლობაში ჩემთან შესახვედრად. ეს გახლდათ ნამდვილი მეგობრების მიერ ჭეშმარიტი პატივისცემის გამოხატულება ჩემს მიმართ და ჩემი საჭიდაო კარიერისადმი.

აქტიური საჭიდაო კარიერის დამთავრების შემდეგ ჩვენ არა ერთხელ შევხვდით ერთმანეთს, როგორც მწვრთნელები და გავაგრძელეთ ისეთივე მეგობრობა, რომელიც ადრეული დღეებიდან დავიწყეთ.

როგორც მოჭიდავე და როგორც მწვრთნელი, ორივე შემთხვევაში რომან რურუა საქართველოს ჭიდაობის ლეგენდაა. საქართველოში ყველა ამაყობს მისით. მისი დაუჯერებელი, არაჩვეულებრივი მიღწევები, ადამიანური ურთიერთობები და თვისებები, მას განსაკუთრებულ ადამიანად წარმოსახავს. ბედნიერი ვარ, რომ ვიცნობ მას. ვუსურვებ ყველაფერს კარგს და ვიმედოვნებ, რომ შევხვდები, რაც შეიძლება მალე.

ივლისი, 2008 წ.

2010 წელს, ნოემბერში იმრე პოიაკი გარდაიცვალა. დაკრძალვაზე მისთვის პატივის მისაგებად ბატონი რომანი უნგრეთში მიწვევით ჩავიდა.

ვიქტორ იგუმენოვი

ხუთგზის მსოფლიო, მრავალგზის ევროპისა და სსრკ ჩემპიონი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რომან რურუა – უდიდესი სპორტსმენი

– რაც კი რამ საუკეთესო სიტყვა შეიძლება მოიძებნოს ადამიანის შესაქებად, ყველა ერთად მინდა გამოვთქვა რომან რურუას შესახებ საუბრისას. იგი გახლავთ ყოველმხრივ დადებითი პიროვნება, შესანიშნავი ადამიანი, ერთგული მეგობარი, უდიდესი სპორტსმენი. ჩვენ მის შესახებ ჩვენს მოწაფეებს ვუყვებით, მის მაგალითზე ვასწავლით მომავალ თაობებს თუ როგორი უნდა იყოს სპორტსმენი სპორტში და ცხოვრებაში. ჩვენი მოწაფეები თავის მოწაფეებს უყვებიან და ასე ლეგენდასავით ვრცელდება ამ, მართლაც ლეგენდარული სპოტსმენისა და ადამიანის თავგადასავალი.

არასდროს დამავიწყდება ის დღე, როცა ჩვენ ერთხმად ავირჩიეთ იგი სსრკ ნაკრები გუნდის კაპიტნად. მისი ნებისმიერი მოთხოვნა უსიტყვოდ სრულდებოდა. რომანი ჩვენი გუნდის სინდისი, მისი ტრადიციების მთავარი მცველი იყო. რომან რურუა ჩვენ გვაოცებდა მეტოქეებზე თავისი უპირატესობით. იგი ყოველთვის იმდენად ძლიერი იყო მათზე, გეგონებოდათ მძიმეწონოსანია და ბუზებს იგერიებსო.

ოქტომბერი, 2009 წ.

მიხეილ მამიაშვილი

მსოფლიოს სამგზის და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი, სეულის 1988 წლის ოლიმპიური თამაშების გამარჯვებული, რუსეთის ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი

– რომან რურუა გამორჩეულია საჭიდაო სამყაროში. მისი სიბრძნე, ნებისყოფა, უდიდესი ადამიანურობა თაყვანისცემის ღირსია. მე დღესაც გულთბილი დამოკიდებულება მაქვს მასთან. დღეს საქართველოში რთული მდგომარეობაა, მაგრამ რომან რურუა ისეთივეა, როგორიც იყო, – ჩემპიონი ხალიჩასა და ცხოვრებაში.

„ასავალ-დასავალი“, 1997 წ. №24 (148)



გენადი საპუნოვი
ორგზის
მსოფლიო
ჩემპიონი

რომან რურუას ფანდები დღესაც პოპულარულია

— ჩემი მეგობარი რომან რურუა 1961 წელს გავიცანი, საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის ჩემპიონატისთვის მზადების პერიოდში, რომელიც ქალაქ ქუთაისში უნდა გამართულიყო. მაშინ ჯარში ვმსახურობდი. ჩვენ ჩემპიონატისთვის ქალაქ თბილისში ვემზადებოდით. მზადების პროცესში ახალგაზრდა ნიჭიერი მოჭიდავე შევნიშნე და, რამდენადაც მახსოვს, მასთან ვივარჯიშე კიდეც.

სსრკ ჩემპიონატზე კენჭისყრამ რომან რურუასთან შემახვედრა. პირველივე ბრძოლაში, რომელიც მასთან გავმართე, პირწმინდად დავმარცხდი. ყველა ჩემი მცდელობა, რომანი გადამეგდო, იმით მთავრდებოდა, რომ თავად აღმოვჩნდებოდი-ხოლმე ხიდზე.

საბჭოთა კავშირის ნაკრებში თითქმის ერთდროულად მიგვიღეს და იქიდან დაიწყო ჩვენი მეგობრობა, რომელიც აგერ უკვე ნახევარი საუკუნეა გრძელდება. შემდგომში ჩვენ არაერთხელ შევხვდით ერთმანეთს ცვალებადი წარმატებებით.

რომან რურუა გამოირჩეოდა ჭიდაობის თვითმყოფადი სტილით, რომელიც კუნთების განსაკუთრებულ მგრძნობელობაზე და შესანიშნავ ფიზიკურ მომზადებაზე იყო დაფუძნებული. საქმე ის გახლავთ, რომ რომანი სოფელში გაიზარდა და ბავშვობიდანვე შეეჩვია ყოველდღიურ მძიმე გლეხურ შრომას. აი, ამ შრომამ განუვითარა მას ფიზიკური ძალა, მოთმინება და გამძლეობა.

რომან რურუამ საჭიდაო ხელოვნების ტექნიკისა და ტაქტიკის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა. მის ბევრ ორიგინალურ ტექნიკურ გადაწყვეტას დღემდე იყენებენ თანამედროვე მოჭიდავეები. მარტო მისი ცნობილი „ბიჩოკი“ რად ღირს?!

არ მახსოვს არც ერთი შეხვედრა საერთაშორისო ხალიჩაზე, რომელიც რომან რურუას წაეგოს. მხოლოდ მსაჯების სინდისზეა მისი ვერცხლის მედალი ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე. სახელგანთქმულ უნგრელ მოჭიდავესთან — იმრე პოიაკთან შერკინებისას მსაჯებმა მას ორი ქულა არ ჩაუთვალეს.

და მაინც, მან თავისას მიაღწია, 1968 წლის მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებზე ის ჩემპიონი გახდა.

ჩემთვის რომანი კეთილშობილი და პატიოსანი მეგობარია. ვიცი, რომ მისთვის ძვირფასია ჩვენი მეგობრობა.

ის გამოირჩევა სამართლიანობის გამძაფრებული შეგრძნებით, რასაც ხშირად უკომპრომისობამდე მიჰყავს, და ამ თვისებას მისთვის არაერთხელ შეუშლია ხელი ცხოვრებაში. მაგრამ რას ვიზამთ, — ასეთია რომანი და ჩვენ, მის მეგობრებს იგი სწორედ ასეთი გვიყვარს.

დიდხანს სიცოცხლეს გისურვებ, რომან ვლადიმეროვიჩ!

ივლისი, 2008 წ.

● ეს ფოტო დაახლოებით 40 წლის წინ არის გადაღებული. რომან რურუა თურქ მოჭიდავეს ალაკოჩს ხვდება.

2008 წლის სექტემბერში საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტში რომან რურუას სახელზე გერმანელი მოქალაქის ბრიჯით ფიქსბერგის წერილი მოდის. რა თქმა უნდა, ის ადრესატს გადასცეს. კონვერტში წერილთან ერთად ამ ფოტოს რამდენიმე ეგზემპლარიც იდო წარწერით: **„Вам необходимо войти в другую сторону“.**



ძვირფასო რომან რურუა!

მოგმართავთ დიდი თხოვნით, დამდეთ პატივი და თქვენი ხელმოწერა გამიკეთეთ ამ სურათებზე. დიდად მადლობელი დაგრჩებით თუ ამ თხოვნას შემისრულებთ...

მე ვაგროვებ ოლიმპიური თამაშების მედალოსნების ავტოგრაფების კოლექციას და, ამდენად, ძალიან ბედნიერი ვიქნები, თუ ეს სურათები თქვენი ხელმოწერით მექნებოდა. იქნებ გამომიგზავნოთ თქვენი სხვა სურათებიც... და ორიოდ სიტყვით განმარტოთ ამ სურათზე აღბეჭდილი მომენტი.

შემისრულებთ ამ თხოვნას?

წინასწარ გიხდით მადლობას და გისურვებთ ჯანმრთელობასა და საუკეთესო მომავალს.

პატივისცემით, ბრიჯიტ ფიქსბერგი

რომან რურუა:

ძალიან გამიკვირდა, თქვენ როგორ მიხვდით, თუ რის გაკეთებას ვაპირებ ამ სურათზე?!. ვეცდები აგიხსნათ.

60-იან წლებში ჭიდაობის ერთმა სპეციალისტმა თქვა, რომ დროა, გადავიდეთ კომბინაციურ ჭიდაობაზეო. მე ეს ფრაზა მაშინვე დავიმახსოვრე და დავიწყე შემოქმედებითი მუშაობა. შემდგომში მისი წყალობით მივაღწიე სანახაობრივად ლამაზ ჭიდაობას, ყველგან, ყველა შეჯიბრზე, ყოველთვის ყველაზე მეტ ფანდსა და ქულას ვაკეთებდი.

ამ ფოტოზე მოწინააღმდეგე — ალაკოჩი (თურქეთი) — ცდილობს დაიცვას მარცხნივ, მაგრამ მარჯვნივ დაკარგა დაცვის ხარისხი. ამიტომ დააკვირდით ჩემს მარცხენა ხელს, რომელიც ძალიან ღრმად არის მოჭიდებული, რაც ასრულებს ქანჩის როლს, (როგორც ჭანჭიკის მოჭერა). მე აუცილებლად გადავეშვები მარჯვნივ. თუ არ გამომივიდა, მაშინ კიდევ მაქვს ორი ვარიანტი, ანუ ამ სურათზე მაქვს ოთხი კომბინაციური ვარიანტი ერთ მომენტში.

თქვენ წარმოიდგინეთ, თუ ერთ ასეთ მომენტში ამდენი ვარიანტია, მაშინ რამდენი შეიძლება იყოს სხვა და სხვა სიტუაციებში?!

სამწუხაროდ, დღეს ჭიდაობის მსოფლიო ფედერაციამ გააღარიბა — დაჩლუნგა ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ძალიან მწყინს!..

1991 წ.

ვიქტორ იგუმენოვი —
ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი
რომან რურუა —
ოლიმპიური ჩემპიონი,
ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონი
გენადი საპუნოვი —
ორგზის მსოფლიო ჩემპიონი

რომან რურუა:

— ჩვენი მეგობრობა ნახევარი საუკუნის წინ დაიწყო, ერთად ვიბრძოლეთ, ვიშ-რომეთ, ვიღვაწეთ... ხალიჩაზეც გამოვცადეთ ერთმანეთი, ლხინშიც და ჭირშიც... ვიცხოვრეთ საერთო ქვეყანაში და ახლა სხვადასხვა სამშობლო გვაქვს, მაგრამ ვერც დრომ და ვერც პოლიტიკურმა ქარტეხილებმა ჩვენი ძმობა და მეგობრობა ვერ შეარყია, ვერ წაშალა...

НАСТОЯЩЕЕ СЧАСТЬЕ ВОЗМОЖНО В СЕМЬЕ

Ираклий Пирцхалава

- В чем счастье для человека? Для многих молодых людей главными жизненными целями являются машина, квартира, материальное благополучие. Вы уже это достигли и, наверно, можете сказать, сколько счастья все это дает и в чем на самом деле счастье.

Счастье лично для меня - это гармония в жизни. А гармония - это лишь счастье в семье. Я не то чтобы тороплю это событие, женитьбу. Конечно же, я очень люблю детей и хотелось бы скорее испытать состояние счастья, но нужно иметь терпение, потому что если ты чрезмерно торопишься, ты можешь ошибиться. Пока я могу лишь нарисовать картинку, что такое счастье, в своем нынешнем понимании. Дом, природа, лес, мама, дети, собака, жена, стол, друзья, вино грузинское, домашнее.

Кстати, я познакомился в Грузии с гениальным человеком, который меня просто поразил. Но не своими победами, наградами, хотя это заслуживает невероятного уважения. Это борец, олимпийский чемпион, четырехкратный чемпион мира Роман Руруа, который никогда в жизни не проигрывал.

В нем какая-то невероятная внутренняя красота. Он подтянут, дисциплинирован. У него огромный земельный участок в древней столице Грузии Мцхете, где он сам все сделал своими руками - виноград, вино, молоко, сыр. Мне было смешно слушать, как он говорил с грузинским акцентом: "Я принимал роды у этой коровы! Как я теперь могу ее кушать?! Она мне как сын! Какой человек после этого может говядину есть? Этот человек - не человек!"

Я из окна видел, как он накрывал стол в огромном своем дворе. Поправлял стулья, аккуратненько, чтобы все было ровно. Посмотрел со стороны, опять поправил. Такая внутренняя дисциплина. Я многое переоценил внутри себя, свою лень и т.д.

Я считаю, в личной жизни он сделал еще больше, чем в спорте. Это невероятно, это красота! И жену он нашел в Москве в спортивном комитете, увез в Тбилиси, теперь она готовит лучше, чем грузинки, всему научилась. Золотая женщина, умница! Общение с этими людьми было равносильно прочитанной книге. Я, любящий футбол невероятно, ради общения с ними пропустил финал лиги чемпионов - не мог оторваться от этого застолья, от этих людей. Я не мог напиться общением с этими людьми. И я понял, что вот этот человек счастлив. И даже, мне кажется, он более счастлив, чем в те минуты, когда он побеждал.

- Вы так красиво это рассказали. А можно попытаться выразить словами - какие его качества сделали его таким?

- Конечно, это реально талант, талант, данный Господом Богом. Но в Грузии было огромное количество спортсменов, которые начинали, быстро добивались успеха, а потом сдувались. Роману помог анализ всего этого, работа над своими минусами и вообще просто работа, трудолюбие. Он вкалывал как потерпевший, он приехал в Тбилиси с матрасом и там спал непонятно где. И добился всего!

Я очень люблю сэлфмэйкеров (self-made (англ.) - сделанный собственноручно, самородок), то есть людей, которые сами себя создают. Конечно, когда ты сын известного бизнесмена, политика, актера или певца, тебе легче добиться чего-то по жизни. А есть люди, которые добились успеха не с нулевой позиции, а с минусовой. Которые поднимались с синяками и с оплеухами по жизни, и неоднократно. У них есть чему учиться. Без трудолюбия здесь, конечно, ничего не получится.

- Еще важно, куда это все направлять, ведь Роман Руруа мог направить свое трудолюбие на зарабатывание денег, еще на что-то.

- Совершенно верно. Он, несмотря на то, что заработал деньги, не ставил себе цель заработать миллионы, миллиарды. Но у него во дворе стоит старый "бьюик", на котором он ездил в 70-е годы. Он рассказывал смешную историю: он приехал в Тбилиси, шел на тренировку, возвращается, а народ облепил, как летающую тарелку, эту машину, он подходит: "Пропустите!", ему: "Куда пропустите?! Здесь очередь!"… А в то время за такую машину могли посадить.

Конечно же, став национальным героем, он не тужил относительно каких-то бытовых моментов. Но были трудные времена, когда он закончил со спортом. Целый год был без работы, потом устроился работать обыкновенным рядовым инженером и постепенно поднимался по карьерной лестнице, опять-таки за счет своей дисциплины, своих внутренних ресурсов. У него была уверенность, что он всего добьется… А ведь он мог прийти и попросить: "Сделайте меня директором этого завода. Я олимпийский чемпион".

http://www.realisti.ru



საბჭოთა კავშირი – ჩემი სამშობლო

– ქვეყანას, რომელშიც, თითქმის, ნახევარი საუკუნე ვიცხოვრე, ვიშრომე და ვიღვაწე, საბჭოთა კავშირი ერქვა. ჩემებურად მიყვარდა და პატივს ვცემდი. ვერ წარმოიდგენთ, რა სიამაყე იყო უცხოეთში საბჭოთა მოქალაქის სახელით გასვლა. არ ვიცი, რას იწვევდა – შიშს თუ პატივისცემას, მაგრამ ჩვენთან შეხვედრას ყოველთვის ახლდა ემოცია. მითუმეტეს, ჩვენ, სპორტსმენებს, მტერიც პატივს გვცემდა. წელგამართულნი და თავაწეულნი დავდიოდით. უფლება არ გვქონდა, უღირსად მოვქცეულიყავით. შეიძლება, ჩვენს უცხოელ კოლეგებს იქ, თავიანთ ქვეყნებში მატერიალური თავალსაზრისით მეტი დაფასება ჰქონდათ, მაგრამ ხალხის, ქვეყნის სიყვარულში ნამდვილად ვერ გაგვიტოლდებოდნენ. ყველაზე დიდი მონაპოვარი, რომელსაც ჩვენი გამარჯვებებით ვაღწევდით, საზოგადოების უსაზღვრო სიყვარული და პატივისცემა გახლდათ. ამას ყოველი ფეხის ნაბიჯზე ვგრძნობდით.

საბჭოთა კავშირი მიყვარდა-მეთქი, რომ ვამბობ, იმას კი არ ნიშნავს, ხრუშჩოვისა და მიქოიანისთანების თავს ვიფიცებდი?!. ჩემი ქვეყანა ჩემთვის დროშა, ღერბი და ჰიმნი იყო. აი, ამ სიმბოლოებისთვის პატივის მისაგებად ძალ-ღონე არასდროს დამიზოგავს.

დღეს იმდროინდელ ამბებს მითებივით ჰყვებიან. ჭორ-მართალს ერთმანეთში ურევენ. იმ ქვეყანას ყველა აგინებს, ვისაც უყვარდა და არ უყვარდა. ახალგაზრდების კიდევ მესმის, მაგრამ, ჩემი აზრით, უზნეობაა, რომ სწორედ ის ადამიანები აგინებენ, ვინც იმ სისტემაში ფოლადივით იწრთობოდა. შეიძლება, მათი ნაწილი ასე არ ფიქრობს, მაგრამ დღევანდელი მთავრობის გულის მოსაგებად, თუ მოსაჩვენებლად, ცუდი იყოო, ამბობს. ქვეყანა რა შუაშია?!

ამერიკის შეერთებული შტატები კარგია, ევროკავშირი კარგია, კანადის კავშირი კარგია, მექსიკის კავშირი კარგია, ყველა კავშირი კარგია და, მაინცდამაინც, საბჭოთა კავშირი რატომ იყო ცუდი?!. საბჭოთა კავშირი კი არ იყო ცუდი, ადამიანები იყვნენ ცუდნი, რომელნიც ამ კავშირს მართავდნენ. სწორედ მათ ვერ გაართვეს თავი ამ უზარმაზარი და უძლიერესი ქვეყნის მართვას, მსოფლიოს რომ აზანზარებდა და ყველაფერი სისტემასა და მკვდარ კაცს – მსოფლიოს ყველა დროის უდიდეს პოლიტიკოსს **სტალინს** დააბრალეს.

მე ვიცხოვრე იმ ეპოქაში, ბევრი მიტანჯია, მიწვალია, სხვაზე მეტი სისხლიც გამიღია, ოფლი დამიღვრია, მიშრომია, შემიქმნია, ბევრი რამ იმ სისტემის და კანონების გვერდის ავლითაც მიკეთებია, და მაინც, მიყვარდა ჩემი ქვეყანა, ისეთი, როგორიც იყო. მე მას ვერასდროს შევაგინებ. ის ჩემი სამშობლო გახლდათ, რომელსაც მთელი ჩემი ენერგია შევალიე. ამიტომ მისი აუგად მოხსენიების უფლება არა მაქვს. ვინც აგინებს, დაუკვირდეს თავად რა გაუკეთებია იმ ქვეყნისთვის. უმრავლესობა და უმცირესობა (ბოლშევიკები და მენშევიკები) მაშინაც იყო და დღესაც არის.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ექვსჯერ გავხდი. ერთ წონით კატეგორიაში ერთდროულად ექვსი მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი ვიყავით: ვლადიმერ სტაშკევიჩი – მსოფლიო ჩემპიონი, კონსტანტინ ვირუპაევი – ოლიმპიური ჩემპიონი, ოლეგ კარავაევი – ორგზის მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი, გენადი საპუნოვი – ორგზის მსოფლიო ჩემპიონი, იური გრიგორიევი – მსოფლიო ჩემპიონი და მე – რომან რურუა – ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონი, ორი ოლ-



სსრკ ხალხთა
IV სპარტაკიადის ჩემპიონი,
1967 წ.

ტალინი,
ნონა გაფრინდაშვილი, რომან რურუა და
ცნობილი მოჭიდავე, მსოფლიო ჩემპიონი
იოჰან კოტკასი



ტაშკენტი.
1969 წ.



რომან რურუა და ნანა ალექსანდრია

ოთარ ქორქია
და რომან რურუა

ოლიმპიური ჩემპიონები: ახმედ აიკი (თურქეთი), მიხეილ მამიაშვილი, რომან რურუა, ლევან თედიაშვილი

იმპიადის ოქროსა და ვერცხლის და საბჭოთა კავშირის ექვსგზის ჩემპიონი. ნეტა, როდესმე, სადმე — ერთ ქვეყანაში იქნება ასეთი კონკურენცია?

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რამხელა კონკურენცია იქნებოდა?!. ვერ ნახავთ სხვა ქვეყანას, რომელსაც ერთ წონაში ერთდროულად ექვსი მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი ჰყავდა. ამ ექვსეულში ვინც გაიმარჯვებდა, ანუ საბჭოთა კავშირში ვინც იქნებოდა ნომერ პირველი მოჭიდავე, მსოფლიო და ოლიმპიურ შეჯიბრებებზე ის წავიდოდა. ამ ექვს კაცში მე ყოველთვის პირველი ვიყავი. ეს იმას ნიშნავდა, რომ მსოფლიოს უძლიერეს ხუთ მოჭიდავეს სახლში ვტოვებდი და სიძლიერით მეშვიდეს, იქ უცხოეთში ვხვდებოდი. ამ ქვეყანამ შემიქმნა ასეთი წინააღმდეგობა და მე ამით ვამყობ.

ვამყობ იმით, რომ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ექვსჯერ ვიყავი. ეს ჩემთვის ყველაზე დიდი გამარჯვება გახლდათ, ალბათ მსოფლიო ჩემპიონობაზე მეტიც. ამიტომ ვაფასებ ეპოქას, რომელშიც მომიწია ცხოვრება.

იმ სახელმწიფოში და ეპოქაში ცხოვრობდნენ ადამიანები, რომელნიც უანგაროდ ემსახურებოდნენ ქვეყანას და ჭიდაობას.

ირაკლი სარაჯიშვილი — საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის თავმჯდომარე, მინდა დაგარწმუნოთ, რომ თუ ვინმეს რამე გაუკეთებია საქართველოში სპორტის ამ სახეობის აღორძინებისა და განვითარებისთვის, ეს უპირველესად ბატონი ირაკლი გახლდათ. ავტორიტეტი, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. ქალაქკომის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი იყო. გაჭირვება მაშინაც იყო. ახალგაზრდა სპორტსმენებს მფარველობდა, სხვადასხვა პრობლემების მოგვარებაში ეხმარებოდა. ვის სწავლა-განათლება უნდოდა, ვის — ბინა ან მანქანა... ყველა ამ თხოვნით მას მიმართავდა.

მინდა გავიხსენო ვახტანგ კუხიანიძე, საქართველოს და სსრკ-ს დამსახურებული მწვრთნელი, კაცი, რომელსაც ხელთ ეპყრა ხუთი სახეობის ჭიდაობის სადავეები. ერთ ოთახში ივჯდა ხუთი კაცი, სპორტის სხვადასხვა ფედერაციების ხელმძღვანელები, დავით ცომაია (ფეხბურთი), ვლადიმერ ჯაიანი (ტანვარჯიში), არკადი არხანგელსკი (ძალოსნობა, ნიჩბოსნობა). ამ ოთახშივე ისხდნენ მძლეოსნობისა და კრივის ხელმძღვანელები. სამუშაო მაგიდასთან სტუმრისთვის თითო სკამი ჰქონდათ მიდგმული და მთელი ქართული სპორტი იქიდან იმართებოდა. დღეს ფედერაციებს ლამის სათითაოდ შეუქმნან სამინისტროები და მაინც შედეგი ისეთი არ არის. მაშინ კი, ჭიდაობაში, — კლასიკური თუ თავისუფალი, სამბო თუ ძიუდო, იგივე ქართული, — ყველაფერს ერთი კაცი მართავდა. ყველაფერს ასწრებდა, ყველაფრის საქმის კურსში იყო. სხვათაშორის, ვახტანგ კუხიანიძე იყო საბჭოთა კავშირის პირველი ნაკრების პირველი მწვრთნელი.

ირაკლი სარაჯიშვილისა და ვახტანგ კუხიანიძის მსგავსი ღვაწლმოსილი ადამიანები დავიწყებას არ უნდა მიეცეს. მაინცდამაინც საუკუნე უნდა გავიდეს, რომ ეს ხალხი გამოვამზეურით და მათი დამსახურება შთამომავლობას გავაცნოთ?!.

საქართველოს უძლიერესი მოჭიდავეები ჰყავდა. ეს იყო ჩვენი გენეტიკური ნიჭიერების პროდუქტი. მეკოკიშვილი, კარტოზია, ბალავაძე, რუბაშვილი, ქო-

რიძე, სხირტლაძე, ციმაკურიძე, ცალქალამანიძე, ლომიძე, ბერიაშვილი, საღარაძე... რომელი ერთი გავიხსენო?!. თითოეულ მათგანს თავისი უნიკალური ხელწერა ჰქონდა. არცერთი მოჭიდავე ერთმანეთს არ ჰგავდა. აი, ლევან თედიაშვილში კი, ყველამ ერთად მოიყარა თავი. ცოტ-ცოტა ყველა იყო ამ ერთ კაცში, მასში ყველას ნიჭიერება რაღაც დოზით იდო. ის, რაც ლევანს ერგო, არავის რგებია. ამით გახლავთ უნიკალური ეს მოჭიდავე.

ამ მხრივ მე ინდივიდუალური ვიყავი, არავის ვგავდი, ისევე როგორც კარტოზია, ქორიძე, ბალავაძე და სხვა. მხოლოდ ერთი რამ გვაერთიანებდა, ჩვენ საბჭოთა კავშირის უძლიერესი და წარმატებული სპორტსმენები გვერქვა, ქვეყნის, რომლის აუგად ხსენებაც დღეს ესოდენ პოპულარული და მოდურია.

1959 წლიდან 1972 წლამდე დაახლოებით 14 ტონა ოფლი მაქვს დაღვრილი. ყველა შეხვედრის წინ და შეხვედრის დასრულების შემდეგ ხომ ვიწონებოდით. წვეთწვეთად დავიღვარეთ ქვეყნის სიყვარულში. ბევრისთვის ეს, ალბათ, წარმოუდგენელი და დაუჯერებელია, მაგრამ ეს არის ფაქტი.

თბილისში ჩუბინიშვილის (ყოფილი ორჯონიკიძის) ქ. №38-ში არის ერთი სპორტული დარბაზი. იგი 30-იანი წლებიდან გადაეცა ჭიდაობას. აქ მოღვაწეობდნენ სსრკ-ს დამსახურებული მწვრთნელები: იორდანიშვილი, თიკანაძე, აკოფოვი, მაისურაძე, ძეკონსკი, როსტიაშვილი, ვარძელაშვილი, ნოზაძე და სხვები. აქ, ამ დარბაზში დაიბადნენ და დაოსტატდნენ საქართველოში ყველაზე ტიტულოვანი და ცნობილი სპორტსმენები: სანდრო კანდელაკი, მირიან ცალქალამანიძე, შოთა ლომიძე, დავით ციმაკურიძე, ვახტანგ ბალავაძე, გურამ საღარაძე, გიორგი სხირტლაძე, ვლადიმერ რუბაშვილი, დავით გობეჯიშვილი, ლევან თედიაშვილი, არსენ მეკოკიშვილი, ზარიბეგ ბერიაშვილი, ლერი ხაბელოვი, გივი კარტოზია, რომან რურუა, გურამ გედეხაური, თემურ აფხაზავა, ავთანდილ ქორიძე, როსტომ აბაშიძე, მიხეილ სალაძე, ვახტანგ ბლაგიძე, ანზორ კიკნაძე, ანზორ ქიბროწაშვილი, ფარნავაზ ჩიკვილაძე... და ვინ იცის, კიდევ რამდენ სხვა ქვეყნის ჩემპიონს დაუდგამს ფეხი ამ ხალიჩაზე და ოფლი დაუღვრია?! აქ, ამ დარბაზის ერთადერთ ხალიჩაზე გაზრდილი უბადლო ოსტატების ყველა ჯილდო და მედალი ერთად რომ შევკრიბოთ, შედეგების მიხედვით ალბათ ნახევარ მსოფლიოს გაწვდება. ვიმედოვნებ, რომ ეს დარბაზი მუზეუმად გადაიქცევა და ქართული სპორტის ისტორიაში რელიქვიად დარჩება.

2008 წ. ბაქო, აიდინ იბრაგიმოვი და რომან რურუა

საბჭოთა კავშირისადმი ჩემი დამოკიდებულება არ მინდა, ვინმემ ისე გამიგოს, თითქოს საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგი ვარ. ამით მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ სამშობლოს სიყვარულს ვერავინ მასწავლის, ვერც ძველი და, მითუმეტეს, ვერც ახლად გამომცხვარი პატრიოტები. ჯერ გააკეთონ ქვეყნისთვის თუნდაც იმის ნახევარი, რისი გაკეთებაც ჩემი თაობის სპორტსმენებმა შევძელით და ქვეყნის სიყვარულზე მერე ილაპარაკონ. ჩვენ უცხოეთში გვერქვა საბჭოთა მოჭიდავეები, თორემ საბჭოთა კავშირში ყველასათვის ქართველები ვიყავით და, ამდენად, ორმაგად გვიწევდა ბრძოლა ჩვენი თავის დასამკვიდრებლად. ჯერ რუსებისთვის უნდა დამემტკიცებინა, რომ ჩემ საქმეში პირველი ვარ და მერე — მსოფლიოსთვის. მე ეს შევძელი. ამიტომ ვაძლევ თავს უფლებას, ასეთი შეფასებები გავაკეთო.

ჭიდაობა დღეს

— ჭიდაობა ძალიან გაღარიბდა, გააღარიბეს და ეს პირველ რიგში მსოფლიო ფედერაციის ბრალია. კლასიკური ჭიდაობა უხსოვარი დროიდან მოდის. ანტიკური ხანიდან დღემდე ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთი უცვლელი სახეობაა. ამასთანავე იგი ერთ-ერთი პირველია იმ ცხრა სახეობათა შორის, რომელიც პიერ კუბერტენის მიერ ოლიმპიური თამაშების განახლებასთან ერთად დამკვიდრდა. თავის დროზე სპორტის ამ სახეობაში საბჭოთა კავშირმა ისეთი შედეგები აჩვენა, რომ, ფაქტობრივად, მთელი მსოფლიო წალეკა, სხვა სახელმწიფოებს ბრძოლისუნარიანობის, ჩემპიონობის მადა დაუკარგა. 1976 წელს მონრეალის ოლიმპიურ თამაშებზე საბჭოთა კლასიკოსებმა რვა მედლიდან შვიდი ოქრო და ერთი ვერცხლი აიღეს. ამ შედეგმა ჭიდაობის მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტი დააფიქრა, როგორ გამოსულიყო სიტუაციიდან, როგორ შეეშალა ხელი საბჭოთა მოჭიდავეებისთვის, რომ მათ ყველა მედალი არ წაეღოთ და მედლების გადანაწილება მომხდარიყო. დაიწყეს მექანიზმების ძებნა. პირველი, რაც გააკეთეს, ჭიდაობას ჩოქბჯენი მოაშორეს. საბჭოთა მოჭიდავეები უბადლონი იყვნენ ამ პოზიციაში, იქ ბევრი ქულა კეთდებოდა. ასევე ცნობილნი იყვნენ გამძლეობით. ამასაც მოუძებნეს გასაღები და ჭიდაობის დრო შეამცირეს. მერე ხან ის ამოიღეს, ხან — ეს და მთლიანად შეცვალეს დებულება, ანუ მოარგეს სუსტებს, უცოდინარებმა თავისად გაიხადეს ჭიდაობა. 3-წუთიანი გახადეს ბრძოლა. 3 წუთი მარტო გახურებას უნდა, სანამ მოქმედებაში, აზროვნებაში მოვა კაცი. ჭიდაობა ძალისმიერი სპორტია, სადაც თავი უნდა იჩინოს ფიზიკურმა გამძლეობამ, რომელიც უშუალოდ არის მიბმული აზროვნებასთან. აზროვნებას კი თავის პატრონი ჰყავს, — სუნთქვა. სუნთქვა აზროვნების დედაა. რაც უფრო მეტ ჟანგბადს ღებულობს ორგანიზმი, მით უფრო კარგად აზროვნებს. ფიზიკური უპირატესობა სუნთქვის გარეშე არ არსებობს.

დღევანდელ კლასიკურ ჭიდაობას ჭიდაობას ვერ ვუწოდებ. ეს არის ნიჭიერი ადამიანების უნიჭო მოქმედება, რომელშიც არც სპორტულია რამე და

რომან რურუა, ჭიდაობის მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტი რაფაელ მარტინეტი, გოჩა ძასოხოვი და ლევან თედიაშვილი

არც ვაჟკაცური. კლასიკურ ჭიდაობას ისეთი დეგრადაცია განაცდევინეს, საქმე იქამდე მიიყვანეს, რომ ოლიმპიადის მესვეურები იმაზეც კი დააფიქრეს, ოლიმპიური თამაშების სახეობებიდან ხომ არ ამოვიღოთო... რატომ? იმიტომ, რომ სანახაობრივად ლამაზი აღარ არისო... ვისაც უნახავს კარტოზიას, აბაშიძის, ქორიძის, გვანცელაძის, თუნდაც ჩემი ჭიდაობა, იტყვის, რომ სანახაობრივად კლასიკური ჭიდაობა არ ვარგა?! ჩვენს გარდა მსოფლიოში შესანიშნავი კლასიკოსები არიან: კარელინი, იგუმენოვი, საპუნოვი, ძალიან ბევრი მოჭიდავე — ბულგარეთში, თურქეთში, შვეიცარიაში თუ სხვაგან. ბრწყინვალე, შემოქმედებითი ხალხი, რომელთა ჭიდაობის ნახვა ერთ რამედ ღირდა. დღეს თუ კლასიკური ჭიდაობა სანახაობრივად არ ვარგა, იმის ბრალია, რომ ფედერაცია უვიცებმა ჩაიგდეს ხელში, ჭიდაობის არაფერი გაეგებათ, ფული აქვთ და ფედერაცია საერთაშორისო სახელისთვის სჭირდებათ.

მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონები: ლერი ხაბელოვი, რომან რურუა, დავით გოგეჭიშვილი

რომან რურუა და მსოფლიო ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში ზარიბეგ გერიაშვილი

ამჟამინდელი დებულებით შეიძლება სუსტი გახდეს ჩემპიონი და ძლიერი — ვერა. თანამედროვე ჭიდაობა „არიოლრეშკაზეა“ დამოკიდებული. დღეს მე ჭიდაობას ვერ ვუყურებ. ეს არის დაინვალიდებული ჭიდაობა.

ახლა ბეჭებზე ისე კოტრიალებენ ვითომც არაფერი. არადა, ბეჭები მოჭიდავის წმინდა ნაწილია, მოჭიდავე ხალიჩას ბეჭებით არ უნდა შეეხოს. ხომ გაგვიგონია ბეჭდაუდებელი ფალავანი, ეს მთელ მსოფლიოში დამკვიდრებული ფრაზაა. სამწუხაროდ, დღეს ეს პრინციპი დარღვეულია. ხალიჩაზე ბეჭებით შეხება ნებადართულია. უგუნურობაა ჭიდაობაში ასეთი წესების შემოღება.

რომან რურუა და ლევან თედიაშვილი

50-იანი წლებიდან ვაკვირდები ჭიდაობას. ჩემი თაობის დროს, 60-იან წლებში კლასიკურმა ჭიდაობამ განვითარების კულმინაციას მიაღწია. ჩვენს შემდეგ, 80-იან წლებში დაიწყო დეგრადაცია, მითუმეტეს საქართველოში. არადა, ბრწყინვალე ახალგაზრდები გვყავს. ჩემპიონების გამარჯვება ლატარეის თამაშს დაამსგავსეს. ჩვენ ხომ დღეს ზოგიერთი შემთხვევითი ჩემპიონი გვყავს და არა სტაბილური.

ვუყურებ და გული მტკივა. არ შეიძლება ის ტრადიცია მოსპო, რომელზეც თაობები გაიზარდა. მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, იმედი მაქვს, კლასიკური ჭიდაობა კვლავ განვითარდება და ქართველი მოჭიდავეები ხალიჩაზე თავის კვალს მომავალშიც დატოვებენ.

ჭიდაობის მოცარტი



— სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ საქართველოს ნაკრების უფროს მწვრთნელად დავინიშნე, მაგრამ მალევე პირად, ოჯახურ საკითხთან დაკავშირებით გამათავისუფლეს.

სამი თვის შემდეგ საქართველოს ჭიდაობის უმაღლესი სკოლის დირექტორის თანამდებობა შემომთავაზეს. მიუხედავად იმისა, რომ კაბინეტური მუშაობის გამოცდილება არ გამაჩნდა, მაინც დავთანხმდი. მწვრთნელთა უმეტესი ნაწილი ჩემს ამ თანამდებობაზე დანიშვნას ტრაურით შეხვდა, განაწყენებული კაცის დაბრუნება კოლექტივში, ბუნებრივია, არ გახარებიათ, ეგონათ, ანგარიშსწორებას დავიწყებდი, მაგრამ მათი ვარაუდი არ გამართლდა. სამსახურიდან არავინ გამითავისუფლებია, უბრალოდ, გავზარდე საქმისადმი მოთხოვნილება.

ჩვენი სკოლა რესპუბლიკური მასშტაბის გახლდათ. ფილიალები ბევრ რაიონში ჰქონდა. ფაქტობრივად, ქვეყანაში თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობას ეს სკოლა განაგებდა. დირექტორობა სკოლაში საყოველთაო წესრიგის დამყარებითა და სანიმუშო დისციპლინის დანერგვით დავიწყე. მალე საქართველოს ჭიდაობის უმაღლესი სკოლა საკავშირო მასშტაბით სამაგალითო გახდა. სხვადასხვა რესპუბლიკებიდან მის დასათვალიერებლად, გამოცდილების გასაზიარებლად და ახალი მეთოდიკის დასანერგად ხშირად ჩამოდიოდნენ.

სასკოლო საწვრთნელ-სავარჯიშო პროცესებს განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდი და დიდ დროს ვუთმობდი. იმ პერიოდში თავისუფალ ჭიდაობას გურამ საღარაძე ჩაუდგა სათავეში, კლასიკურს — მე. თავის დროზე ორივე კარგი მოჭიდავე ვიყავით. გადავწყვიტეთ, საწვრთნელი ვარჯიშები თითეულს ჩვენი შეხედულებებისამებრ ისე წარგვემართა, როგორც გვესმოდა. წლის ბოლოს კი შეგვეჯამებინა ჩვენი მუშაობის შედეგი და რომელი გზაც უკეთესი აღმოჩნდებოდა, იმ მიმართულებით გვევლო.

იმავე წლის ბოლოს სსრკ თასისთვის ბრძოლა რესპუბლიკურ გუნდებს შორის ჩელიაბინსკში შედგა. შეჯიბრებაში, რა თქმა უნდა, საქართველოს გუნდიც მონაწილეობდა. ყველა რესპუბლიკის გუნდს ხარჯი ერთნაირად ჰქონდა გაწერილი. ერთნაირად საუზმობდნენ, სადილობდნენ და ვახშმობდნენ, თვითმომსახურებაზე იყვნენ. ჩვენი გუნდისთვის მენიუ შევაცვლევინე. კვების ორგანიზატორი თბილისიდან წავიყვანე. ჩემივე მოთხოვნით ცალკე სასადილო ოთახი გამოვაყოფინე, თეთრხალათიანი მიმტანები გვემსახურებოდნენ. სპეციალურად ამ შეჯიბრებისთვის ცნობილი ფოტოკორესპონდენტი იური ტეუში დავიქირავე, ემოციის ასამაღლებლად ჩვენი გუნდის წევრების შეხვედრების ამსახველი ფოტოები რომ გადაეღო. საღამოს სურათები მოჰქონდა ჩვენთან და ვათვალიერებდით, როგორც მოგების, ასევე წა-

გების ამსახველ კადრებს. ძილის წინ ვსაუბრობდით, შეხვედრებს განვიხილავდით. ეს იყო ემოციის გაზრდის კარგი მეთოდი, რომელმაც შედეგი გამოიღო.

1973 წელი, ქ. ჩელიაბინსკი, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი რომან რურუა რუსეთის ნაკრების მწვრთნელს ვიქტორ იგუმენოვს სსრკ თასს ართმევს.

ასეთი დეტალების აღნიშვნა, თითქოს უმნიშვნელო რამ არის, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მოჭიდავეების განწყობაზე, ემოციაზე სწორედ ამ ნიუანსებმა ძალიან კარგად იმოქმედა. ჩემმა ინდივიდუალურმა მიდგომამ ეფექტური შედეგი მოგვცა. დავამარცხეთ რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის და სხვა გუნდები. მოვიგეთ როგორც დიდებში, ასევე ახალგაზრდებში და შეჯიბრის დამთავრებამდე ერთი დღით ადრე გავხდით სსრკ თასის მფლობელნი. შეჯიბრება სამი დღის განმავლობაში ტარდებოდა. დარბაზში თასი ყოველდღე შემოჰქონდათ. მეორე დღეს რუსებმა შემოიტანეს, ვიქტორ იგუმენოვს მოჰქონდა, მივედი და გამოვართვი. სურათიც გვაქვს გადაღებული მე რომ ვართმევ და ის წინააღმდეგობას მიწევს. ცოტა ვიჩქარე, მაგრამ რომ გამოვიანგარიშე 99% თასი ჩვენი იყო. წაგების თეორიული შანსი კი რჩებოდა, მაგრამ მინიმუმამდე იყო დაყვანილი.

იმ წელს ჭიდაობის ისტორიაში საქართველოს ნაკრები პირველად გახდა სსრკ თასის მფლობელი, როგორც დიდებში, ასევე ახალგაზრდებში.

შეჯიბრის დამთავრების შემდეგ საერთო შემაჯამებელი კრება ჩატარდა. სსრკ სპორტკომიტეტის წარმომადგენელმა, სსრკ ნაკრების მწვრთნელმა, წარსულში ცნობილმა მოჭიდავემ გენადი საპუნოვმა განაცხადა:

— აღფრთოვანებული ვარ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ჭიდაობით. ნეტავ სად იბადებიან ასეთი პოტენციალის ახალგაზრდები?! მათთან მუშაობა ერთი სიამოვნებაა. ღმერთმა ისე არ მომკლას, რომ ასეთ ბავშვებთან არ ვიმუშაო...

იმ პერიოდში გადავწყვიტე, რომ დროის მოთხოვნის შესაბამისად საწვრთნელი-სავარჯიშო მეთოდიკა შემეცვალა, მაგრამ ეს მწვრთნელების უფროს თაობას არ მოეწონა და ჩვენ შორის კონფლიქტური სიტუაცია წარმოიშვა.

როგორც ცხოვრება ვითარდება, იცვლებიან ადამიანები, ისე ვითარდება და იცვლება მიდგომა სპორტის ამა თუ იმ სახეობისადმი. რაც კარგია, ძველი უნდა დარჩეს და, დროის მოთხოვნის შესაბამისად, სიახლემაც განვითარება ჰპოვოს.

თავის დროზე საქართველოს მსოფლიოში სახელგანთქმული მწვრთნელები ჰყავდა, ნამდვილი კორიფეები: თავისუფალი სტილით ჭიდაობაში — ვახტანგ კუხიანიძე, მიხეილ თიკანაძე, შალვა ნოზაძე, ვასო ილურიძე, გიორგი როსტიაშვილი და სხვ. კლასიკურში — პეტრე იორდანიშვილი, ლეონიდ ძეკონსკი, ლეონიდ კაპიტონოვი, ნერსეს აკოფოვი, გიორგი ვარძელაშვილი, ილია ჩხარტიშვილი...

მწვრთნელთა ეს თაობა 30-იანი წლების სპორტსმენები იყვნენ. 50-60-იან წლებში კი ჭიდაობას სათავეში თავად ჩაუდგნენ და ისე განავითარეს სპორტის ეს სახეობა, ისეთ სიმაღლეზე აიყვანეს, მისი დონის განსაზღვრა



სსრკ-ს დამსახურებული მწვრთნელები: ვახტანგ კუხიანიძე, ვასო ილურიძე, შალვა ნოზაძე

სსრკ-ს დამსახურებული მწვრთნელები: ლევ კაპიტონოვი და ნერსეს აკოფოვი (მანჯურიის ომის მონაწილე) რომან რურუასთან

დღევანდელი გადასახედიდან ადვილი არ არის.

მათდამი ჩემი ღრმა პატივისცემის მიუხედავად, რეფორმები დროულად და აუცილებლად მივიჩნიე. რეფორმაში სპორტიდან ძველი თაობის გაყრას ნამდვილად არ ვგულისხმობდი. პროცესის წარმართვა ჩემი შეხედულებებისამებრ მოვინდომე, რაც მათთვის მიუღებელი აღმოჩნდა. ჩვენს შორის კონფლიქტი წარმოიშვა. მე პროგრესზე, განვითარებაზე ვფიქრობდი, მათ ეს არ ესმოდათ. მკაცრად განსაზღვრული, ტრადიციული მეთოდით მუშაობდნენ. ჩემი შეცდომა ის გახლდათ, რომ იმის გაკეთება მოვითხოვე, რაც მათ არ შეეძლოთ და ამან ჩვენს შორის ბზარი გააჩინა. საქმე იქამდე მივიდა, ჩვენი ურთიერთობა კოლეგიაზე განიხილეს. ჩემს წინააღმდეგ სხვებთან ერთად საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვლადიმერ მაისურაძეც გამოვიდა. წიგნი გამოიტანა, რაღაც აბზაცები ჰქონდა მონიშნული, წესდებასავით კითხულობდა, და ამ საყოველთაო დებულების დარღვევაში მადანაშაულებდა.

— ეს ჭიდაობის მოცარტია, ამას ვერაფერს გაუგებ! — თავისი გამოსვლა ამ სიტყვებით დაასრულა.

ჭიდაობაში მოცარტობა სალანძღავი რატომ უნდა ყოფილიყო, ვერ გეტყვით. რა თქმა უნდა, ძალიან ვინერვიულე. ამ კორიფეებთან, ღვაწლმოსილ ადამიანებთან დაპირისპირება მიჭირდა, მაგრამ ჩემს სიმართლეშიც დარწმუნებული ვიყავი.

იქიდან მოყოლებული დღემდე არავითარი რეფორმა არ გატარებულა.

მახსოვს, 60-იანი წლების დასაწყისში ვახტანგ კუხიანიძის სიტყვები: — დროა, საკლუბო სისტემაზე გადავიდეთო და ამ მიზნით დღევანდელი ვაკის საჭიდაო დარბაზის საძირკველი ჩააყრევინა. სამწუხაროდ, თავად ბატონი ვახტანგი მშენებლობის დასრულებას ვერ მოესწრო. ეს იმას ნიშნავს, რომ დროის შესაბამისი რეფორმა იყო საჭირო. თუ გასულ საუკუნეში ადამიანს ასეთი შეხედულება ჰქონდა, XXI საუკუნეში რა დაგვემართა, ამას დღემდე რატომ ვერ ვხედავთ?! ანდა, დღეის შემდეგ კი დავინახავთ?!

ნუ გგონიათ, რომ ის წარმატებები, რაც დღეს არის ჭიდაობაში, ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმუმია. არა, ბატონებო! ეს ასე არ არის! ქართველების გენში ფენომენალური, ჯერ კიდევ ამოუცნობი, ამოუწურავი შესაძლებლობა დევს, რასაც ჰქვია „ედინობორსტვო“ — ერთი-ერთზე ჭიდაობა, რომლის მსგავსი და შესადარი მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიელებშია. სხვაგან, ვერცერთ ერში ვერ ნახავთ.

საქართველოში დღესაც ძველი მეთოდით ტარდება წვრთნები. სწორედ ამიტომ განიცდის კრიზისს ჩვენში სპორტის ეს სახეობა. ტალანტით სავსე

ახალგაზრდობა იმ შედეგის გარეშე რჩება, რისთვისაც იღწვის და იბრძვის. მიმაჩნია, რომ ამ ახალგაზრდების ცოდვა სწორედ იმ მწვრთნელებზე, იმ ადამიანებზეა, ვინც სპორტს ედგა სათავეში და ახლაც სათავეში არიან.



დღესდღეობით საქართველოში მსოფლიო დონის ერთადერთი მწვრთნელი — დავით დავითაია — მეგულება. თუმცა, მასაც კი არ შეუძლია მსოფლიო დონის ჩემპიონი გაზარდოს. ის თავის საკეთებელს გარკვეულ ეტაპამდე აკეთებს, შემდეგ ეს საქმე სხვას უნდა გადასცეს. მაგრამ, სამწუხაროდ, გამგრძელებელი არ ჰყავს. ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობას ეს ძალიან ძვირად უჯდება.

საქართველოს ჭიდაობის ნაკრების უფროსი მწვრთნელის თანამდებობა მაშინ ჩემი ასეთი შეხედულებების გამო დამატოვებინეს. იმ დროს პარალელურად სსრკ ნაკრების მწვრთნელი ვიყავი. საკავშირო სპორტკომიტეტმა სსრკ ნაკრების უფროს მწვრთნელად მიმიწვია, მაგრამ მაშინ საცხოვრებლად მოსკოვში უნდა გადავსულიყავი. ეს კი ჩემთვის მიუღებელი იყო.

1964 წლიდან 1976 წლამდე ყოველთვიური საკავშირო ხელფასი 3000 მანეთი მქონდა. იმ ხანად ეს მინისტრის ხელფასს უტოლდებოდა. ამგვარი ანაზღაურება აქა-იქ სხვა მოჭიდავეებსაც ჰქონდათ, მაგრამ არა სტაბილურად, ზოგს — უკლებდნენ, ზოგს — უმატებდნენ, მე მაკლებდნენ კი არა, ჭიდაობას თავი რომ დავანებე, სამი წელი კიდევ მიხდიდნენ.

1983 წ. სსრკ ნაკრები ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში

პირველი ამერიკული მანქანა თბილისში



როცა თბილისში პირველი უცხოური მანქანა გამოჩნდა, იმ დროს ქალაქში „პობედეების“, „ვოლგებისა“ და „მოსკვიჩ-407“-ის გარდა სხვა მსუბუქი მანქანა, ფაქტობრივად, არ დადიოდა. ამიტომ ლეგენდასავით გავრცელდა ხმა თბილისის ქუჩებში შვიდმეტრიანი, შავი, ხომალდის მსგავსი ამერიკული მანქანის გამოჩენის შესახებ. ლეგენდარული მოჭიდავის სახელი იმ დღიდან ლეგენდარულ მანქანასაც უკავშირდება.

1967 წელს ამერიკული მანქანის კერძო მფლობელობაში შეძენას ფინანსებთან ერთად გამბედაობაც სჭირდებოდა.

რომან რურუამ გადაწყვიტა მხოლოდ კარგი კი არა, საუკეთესო მანქანა ჰყოლოდა და ოცნების ასახდენად, საუკეთესო მანქანის მოსაძებნად მოსკოვში გაემგზავრა.

უცხოური მანქანებით განებივრებული იმჟამად არც მოსკოვია. ქვეყნის მაშინდელი პირველი პირები საბჭოთა წარმოების სიამაყით „ჩაიკით“ დადიან. თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც, რაღაც უცხოც შეიძლება დაინახო. ერთ-ერთი ასეთი მანქანა საბჭოთა ელიტის წარმომადგენლებს კოსმონავტ ეგოროვსა და მის მომხიბლავ მსახიობ მეუღლეს ნატალია ფატეევას ეკუთვნოდა. ეს გახლდათ „ბიუკ-ელექტრა-225“, „ჯენერალ მოტორსის“ არა სერიული წარმოება, მაღალი კლასის მანქანა, რომლითაც თავად ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი სამთავრობო ეშელონების წრმომადგენლები სარგებლობდნენ.

საბჭოთა სპორტული ელიტის წარმომადგენელი სწორედ ამ ავტომობილით ინტერესდება და მალე პატრონებისგან თანხმობასაც იღებს.

მის შეძენას წინ ერთი კურიოზული ეპიზოდი უძღვის. რომან რურუა თავის მეგობარ ვლადიმერ კანკავასთან ერთად ფულით სავსე „პაპკით“ რესტორან „არმენიაში“ შედის. ვახშმით ნასიამოვნებნი შვეიცარს ემშვიდობებიან და გზას ტაქსით განაგრძობენ. სწორედ ტაქსში აღმოაჩენენ, რომ „პაპკა“ რესტორანში დარჩენიათ. უკან გულგახეთქილები ბრუნდებიან და შვებით მხოლოდ მაშინღა ამოისუნთქავენ, შვეიცარის ღიმილიან სახეს რომ დაინახავენ, – „А, а... папку забыли?..“ – შვეიცარს ფულის შესახებ არც არაფერი გაუგია...

რომან რურუამ ავტომობილი მოსკოვიდან თბილისში მძღოლს ჩამოაყვანინა. მძღოლი რამდენიმე დღე სპეციალურად დარჩა, რომ ახალი მეპატრონისთვის მანქანის ავტომატური შესაძლებლობები აეხსნა.

ამ მანქანის გამოჩენა თბილისში ნამდვილი სენსაცია იყო. ცნობისმოყვარე თვალები „ბიუკსა“ და მის მფლობელს გამუდმებით თან დაჰყვებოდა. საკმარისი იყო სადმე გაეჩერებინა, უამრავი ადამიანი გარს შემოეხვეოდა და იწყებოდა გაუთავებელი კითხვები, თხოვნა, — აბა, საბარგული ახადე, კაპოტი გახსენი, კარი გამოაღე, შეგვახედე და ა. შ. ხშირად საკუთარ მანქანამდე გზის გაკვლევაც კი გასჭირვებია. ასეა თუ ისე, თბილისს ასეთი კლასის პირველი უცხოური მანქანის გამოჩენა რომან რურუას სახელთან ერთად შემორჩა და ეს ყველა ძველ თბილისელს ახსოვს.

თავად რომან რურუას კი განსაკუთრებით მამის რეაქცია დაამახსოვრდა.

— ჩემი ახალი მანქანით სოფელში წავედი. ერთი სული მქონდა, ჩემს მშობლებს ენახათ. თბილისი გადაირია და სოფელს რაღა დაემართებოდა?! წარმოვიდგინე, ამის შემყურე მამაჩემი ჩემით როგორ იამაყებდა. ჩავედი მუხურჩაში. მივადექი ჩვენი სახლის ჭიშკარს და სიგნალი მივეცი. მამაჩემი ეზოში მდგარა, სიგნალის ხმა რომ გაიგო, წამოვიდა და ჭიშკარი ისე გააღო, გარეთ არც კი გამოუხედავს. შევიყვანე მანქანა, ეზოში დავატრიალე და ცხვირით ისევ ჭიშკრისკენ დავაყენე. ამაყად გადმოვედი მანქანიდან, კარი მივხურე და გვერდზე დავუდექი. მოდის მამაჩემი, მანქანას ზედ არ უყურებს, ხელი ჩამომართვა, გადამკოცნა და მითხრა:

— ყოჩაღ, კარგი ბიჭი ხარ, გეკუთვნის კარგი მანქანა...

მერე თოხი აიღო, მხარზე გაიდო და ყანაში წავიდა. გაოგნებული დავრჩი მამაჩემის ასეთი გულგრილობით ჩემი ამერიკული მანქანის მიმართ...

ჩემს ამერიკულ მანქანასთან დაკავშირებით ერთი ასეთი ეპიზოდიც მახსენდება. 1979 წელს ამერიკაში, სანდიეგოში ჭიდაობის მსოფლიო პირველობა გაიმართა. საბჭოთა გუნდს მეც ვახლდი. ჩვენთან ერთად იყო, აგრეთვე, მერაბ ღუდუშაური, იმ დროისთვის უკვე თბილისის ლენინის რაიონის მილიციის უფროსი. მასპინძლობას ჭიდაობის დიდი გულშემატკივარი ალან რიგე გვიწევდა. იმდენად უყვარდა სპორტის ეს სახეობა, რომ ამერიკის გუნდს ყოველთვის, ყველა შეჯიბრზე თან ახლდა. ჩემი სპორტული კარიერის დასაწყისიდან მოყოლებული ვიცნობდი. ძალიან დიდ პატივს მცემდა, ვმეგობრობდით. „ბიუკისთვის“ „გლუშიწელი“ მჭირდებოდა. რაკი სპეცმანქანა იყო, ნაწილების შოვნა ჭირდა და მაღაზიებში მის მოსაძებნად ეს ჩემი ამერიკელი მეგობარი გავიყოლე. შემიყვანა მანქანების ერთ-ერთ მაღაზიაში და მითხრა:

Roman Rurua is one of the people I most admire in all the world.
Alan H. Rice

– დამღალა შენი მანქანის ნაწილების ძებნამ, ახალ მანქანას გიყიდი, ამოირჩიე რომელიც გინდა...

ძალს ის და ძალს მე. არაფრით არ ვაყიდინე. გადაირია მერაბი, ჯერ იქვე შეიცხადა, უარს როგორ ამბობო, მერე ყველას უყვებოდა, ეს რა ქნაო...

რატომ ვუთხარი უარი? ამხელა ვალის ტარებას ვერ შევძლებდი, ვერ მოვისვენებდი, თავიდან ვეღარ ამოვიგდებდი... ამ კაცს წელიწადში ერთხელ ან ვნახავდი, ან ვერა. ამხელა პატივისცემას გადახდა ხომ უნდოდა?!. ერთხელ ერთმა მოჭიდავემ სავარცხელი მაჩუქა, სარკესთან მედო, რამდენიც თვალს მოვკრავდი, სულ მახსოვდა, რომ მაჩუქეს. სავარცხლის ჩუქებას ვერ შევეგუე და მანქანას შევეგუებოდი?!. თუ არა გაქვს უნარი და საშუალება უკან დაუბრუნო, ასეთი საჩუქარი არც უნდა აიღო.



იმედგაცრუება

— ცხოვრების პირველი მიზანი, სპორტული მწვერვალების დაპყრობა, მიღწეული მქონდა. რაც ვინატრე, ავისრულე. ყველაფერი ვნახე, ყველაფერი გავიარე. თუ რამ უარყოფითი მოხდა, ისიც კაცურად მივიღე. არ შეიძლება ამ ქვეყანაზე ყველა სიკეთე შენ ერთს გერგოს, იმიტომ, რომ რამდენიც უარყოფითია, იმდენივეა დადებითი. ადამიანებმა ორივე უნდა გავიყოთ, გავინაწილოთ. სპორტში ჩემი შესაძლებლობების 15-20% ხომ დავკარგე, მაგრამ ესეც სპორტულ კანონზომიერებად ჩავთვალე. ამ სამყაროდან ისე წავედი, ჩემი სახელი და გვარი სამუდამოდ დავტოვე.

ამის შემდეგ მიზნად კარგი ოჯახის შექმნა დავისახე. მიუხედავად იმისა, რომ 1962 წლიდან 1972 წლამდე სულ მოდაში ვიყავი, ვიდრე აქტიურ სპორტში ვმოღვაწეობდი, ცოლის მოყვანაზე არც მიფიქრია. შემეძლო ცხოვრების თანამგზავრად თბილისური ელიტური ოჯახის შვილი ამერჩია. მე ხომ იმ დროს ძალიან პოპულარული და წარმატებული ადამიანი გახლდით, მაგრამ ჩემი მშობლების დაჩრდილვას მოვერიდე, ისინი ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანები იყვნენ, მამა — კოლმეურნე, დედა — მეჩაიე. ამიტომ მინდოდა, ჩემი მეულლე უბრალო ოჯახიდან, თავმდაბალი ადამიანი ყოფილიყო. ამ დროს უკვე საქართველოს ჭიდაობის უმაღლესი სკოლის დირექტორი ვიყავი.

ერთ-ერთ რაიონში ახალგაზრდა ქალი გავიცანი, მომეწონა და მისი ცოლად მოყვანა გადავწყვიტე. მმაჩის ბიუროში განცხადება შევიტანეთ. ქორწილამდე ცოტა ხნით ადრე შეკრებაზე წასვლა მომიწია. საცოლე ჩემს ახლობელთან ერთად გასაცილებლად აეროპორტში გამომყვა. ტრაპზე ასვლის წინ უკან მოვიხედე, მინდოდა მისთვის ხელი დამექნია და დავინახე, ზურგით დგას და ვიღაც უცნობს ელაპარაკება. შეკრებიდან ადრე დავბრუნდი. შევეცადე ახლობლისგან გამეგო იმ უცნობის ვინაობა, მაგრამ არაფერი მითხრა. თავიდან არც ჩემს საცოლეს სურდა რამე ეთქვა, მაგრამ...

ასე იყო თუ ისე, გავიგე, თავის ბავშვობისდროინდელ შეყვარებულს ხვდებოდა. შეურაცხყოფილი და იმედგაცრუებული დავრჩი. იმ ბიჭის ნახვა გადავწყვიტე. კარგა ხანს მემალებოდა, მაგრამ ჩვენი შეხვედრა მაინც შედგა. მისგან შევიტყვე, რომ ერთმანეთი ბავშვობიდან ჰყვარებიათ, დიდი ხანია ხვდებიან, დაქორწინებაც გადაწყვეტილი ჰქონიათ და, თურმე, ის კი არა, მე ვართმევ საცოლეს. დამარწმუნა, რომ შეცდომაში ვიყავი შეყვანილი. ბოდიშიც კი მოვუხადე. რა მჭირდა საიმისო, სხვისთვის საცოლე წამერთმია?! მას შემდეგ აღარც გავკარებივარ. ქორწინებაზე, რა თქმა უნდა, უარი ვთქვი. ამის გამო მიჩივლეს. სწორი ყოფილა ახალგაზრდებს მოსაფიქრებლად ერთ თვეს რომ აძლევდნენ...

ამას მოჰყვა ჩემი საკითხის თბილისის კალინინის რაიონის ბიუროზე გატანა. რაიკომის მდივანმა ნელი გურგენიძემ პირდაპირ მომახალა:

— ქალი მოგიტყუებია...

— რატომ მომიტყუებია, ერთი თვე ხომ მქონდა მოსაფიქრებელი ვადა? ხოდა მოვიფიქრე, რომ აღარ მოვიყვანო. — განვაცხადე ბიუროს წევრებთან.

— კიდევ რომ მოგვიდეს ასეთი რამ? — მეკითხება რაიკომის მდივანი.

— იგივეს გავიმეორებ! — არც დავფიქრებულვარ, ისე ვუპასუხე.

მახსოვს, კალინინის რაიონის მილიციის უფროსმა — ჯიმი მიქელაძემ — ტაში შემოჰკრა და — „ბრავო!“ — შესძახა. მერე უცბად გაახსენდა, სად იყო და სასწრაფოდ სერიოზული გამომეტყველება მიიღო.

ბიუროზე სასტიკი საყვედური მომცეს და ამის საფუძველზე სპორტკომიტეტმა სკოლის დირექტორობიდან გამათავისუფლა.

ისევ ცხოვრების პირისპირ



დედას გიტირებ, ცხოვრებავ!

— 25 ნოემბერია, ჩემი დაბადების დღე, 35 წელი შემისრულდა. ვზივარ მარტო ჩემი დანგრეული, გაურემონტებელი ბინის სამზარეულოში, მაქვს მხოლოდ ორი „ლეჟანკა“, ოთხი რუმინული სკამი, მოჭიდავე ვლადიმერ ნოვოხატკოსგან 600 მანეთად ნაყიდი თიხის ჩაის სერვიზი და ერთიც საუთოებელი მაგიდა. ქარი ზუზუნებს, თოვს... ვფიქრობ, ვინმემ რომ ნახოს, დაიჯერებს ჩემს მდგომარეობას?!. ყველას ჰგონია, ფული მაქვს, სახლი, მანქანა, მილიონერ კაცად მიცნობენ. მე კი არც ფული მაქვს, არც სამსახური, მანქანაში ბენზინიც ვერ ჩამისხია. ჩემმა მეგობრებმა ვინ თანამდებობა მიიღო, ვინ — უმაღლესი განათლება. მე კი ინსტიტუტიც არ დამიმთავრებია...

ძალიან გავბრაზდი ჩემს თავზე. ასე როგორ უნდა გაგიჭირდეს, რომ სიცივეში იჯდე მარტო, დანგრეულ ბინაში, ყოველმხრივ ხელმოცარული... რატომ? ჭკუა-გონება გაკლია, თუ ინვალიდი ხარ?! და მაშინ ჩავუთქვი: დედას გიტირებ, ცხოვრებავ! როგორ, ვინმე ცხოვრობდეს ამ ქვეყანაზე და მე ვერ შევძლო?!.

საუთოებელ მაგიდას მივუჯექი და თბილისის ქალაქკომის პირველი მდივნის პავლე გილაშვილის სახელზე წერილი დავწერე, როგორც პარტიის წევრი დასაქმებას ვითხოვდი. ქალაქკომში დამიბარეს, — რატომ არ მუშაობო, — მკითხეს, ვითომ არ იცოდნენ... — ჭიდაობიდან გამომაგდეს-მეთქი, — ვუპასუხე. ქალაქკომის მეორე მდივანი თენგიზ მენთეშაშვილი იყო, ინსტრუქტორი — დალი ბოჯგუა. ინსტრუქტორი იყო, აგრეთვე, ჩემი მეგობარი, ყოფილი მოჭიდავე ზურაბ ქორიძე. ჩემი საქმე მათ კომპეტენციაში შედიოდა. დამპირდნენ, რომ სამსახურს მომიძებნიდნენ. და, მართლაც, რამდენიმე დღეში მინისტრთა საბჭოს კაბინეტში, თავმჯდომარის მოადგილესთან ოთარ ჩერქეზიასთან გამომიძახეს, სპორტის საკითხებს ის კური-

რებდა. იქ ჩერქეზიას თანაშემწემ, წარსულში ცნობილმა კალათბურთელმა ნოდარ ჯორჯიკიამ მიმიღო. მოვუყევი ნოდარს სამსახურიდან ჩემი გათავისუფლების ამბავი და ვთხოვე დამხმარებოდა.

ეს ის პერიოდია, როცა ცნობილი სპორტსმენები, კალათბურთელები მიხეილ ქორქია და ანზორ ლეჟავა „საქმოსნებთან" ანუ დღევანდელი ტერმინოლოგიით, იგივე ბიზნესმენებთან საქმიან ურთიერთობაში, ფულის კეთებაში ამხილეს. ედუარდ შევარდნაძემ მაშინ განაცხადა, რომ ცნობილი სპორტსმენები საქმოსნებისთვის ახლოს აღარ გაეკარებინათ. და დადგა საკითხი, როგორ დაესაქმებინათ ისინი სპორტული მოღვაწეობის დამთავრების შემდეგ... გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნდა ნაწყვეტი შევარდნაძის სიტყვიდან:

„ — ძალზე საჭიროა დავეხმაროთ ცნობილ სპორტსმენებს წინასწარ განსაზღვრონ თავისი ადგილი ცხოვრებაში მას შემდეგ, რაც თავს გაანებებენ დიდ სპორტს... გამოჩენილი სპორტსმენები უფრო აქტიურად უნდა ჩავაბათ სამეცნიერო — ორგანიზატორულ საქმიანობაში... მათ კარგი ავტორიტეტი აქვთ..."

ჯორჯიკიასთან საუბარში ეს მომენტი გამოვიყენე: — ორჯერ ხომ გამომაგდეთ სპორტიდან?! კარგი ბატონო, არ მინდა, სპორტში ჩემი მუშაობა შეუძლებელია, სადმე სხვაგან დამასაქმეთ-მეთქი...

ამ მომენტმა გამიხსნა ხელ-ფეხი ბიზნესისკენ მიმავალ გზაზე. ეს ისეთივე ბიზნესი იყო, როგორიც მაშინდელი ცხოვრება.

ნოდარ ჯორჯიკიამ სპორტული ტანსაცმლის ფაბრიკის დირექტორს გიგა ჩაჩხიანს დაურეკა და ჩემი ფაბრიკაში დასაქმება სთხოვა. პირობა ფაბრიკის დირექტორისგანაც მივიღე, — როგორც კი ადგილი გამოჩნდება, მაშინვე დაგიძახებთო.

გამოძახებას ველოდები და ამ დროს ფაბრიკიდან „ლევი" საქონლის გატანის გამო, რომელიც ცნობილი ფეხბურთელის გიორგი ანთაძის მაღაზიაში აღმოაჩინეს, გიგა ჩაჩხიანი სამსახურიდან გაათავისუფლეს. ანთაძე თავისმა სპორტულმა დამსახურებამ იხსნა. ჩემი საქმე კი ჩაიშალა. ამ ამბიდან ცოტა ხანში ზურაბ ქორიძე სპორტული ტანსაცმლის ფაბრიკის დირექტორად დანიშნეს. მივხვდი, მეც მეშველებოდა. მალე ფაბრიკის ახალმა დირექტორმა ამავე ფაბრიკაში მომარაგება-გასაღების განყოფილება ჩამაბარა. ეს ისეთი სამსახური გახლდათ, რომ საზოგადოებასთან გამუდმებული ურთიერთობა მიხდებოდა. ზოგს მე ვიცნობდი, ბევრი მე მიცნობდა და საქმე მშვენივრად აეწყო. ფაბრიკას თუკი რამ სჭირდებოდა წარმოებისთვის, ყველაფერს ვშოულობდი. სამ თვეში დირექტორის მოადგილედ გადამიყვანეს. ფაქსიმილია, რომელიც მაშინ ავარჩიე, დღემდე იმას ვიყენებ. ჩემი მუშაობა სპორტული ტანსაცმლის ფაბრიკაში საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა.

არჩილ გოგელია, ზურაბ ქორიძე და რომან რურუა

აქედან იწყება ჩემი ცხოვრების კიდევ ერთი, ახალი ეტაპი.



ჩემი მეუღლე – გალინა

რომან რურუა: – სპორტული ტანსაცმლის ფაბრიკაში მუშაობა რომ დავიწყე, უკვე 35 წლის ვიყავი. მიუხედავად იმისა, რომ დაოჯახება დამაგვიანდა, გადაწყვეტილების მიღება მაინც მიჭირდა. ერთხელ ხელი მომეცარა, ამიტომ მეორედ არჩევანის გაკეთება ძნელი იყო. საქართველოში, რატომღაც, ჩემთვის საცოლე ვერ მოიძებნა. ხან ერთი მომწონდა, ხან – მეორე, ხან ჩემმა რჩეულმა ვერ გაამართლა, ხან, ალბათ, მე და დავრჩი ასე უცოლოდ 35 წლის ასაკამდე.

ჩვენს ფაბრიკას მოსკოვში „გლავსპორტპრომი“ კურატორობდა. ამიტომ მივლინებებით ხშირად ჩავდიოდი ხოლმე. სწორედ იქ შევამჩნიე ერთი სიმპათიური გოგონა, რომელიც თავისი მოქმედებით, ჩაცმულობით, კულტურითა და სისადავით ჩემს გემოვნებასა და ხასიათს შეეფერებოდა. თავდაპირველად შორიდან ვაკვირდებოდი, გრძნობების შესახებ არაფერს ვეუბნებოდი.

ერთხელ თბილისში „გლავსპორტპრომიდან“ ახალგაზრდა სპეციალისტები ჩამოვიდნენ. მათთან ვმეგობრობდი და ამიტომ ჩემი გულის ნადების ხმამაღლა გამხელა არ გამჭირვებია. ვთხოვე, გალინასთვის გადაეცათ, რომ მომწონდა.

ქნი გალინა: – რომანს შორიახლო ვიცნობდი, ამიტომ, როცა მისი დანაბარები გადმომცეს, ძალიან გამიკვირდა, ჩემთვის ეს მოულოდნელი იყო. ასევე გადმომცეს მისი საჩუქარი – ფრანგული სუნამო „ფიჯი“ და ერთი ჩანთა კარალიოკი... იცით, რას ნიშნავდა მაშინ ფრანგული სუნამო? ჩემს, თითქმის, ერთი თვის ხელფასს... რომანი ჩემზე უფროსია, მას „გლავსპორტპრომში“ უაღრესად სერიოზულ ადამიანად მიიჩნევდნენ და ყველა დიდი პატივსცემითა და რიდით ეკიდებოდა, თავდაპირველად მის მიმართ მეც მხოლოდ იგივე გრძნობა მქონდა...

ბ-ნი **რომანი:** – მოსკოვში მეც მალევე წავედი. შევხვდი გალინას... არაფერს იმჩნევს, მაგრამ მე ხომ ვიცი, რომ ჩემი დანაბარები გადასცეს... ვგრძნობ, ჩემს მიმართ მთლად გულგრილი არც ის უნდა იყოს. გავბედე და ძველმოდურად კინოში დავპატიჟე. საღამოს სახლამდე მივაცილე. ეს იყო ჩვენი პირველი პაემანი.

ქ-ნი **გალინა:** – რომანმა თავისი მეგობარი ვიქტორ იგუმენოვი და მისი მეუღლე ლარისა გამაცნო. ჩვენ მათი ოჯახის ხშირი სტუმრები ვიყავით. მე და ლარისა დავმეგობრდით. ლარისა ბევრს მიამბობდა რომანის შესახებ. მომიყვა, როგორ დაეხმარა იგი სრულიად უცნობ ქალს, რომლის შვილსაც მოსკოვში სასწრაფო ოპერაციის გაკეთება სჭირდებოდა... როგორი უანგარო და ერთგული მეგობრობა შეეძლო... ხშირად ვათვალიერებდით ვიქტორისა და რომანის სპორტული კარიერის დროს გადაღებულ ფოტოებს... სწორედ მათ ოჯახში ვნახე პირველად ცნობილი ფოტოკორესპონდენტის იური ტეუშის მიერ გადაღებული რომანის პორტრეტი, და უნდა გამოგიტყდეთ, ეს ფოტო რომ არ მენახა, დღეს მე მისი მეუღლე არ ვიქნებოდი...

იური ტეუშის მიერ გადაღებული ფოტო

ბ-ნი **რომანი:** – 30 წელი გავიდა ჩვენი ქორწინებიდან და ახლა ვიგებ ამის შესახებ, ეს ამბავი მართლა პირველად მესმის...

მოსკოვში ჩემი ერთ-ერთი მივლინების დროს გალინა თბილისში დავპატიჟე. – რა მინდა თბილისშიო?.. – გაიოცა. – რა ვიცი, მე ქე მომწონს და ეგება შენც მოგეწონოს-მეთქი... – ნოდარ დუმბაძის ზურიკელასავით გამომივიდა. გაიპრანჭა, მაგრამ თბილისში სტუმრობაზე მაინც დავითანხმე.

ქ-ნი **გალინა:** – საქართველოში, როგორც „გლავსპორტპრომის“ თანამშრომელმა ოფიციალური მოწვევა ფაბრიკის დირექტორისგან მივიღე და არა რომანისგან. თანაც იმ პერიოდში სამსახურიდან ექსკურსიებზე ხშირად დავდიოდით. უკვე ნანახი მქონა ბალტიისპირეთის ქვეყნები. ძალიან მინდოდა საქართველოც დამეთვალიერებინა. ამიტომ მათ მოწვევას დავთანხმდი...

ძეთი მამასთან

ბ-ნი **რომანი:** — გალინას თბილისის აეროპორტში „ბიუკით“ დავხვდი...

ქ-ნი **გალინა:** — არ არის მართალი, მეგობრის ყვითელი „ჟიგულით“ დამხვდა. „ბიუკი“ თვალით არ მინახავს. ეს მანქანა მოგვიანებით ვნახე, მას შემდეგ, რაც მისი მეუღლე გავხდი...

ბ-ნი **რომანი:** — სასტუმრო „ივერიაში“ მოვაწყე, ჩემს სახლს სირცხვილით როგორ გამოვაჩენდი. დავათვალიერებინე საქართველო, თბილისი, გავაცანი მეგობრები, ნათესავები...

ქ-ნი **გალინა:** — თბილისს რომ ვათვალიერებდი, ლენინის მოედანზე ოქროულობის მაღაზიასთან ჩავიარეთ და რომანმა მკითხა, „კალიცოები“ ხომ არ ვიყიდოთო?! ეს იყო პირველი სერიოზული მინიშნება მისი მხრიდან...

ბ-ნი **რომანი:** — ერთ საღამოს თბილისის ზღვაზე რესტორანში ვივახშმეთ. იქიდან რომ გამოვედით, გალინას ჩანთიდან ჩემი ნაჩუქარი ფრანგული სუნამო ამოუვარდა, ვეძებეთ, მაგრამ ვერ ვიპოვეთ. ორი წლის შემდეგ, უკვე დაქორწინებულები ვიყავით, ისევ იმ ადგილას რომ მოვხვდით, გალინა იხსენებდა, აი, აქ ვიდექი სუნამო რომ დამივარდაო, დავიხედეთ ძირს და, ვხედავთ, სუნამო გალინას ფეხებთან გდია... ეს ნამდვილი სასწაული იყო...

წასვლამდე ორიოდე დღით ადრე საღამოს სასტუმროში მივაკითხე. ოთახში ვისხედით, ვსაუბრობდით... ტელეფონმა რამდენჯერმე დარეკა. ვიგრძენი, ეს ზარები გალინას რაღაც უხერხულობას უქმნიდა, თუმცა, თავად არაფერს მეუბნებოდა. კიდევ რომ დარეკა ტელეფონმა, ჩემს სტუმარს ყურმილის აღება აღარ დავანებე, მე თავად დავწვდი და სატელეფონო ხაზზე გაწიწმატებული ქალის ხმა შემომესმა:

ვოვა

— რამდენჯერ გაგაფრთხილოთ, ვერ გაიგეთ, რომ ჩვენთან 12.00 სთ-ის შემდეგ უცხო პირთა ყოფნა არ შეიძლება?!

— ჯერ 12 საათი არ არის, ასე რომ, წესრიგი არ დამირღვევია, მოვა დრო და წავალ! — მშვიდად ვუპასუხე.

ცოტა ხანში კარზე ვიღაცამ დააკაკუნა, გავაღე და ვხედავ ადმინისტრატორ მერის აქეთ-იქიდან მილიციონერები ამოუყენებია, თვითონ თაიგულივით შუაში ჩამდგარა და ნიშნის მოგებით მიყურებს. მილიციონერებმა მიცნეს, შერცხვათ, ბოდიში მომიხადეს და გაიქცნენ. ხელში მარტო მერი შემრჩა. ძალიან გავბრაზდი, თავი ვეღარ შევიკავე და მერის მამა-პაპურად ვაგინე.

მერე რა, რომ სტუმარი გოგონაა, არ შეიძლება მანდილოსანს უმასპინძლო?! მერია მისი ბატონ-პატრონი, დედა თუ ბებია?!. ერთი სიტყვით, მერის ისეთი დღე ვაყარე, იქ გაჩერება აღარ შეიძლებოდა. კარი ცხვირწინ მივუჯახუნე და გალინას სასტუმროდან წამოყვანა გადავწყვიტე. „ივერიის“ მაშინდელ დირექტორს — ვახტანგ შარაშიძეს კარგად ვიცნობდი. უაღრესად პატიოსანი და წესიერი კაცი იყო, უშიშრო-

ების სამსახურის ყოფილი თანამშრომელი. დიდ პატივს მცემდა. ვიფიქრე, რომ ვახტანგს მოგვიანებით ვნახავდი და მერის ამბავს ვეტყოდი. ახლა კი აქაურობა უნდა დაგვეტოვებინა.

ქ-ნი **ბალინა:** – სასტუმროში მიხაკების უზარმაზარი თაიგული დამრჩა, ამ აურ-ზაურში მისი წამოღება სულ დამავიწყდა... მახსოვს, ამის გამო გული ძალიან დამწყდა...

ბ-ნი **რომანი:** – არ მინდოდა, გალინას ჩემი დანგრეული ბინა ენახა, მაგრამ სხვა გზა აღარ მქონდა, ღამის 12.00 საათი იყო, სად უნდა წამეყვანა? მაშინ სასტუმროს შოვნა ადვილი არ იყო. თანაც ვიფიქრე, რაკი ოლიმპიური ჩემპიონი ვარ, ალბათ, ჰგონია, რომ ცხოვრების განსაკუთრებული პირობები მაქვს. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა გაიგოს სიმართლე?! მივედით ჩემთან სახლში.

ქ-ნი **ბალინა:** – არაფერი გამკვირვებია. თქვენ არ იცით, როგორ ღარიბულად ცხოვრობდნენ მაშინ რუსეთში და როგორ კარგად ცხოვრობდნენ საქართველოში... სიღარიბე ჩემთვის უცხო ნამდვილად არ იყო. არასდროს მიფიქრია, რომ გავთხოვდები და აუცილებლად პრინცესასავით ვიცხოვრებ-მეთქი...

ბ-ნი **რომანი:** – გალინა მაშინ 18 წლის იყო. მასზე 17 წლით უფროსი ვარ. ბუნებრივია, ნერვიულობდა, ცოტა შეშინდა. ამიტომ, ვცდილობდი, ზომაზე მეტად თავაზიანი და ღირსეული ვყოფილიყავი. ჩემმა სიღარიბემ მასზე ძალიან დადებითად იმოქმედა. თითქოს, ერთმანეთს უფრო გავუგეთ. ორი „ლეჟანკა“ კი მქონდა, მას სასტუმრო ოთახში გავუშალე, ჩემთვის საძინებელში გავიშალე და ასე გავატარეთ სამი დღე. მესამე დღეს მოსკოვში გაფრინდა. გამომშვიდობებისას ვუთხარი:

– შენ ნახე საქართველო, თბილისი, გაიცანი ჩემი მეგობრები და ნათესავები. ნახე სად და როგორ ვცხოვრობ, თუ გადაწყვიტავ, დამირეკე, ჩამოვალ და წამოგიყვან.

ვლადიმერ და ქეთევან რურუეები

გარკვეული პერიოდის შემდეგ მოსკოვში ჩავაკითხე. გალინამ ითათბირა დედასთან, ბებიასთან და გადაწყვიტა, წამოსულიყო. თბილისში, აეროპორტში ზურაბ ქორიძე დაგვხვდა მეუღლესთან ერთად. პირდაპირ რესტორან „არაგვში“ წავედით. დიდი ჰაი-ჰუი არ გაგვიმართავს. სულ ეს იყო ჩვენი ქორწილი. ასე მოკრძალებულად აღვნიშნეთ ჩვენი ერთობლივი ცხოვრების დასაწყისი, ცხოვრების, რომელიც ორი „ლეჟანკითა“ და ერთი თიხის სერვიზით დავიწყეთ. ჩემი მეუღლე ნელ-ნელა შეეგუა აქაურ ცხოვრებას... ქალვაჟი შეგვეძინა, ქეთევანი და ვლადიმერი, მგონი, კარგი ოჯახი შევქმენით.

ამით ჩემს მიერ დასახულ მეორე მიზანსაც მივაღწიე.



ჩემი ცხოვრების კიდევ ერთი მიზანი

იცვლებოდა დრო და იცვლებოდნენ ადამიანები ჩემს იმედივ...

ჟიული შარტავასთან

გივი კარტოზიასთან

ვახტანგ ბალავაძესთან

სპორტული ნაწარმის ფაბრიკა, რომელშიც მუშაობა დავიწყე, საკავშირო მნიშვნელობის გახლდათ. საკავშირო სპორტკომიტეტში შექმნილი იყო ასეთი სამმართველო: „გლავსპორტპრომი“, ანუ მთავარი სპორტმრეწვი, რომლის დაქვემდებარებაში საბჭოთა კავშირის მასშტაბით ათეულობით ფაბრიკა-ქარხანა მუშაობდა, მათ შორის ჩვენი სპორტული ნაწარმის ფაბრიკაც.

სპორტულ სამყაროში დიდი ავტორიტეტი მქონდა, ამიტომ ჩემი მისვლა ფაბრიკისთვის მეტად მნიშვნელოვანი და მომგებიანი გამოდგა. სადაც უნდა წავსულიყავი რუსეთში, უკრაინაში, ბელორუსიაში თუ სხვა, ფაბრიკისთვის დეფიციტურ მასალას, ნედლეულს ყოველთვის ვშოულობდი. ამას ისიც დაემატა, რომ „გლავსპორტპრომის“ უფროსი, ვლადისლავ ვლადიმეროვიჩ სუმოჩკინი, ჩემს მიმართ კეთილად განეწყო, ძალიან ვუყვარდი, შვილს მეძახდა, — ვაჟი არა მყავს და ჩემი ბიჭი შენ ხარო... — მეუბნებოდა.

1978 წელს ვლადისლავ ვლადიმეროვიჩი თბილისში ფაბრიკის დასათვალიერებლად გვესტუმრა. წარმოების ტერიტორია შემოღობილი იყო. მაშინ ფაბრიკის მიმდებარე ტერიტორიაზე პროფტექნიკური სასწავლებლების სასაწყობო მეურნეობა იყო განთავსებული. პროფსასწავლებლებს ჰიპოკრატე შევარდნაძე ხელმძღვანელობდა. ვლადისლავ სუმოჩკინმა შემოგვთავაზა ფაბრიკის ტერიტორიის გაფართოება და გვითხრა, რომ თუ შრომითი რეზერვების სასაწყობო მეურნეობისთვის სხვა ადგილი გამოინახებოდა, მათთვის ფინურ საწყობებს გამოყოფდა. ჰიპოკრატე დიდი სიამოვნებით დათანხმდა ამ წინადადებას.

ჰიპოკრატეს ჭიდაობა ძალიან უყვარდა. სპორტიდან მიცნობდა და დიდ პატივსაც მცემდა, სადაც უნდა შემხვედროდა, ისე არ გამიშვებდა,

შუბლზე არ ეკოცნა. ქალაქის დეპუტატად ოთხჯერ ამირჩიეს და ოთხჯერვე მისი რეკომენდაციით.

ერთი სიტყვით, სასაწყობო მეურნეობა გლდანში გადავიტანეთ და გამონთავისუფლებულ ტერიტორიაზე მიზნად ფაბრიკის გაფართოება დავისახეთ. სწორედ მაშინ დაიბადა იდეა წარმოების რეკონსტრუქციის შესახებ.

მანამდე ჩვენ ძალიან დაბალი დონის უხარისხო სპორტულ ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს ვუშვებდით. ფაბრიკა 40-იან წლებში ელეონორა რუზველტის მიერ სტალინისთვის ნაჩუქარი რამდენიმე საქსოვი მანქანა-დანადგარით მუშაობდა. ტექნიკა უკვე საკმაოდ მოძველებული იყო. ჩვენი გამოშვებული პროდუქცია მხოლოდ შიდა მოხმარებისთვის თუ გამოდგებოდა. საბჭოთა კავშირის ნაკრებისთვის, ფაქტობრივად, გამოუსადეგარი იყო. საერთაშორისო შეჯიბრებებზე მოასპარეზე საბჭოთა სპორტსმენებისთვის სპორტული ტანსაცმელი საზღვარგარეთიდან შემოჰქონდათ. ფაბრიკის რეკონსტრუქციის იდეა წარმოების ახალი ტექნოლოგიით აღჭურვასა და მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვებას ითვალისწინებდა. გათვლა „ადიდასის“ ფირმაზე კეთდებოდა. — რაღა საზღვარგარეთ შევუკვეთოთ ჩვენი სპორტსმენებისთვის ტანისამოსი, ჩვენვე შევქმნათო... ლიცენზიის შესყიდვის თაობაზე „ადიდასის“ ფირმასთან მოლაპარაკების დაწყებამდე უამრავი სამუშაო იყო ჩასატარებელი: საერთაშორისო ნორმების დაცვით შენობების დაპროექტება-აშენება, ახალი ტექნიკის შემოტანა, ახალი ტექნოლოგიის დანერგვა და ა.შ. მოკლედ, იდეა იმ დროისთვის საკმაოდ პომპეზური გახლდათ. მის განსახორციელებლად უამრავი ხელოვნური თუ ბუნებრივი ბარიერის გადალახვა მოგვიხდა. თავდაპირველად რუსები ამ პროექტის განხორციელებას ლენინგრადში ფიქრობდნენ, მაგრამ ვინაიდან იქ სპორტული ტანსაცმლის ფაბრიკა ქალაქის ცენტრში იყო, ეკოლოგიურ პრობლემებს შექმნისო, და იდეა ისევ თბილისში დავაბრუნეთ. ამაში დიდი დახმარება კვლავ ვლადისლავ სუმოჩკინმა გაგვიწია. მოხდა ისე, რომ წარმოების რეკონსტრუქციის პერიოდში ფაბრიკიდან წასვლა მომიწია.

„დელცები“



— ფაბრიკაში ზურაბ ქორიძეც და მეც სპორტული სამყაროდან მივედით. წარმოებაში ფულის კეთების არაფერი გაგვეგებოდა. თვიდან თვემდე ხელფასით გაგვქონდა თავი. ეკონომიკურად დალხინებული ნამდვილად არ გახლდით. „ბიუკში“ ჩასასხმელი ბენზინის ფულიც კი არ მქონდა. სამსახურის ფურგონი „მოსკვიჩით“ დავდიოდი. თვალებს ვხრიდი, მრცხვენოდა, ვინმეს არ ვეცნე. არადა, ცხოვრება ასაწყობი მქონდა... რაღაც უნდა მეღონა, რამე უნდა მომეფიქრებინა, მაგრამ, რა?!.

ჭორის დონეზე ყურმოკვრით საქმიანი ადამიანების შესახებ მსმენოდა. ისიც გამეგო, სხვა ფაბრიკებში რაღაც-რაღაცეები კეთდებაო. მოკლედ, მე და ზურამ გადავწყვიტეთ, საქმიანი ადამიანების და სხვა ფაბრიკების მსგავსად, წარმოებაში ფული გაგვეკეთებინა, მაგრამ როგორ, არ ვიცოდით.

ერთ ებრაელს ვიცნობდი, იაშა მანაშეროვს, ადრე ჭიდაობდა. მივედით იაშასთან და ვკითხეთ, — ასე ასეა ჩვენი საქმე და ხომ არაფერს გვირჩევო?.. იაშამ გვითხრა, — ყველაფერს გავიგებ, დავაზუსტებ ვისია ფაბრიკა და ორ დღეში პასუხს გეტყვითო. გაგვიკვირდა, — როგორ თუ ვისია? უფროსებიც და უმცროსებიც ფაბრიკაში ჩვენ ვართო, — ვეუბნებით. მან კი თავის მხრივ აგვიხსნა საქმიანი ადამიანების იმდროინდელი დაუწერელი კანონები. მართლაც, ორ დღეში იაშამ ამბავი მოგვიტანა, — მანდ ადრე საქმიანი ხალხი იყოო, რამდენიმე კაცი ჩამოთვალა, მათი ნებართვის გარეშე ვერაფერს გააკეთებთო... ეს ხალხი შევარდნაძის შს მინისტრობის დროს მისივე პირადი მითითებით გაუთავისუფლებიათ. იმ ხანად შევარდნაძემ რესპუბლიკის მასშტაბით ბრძოლა გამოუცხადა ე.წ. „დელცებს“, შეადგინა საქმიანი ადამიანების სია, დაუყვა და ყველა გაათავისუფლა სამსახურიდან. მათ შორის ჩვენი ფაბრიკიდან ხუთი ებრაელი და ერთი სომეხი საქმოსანი. ჩვენ რომ მათი უკან დაბრუნება მოვინდომეთ, შევარდნაძეს უკვე საქართველოს ცეკას პირველი მდივნის პოსტი ეკავა და როგორი საქმე იყო, ახლა, მათი უკან დაბრუნება?! მაგრამ ჩვენ მაინც გადავწყვიტეთ, გაგვერისკა და ეს ხალხი სხვადასხვა დროს რიგით თანამდებობებზე, ისე რომ თვალში საცემი არ ყოფილიყო, მიგვეღო. ამათი საქმიანობის შესახებ მოსკოვიც საქმის კურსში ყოფილა. საკმაოდ ცნობილი საქმოსნები იყვნენ. „გლავსპორტპრომის“ მთავარ ბუღალტერსაც იცნობდნენ, საგეგმო განყოფილების უფროსსაც, ერთად დიდი საქმეები უკეთებიათ, მაგრამ თავად „გლავსპორტპრომის“ უფროსსაც სცნობია, და შევშინდით, რომ გაიგოს, ჩვენც თან არ მიგვაყოლოსო. თუმცა, რაკი ჩავერთეთ ამ საქმეში, სხვა გზა აღარ გვქონდა, ბოლომდე უნდა მივყოლოდით. ოთხი ებრაელი დავაბრუნეთ. ერთ-ერთი ამ საქმიანი ადამიანებიდან მიშა თეთრუაშვილი, ზიმი მიშას ეძახდნენ, მოსკოვში წავიყვანე. მახსოვს, „გლავსპორტპრომის” შენობასთან იმალებოდა, ხელმძღვანელობამ არ დამინახოსო... მაგრამ რა დაიმალებოდა?! ადრე თუ გვიან, მისი ფაბრიკაში მობრუნების ამბავი ვლადისლავ სუმოჩკინის ყურამდეც მივიდა. ძალიან

გაბრაზდა, მაგრამ ისევ ჩემდამი პატივისცემით დავითანხმე, რომ ეს ხალხი ფაბრიკაში დაგვეტოვებინა, — იციან წარმოება და კარგ სამსახურს გაგვიწევენ-მეთქი.

ამ პერიოდში საბჭოთა კავშირში იწყება წარმოების გადაიარაღება. მოსკოვმა რესპუბლიკებზე უცხოური სამკერვალო, საქსოვი და სხვა მანქანა-დანადგარების განაწილება დაიწყო. ეს ჯერ კიდევ ფაბრიკის რეკონსტრუქციამდე ხდება. ბუნებრივია, ჩვენც გვერგო რაღაც, მაგრამ განაწილებას რომ გადავხედე, ჩვენზე მეტი სხვა ორგანიზაციებს რგებია. წავედი მოსკოვში და იქაურ ხელმძღვანელობას ტექნიკის განაწილებასთან დაკავშირებით ჩემი პრეტენზიები განვუცხადე. „გლავსპორტპრომის“ უფროსმა მითხრა, — შემაცდინეს, რაკი ასე მოხდა, წადი ილიჩოვსკში, ქართველები შანსიანი ხალხი ხართ, იქ ჩვენი ტვირთია, გააგზავნე თბილისში და მე მხარს დაგიჭერო. მინდობილობაც მომცა. მივაკითხე პორტ ილიჩოვსკში „გლავსპორტპრომის“ ტვირთს, რომელიც სხვაგან გასაგზავნად იყო გამზადებული. იქაურ ხელმძღვანელობას, როგორც „გლავსპორტპრომის“ თანამშრომელმა, მოვთხოვე, რომ ტვირთი სასწრაფოდ თბილისში გაეგზავნათ, იქიდან კი მერე ჩვენ გადავანაწილებდით. დატვირთეს ვაგონები და თბილისისკენ გამოუშვეს. თბილისში მივიღეთ თუ არა ტვირთი, სასწრაფოდ დავიწყეთ მისი დამონტაჟება. წარმოებაში გაშვებული ტექნიკის მოხსნა აღარ შეიძლებოდა. მერე მოაკითხა პატრონმა, მაგრამ ვიღა გაატანდა?!.

ებრაელების სამსახურში დაბრუნების შემდეგ დავიწყეთ წარმოების მოწესრიგება. მოვამარაგეთ საჭირო ნედლეულით და მასალით. პროდუქციის გამოსაშვებად ყველაფერი მზად იყო. ნამდვილი საქმიანი ადამიანები ე. წ. „დელცები“ სახელმწიფოს არაფერს პარავდნენ, პირიქით, ცდილობდნენ გეგმა ხარისხიანად და გადაჭარბებით შეესრულებინათ, რომ სახელმწიფო კმაყოფილი ყოფილიყო. ამისათვის ყველაფერს აკეთებდნენ. ისინი კი არ იპარავდნენ, ქმნიდნენ, ქმნიდნენ ჭარბ პროდუქციას, როგორც სახელმწიფოსთვის და პირველ რიგში მისთვის, ისე პირადი მიზნითაც.

ვიდრე პროდუქციის გამოშვებას დავიწყებდით, დადგა საკითხი, როგორ უნდა გავინაწილოთ დოვლათი, საქმეში ოთხი ებრაელი კაცი, მე და დირექტორი ვართ. მათ გვითხრეს, — მართალია, თქვენ უფროსები ხართ,



მიხეილ თეთრუაშვილი
70-80 იანი
წლების ერთ-ერთი
საუკეთესო
საქმიანი ადამიანი
— ბიზნესმენი

მაგრამ ფაბრიკა ჩვენია, როგორ გირჩევნიათ, ხელფასი მოჭრით მოგცეთ, თუ წილში შემოხვალთო? ზურაბ ქორიძემ თქვა, — არ მინდა წილი, რაც მეკუთვნის ხელფასის სახით მომეცითო. მე ვიფიქრე, — ხელფასი კარგი რომ იყოს, თვითონ დაინიშნავდნენ. ესე იგი, წილია კარგი. — არ მინდა ხელფასი, წილი მინდა-მეთქი. — წილში ფული უნდა გადაიხადოო. წილში გადასახდელი ფული სად მქონდა, ფული რომ მქონოდა, ესენი რაღად მინდოდა?!. ბოლოს ზიმი მიშამ თქვა, — ეს საჭირო კაცია, აუცილებლად გამოგვადგება, შევიყვანოთ წილში და მოგებიდან ნელ-ნელა გადავახდევინოთო... საქმიანი ადამიანები ამ სიტყვას ამბობენ მხოლოდ იმ კაცზე, ვინც იციან, რომ აუცილებლად გამოადგებათ.

გამოვუშვით პროდუქცია და დადგა მისი გაყიდვის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ ებრაელებს ძალიან დიდი გამოცდილება ჰქონდათ, გაყიდვას მაინც ვერ ბედავდნენ. ზიმი მიშამ ერთ თბილისელ სომეხს, სიომა ცანტურიანს შემახვედრა, — ძალიან მაგარი ვიღაცაა, ადრე „დინამოში“ მუშაობდა, ეგ დაგვეხმარებაო. მახსოვს, თბილისის ზღვაზე შევხვდით. ამ კაცმა გვითხრა, — თავი დამანებეთ, იმდენი ფული მაქვს, სად წავიღო, არ ვიცი, დავბერდი უკვე, არაფერი მინდაო. მეორედ კიდევ შევხვდით, ისევ თბილისის ზღვაზე, ისევ უარით გამოგვისტუმრა. მესამე შეხვედრაზე, როგორც იქნა, დავითანხმეთ. მახსოვს, პატარა ტანის კაცი იყო, ჩაფსკვნილი, სიმპათიური სახე ჰქონდა, სვანური ქუდი ეხურა. — ჯანდაბას თქვენი თავი, გაამზადეთ პროდუქცია, საათნახევარში მოვალ და წავიღებო. რას ნიშნავდა გამზადება, ან სად მიჰქონდა, არაფერი ვიცოდი. არც მე და არც დირექტორი ფაბრიკის ტერიტორიაზე სიღრმეში არ შევდიოდით. არ ვიცოდით, პროდუქცია სად ან რამდენი ჰქონდათ გამზადებული. მიშამ თავის ებრაელ ძმაკაცებთან ერთად ყველაფერი გაამზადა და სიომა ცანტურიანს გაატანა, სიომა ორ საათში ფულთან ერთად დაბრუნდა. ყველა გაისტუმრეს, ფული გაყვეს და მე 10 000 მანეთი მერგო. კინაღამ ჭკუაზე შევიშალე.

სხვათა შორის, ეს სიომა ცანტურიანი დოდო აბაშიძის კარის მეზობელი და განუყრელი ძმაკაცი იყო. დოდოს კარგად ვიცნობდი, მერე, როცა სიომასთან საერთო ენა გამოვნახეთ, მის სახლში ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს.

ცხოვრების შემდეგ ეტაპზე ფული გამიჩნდა. უკვე შემეძლო კარგ ცხოვრებაზე მეფიქრა. შემეძლო საკუთარი თავისადმი მიცემული სიტყვა შემესრულებინა, როცა მარტო ვიჯექი დანგრეულ ბინაში და დავიქადნე, — დედას გიტირებ, ცხოვრებავ! „მოსკვიჩიდან“ ისევ „ბიუკში“ გადავჯექი. ნელ-ნელა დავიწყე სახლის მოწყობა, გავაკეთე რემონტი, ვიყიდე ავეჯი, მცხეთაში სახლის მშენებლობა წამოვიწყე.

როცა უკვე ჭარბი ფული გამიჩნდა, მისი შენახვის პრობლემაც დამიდგა. თბილისში ბინაში ვერ დავმალავდი, რამე რომ მომხდარიყო, პირველ რიგში სახლს გაჩხრეკდნენ. ფულის შესანახად არც მცხეთა ვარგოდა. გადავწყვიტე სოფელში წამეღო. ექვსი სამლიტრიანი ქილა ტკიცინა ასმანეთიანებით გავავსე, თავზე კარგად მოვუჭირე, ქილები სათითაოდ ცელოფნის პარკში გამოვხვიე და ტყის პირას, ჩვენი ძველი სახლის საძირკველში ჩავმარხე. სამი თვის შემდეგ ფულს მივაკითხე, ამოვიღე ერთი ქილა და ნახევრამდე წყლით სავსე დამხვდა, ვნახე — მეორე, მესამე... ექვსივე ქილაში წყალი ისე თანაბრად იყო, თითქოს ვიღაცას შპრიცით საგანგებოდ შეეშვას. ამოვიღე ეს ფული ქილებიდან, — არ გაფუჭდესო, — ვიფიქრე, ძველი სახლის იატაკზე გავშალე, იქნებ მალე გაშრეს-მეთქი, თითო-თითოდ ვაწყობდი, ქილა მიჭირავს ხელში და უცბად კარმა დაიჭრიალა, მოვტრიალდი და ვხედავ, მამაჩემი დგას და მიყურებს, — რა არის ეს ბიჭო?! — მეკითხება. არც ვაციე და ვაცხელე, — რა არის და ფულია! — ვუპასუხე. კარი მომიჯახუნა და წავიდა. ვდგავარ ქილით ხელში და

ვფიქრობ, ამის რჯული არ იყოს, გაქვს ფული და უბედურებაა, არა გაქვს — მთლად საშინელება... დიდი ფულის ქონა დიდი ტვირთი ყოფილა, ვერ მოიხმარ, ბანკში ვერ შეინახავ, ვერ დახარჯავ. დახარჯვასაც ჭკუა უნდა, ათასი თვალი და ყური მოგჩერებია... მე ვთქვი, — ეს რა უბედურებაა, ამან უნდა მომკლას?! მოვხვეტე ეს ჩემი ფული, ჩავყარე საბარგულში და თბილისში წამოვიღე. ჩემს ახლობლებს ვის სახლი ვუყიდე, ვის მანქანა, აღარც კი მახსოვს, რა გავაკეთე... ერთი სიტყვით, დავხარჯე და დავისვენე.

წარმოებაში საქმე კარგად მიდიოდა, ამ საქმიანმა ხალხმა იცოდა, ვისთვის და რამდენი ფული უნდა გადაეხადათ. ამ მხრივ საქართველოში ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ მოსკოვში გვიჭირდა. მოსკოვს ფულს ვერ ვაძლევდით, ფულის ჩატანას ვერავინ ბედავდა. არადა, მეწილეები თვლიდნენ, რომ მოსკოვს ფული ეკუთვნოდა. როგორმე უნდა ააღებინონ, თუ არა და, ე. ი. საქმე ცუდად დამთავრდება.

არიან ადამიანები, რომლებიც ფულს ადვილად იღებენ, და არიან ადამიანები, რომლებიც ახლოს არ გიკარებენ. „გლავსპორტპრომის“ უფროსი ზუსტად ის პიროვნება აღმოჩნდა, რომელსაც მიკარებას ვერავინ უბედავდა. ვინაიდან ამ კაცთან მე კარგი ურთიერთობა მქონდა, დამავალეს, იქნებ შენ მოახერხოო რამე. ბევრი ვიფიქრე, როგორ მომეხერხებინა ფულის გადაცემა. ბოლოს, გადავწყვიტე ქართული ნობათი გამემზადებინა, — ხილი, ღვინო, კონიაკი... და ძღვენთან ერთად ფულიც შემეპარებინა. წავედი მოსკოვში, წავიღე ამანათი... მახსოვს, შემოდგომის პირი იყო, ფული ხილის ქვეშ ქაღალდში გახვეული შევაცურე და სახლში მივართვი. თვითონ შინ არ დამიხვდა. მის მეუღლეს დავუტოვე და მხოლოდ ის დავუბარე, გადაეცა, რომ ვიყავი. მეორე დილას დავრეკე. შაბათი დღე იყო, მისი ცოლი მეუბნება: — სამსახურში წავიდა და სასწრაფოდ მიდი, გელოდებაო. შაბათობით სამსახურში ვინ დადიოდა?! მივხვდი, ჩემს გამო მივიდა. გული შემიწუხდა, მაგრამ რას ვიზამდი, წავედი. ჩუმად შევაღე კარი, თან ვფიქრობ, — ვაი, ჩემს დღეს უბედურს... უფროსი, რა თქმა უნდა, მკაცრად შემხვდა.

— ეს როგორ გააკეთე?! — მკითხა, მაგრამ მისი კითხვა უფრო იმას ნიშნავდა, როგორ გამიბედეო... ავუხსენი, რომ ფულს ყველა წარმატებული ორგანიზაცია აკეთებს და თუ ხელმძღვანელს ფულს არ აძლევენ, ატყუებენ.

— მე თქვენი მოტყუება არ შემიძლია. მინდა თუ არა, წარმოებაში ფული მაინც კეთდება. თქვენ აიღებთ თუ არა, ეს მაინც თქვენს წილად ცალკე იდება. ეს თქვენი ფულია და მოიხმარეთ...

ფული პიჯაკის ჯიბიდან ამოიღო და გამომიწოდა. ძალა კი მქონდა, ხელი მოვაღუნინე და ისევ ჯიბისკენ წავაღებინე. დავარწმუნე, რომ ჯობდა, მოეხმარა. ასე ძალით ავაღებინე ფული კაცს, რომელიც შიშით და ნერვიულობით კანკალებდა. მას შემდეგ ფული მოსკოვში ყოველთვის მე ჩამქონდა.



საჩუქარი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევისთვის

1979 წელს საბჭოთა კავშირი ცკკპ-ს გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის 75 წლის იუბილეს აღნიშნავდა. თბილისში საკავშირო სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე საგანგებოდ ჩამოვიდა, რომ რომან რურუასთვის სპორტკომიტეტის დავალება გაეცნო, — იუბილარს საჩუქარი საბჭოთა სპორტსმენების სახელით მან უნდა მოუმზადოს. რომან რურუას თავდაპირველად ეს ხუმრობა ეგონა, მაგრამ როცა დარწმუნდა, საქმე სახუმაროდ არ იყო, დიდ საგონებელში ჩავარდა. მან დღესაც არ იცის, ამხელა სახელმწიფოში ქვეყნის პირველი პირისთვის სპორტსმენების სახელით საჩუქრის შერჩევა მაინცდამაინც მას რატომ დაევალა. დიახ, შერჩევა და არა შეძენა. დაბადების დღემდე თითებზე ჩამოსათვლელი დღეები იყო დარჩენილი. საჩუქარი არ დაუკონკრეტებიათ, — შენ თვითონ მოიფიქრეო, — უთხრეს.

რომან რურუა:

— იმაზე ფიქრი, თუ რა საჩუქარი უნდა გამეკეთებინა ბრეჟნევისთვის, ნამდვილი ტანჯვა აღმოჩნდა. დღევანდელი თაობისთვის ეს, ალბათ, ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ მაშინ... ის იყო №1 ჩინოსანი საბჭოთა კავშირში. ამ დღეში ღმერთმა ნუ გამყოფოთ. დავიწყე ფიქრი, რა, რა, რა?.. ბრილიანტებით და ოქროთი ვის გააკვირვებ, ან რად უნდა ჩემი ოქრო?.. დრო ძალიან ცოტაა. ბოლოს იდეურ ვარიანტზე შევჩერდი. საჩუქარი სპორტთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. გამახსენდა, რომ მომავალი წელი — 1980 — მოსკოვის ოლიმპიადის წელია. სპორტულ იდეაზე ფიქრმა და მომავალმა ოლიმპიადამ წარმომადგენინა სტადიონი, ფიალა, სადაც ოლიმპიური ცეცხლი ინთება და მორბენალი სპორტსმენი ჩირაღდნით ხელში, რომელიც კიბეზე ადის. თემატურად ისიც გავითვალისწინე, რომ ცეცხლი ანთებული არ უნდა იყოს, ანთებული ცეცხლი ნიშნავს, რომ ოლიმპიადა უკვე დაწყებულია. ვინაიდან ოლიმპიური თამაშები ჯერ კიდევ წინაა, სპორტსმენი თასთან ახლოს ან კიბეზე ისე უნდა წარმოსახო, რომ ჩანდეს, რამდენიმე თვეში ოლიმპიადა იწყება და ისიც ცეცხლის დანთების მოლოდინშია.

ჩემი იდეა ახალგაზრდა მოქანდაკეს ჯუმბერ ჯიქიას გავაცანი. ქანდაკების ჩამოსხმა სასწრაფოდ ვთხოვე. თავდაპირველად მან ესკიზი გააკეთა. მე შესწორებები შევიტანე, სტადიონი მოვაშორეთ, სარბენი ბილიკითა და ასასვლელი კიბით დავიწყეთ, სპორტსმენი თასთან ჩირაღდნით ხელში ისე გამოვსახეთ, რომ ჩვენი იდეის შინაარსი ერთი თვალის შევლებითაც ადვილად აღსაქმელი ყოფილიყო. სამი დღე გვრჩებოდა. ორ დღეში ყალიბი მომზადდა. მესამე დღეს ბრინჯაო ჩავასხით და ველოდებით, რა გამოვა. ამასობაში მოსკოვიდან კვლავ მირეკავენ და საჩუქრის ამბავს კითხულობენ. მე მათ ვარწმუნებ და ვაიმედებ, რომ საჩუქარი აუცილებლად იქნება და ისინიც მოსკოვში დაბადების დღემდე ერთი დღით ადრე მელოდებიან. ბილეთიც შეკვეთილი მაქვს, თუმცა, რა მიმაქვს, თავადაც არ ვიცი, ჯერ არ მინახავს. როგორც იქნა, ყალიბი გავხსენით და ბრინჯაოს ფიგურა რომ გამოჩნდა, ამოვისუნთქეთ. უნიკალური ნაკეთობა გამოვიდა. ჯუმბერს ვუთხარი, რომ სიახლის დასაფარად უკეთესი იქნებოდა, თუ დავჟანგავდით და ასეც გავაკეთეთ. ხელოვნებაში ექსპერტობას ვერ დავიკვეხნი, მაგრამ ჩემი შეხედულებით, ძალიან კარგი რამ გამოვიდა. მოსკოვიდან საჩუქარზე გასაკეთებელი წარწერა მიკარნახეს: **„Дорогому Леониду Ильичу Брежневу от советских спортсменов в связи с 75-летием“**. რუსული ენის სპეციალისტს ტექსტი შევამოწმებინე, რამე არ შემშლოდა, ეს წარწერაც გავუკეთეთ, სასწრაფოდ შევფუთეთ და აეროპორტისკენ გავეშურე. სამწუხაროდ, ამ სიჩქარეში ვერც წელის და ვერც ავტორის გვარის მიწერა ვერ მოვახერხეთ. მახსოვს, ხელში რომ დავიჭირე ძალიან მძიმე იყო, მაგრამ ამას ვჩიოდი?!.

აეროპორტში შევიტყვე, რომ ჩემს თვითმფრინავზე ადრე მოსკოვში სხვა რეისის თვითმფრინავი მიფრინავდა, ამიტომ დაუფიქრებლად გადავცვალე ბილეთი, სულ არ გამახსენდა, რომ მათ, ვინც მელოდა, ჩემი რეისის შესახებ ინფორმაცია წინასწარ მივაწოდე. მოჩქარეს მოუგვიანდესო, ისე დამემართა. პირველი ის ჩემი თვითმფრინავი გაფრინდა. სხვათა შორის, ედუარდ შევარდნაძეც იმ თვითმფრინავის მგზავრი გახლდათ. ისიც საჩუქრით მისალოცად მიდიოდა. ჩემი დამხვდურები თბილისში რეკავენ, — გამოფრინდაო, — აქედან პასუხობენ. თვითმფრინავში მომიკითხეს, არ ვარ. შევარდნაძის დაცვასაც ჰკითხეს თურმე, — რურუამ თქვენთან ერთად არ იმგზავრაო?.. ერთი სიტყვით, ჰაერში დამკარგეს. გამოცვლილი თვითმფრინავი მოგვიანებით ჩაფრინდა. იღლიაში ამოვიდე ჩემი საჩუქარი, ტაქსი გავაჩერე და პირდაპირ დანიშნულ ადგილას მივედი. „გლავკის“ უფროსის მისაღებში ვზივარ, ველოდები, როდის გათავისუფლდება, რომ შევიდე. დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ მდივანს ეკითხებიან, — რურუა არ გამოჩნდაო? გადაირივნენ, რომ გაიგეს იქ ვიყავი. შევედი ჩემს საჩუქართან ერთად. — აბა, გვაჩვენე, რა მოიტანეო... — გახსნა დაიწყეს, მაგრამ ხელი უკანკალებდათ, ვერ ახერხებდნენ. მერე ისევ მე გავხსენი. ყველა უხმოდ უყურებდა. შეფასებას ერიდებოდნენ... სპორტკომიტეტის თავმჯდომარესთან სერგეი პავლოვთან დარეკეს და ჩემი ჩამოსვლის ამბავი ამცნეს.

სპორტკომიტეტში ექსკორტით წამიყვანეს. რიხინ-რიხინით შევედით მინისტრის კაბინეტში. ათამდე კაცი დამიხვდა. ჩემი საჩუქარი გრძელ მაგიდაზე დადგეს, გახსნეს და სამარისებური სიჩუმეც ჩამოვარდა. პავლოვმა ბრინჯაოს ქანდაკებას ხან აქედან შეხედა, ხან — იქიდან და ბოლოს მკითხა:

— **Почему обрезанный нос?..**

ეს იყო ყველაზე მოულოდნელი, რაც შეიძლებოდა, იმ წუთში ჩემთვის ეკითხათ. მე ხომ არც მხატვარი ვიყავი და არც ქანდაკების ავტორი. ახლაც არ ვიცი, რამ მიკარნახა პასუხი, მაგრამ ეტყობა, კაცი გაჭირვების დროს სიტყვასაც პოულობს და გზასაც.

— სერგეი პავლოვიჩ, ოლიმპიადა ინტერნაციონალური მოვლენაა, — ვუპასუხე, — ის, ვინც ცეცხლს აანთებს, არავინ იცის, ქართველი იქნება, რუსი თუ ბერძენი, ბიუსტს ცხვირი იმიტომ აქვს ჩამოთლილი, რომ არცერთ ეროვნულ სახეს არ ჰგავდეს.

პავლოვმა მითხრა, — პოლიტბიურომ რომ დამისვას იგივე შეკითხვა, პასუხი მეც ხომ უნდა მქონდესო... ხელი ჩამომართვა, გადამკოცნა, — შენს დამსახურებას არასდროს დავივიწყებთო, — და პირდაპირ დერჟინსკის მოედანზე ერთ-ერთ სამთავრობო შენობაში, №1 სადარბაზოში, პირველ სართულზე, იქ სადაც ეს საჩუქრები გროვდებოდა, გამიშვა. უამრავი საჩუქარი ვნახე, მათ შორის საქართველოს ცკ-ს პირველი მდივნის ედუარდ შევარდნაძის მიერ მირთმეული ჭედური ნაკეთობაც. ზოგს ბრეჟნევის გამოსახულებით მოქსოვილი ხალიჩა მიურთმევია, ვის — თასი და რა აღარ... მაგრამ მინდა აღვნიშნო, რომ მსგავსი, ან იმაზე უკეთესი საჩუქარი, რაც საბჭოთა სპორტსმენებმა მივართვით, არაფერი ყოფილა. ალბათ, ლეონიდ ბრეჟნევის არქივში ან სამუზეუმო ექსპონატებში ეს ბრინჯაოს ქანდაკება დღემდე შენახულია. სამწუხაროა, რომ მას ავტორის სახელი არ აწერია..

მართლაც, უცნაურია ცხოვრება, ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე ამ რანგის ადამიანისთვის საჩუქარი მექნებოდა გასაკეთებელი.

ჩემი თაობის წარმოდგენაში, საკავშირო პოლიტბიუროს წევრები ზეადამიანებად, ღმერთთან გათანაბრებულ არსებებად მიიჩნეოდნენ. მათ სამთავრობო რეზიდენციაში მიღებაზე ორჯერ შევხვდი — 1964 და 1968 წლებში. კოსიგინი, მიქოიანი, მალინოვსკი, მაშეროვი, შელესტი, მჟავანაძე, კუნაევი და სხვა ადამიანები, რომლებიც ზეარსებებად მიგვაჩნდა, ჩვეულებრივი მოკვდავები აღმოჩნდნენ...

არც ისე ყოფილა, როგორც გვზრდიდნენ და წარმოგვედგინა.

ოპერაცია „ფაეტონი“

— საბჭოთა სისტემის შსს-ში იყო სპეციალური სამსახური, რომელიც ეკონომიკურ დანაშაულებებს იკვლევდა და ებრძოდა, ე.წ. „ობეხეესი“. მათ თავიანთი საიდუმლო წარმომადგენელი ყველა დიდ წარმოებაში ჰყავდათ. ბუნებრივია, ვვარაუდობდით, რომ ფარული აგენტი ჩვენთანაც ეყოლებოდათ. თუმცა, ეჭვი არცერთი თანამშრომლის მიმართ არ გაგვჩენია. ყოველთვის ვცდილობდით, ისეთი თანამშრომელი მიგვეღო, რომელზეც პასუხისმგებელი ვინმე იქნებოდა.

ერთხელ, კარგად მახსოვს, კონსტიტუციის დღე იყო, 5 დეკემბერი, მეულლესთან ერთად რუსთაველზე მანქანით მივდიოდი. გზის მარცხენა მხარეს ხასხასა წითელმა ფერმა მიიქცია ჩემი ყურადღება. ასეთი ქსოვილი მარტო ჩვენს ფაბრიკაში იქმნებოდა. დავინახე ჩვენი კანცელარიის გამგე სვეტა, წითელ ბლუზში გამოწყობილი, ხელკავგაყრილი ჩვენივე ფაბრიკის ტექნიკური განყოფილების ერთ-ერთ თანამშრომელთან, ახალგაზრდა კაცთან, ბახტაძესთან ერთად მისეირნობდა. სამსახურში ერთმანეთს თითქმის არ ეკონტაქტებოდნენ და, ცოტა არ იყოს, გამიკვირდა. თუმცა, ჩავთვალე, რომ ახალგაზრდებს ერთმანეთი მოსწონდათ და სამსახურში გრძნობების გამოაშკარავებას ერიდებოდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ ტექნიკური განყოფილების ოთახის ღია ფანჯარაში სვეტას და მის კავალერს შემთხვევით მოვკარი თვალი, მაგიდასთან პირისპირ ისხდნენ და ჩურჩულებდნენ. ეს მაინც შეყვარებულების ბუნებრივ ურთიერთობად მივიჩნიე. მალევე გასაღების განყოფილების უფროსმა მითხრა, ბახტაძე მასთან შესულა განყოფილებაში და „სპორტტორგის“ ყველა მაღაზიის მისამართი ამოუწერია, სადაც ჩვენი საქონელი იყიდებოდა. ამან კი დამაეჭვა. დავინტერესდი, რაში სჭირდებოდა მაღაზიების სია, დავიბარე და ვკითხე. მითხრა, რომ ბიძამისს ვიღაც დაკარგული მევალე ჰყოლია, გვარად ხეცურიანი, რომელიც ამ მაღაზიებიდან ერთ-ერთში მუშაობდა და ბიძის თხოვნით ეძებდა. დახმარება შევთავაზე, მაგრამ იუარა, — არ შეგაწუხებთო.

ეჭვების გასაფანტად „სპორტტორგის“ კადრების განყოფილების უფროსთან — მერი აბრამიშვილთან დავრეკე. ვთხოვე, გადაემოწმებინა, მართლა თუ მუშაობდა ამ გვარის კაცი მათი მაღაზიების ქსელში, აღმოჩნდა, რომ — არა.

ვგრძნობ, ჩემი ეჭვი უსაფუძვლო აღარ არის, მაგრამ დამტკიცება ხომ უნდა?! მახსოვს, შაბათი დღე იყო, სამსახურში მივედი. ეს ჩვენი კანცელარიის გამგე ზის მარტო ოთახში და რაღაცას ბეჭდავს. მინდა, საუბარზე წამოვაგო და თემას ვეძებ. ამ დროს კედელზე დაკიდებულ კალენდარს მოვკარი თვალი და შევამჩნიე, 5 დეკემბერი ფრჩხილით გახაზულია. ეს ის დღეა, როცა რუსთაველზე მისეირნობდა.

— ეს რა არის? — ვეკითხები სვეტას.

— არ ვიცი, — მპასუხობს, თითქოს ჩვეულებრივად, მაგრამ რაღაც მღელვარებას მაინც ვამჩნევ.

მაშინ დაწესებულებებში ხელმძღვანელებს თანამშრომლების მორალურ-ზნეობრივ მხარეზეც უნდა ეზრუნათ. ამიტომ გადავწყვიტე, სვეტას ალაპარაკება თუ გამიჭირდებოდა, ეს მომენტიც გამომეყენებინა, ვითომ მისი სასიყვარულო თავგადასავალი ძალიან მადარდებდა:

— უზნეობას არ გაპატიებ, ყველაფერს გათქმევინებ...

იცოდნენ, რასაც ვიტყოდი, აუცილებლად შევასრულებდი. თანაც ეს სვეტა ერთი მოჭიდავის თხოვნით სამსახურში ჩემი მიღებული იყო. ამიტომ პასუხისმგებლობა მისი ქმედებების გამო მე მეკისრებოდა. ქურდს კუდი ეწვისო, ნათქვამი რომაა, სვეტას ზუსტად ასე დაემართა. შეეშინდა, სამსახურიდან არ გამაგდოსო, არც მაშინ იყო ადვილი კარგი სამსახურის შოვნა. ცოტა ხანში თვალცრემლიანი შემოვიდა ჩემს კაბინეტში და მეუბნება:

— ბატონო რომან, ბევრი რამ მინდა გითხრათ, მაგრამ პირში წყალი მაქვს ჩაგუბებული...

სვეტამ დაიჯერა, რომ ფაბრიკაში მისი აგენტურული მუშაობის შესახებ მე ყველაფერი ვიცოდი. დავუძახე ზიმი მიშას და ვუთხარი, — სვეტა ცუდ ხასიათზეა, ამ საღამოს სადმე დაპატიჟე, თან შესთავაზე, მეგობარი, ვინც თვითონ უნდა, გამოიყოლოს.

იმ საღამოს სვეტამ კადრების უფროსთან ერთად ზიმი მიშას გული გადაუშალა. შსს-ს აგენტებს მათთვის წარმოების შესახებ ინფორმაციის სანაცვლოდ ფული შეუთავაზებიათ. ესენიც ჩანაწერებს პერიოდულად აწვდიდნენ. მიშამ მითხრა, კადრების უფროსი წამოიყვანაო. ყველაფერი გაიშიფრა. მეორე დღეს დავავალე, რომ შსს-ს აგენტებთან თანამშრომლობა ჩვეულებრივად გაეგრძელებინათ, ხოლო ყველა ჩანაწერი და ფული ჩემთან მოეტანათ. სხვათა შორის, ეს ჩანაწერები და ფულიც დღემდე შენახული მაქვს. — ქორწილი როდის არის? ფაეტონი როდის გადის? და ა.შ. მსგავსი ჩანაწერების გაშიფრვა ჩემთვის რთული არ იყო. ერთი სიტყვით, „ობეხეესს“ კარგა ხანს ვათამაშებდით.

ეს ინფორმაცია, ახლაც მახსოვს, ენგელსის ქუჩა №38-ში მიდიოდა ვინმე შიუკაშვილთან და დუბენკოსთან. მათ იქ სამკაულების საამქრო ჰქონდათ. ისინი დამუშავებულ ინფორმაციას „ობეხეესს“ გადასცემდნენ.

ერთხელ ინფორმაცია გავატანე სვეტას და ფარულად მეც უკან გავყევი. ჩემი თვალით ვნახე ეს ინფორმაცია საჰაერო ტელეფონით როგორ გადასცეს ცეკას მრეწველობის განყოფილების უფროსის ლეონიდ ბარსიუკოვის მანქანიდან, ГАЮ-01-დან. არადა, შიუკაშვილი და ოლეგ დუბენკო თავად მუშაობდნენ „ლევ“ საქონელზე. ჩავუსაფრდით და ნავთლუღის ბაზარში „ობეხეესს“ დავაჭერინეთ. ამ ოპერაციას მამუკა სხიერელი ხელმძღვანელობდა. იმდენი ურტყეს, ლამის სული გააფრთხობინეს. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ შს მაშინდელი მინისტრის შოთა გორგოძის პირადი აგენტები იყვნენ. მაგრამ „ობეხეესის“ იმ თანამშრომლებმა, ვინც უშუალოდ დაიჭირა ისინი, რა თქმა უნდა, მათი აგენტობის შესახებ არაფერი იცოდნენ. მერე გაირკვა და გამოუშვეს. ჩვენზე მუშაობდნენ, მაგრამ ჩვენც ვმუშაობდით მათზე.

ამას პირველად ვამბობ

— მას შემდეგ, რაც ფაბრიკის მოდერნიზაციის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა, მთავრობის ზოგიერთ წევრს წარმოებაზე თათის დადების სურვილი გაუჩნდა. ამისათვის კი საჭირო გახდა დირექტორად მათთვის მისაღები პიროვნება დაენიშნათ. ზურაბ ქორიძეს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა შესთავაზეს და, ვითომ დროებით, ერთ-ერთი სამმართველოს უფროსად გადაიყვანეს. ვურჩევდი, არ წასულიყო, ვიცოდი, მოატყუებდნენ, მაგრამ მან მაინც წასვლა არჩია.

ფაბრიკის დირექტორის საკითხი საკავშირო სპორტკომიტეტთან შეთანხმების გარეშე ვერ გადაწყდებოდა. ამიტომ მოსკოვიდან „გლავსპორტპრომის“ უფროსი საგანგებოდ მოიწვიეს. მისი ჩამოსვლის შესახებ არაფერი ვიცოდი. თბილისში რომ ჩამოვიდა, ვლადისლავ სუმოჩკინმა თავადვე მომიკითხა, დამირეკა და მითხრა, — აეროპორტში რატომ არ დამხვდი? ახლა სპორტკომიტეტის თავმჯდომარესთან — დავით პერტენავასთან ერთად რაიკომში მივდივარ და შენც სასწრაფოდ იქ მოდიო... რა თქმა უნდა, წავედი. სუმოჩკინმა გამანდო, რომ მას დირექტორობის კანდიდატად ჩემი დასახელება სურდა. ვიდრე რაიკომის მდივნის — გივი ანჩაბაძის კაბინეტში შევიდოდით, პერტენავამ ყურში წამჩურჩულა, — დირექტორობას ნუ დათანხმდები, ჩვენ სხვა გეგმები გვაქვს, მერე გეტყვი... — კაბინეტში აღარ შევსულვარ. „გლავსპორტპრომის“ უფროსი პერტენავას და ანჩაბაძეს შევატოვე ხელში. იქიდან ასათიანის დამ-

ფაბრიკის სხვადასხვა დროის სამი დირექტორი

ტკიცებული კანდიდატურით გამოვიდნენ. სუმოჩკინს ბოდიში მოვუხადე და ავუხსენი, რომ დირექტორობისთვის ჯერ მზად არ ვიყავი და, მართლაც, იმ პერიოდში წარმოების მართვის გამოცდილება არ გამაჩნდა.

ფაბრიკის მოსურნეებისთვის მისაღები არც ასათიანის კანდიდატურა აღმოჩნდა. ასათიანს რამდენჯერმე მიანიშნეს, ფაბრიკიდან წასულიყო, მაგრამ მან წასვლაზე უარი თქვა.

...და დადგეს სცენარი ფაბრიკაში პროკურატურის შემოსვლის შესახებ. მართალია, წარმოება გეგმას ასრულებდა, მაგრამ ფაქტია, რაღაც დარღვევა მაინც მოიძებნებოდა. უშიშროებაში ბევრი მეგობარი მყავდა და წინასწარ გამაფრთხილეს. ერთ-ერთმა თანამშრომელმა კონფიდენციალური შეხვედრა რაიკომის შენობაში დამინიშნა. დათქმულ დროს მივედი. მე ცენტრალური შესასვლელიდან ავედი კიბეზე, ის მეორე მხრიდან ამოვიდა. გრძელ დერეფანს ჩქარი ნაბიჯით გამოუყვა. მისკენ მეც გავემართე, თუმცა, შორიდანვე მივხვდი გაჩერებას არ აპირებდა. თავდახრილმა გამიარა გვერდით და წამჩურჩულა, — ფრთხილად იყავი, ყველაფერი ისმინება. უხმოდ გავუარე გვერდით და გზა განვაგრძე. ჩემთვის ნათელი გახდა, რომ დამუშავებაში ვიყავით. ჩვენი ებრაელებიც გავაფრთხილე და მუშაობის ტაქტიკა შევაცვლევინე.

ფაბრიკის შემოწმება რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს, ანზორ ბარაბაძეს დაევალა. როცა უკვე გადაწყდა, რომ პროკურატურა უნდა შემოსულიყო, ბარაბაძემ უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს ალექსი ინაურს დაურეკა და დამატებითი ძალებით დახმარება სთხოვა. მათი საუბრის შინაარსი 15 წუთის შემდეგ უკვე ვიცოდი. სასწრაფოდ გავაგზავნე დეპეშა საკავშირო სპორტკომიტეტში, პროკურატურის განზრახვა ვაცნობე და დახმარება ვთხოვე, მაგრამ ეს მათი კომპეტენცია არ იყო და ძალოვანი სტრუქტურების საქმიანობაში ჩარევა ვერ გაბედეს.

ერთ მშვენიერ დღეს ფაბრიკის ეზოში ოცამდე მანქანა შემოვიდა. პროკურატურა, „ობეხე“, უშიშროება, დაახლოებით 85 კაცი თავს დაგვესხა. რესპუბლიკის მასშტაბით თუ სადმე ჩვენი მაღაზია ან საწყობები იყო, თუ სადმე ჩვენი წარმოებული საქონელი იყიდებოდა, დილის 10.00 საათზე ყველაფერი ერთდროულად დაილუქა. მსგავსი ოპერაცია საქართველოში, ალბათ, არ ჩატარებულა.

პროკურატურის წარმომადგენლები ფაბრიკაში დირექტორთან კი არა, პირდაპირ ჩემს კაბინეტში შემოვიდნენ. რა თქმა უნდა, თავაზიანად მივიღე და განვუმარტე:

— მე არც დირექტორი ვარ და არც მთავარი ინჟინერი, თუ რამე გაინტერესებთ, მათთან მიბრძანდით...

ამ დროს დირექტორი თავის კაბინეტში იჯდა და შიშისგან, ალბათ, გული ხელით ეჭირა.

— კარგად ვიცით, ვის კაბინეტში ვართ და რატომ!.. — ასევე თავაზიანად მიპასუხეს.

თავის მხრივ ჩემს მიმართ პატივისცემა გამოხატეს. მითხრეს, რომ რევიზიის ჩატარებას აპირებდნენ და წარმოების დისლოკაციის სქემა მოითხოვეს. დავემორჩილე მათ მოთხოვნას და გამოვიძახე საამქროს უფროსები, ყველას თავიანთი წარმომადგენელი მიამაგრეს და წარმოების დალუქვას შეუდგნენ. ჩემი კაბინეტი რომ დაცარიელდა, პროკურორმა გივი ჭავჭანიძემ, მაღალი კაცი იყო, ჭაღარა, სიმპათიური, გასაღები გამომართვა, კარი ჩაკეტა, ორივე ხელი მხარზე დამადო, და მითხრა: — ბატონო რომან, თავიდან თმის ერთი ღერი არ ჩამოგვარდებათ, დავალებული მაქვს, რურუასთან არანაირი გაუგებრობა არ უნდა მოხდესო...

ეს ჩემთვის მიუღებელი გახლდათ, რადგან ხალხი იფიქრებდა, რომ კოლექტივი მე გავყიდე. ამიტომ მოვითხოვე, მეც ისევე შევემოწმებინე, როგორც სხვები. თუმცა, პროკურორის ნათქვამმა დამარწმუნა, რომ ხელშეუხებელი ვიყავი და რომ მთელი ეს ალიაქოთი ჩემს გამო კი არა, დირექტორის სკამის გამო ხდებოდა. გული მომეცა და ცოტა გავთამამდი.

საამქროებიდან ხალხი სათითაოდ გამოჰყავდათ. მაშინ ჩვენთან 600-მდე კაცი მუშაობდა. ყველას ჩხრეკდნენ, ქალებსაც კი, რაღაც ჩანაწერებს ეძებდნენ. ერთ-ერთ სართულზე ხალხი გაიჭედა. ისეთი სიტუაცია შეიქმნა, თავადვე შეშინდნენ, კიბე არ ჩაინგრესო. მახსოვს, ერთი ფეხმძიმე ქალი ზურგზე მოკიდებული გამოვიყვანე. საშინელ დღეში ჩაგვაგდეს. ერთ-ერთ საამქროში შევედით. საამქროს უფროსი გივი ბროლაძე გამოეჭირათ და ჩანაწერების რვეულს თხოვდნენ. დაბნეული აქეთ-იქით იყურებოდა, — სადღაც აქ მქონდაო... ვეცი ამ ბიჭს, — რა ჩანაწერები, რის ჩანაწერები, როდის იყო ჩანაწერებს აკეთებდით?!. მერე ისიც გამოფხიზლდა და, — არა მაქვსო, — თქვა. მოგვიანებით ინსტრუქტაჟი ჩავუტარე, რა და როგორ ელაპარაკა და, ფაქტობრივად, პროკურატურის კლანჭებს გამოვტაცე.

ამ დროს რა ხდებოდა, ამას პირველად ვამბობ, ორი ვაგონი, 64 ტონა ზედმეტი ბამბის ძაფი გვქონდა ფაბრიკაში. რომ აღმოეჩინათ, დაჭერა კი არა, დახვრეტა არ აგვცდებოდა. თავზე გვადგნენ, სად დამემალა, რა მეღონა, არ ვიცოდი, ან როგორი დასამალი იყო 64 ტონა ძაფი?! პროკურატურის შემოსვლიდან ორი დღის შემდეგ გადავწყვიტეთ, გაგვენადგურებინა. დაჭრა ვიფიქრეთ, ამხელა გორგოლებს რა დაჭრიდა, დაწვა მოვინდომეთ, ჩუმად გავატანინეთ ერთი საცდელი პარტია, არ დაიწვა, ცეცხლი არ წაეკიდა. ესე იგი, როგორმე ფაბრიკის ტერიტორიიდან უნდა გაგვეტანა. სხვა გზა არ იყო, უნდა გაგვერისკა. ეს ის პერიოდია, ჰიპოკრატე შევარდნაძის საწყობებს რომ ვაშენებთ გლდანში. ერთი უკვე დამთავრებული იყო. გადავწყვიტე, ძაფი ბატონი ჰიპოკრატეს საწყობში შემეტანა. პროკურატურის შემოსვლიდან პირველი ოთხი დღე წარმოება გაჩერებული იყო. საბჭოთა წარმოების ამდენი ხნით გაჩერება არ შეიძლებოდა. ამიტომ დაუსრულებელი აღწერის მიუხედავად, წარმოება გაუშვეს. მანქანებმა ფაბრიკის ტერიტორიაზე შესვლა-გამოსვლა დაიწყო. ამას პროკურატურა აკონტროლებდა, კარს თვითონ ლუქავდა. ისე გამოვიტანეთ ეს 64 ტონა ძაფი, ვერაფერს მიხვდნენ. თუმცა, მოგვიანებით ინფორმაციამ მაინც გაჟონა, სადღაც რაღაცა აქვთ გადამალულიო. ეძებეს, მაგრამ, აბა, შევარდნაძის ძმის საწყობების გაჩხრეკა თავში აზრად ვის მოუვიდოდა?! თავად ჰიპოკრატემაც კი არაფერი იცოდა.

ორწლიანი რევიზია ისე დამთავრდა, აღურიცხავი ერთი კასრი საღებავის გარდა, ვერაფერი იპოვეს. ისიც საწყობიდან ისე გაუტანიათ, საამქროს წიგნში არ აღურიცხავთ. ერთი სიტყვით, ვერაფერი აღმოაჩინეს. აღწერა რომ დამთავრდა, ის 64 ტონა ძაფი ისევ უკან შემოვიტანეთ, ხელახლა ხომ აღარ ჩაატარებდნენ?!

არც ის შეიძლებოდა, ამხელა ოპერაციისა და ორი წლის რევიზიის შემდეგ არაფერი აღმოეჩინათ. მაშინ რატომ გააჩერე წარმოება?.. ამისთვის იქით დაისჯებოდნენ. იძულებულნი იყვნენ, რაღაც მიზეზი გამოეჩხრიკათ, მაგალითად, უხარისხო პროდუქცია. აიღეს რამდენიმე სახის მზა პროდუქცია და ქსოვილის ხარისხის შესამოწმებლად მოსკოვში გააგზავნეს. მაგრამ ეს ნიმუშები გზაში ხარისხიანი პროდუქციით შევუცვალეთ და მოსკოვიდან დადებითი პასუხი მოვიდა. თავის გასამართლებლად შემმოწმებლებს რამდენიმე კაცი პასუხისგებაში უნდა მიეცათ. ერთ-ერთი საამქროს უფროსი ქალი იყო, რამდენიმე თანამშრომელთან ერთად მისი დაჭერაც უნდოდათ, მაგრამ არაფრით დავანებეთ. ეს საქმე ისე დავამთავრეთ, არავინ დაზარალებულა...

მთელი ამ ორომტრიალის მიზეზი ბოლოს გავშიფრეთ. ლენინგრადში და კრასნოიარსკში მოვნახეთ რესპუბლიკის გენერალური პროკურორის ბარაბაძის მეგობრები. მან თქვა, რომ ის ვიღაც ზემდგომის დავალებას ასრულებდა, ზემდგომი კი ვიღაც ქვემდგომის, ანუ ჩვენი ეჭვები, ფაბრიკაზე თათის დადების შესახებ, დადასტურდა.

ანალიზის შემდეგ ფაბრიკის საქმიანი ხალხი შევიკრიბეთ, დირექტორი მოვიწვიეთ და ვთხოვეთ, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, დაეთმო სკამი. დირექტორს ავუხსენი, რომ მისი სკამის გამო ხდება ეს ყველაფერი და იქნებ უკეთესი ყოფილიყო, წასულიყო?!. ჩემმა პირდაპირობამ ის შედეგი გამოიღო, რომ წასასვლელად საქმე მე გამიხდა. ასათიანი გაზეთ „პრავდის“ რედაქტორთან ვიქტორ აფანასიევთან მეგობრობდა. სწორედ ეს ახლობლობა გამოიყენა იმისთვის, რომ ფაბრიკაში გამართულ თათბირზე ეთქვა: — ახლა, ცეკას მეორე მდივანთან გენადი კოლბინთან ვიყავი, მისგან გავიგე, რომ წარმოებაში პროკურატურის შემოსვლის მიზეზი რომან რურუა ყოფილა, იმიტომ, რომ ის მცხეთაში სახლს იშენებსო... ამ თათბირს ჩემს გარდა ფაბრიკის თითქმის ყველა პასუხისმგებელი პირი ესწრებოდა. რა თქმა უნდა, ეს ამბავი ჩემს ყურამდეც მოვიდა.

ჩემს კაბინეტში შევკრიბე რამდენიმე კაცი, მათ შორის საქმიანი ხალხიც და შემოვიყვანე თვითონ ასათიანი. ყველას გასაგონად ვუთხარი: — კოლბინს შენთვის ჩემზე არაფერი უთქვამს. კარგად იცი, რომ ჩემს თანამდებობაზე კი არა, შენს სკამზე უჭირავთ თვალი. ყველაფერი ამიტომ მოხდა. წავალ, მაგრამ უკან დასაბრუნებელ პირს ვიტოვებ. მე ადრე თუ გვიან დავბრუნდები, მაგრამ ვაი, თქვენ, თქვე საცოდავებო, აქედან რომ წახვალთ და ვეღარასოდეს დაბრუნდებით...

ატყდა ერთი ამბავი, არ წახვიდე და ა. შ. მაგრამ, რაკი ამდენი ხალხის წინ ასე უსამართლოდ გამომაჭენა, იმის მტკიცება, რომ მე ბრალი არაფერში მიმიძღვის, უაზრობა იყო. ამიტომ დავწერე განცხადება და წამოვედი.

ჩემი წამოსვლის ამბავი პროკურატურაშიც გაიგეს და დამიბარეს. იქ ჰყოლიათ ე. წ. „ვაჟნიაკები“. ეს ხალხი დღესაც ცოცხალია. პროკურატურაში გივი ჭავჭანიძეს შემახვედრეს და ჩემს გასაგონად უთხრეს:

— ეს კაცი თუ შენს გამო ტოვებს სამსახურს, იცოდე, ვერ გადაგვირჩები.

ჭავჭანიძეს თავის მართლება ნამდვილად არ სჭირდებოდა. მომიბრუნდა და მკითხა:

— ბატონო რომან, თქვენ თვითონ თქვით, რა გითხარით... თავიდან თმის ერთი ღერი არ ჩამოგივარდებათო, ხომ იყო ასე?!

— დიახ, ასე იყო... — ვუპასუხე ჭავჭანიძეს და „ვაჟნიაკებიც“ დავარწმუნე, რომ სამსახურიდან ჩემი ნებით მივდიოდი.

— დავიღალე, ფაბრიკაში მუშაობა აღარ მინდა...

ფაბრიკიდან იმავე დღეს წამოვედი და საბჭოთა კავშირის ნაკრებს მწვრთნელად დავუბრუნდი.

ფაბრიკაში დაბრუნება

— 1987 წელს, როცა სპორტული ნაწარმის ფაბრიკის რეკონსტრუქცია, ფაქტობრივად, დასასრულს მიუახლოვდა, საჭირო გახდა ისეთი კადრის მოძიება, რომელიც ახალი წარმოების გაშვებასა და ახალი ტექნოლოგიის სრული დატვირთვით ამუშავებას უზრუნველჰყოფდა. მოსკოვმა ფაბრიკის მაშინდელ დირექტორს დავით ლომსაძეს ჰკითხა, — რა არის საჭირო, რომ ჩვენი წარმოება წარმატებული იყოს, დაინერგოს ახალი ტექნოლოგიაო?.. ლომსაძემ უპასუხა, ერთადერთი ადამიანი, ვინც ამას შეძლებს, რურუაა, მთავარია, ის ფაბრიკის ტერიტორიაზე იყოს, რა თანამდებობა ექნება, ამას მნიშვნელობა არა აქვსო...

მოსკოვში „გლავსპორტპრომის“ უფროსმა თავისთან დამიბარა და ფაბრიკაში დაბრუნება შემომთავაზა. თავიდან ვიუარე, მაგრამ მერე შევპირდი, რომ მოვიფიქრებდი და პასუხს თბილისიდან შევატყობინებდი. თბილისში, ფაბრიკაში, ჩემს ყოფილ კაბინეტში ძველ ნაცნობებს, წარმოების საქმიან ადამიანებს მოვუყარე თავი და ვუთხარი, რომ მოსკოვი ფაბრიკაში დაბრუნებას მთავაზობდა და თუ მათ საწინააღმდეგო არაფერი ექნებოდათ, დავბრუნდებოდი. ამ ამბავს ისინი სიხარულით შეხვდნენ. ჯერ დირექტორის მოადგილის თანამდებობა შემომთავაზეს, მაგრამ არ დავთანხმდი, რადგან მოადგილე პ. ბოჭორიშვილი მაშინ ავად იყო და როგორ ვიკადრებდი სამკურნალოდ წასული კაცის ადგილი დამეკავებინა?! მერე შემომთავაზეს წარმოების უფროსად მოვსულიყავი და მეც მუშაობას მთელი ენერგიით შევუდექი.

გავიდა ორი-სამი თვე, ვმუშაობ, მაგრამ ჩემს შესახებ ბრძანება არა და არ იწერება. ფაბრიკის დირექტორი დავით ლომსაძე ქალაქკომს ადანაშაულებს, — ბრძანების დაწერაში ხელს მიშლისო... ქალაქკომის მდივანთან — ვილი ალავიძესთან მივედი და პირდაპირ ვკითხე:

— რა დანაშაული მაქვს პარტიის წინაშე, რომ სამსახურში არ მღებულობთ?..

ვილის გაუკვირდა, რაიკომში დარეკა და გაარკვია, რომ თურმე ჩემს შესახებ ვიღაცას ანონიმური წერილი გაუგზავნია, სადაც მე „დელეცად“ ვიყავი მოხსენიებული. თანაც რაიკომის მდივანთან — რომან ჯავახიშვილთან დაპირისპირებული გახლდით და, ბუნებრივია, ჩემი სამსახურში მიღება არ უნდოდა. თუმცა, ჩემი „დელეცობის“ შესახებ დამამტკიცებელი საბუთი არც ანონიმური წერილის ავტორს გააჩნდა, არც ქალაქკომს და არც რაიკომს. ამიტომ იქიდან დაიმედებული გამომიშვეს, რომ ბრძანება აუცილებლად დაიწერებოდა.

ამის შემდეგ მოსკოვში გამოგვიძახეს. მე და დირექტორი გავემგზავრეთ. მახსოვს, იმ დილით, 6.00 საათზე აეროპორტში რომ უნდა წავსულიყავი, ვიღაცამ ჩემი ბინის ტელეფონზე დარეკა, ყურმილი ავიღე და მესმის ქალის ბოხი, ჩახლეწილი ხმა: — კუბო, კუბო, კუბო... — შენს ოჯახში-მეთქი, — მივაძახე და ყურმილი დავახეთქე.

მოსკოვში ჩვენი ჩასვლიდან მეორე დღესვე გადაწყდა ჩემი ფაბრიკაში დაბრუნება. ეს მხოლოდ რამდენიმე კაცმა ვიცოდით. მეორე დილით, თბილისისკენ რომ მოვფრინავდით, თვითმფრინავში დირექტორმა მითხრა: — ვიღაცას „გლავსპორტპრომში“ დაურეკავს, ფაბრიკის მუშათა სახელით ტელეფონოგრამა გადაუცია, მუშები ფაბრიკაში შენი დაბრუნების წინააღმდეგნი არიანო. სიმართლე გითხრათ, ამ ანონიმური ტელეფონოგრამისთვის დიდი ყურადღება არ მიმიქცევია, მაგრამ ერთმა გარემოებამ დამაეჭვა. ჩემს დაბრუნებაზე გადაწყვეტილება სულ ოთხმა კაცმა ვიცოდით... საინტერესოა, ამ ოთხი კაციდან ვინ შეატყობინა თბილისს? ჩემი დანიშვნის შესახებ ბრძანება ორ-სამ დღეში მზად იქნებოდა. ჩემი აზრით, რაკი წერილის მიღებას თბილისიდან — მოსკოვამდე სულ ცოტა ათი-თხუთმეტი დღე მაინც

სჭირდებოდა, ანონიმკის ავტორმა ტელეფონოგრამით, ალბათ, ამიტომ იჩქარა. თანაც მოსკოვში ყოფნისას ჩემი ეჭვის შესამოწმებლად ერთ ადგილას დავრეკე და იგივე ხმამ მიპასუხა, რომელმაც წამოსვლის წინ მომაწყევლა.

მე უკვე გავშიფრე ანონიმური წერილის ავტორის ვინაობა. ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახდა. თბილისში რომ ჩამოვედით, ჩემი დანიშვნის შესახებ ბრძანება მაინც არ დაიწერა. ერთად შევკრიბე ფაბრიკის ხელმძღვანელობა, წარმოების საქმიანი ხალხი, ავუხსენი მათ შექმნილი სიტუაცია და ისიც ვუთხარი, რომ ანონიმური წერილის ავტორის ვინაობა ვიცოდი და იმ წუთში ის ჩვენთან ერთად იჯდა. გაოცებულები უყურებდნენ ერთმანეთს...

ფაბრიკაში მუშაობა ჩვეული რიტმით განვაგრძეთ. მალე დირექტორის თავისუფალმა არჩევნებმაც მოგვიკაკუნა. ნებისმიერ პიროვნებას შეეძლო მასში მონაწილეობის მიღება. ეს ის პერიოდია, როცა „გლავსპორტპრომის“ უფროსად იური კოკუსევი დაინიშნა. დანიშვნიდან ერთ კვირაში თბილისში ჩამოვიდა. მის საპატივსაცემოდ გამართულ ვახშამზე მეც მიმიწვიეს. ამ სუფრასთან თამადად აღმოვჩნდი. მესამე დღეს კოკუსევი აეროპორტში მივაცილეთ. დამშვიდობებისას ყველას ხელი ჩამოართვა, მე კი გადამკოცნა. ეს ჟესტი ერთგვარ მინიშნებას ჰგავდა, მინიშნებას იმის შესახებ, რომ „გლავსპორტპრომი“ ფაბრიკის დირექტორის არჩევნებში თავის კანდიდატურად მე დამასახელებდა. ასეც მოხდა. მოსკოვმა არჩევანი ჩემს კანდიდატურაზე შეაჩერა. შესათანხმებლად „გლავსპორტპრომში“ მინისტრ გრომოვთან გამომიძახეს, მკითხეს:

— როგორ ფიქრობთ, რამდენი კაცი მიიღებს კონკურსში მონაწილეობას?

— ერთი. — ვუპასუხე.

— რატომ ერთი?

— იმიტომ, რომ ვინც გაიგებს, კონკურსში მე ვმონაწილეობ, თავად მონაწილეობის სურვილს დაკარგავს.

— ასე დარწმუნებული ხართ?..

იმდენად გაღიზიანებული ვიყავი ამ ანონიმური წერილებით და ჩემს წინააღმდეგ ფარული მოქმედებებით, ბრძოლის დაუოკებელი ჟინი გამიჩნდა. საკუთარ შესაძლებლობებში და გამარჯვებაში ეჭვი აღარ მეპარებოდა. გავიარე მოსამზადებელი ეტაპი. ჩემს მხარდასაჭერად „გლავსპორტპრომმა“ განყოფილების უფროსი საგანგებოდ გამოგზავნა. რაიკომში მას უნდა წარვედგინე მე, როგორც საკავშირო სპორტკომიტეტის კანდიდატურა. ჩვენ რაიკომის მეორე მდივნის დავით კაკაბაძის კაბინეტში ვიყავით, ტელეფონმა რომ დარეკა. კაკაბაძემ უპასუხა, რომ დირექტორობის მხოლოდ ერთი კანდიდატია და თუ საჭიროა, კონკურსს გავაგრძელებთო.

ბუნებრივია, საუბრის შინაარსს მივხვდი და კაკაბაძეს პირდაპირ მივაძახე, რომ თავად ბელა მაყაშვილიც (მსუბუქი მრეწველობის მინისტრი იყო) რომ დაეპირისპირებინათ ჩემთვის, ჩემს კანდიდატურას მაინც არ მოვხსნიდი. რაიკომის მდივანს გაეცინა და ისევ ტელეფონზე თანამოსაუბრეს მიუბრუნდა, — აზრი არა აქვს კონკურსის გაგრძელებასო... რაიკომი იძულებული იყო, კონკურსის დამთავრებაზე თანხმობა განეცხადებინა. სხვათაშორის, ჩვენი ფაბრიკა იმდენად მიმზიდველი იყო, რომ დირექტორობის სურვილი ბევრს ჰქონდა, მაგრამ ვინც გაიგო, რომ არჩევნებში რომან რურუა მონაწილეობდა, თავის სურვილზე უარი თქვა.

შეიძლება ქედმაღლურად ჟღერს, მაგრამ ვიცოდი ჩემი ფასი, წონა, საზოგადოების დამოკიდებულება ჩემს მიმართ და მქონდა ამის თქმის უფლება. რაიკომის მდივანთან ჩემი საუბრის შემდეგ, კონკურსის ვადის გაგრძელებას აღარ დალოდებიან. არჩევნები მეორე დღესვე შედგა. ფარული კენჭისყრა გაიმართა. მარტო ჩემს კანდიდატურას უყრიდნენ კენჭს, მხოლოდ ორი კაცი იყო წინააღმდეგი, დანარჩენმა მხარი დამიჭირა და გავხდი დირექტორი.



ადიდასი საქართველოში

რომან რურუა მისივე ფაბრიკაში წარმოებული მაისურით

დირექტორის თანამდებობის დაკავების შემდეგ ბევრი მირჩევდა, რომ რეფორმა ჩამეტარებინა და ზოგიერთი ძველი კადრი ახლით შემეცვალა. მე სრულიად საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მივიღე. ყოფილი დირექტორი დავით ლომსაძე მთავარ ინჟინრად მოვიწვიე, ასევე ყოფილი დირექტორი ზურაბ ქორიძე — მოადგილედ. ერთი მსუბუქი მრეწველობის სპეციალისტი იყო, მეორე — ეკონომისტი, რომან რურუა — ძლიერი ორგანიზატორი. ასე ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი შეიკრა. სამმა დირექტორმა ერთად მოვიყარეთ თავი. ბევრს შეეშინდებოდა, მე კი მათ სრული თავისუფლება მივეცი, მუშაობაში არ შემიზღუდავს. ფაბრიკის მართვის გამოცდილება სამივეს გვქონდა, ამიტომ უნიკალური მმართველობა მივიღეთ.

ფაბრიკის დირექტორი რომან რურუა, დირექტორის მოადგილე ზურაბ ქორიძე და მთავარი ინჟინერი დავით ლომსაძე „ადიდასის“ წარმომადგენლებთან

„ადიდასის“ ფირმის პროდუქციის წარმოებისთვის, ფაქტობრივად, ყველაფერი მზად იყო. თუმცა, ეს პროცესი გაცილებით რთული აღმოჩნდა, ვიდრე თავად ფაბრიკის ტექნიკური რეკონსტრუქცია. ჩვენ „ადიდასის“ პროდუქციის წარმოება კერვით კი არა, ძაფის დახვევიდან დავიწყეთ. ვყიდულობდით ხამ ძაფს, ვახვევდით, ვქსოვდით, ვღებავდით, მერე ქსოვილი გამოგვყავდა, ვაუთოებდით, ვჭრიდით და ვკერავდით... ანუ ეს მთლიანი ტექნოლოგიური პროცესი გახლდათ და არა ეპიზოდური. ამიტომ იყო ურთულესი.

ლავსანის ძაფის ის ნომერი, რომელიც ჩვენ გვჭირდებოდა, არ არსებობდა. საბჭოთა კავშირში სინთეტიკური ხელოვნური ქსოვილი ჯანმრთელობისთვის მავნედ ითვლებოდა. მისგან ტანისამოსის შეკერვა იკრძალებოდა. ამიტომ მიზნად ისეთი ქსოვილის შექმნა დავისახეთ, რომელიც გარედან სინთეტიკური ბოჭკოთი ნაქსოვი, შიგნიდან კი ბამბა იქნებოდა. სპეციალურად წავედი ბელორუსიაში, ქალაქ მოგილიოვოში, სადაც სინთეტიკური ბოჭკოს ფაბ-

„ადიდასის“ ვიცე-პრეზიდენტი კოლასინსკი და რომან რურუა

რიკა იყო. ამ ფაბრიკაში „ადიდასის“ რეკომენდაციით და ჩვენი დაკვეთით, ლაბორატორიული წესით გამოიყვანეს ძაფის ნომერი, რომელიც ჩვენს საქსოვ მანქანებზე წავიდოდა და, დღეს რაოდენ დაუჯერებელიც არ უნდა იყოს, მივიღეთ პლატირებული ქსოვილი, ანუ შიგნიდან ბამბა, გარედან სინთეტური, რომელიც მანამდე მსოფლიო ბაზარზე არ არსებობდა.

შევიძინეთ გერმანიიდან ფირმა „TIS“-ის სამღებრო აპარატურები და მოწყობილობები. საღებავს „ბაიერის“ ფირმისგან ვღებულობდით. მის მომზადებას სპეციალური ტექნოლოგია სჭირდებოდა. ამისთვის „ბაიერის“ ფირმის სპეციალისტები საგანგებოდ რამდენჯერმე ჩამოვიდნენ. მანქანა-დანადგარების მომართვაში თავად გერმანელი სპეციალისტები გვეხმარებოდნენ. ჩვენც რამდენჯერმე ვიყავით გერმანიაში, ჰერცოგენაურახში იქ, სადაც „ადიდასის“ შტაბბინაა და სხვაგან. დეტალურად გავეცანით წარმოების ტექნოლოგიას, რომ აბსოლუტური სიზუსტით გადმოგვეტანა ჩვენს ფაბრიკაში. გერმანიაში, მოსკოვში და თბილისში სამი სამოდელო სახლი მუშაობდა იმ სპორტული ტანსაცმლის მოდელებზე, რომელიც უნდა გამოგვეშვა.

ერთი სიტყვით, ისეთი პროდუქცია შევქმენით, „ადიდასმა“ მისი გაყიდვა სკანდინავიის ქვეყნებშიც კი გადაწყვიტა. საბჭოთა კავშირის მასშტაბით ხომ გახდა და გახდა დეფიციტური საქონელი. ჩვენს პროდუქციაზე იმდენად დიდი მოთხოვნილება იყო, რომ, ფაქტობრივად, ბაზარზე ვერც კი გაგვქონდა, განაწილებით გაიცემოდა საბჭოთა რესპუბლიკებზე და საბჭოთა ნაკრების სპორტსმენებისთვის. თუ გეგმას გადაჭარბებით შევასრულებდით, ჭარბი პროდუქციის გატანა კი შეგვეძლო ბაზარზე, მაგრამ წარმოების მოცულობის სიმცირის გამო, ამას ვერ ვახერხებდით. ამიტომ წარმოების მოცულობის გაზრდა გახდა საჭირო. როცა ეს შევძელით, პროდუქციის გამოშვებაც გავზარდეთ. თუმცა, მაშინ მწარმოებელს არავინ ეკითხებოდა, მისი პროდუქცია სად და როგორ გაიყიდებოდა. ეს ვაჭრობის სამინისტროს ფუნქცია გახლდათ და საქართველოში სპორტტორგის სამმართველო მართავდა. მე მიმაჩნდა, რომ ვაჭრობის სამინისტრო ზედმეტი რგოლი იყო მყიდველსა და გამყიდველს შორის. ამიტომ უარი ვთქვით, მათთვის ჩვენი პროდუქციის მიწოდებაზე და გადავწყვიტეთ, ბაზრობებზე მყიდველთან პირ-



ნახატი
ჯ. კვანტალიანის
1988 წ.
23,VII.

დაპირ კონტაქტზე გავსულიყავით. საბჭოთა კავშირში ეს უპრეცედენტო შემთხვევა გახლდათ, ამას დიდი სკანდალი მოჰყვა. მაგრამ, რაკი ერთხელ გამოვთქვით პრეტენზია, აზრი აღარ შეგვიცვლია და ამ ჩემს, იმ დროისთვის ნოვატორულ წამოწყებას, ბოლომდე მივყევით. მე თავად დავდიოდი ბაზრობებზე და პროდუქციას მომხმარებელს თავადვე ვთავაზობდი. მოთხოვნილება იმდენად დიდი იყო, ოღონდ ეშოვათ, ფულსაც კი იხდიდნენ. გაჩნდნენ გადამყიდველები. ე. წ. სპეკულიანტები, რომლებიც ჩვენს მიერ გამოშვებული პროდუქციით ვაჭრობდნენ. „ობეხეესის“ მიერ მათი დაკავების არა ერთი შემთხვევა დაფიქსირდა. მოდიოდნენ მერე ჩვენთან და არკვევდნენ, ვინ მისცა ეს პროდუქცია და ა. შ.

მთავარი ის გახლდათ, რომ წარმოება წელში გაიმართა. დავიწყეთ მუშებისთვის ბინების მშენებლობა, მანქანების განაწილება, დასასვენებელი და სამკურნალო საგზურების უფასოდ გაცემა მუშათა ოჯახებისთვის და სხვა. გარდა ამისა, ჩვენ პირველებმა გავბედეთ მუშებისთვის ნაღდი ფულით ბინები შეგვეძინა. არ შეგვშინებია, და უნდა ითქვას, რომ არც არავის მოუკითხავს, კანონი დაგირღვევიათო.

„ადიდასის“ ვიცე-პრეზიდენტი კოლასინსკი და ვიცე-პრეზიდენტი ეკონომიკის დარგში გაზდორფი საქართველოში

იყო კიდევ ერთი საინტერესო მომენტი. ავკრძალე ფაბრიკის ტერიტორიაზე სიგარეტის მოწევა. ამის გამო პროფკავშირებში მიჩივლეს, ადამიანის უფლებებს არღვევსო. გამოსავალი ძალიან მარტივად მოვნახე. ვინაიდან წარმოებაში ადვილად აალებადი ნართის ფრთილა უხვად ტრიალებდა, შენობის შიგნით მოწევა არ შეიძლებოდა. გარეთ — კი ბატონო, სპეციალური ადგილებიც გამოვყავი. ჩემი კაბინეტის ფანჯრიდან ხელისგულივით მოსჩანს ის ტერიტორიები. შესვენების დროს გამოდი და მოწიე რამდენიც გინდა. თუმცა, ზოგს ის ერთი საათი არ ჰყოფნიდა და სამუშაო საათებში წარა-მარა გამორბოდა გარეთ. ესე იგი, ამ დროს მანქანა-დანადგარი მიტოვებული აქვს და დიდი ალბათობაა იმისა, რომ წუნიანი პროდუქცია გავიდეს, ამის უფლებას კი არავის მივცემ. ამიტომ კეთილი ინებე და მოითმინე, თუ ვერ ითმენ, წადი სამსახურიდან. სხვათა შორის, ბევრი წავიდა, ბევრმაც ამ მავნე ჩვევას თავი დააღწია. მახსოვს, მათი ოჯახის წევრებისგან მადლობის წერილებიც კი მომდიოდა. ამ მხრივ გამორჩეულები ვიყავით, საბჭოთა კავშირში, ალბათ, ერთადერთი საწარმო ვიყავით, სადაც არცერთი თანამშრომელი, მუშიდან დაწყებული დირექტორით დამთავრებული, სიგარეტს არ ეწეოდა, ყოველ შემთხვევაში ფაბრიკის ტერიტორიაზე და სამუშაო საათებში.

ერთი სიტყვით, 1987 წლიდან 1991 წლამდე ფაბრიკისთვის ეს გახლდათ ნამდვილად ოქროს ხანა.

ქაოსური 90-იანი წლები

90-იანი წლები რადიკალურად ცვლის ქვეყნებისა და ადამიანების ბედს. ახალ დროებაზე ფეხის აწყობა იოლი არ არის. მეორე ათასწლეულის უკანასკნელი ათწლეული ნიაღვარივით წალეკავს ყველაფერ ძველს. იწყება ქაოსი და განუკითხაობა. ცხოვრება ბრძოლას ემსგავსება...

საბჭოთა კავშირი რღვევას იწყებს, მომავალი გაუთვლელია. სწორედ ამიტომ სპორტული ნაწარმის ფაბრიკა სკანდინავიის ქვეყნებთან პროდუქციის მიწოდებაზე ხელშეკრულებას ხელს აღარ აწერს. მალე იმ დროისთვის წარმოების მართვის სრულიად ახალი ფორმა, კერძო საკუთრება შემოდის. ფაბრიკის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა კოლექტივთან ერთად იჯარა-გამოსყიდვით შეიძინოს წარმოება და რესპუბლიკის მასშტაბით ერთ-ერთი პირველი აღმოჩნდა, ვინც ეს მოახერხა კიდეც.

თუმცა, საქართველოს მაშინდელი სპორტკომიტეტი პრეტენზიას გამოთქვამს და ფაბრიკის თავის დაქვემდებარებაში გადაცემას ითხოვს. ამის გამო დავა რომან რურუასა და სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს კახი ასათიანს შორის ჯერ სპორტკომიტეტში კოლეგიაზე, შემდეგ მინისტრთა საბჭოს მაშინდელი თავმჯდომარის ბესარიონ გუგუშვილის კაბინეტში გაიმართა. საუბარს, რომელიც საკმაოდ გვიან, ღამის 12 საათზე შედგა, იმდროინდელი მთავრობის წევრებიც ესწრებოდნენ: გურამ აბსანძე, ტარიელ გელანტია და გივი თაქთაქიშვილი. აბსანძე გუგუშვილს დავის შინაარსს მოკლედ უხსნის, — ეს ფაბრიკა საკავშირო დანიშნულების იყო, კოლექტივმა ის იჯარა-გამოსყიდვით აიღო, საქართველოს სპორტკომიტეტი კი ამის გამო პრეტენზიას გამოთქვამს და თავის დაქვემდებარებაში გადაცემას ითხოვსო. გუგუშვილიც მოკლე პასუხით იფარგლება:

— არავითარი კომიტეტზე გადაცემა, დაანებეთ ასეთ რაღაცეებს თავი, თუ სადმე მსგავსი წარმოება კიდევ არის, ყველა წარმოება კოლექტივებს გადაეცით საკუთრებაში...

დავა რურუას სასარგებლოდ გადაწყდა.

ფაბრიკამ, რაც ფული გააჩნდა, წარმოების შესყიდვის მიზნით, სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშზე გადარიცხა. აქციები თანამშრომლებს, რა თქმა უნდა, უფასოდ გადაეცათ, სტაჟისა და დამსახურების მიხედვით, მუშას — 25 აქცია, დირექტორს კი — 30 აქცია ერგო. ერთი აქცია ერთ დოლარად შეფასდა. გასაყიდად 5000 აქცია ცალკე გამოიყო, ფაბრიკას საბრუნავი თანხა რომ ჰქონოდა, მაგრამ მაშინდელი რთული ეკონომიკური მდგომარეობის გამო, მუშებმა მისი შეძენა ვერ შეძლეს.

მმართველობის ახალ ფორმაზე გადასული წარმოება ფეხის ადგმას ცდილობს, თუმცა, საყოველთაო ნგრევისა და სამოქალაქო ომის ფონზე, ეს, შეუძლებელია.

●

განუკითხაობას საზღვარი აღარ აქვს. ადამიანის სიცოცხლეს ჩალის ფასი ედება. ძალა აღმართს ხნავს. ძალას ახლა ისევ ძალა, ჭკუა და გონება უნდა დაუპირისპირო, რომ გადარჩე...

კრიმინალური სამყაროს და არა მხოლოდ მის მიერ, მიტინგებზე საქართველოში მილიონერებად მიჩნეულ პირველ ათეულში რომან რურუას სახელი და გვარიც ჩნდება. ფულის გამოძალვის მიზნით პირველად შვილის საფლავზე სატირლად მისულ ერთ იმ დროისთვის ცნობილ საქმიან კაცს — ოთარ (ხოხონიკა) ქურციკიძეს იტაცებენ. კრიმინალების იგივე ჯგუფი რომან რურუას გატაცებასაც გეგმავს, მაგრამ ხდება გაუთვალისწინებელი

რამ, კაცი, რომელსაც ეს საქმე დაევალა, რურუასთან პირდაპირ კონტაქტზე გადის. კრიმინალი კაბინეტში მასთან მარტო რჩება და ყოველგვარი მიკიბულ-მოკიბული საუბრის გარეშე სათქმელს პირდაპირ ამბობს:

— ბატონო რომან, მე თქვენი მოტაცება დამავალეს, ასეც მოვიქცეოდი, მაგრამ სადაც თქვენი სახელი ვახსენე, ყველგან ისე დადებითად მოგიხსენიეს, იმდენი კარგი რამ მოვისმინე თქვენს შესახებ, განზრახვაზე ხელი ავიღე...

რომან რურუა ინფორმაციას თავისი გატაცების შესახებ ოლიმპიური სიმშვიდით ისმენს, მერე მოსაუბრეს თვალს თვალში უყრის და ეუბნება:

— მე ასეთი ადვილი დასამორჩილებელი არა ვარ. ამ საქმისგან არაფერი გამოვა. ერთადერთი რაც შეგიძლიათ, მომკლათ. ყოველ საღამოს თბილისიდან მცხეთაში მარტო მივდივარ მანქანით, ვისაც გინდა უთხარი და დამხვდით...

— არა, ბატონო რომან, მე მხოლოდ თქვენი გაფრთხილება მინდა, — თავს იმართლებს კრიმინალი, — მე კი ავიღე ხელი ამ საქმეზე, მაგრამ შეიძლება სხვამ მოკიდოს...

რომან რურუას პასუხი მოკლეა:

— წადი ბიძია, შენი საკეთებელი საქმე აკეთე!..

საუბარი, თითქოს, ამით უნდა დამთავრებულიყო, უცნობმა კაბინეტი დატოვა კიდეც, მაგრამ მალევე უკან დაბრუნდა და გაკვირვებულმა ჰკითხა:

— რა უცნაური კაცი ყოფილხარ, რატომ არ მეკითხები, არ გაინტერესებს ვინ დამავალა?.. — ცნობისმოყვარეობა რომ ვერ შეატყო, სკამი მასთან ახლოს მიაჩოჩა, ჩამოჯდა და თქვა სახელი კაცისა, რომელიც იმდროინდელი მთავრობის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი გახლდათ.

●

... იყო შემთხვევა, როცა პატრიოტის ნიღაბს ამოფარებული კრიმინალები, ვითომ აფხაზეთის ომისთვის, რომან რურუასგან ფულის გამოძალვას ცდილობდნენ. ფაბრიკის ტერიტორიაზე ათამდე შეიარაღებული, სამხედრო ფორმაში გამოწყობილი, წვერმოშვებული კაცი შევიდა და პირდაპირ დირექტორის კაბინეტისკენ გაემართა. დირექტორს დაუპატიჟებელი სტუმრების ვიზიტი აცნობეს. კაბინეტის კარი რომ გაიღო და ერთიმეორეს მიყოლებით შემოვიდნენ, რომან რურუას თავი მაღლა არც კი აუწევია, ქაღალდებს ჩასცქეროდა, რაღაცას წერდა... ხმას არც მომხდურები იღებდნენ. რამდენიმე წუთი გავიდა, წერა რომ დაამთავრა, კალამი გვერდზე გადადო და დაუპატიჟებელ სტუმრებს ჰკითხა: — რა გნებავთ? — ფული გვინდაო, — უპასუხეს, — აფხაზეთის ომში მივდივართო... — ფული ყველას უნდა. აი, აფხაზეთიდან არძინბას თუ ჩამომიყვანთ, ხომ მოგწონთ ეს ფაბრიკა, ამას გაჩუქებთო... — ასე დაამთავრა მათთან საუბარი.

●

90-იანი წლების დასაწყისში რომან რურუა ერთ-ერთ თავის ძველ მეგობარსა და კოლეგას — ვიქტორ იგუმენოვს რუსეთში ესტუმრა. აქეთობისას მეგობარმა აეროპორტამდე გამოაცილა, დამშვიდობებისას ჯიბიდან ფული ამოიღო და მოკრძალებულად გაუწოდა, — ახლა თქვენთან ძალიან ჭირს და გამოგადგებაო. ბატონმა რომანმა იუარა, მაგრამ ყველაზე მეტად ის გაუკვირდა, რუსმა საერთოდ, როგორ მოიფიქრა ასეთი რამ და ჰკითხა, — საიდანო?.. — შენ ხომ ასე გვასწავლიდიო, — უპასუხა კოლეგამ.

გამოგიტყდებით

რომან რურუა:

— სამოქალაქო ომის შემდეგ ქვეყანა ვერა და ვერ დალაგდა. ერთ უბედურებას მეორე მოჰყვებოდა, მეორეს — მესამე და ასე უსასრულოდ... საზოგადოების ერთ ნაწილში გაჩნდა აზრი, რომ თუ ვინმე შეძლებდა ქვეყნის ამ ქაოსიდან გამოყვანას, ეს ედუარდ შევარდნაძე იქნებოდა. გამოგიტყდებით და მეც ადამიანთა იმ ჯგუფს მივეკუთვნებოდი, ვისაც ეს გულწრფელად სჯეროდა.

საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა ექსმინისტრთან იმ დროისთვის ცნობილ პიროვნებას გურამ მგელაძეს გარკვეული კონტაქტები ჰქონდა. გურამი რუსეთის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტთან მიხეილ მამიაშ-

ვილთანაც მეგობრობდა. მოჭიდავეებს, ყოფილ სპორტსმენებს რუსეთშიც და სხვა რესპუბლიკებშიც დიდი ავტორიტეტი გააჩნდათ. თუ არ ვცდები, გურამის თხოვნით მიშამ რამდენიმე მოჭიდავე ედუარდ შევარდნაძის პირად დაცვაში მიამაგრა. რადგან, როცა შევარდნაძემ მინისტრის პოსტი დატოვა, თავისთავად სახელმწიფო დაცვაც მოეხსნა.

მას შემდეგ, რაც შევარდნაძის საქართველოში

დაბრუნების საკითხი გადაწყდა, მიხეილ მამიაშვილმა მისი დაცვა საქართველოშიც ითავა. მიშას კარგად ვიცნობდი, მაგრამ ამ ამბების შესახებ თავდაპირველად, რა თქმა უნდა, არაფერი ვიცოდი.

ზუსტად იმ დღეებში მოსკოვში პირად საქმესთან დაკავშირებით ჩასვლა მომიწია. აეროპორტის გასასვლელში მიშას შემთხვევით შევხვდი. გაუხარდა ჩემი დანახვა, — ახლა ზუსტად შენთან მოვდიოდი თბილისშიო. ერთი სიტყვით, მითხრა, რომ შევარდნაძე სულ მალე ჩამოვიდოდა საქართველოში და პირველხანობას პასუხისმგებლობა მის უსაფრთხოებაზე ჩვენ უნდა აგვეღო. ამ საქმისთვის ერთგული და სანდო ადამიანები დაგვჭირდებაო... გადაწყვეტილება მივიღეთ, ყველაფერი დავგეგმეთ. შევადგინე დაცვის 14-კაციანი სია, ისეთი კანდიდატურები შევარჩიე, რომელთაც პირადად ვიცნობდი და ვენდობოდი. მარტო მოჭიდავეების იმედად ვერ ვიქნებოდით, პროფესიონალი მსროლელებიც გვჭირდებოდა. ამიტომ ამ 14 კაცში სამი ხუთჭიდელი შევიყვანეთ და ორიც შს სამინისტროს თანამშრომელი. საქმეში სახელმწიფო სტრუქტურებიც იყვნენ ჩართული, მაგრამ პასუხისმგებლობას თავის თავზე ვერ იღებდნენ.

შევარდნაძის ჩამოსვლის წინა საღამოს გავეცი კონკრეტული მითითებები, ამ 14 კაციდან ვის რა უნდა გაეკეთებინა. გადაწყდა, რომ თვითმფრინავში, რომელიც მის ჩამოსაყვანად გაფრინდებოდა, მხოლოდ პროკურატურის თანამშრომლები ისხდებოდნენ. ჩვენი დაცვის ჯგუფი გააკონტროლებდა, რომ არცერთ მათგანს იარაღი არ ჰქონოდა. ე. ი. ყველა, ვინც თვითმფრინავში ჩაჯდებოდა, სათითაოდ გაიჩხრიკებოდა, განურჩევლად თანამდებობისა და რანგისა. შევარდნაძისა და მისი მეუღლის დაცვა გიგა ალასანიას დავავალე. ბიჭები გავაფრთხილე, რომ კატეგორიულად აეკრძალათ ყველასთვის თვითმფრინავში შევარდნაძესთან მისვლა და გამოლაპარაკება, ბორტზე წინ და უკან სიარული. მოვახსნევინე ბორტის გამყოფი ფარდა, რომ სივრცე თავისუფლად ეკონტროლებინათ. თვითმფრინავის ტექნიკურ უსაფრთხოებაზე ანდრეი სლუშაევმა იზრუნა. ჩემი გაზრდილი ბიჭია, მეც და მიხელ მამიაშვილიც საკუთარი თავივით ვენდობოდით. თვითმფრინავმა, საწვავით რომ გავავსეთ, საცდელი აფრენა გააკეთა, აეროდრომზე დაეშვა და დაილუქა. დილისთვის გასაფრენად მზად იყო. დაცვის თანამშრომლებისთვის იარაღი შს სამინისტრომ გასცა, უშუალოდ მინისტრის მოადგილემ, რობიზონ თუშურაშვილმა.

რა ძალამ ამაღებინა ჩემს თავზე ამხელა პასუხისმგებლობა, ახლაც არ ვიცი. არც ის ვიცი, სწორად მოვიქეცი თუ არა, მაგრამ მაშინ ქვეყნის გადარჩენის ერთადერთ გზად მიმაჩნდა. მიხეილ მამიაშვილი ძალიან გამბედავი, გულიანი ბიჭია და მეც მხარი დავუჭირე.

შევარდნაძის ჩამოსვლიდან ერთ კვირაში მოსკოველები ისევ რუსეთში დაბრუნდნენ და მთელი პასუხისმგებლობა ჩემზე გადმოვიდა. რამდენჯერმე სახელმწიფო მეთაურის მანქანაში ბიჭებს ბენზინი ჩემი ფულით ჩავასხმევინე. რა გვექნა, ვინ იყო პატრონი?!

ასე გაგრძელდა სამი თვე, სანამ შემთხვევით კრწანისში დაცვის ერთერთ თანამშრომელს ავტომატი არ გაუვარდა, მეორემ კი ასევე შემთხვევით ტყვია ფეხში მოირტყა. ორივე შსს თანამშრომელი იყო. სახელმწიფო მეთაური მიხვდა, რომ საქმე მთლად კარგად ვერ იყო. თანაც ამ დროისთვის თავისი პოზიციები ცოტა მოძლიერებული ჰქონდა და პირადი დაცვის სამსახურის უფროსად ელდარ გოგოლაძე დაინიშნა. მას თავისი კადრი მოჰყვა. ჩვენი მისია ამით დასრულდა.

არა მგონია, საქართველოს ექსპრეზიდენტმა მის ჩამოყვანაში ჩემი მონაწილეობის შესახებ დღემდე რამე იცოდეს...

●

იმ ქაოსურ წლებში რომან რურუას სახლი მცხეთაში ორჯერ გაძარცვეს. თუმცა, ორჯერვე მედლები ხელუხლებელი დატოვეს. პირველი ძარცვა, ფაქტობრივად, გაუხსნელ საქმედ დარჩა. თავად სახლის პატრონს კი აქვს ეჭვი და არც თუ უსაფუძვლო, მაგრამ კვალს ის ისეთ ნაცნობებთან მიჰყავს, საქმის გაუხსნელად დატოვებას ამჯობინებს. უტყუარია, რომ შინაურის ხელი ურევია. გატეხვის იმიტაცია უნიჭოდ არის გაკეთებული, კარი გასაღებით არის გახსნილი. ხოლო გასაღები ვის ხელში შეიძლებოდა მოხვედრილიყო, ეს სახლის პატრონს არ ესწავლება...

პირველი ქურდობის შემდეგ ფაბრიკის დირექტორის მოადგილის იუზა ვერულავას სახლიც დააყაჩაღეს საგურამოში. რომან რურუა ფიქრობს, რომ მძარცველი ირიბად ან პირდაპირ ფაბრიკას უკავშირდება, რადგან მას ფული დირექტორთან ან მის მოადგილესთან ეგულება. პოლიცია საქმეში აქტიურად ჩაება, მაგრამ ვერაფერს მიაკვლია. პოლიციისგან დამოუკიდებლად ძიებას თავად განაგრძობს. იმ ერთი კვირის განმავლობაში, როცა ყაჩაღობა მოხდა, თუ ვინმეს მანქანა შევიდა და გამოვიდა საგურამოში, ყველას აღწერას იწყებს. ყველა ოჯახს სათითაოდ ეკითხება მასთან მოსული სტუმრის ვინაობას, მანქანის ფერს და ნომერს. სწორედ ამ დროს წააწყდება ერთ საინტერესო და მნიშვნელოვან ინფორმაციას: ერთ დღეს ამა და ამ ადგილას „ჟიგულის“ მარკის ყვითელი ფერის მანქანა იდგაო. ეს დღე კი ყაჩაღობის დღეს დაემთხვა. აღმოჩნდა, რომ მანქანა ყაჩაღობის დღეს შეუნიშნავთ. ინფორმაციის ავტორს მანქანის ნომერი ლურსმნით ფიცარზე მიუწერია. რაკი მანქანას საგურამოში მასპინძელი არ გამოუჩნდა, რომან რურუამ იმის კვლევა დაიწყო, თუ ვის ეკუთვნოდა იგი. გაირკვა, რომ კახეთის ერთ-ერთი რაიონის მკვიდრს და მინდობილობით თბილისში ვინმე გაგლოევისთვის ჰქონია გადაცემული. გაგლოევის ვინაობაც გაიკითხეს და აღმოჩნდა ნახალოვკაში მცხოვრები რეციდივისტი, ქურდი და ყაჩაღი. დაიწყეს თვალთვალი. თვალყურს მცხეთელი გამომძიებელი პაატა ნასყიდაშვილი

ადევნებდა, უპატიოსნესი ადამიანი და პროფესიონალი, რომელიც დღესაც ამ სისტემაში მუშაობს. მაგრამ ერთი კვირის განმავლობაში გაგლოევს მანქანა გარეთ არ გამოუყვანია. ესეც მის დანაშაულზე მიანიშნებდა. კვირის თავზე მანქანა ქალაქის ცენტრისკენ დაიძრა. დეზერტირების ბაზართან გაჩერა, გადავიდა, უკან რომ დაბრუნდა, ადგილზე დააკავეს. გაგლოევმა აღიარა, რომ ეს ე.წ. საქმე მათთვის ფაბრიკის თანამშრომელს, მძღოლს, გიორგი (ჟორა) ნებიერიძეს მიუცია. არადა, ეს ნებიერიძე მანამდე ერთი კრავივით უწყინარი კაცი ჩანდა. იმისი ცოლიც ფაბრიკაში მუშაობდა. ხოლო შვილს სამსახური პოლიციაში თავად რომან რურუამ დააწყებინა. საქმეში გარეულნი იყვნენ ქურდები ვინმე ნადაშვილი და თამაზაშვილი, აგრეთვე, ნებიერიძის მეზობლები, ძმები მინდიაშვილები, ქურდობასა და ყაჩაღობაში არაერთხელ შემჩნეულნი, პროფესიით მხატვრები. მინდიაშვილების დედაც ფაბრიკაში მუშაობდა. მოგვიანებით ძმები პატრიარქის რეკომენდაციით შეიწყალეს და ამ შეწყალების თხოვნას რომან რურუამაც მოაწერა ხელი.

სასამართლოზე ნებიერიძე იტყვის, რომ იგი რურუას გამუდმებით უთვალთვალებდა, ხელსაყრელ მომენტს ეძებდა. ასეთი დრო შეარჩია მაშინ, როცა დირექტორი ფაბრიკაში სტუმრების მასპინძლობით იყო დაკავებული. ტელეფონით აცნობა თავის ბანდის წევრებს, რურუა სულ ცოტა ორ საათს მაინც ვერ მოიცლისო, და არც მათ დაკარგეს დრო. სახლში დატოვებული მეზობლის ბიჭი გაკოჭეს და ბინა პირწმინდად გაძარცვეს.

რაც შეეხება თავად ნებიერიძის დაკავებას, პოლიციამ ესეც რომან რურუას გეგმით განახორციელა. ფაბრიკიდან თანამშრომელი გაუგზავნეს, სასწრაფოდ გიბარებენ, ცხინვალიდან ფქვილია ჩამოსატანიო. ნებიერიძე მორჩილად გამოჰყვა შიკრიკს. მისი აყვანა მანქანაში მოხდა. ოთხი წელი მიუსაჯეს, თუმცა, ამნისტია შეეხო და ოთხ თვეში უკვე გარეთ იყო.

●

90-იან წლებში რომან რურუას სახელმა შს სამინისტროს მაღალჩინოსან კანდიდატურებს შორის ორჯერ გაიჟღერა, ერთხელ გამსახურდიას საქართველოში, მეორედ — შევარდნაძის. სწორედ იმ დღეებში, თბილისი რომ ცეცხლის ალში იყო გახვეული, რომან რურუას ამ აზრს აწვეთებენ. იმ დროს ქალაქის პოლიციის სამმართველოს უფროსი დავით ზეიკიძეა. იგი ზეიკიძეს რჩევას ეკითხება, — ჩემს მეგობარს მინისტრობას სთავაზობენ და რას იტყვიო?.. ზეიკიძე გულწრფელად პასუხობს, — თუ შენი მეგობარია, ურჩიე არ დათანხმდეს, ქვეყანა ისეთი არეულია, მისი დაწყობა, ფაქტობრივად, შეუძლებელიაო...

უფრო მოგვიანებით სახელმწიფოს მეთაურს სთავაზობენ მის კანდიდატურას. შევარდნაძე, წინააღმდეგი არ არის, — ნახეთ, მოსინჯეთო... შოთა კვირაია და მისი პირველი მოადგილე თამაზ ნინუა კადრის შესწავლას იწყებენ. მოთელვითი საუბარი კვირაიას შემდეგ, ისევ თამაზ ნინუასა და დავით ზეიკიძესთან შედგა, — რა პროგრამით მოდიხარო? — ეკითხებიან რომან რურუას, — ისიც მისთვის ჩვეული გულწრფელობით პასუხობს: — პროგრამაზე ჯერ არ მიფიქრია, მაგრამ ერთი კი დანამდვილებით ვიცი, საქართველოს 70 ათასი პოლიციელი არ სჭირდება, 50%-ს შევამცირებო... ბუნებრივია, ამის შემდეგ მისი კანდიდატურა აღარ განხილულა.

რაც შეეხება პოლიციის შემცირებას და რეფორმებს ამ სტრუქტურაში, რამდენად სწორი იყო რომან რურუას მოსაზრება, დრომ თავისი სათქმელი თქვა.





ბათუმი 1995 წელი



გივი კარტოზია

ნონა გაფრინდაშვილი,
გურამ შარაძე და რომან რურუა

რომან რურუა და ასლან აბაშიძე

რომან რურუა:

– 1995 წელს ცნობილ მოჭიდავეს როსტომ აბაშიძეს დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა. ასლან აბაშიძემ მისი იუბილე გრანდიოზული მასშტაბებით აღნიშნა. ბათუმიდან სპეციალურად ჩვენთვის თვითმფრინავი – Ту-154 გამოგზავნა. თითქმის ყველა ცნობილი სპორტსმენი უკლებლივ გავემგზავრეთ. საღამოს დიდი ბანკეტი გაიმართა. ბანკეტს სხვა სტუმრებთან ერთად ოპერის ცნობილი მომღერალი ახალგაზრდა ქალბატონიც ესწრებოდა. ქალბატონს ვიცნობდი. მან თავადვე მოისურვა ჩემს გვერდით მჯდარიყო. ეს წერილი გივი კარტოზიამ სწორედ მაშინ მომწერა. ქალბატონმა ბანკეტი ადრე დატოვა. სასტუმრომდე მივაცილე და უკან დავბრუნდი, ჩემს მეგობრებს უსაფუძვლო ეჭვი რომ არ გასჩენოდათ.

ქართველი სპორტსმენები სტუმრად ბათუმში (გივის და ვახტანგის ხუმრობა)

პოლიტიკური მოღვაწეობა

— თითქმის ყველა, ვინც 90-იან წლებში ხელისუფლებაში მოსვლას ცდილობდა, უპირველესად იმაზე ფიქრობდა, ეს შესაძლებლობა როგორმე იმისთვის გამოეყენებინა, რომ ცხოვრებაში გზა გაეკაფა. მე გასაკაფი და გასაუმჯობესებელი არაფერი აღმომაჩნდა. ყველაფერი მქონდა, სახელი, ტიტულები, სახლ-კარი...

ჩემს პოლიტიკაში მოსვლას წინ ერთი გარემოება უძღვოდა.

თავდაპირველად შევქმენით საზოგადოება „რაინდი". უნდა აღინიშნოს, რომ „რაინდის" შექმნის იდეა ჟიული შარტავასგან წამოვიდა. გვინდოდა სპორტული საზოგადოება გაგვერთიანებინა. ქვეყანაში სახელმწიფო ქონების გადანაწილება რომ დაიწყო, ვიფიქრე, თუ სპორტსმენებს სხვადასხვა წარმოებაში რაიმე წილი შეხვდებოდათ, დამოუკიდებელი ფედერაციების შექმნას შევძლებდით. ამ მიზნით ჩემს წარმოებაში 17 სპორტსმენი მივიღე. ფაბრიკის ქონება რომ გადავანაწილეთ, „რაინდის" წევრებს — 17 სპორტსმენს ვარგუნეთ წილი. დამოუკიდებლობას ფინანსები წყვეტს. მე მაშინ საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი ვიყავი და თან დამოუკიდებელი ფედერაციის შექმნაზე ვოცნებობდი. მაგრამ გასაგები მიზეზების გამო, წარმოება ვერ ამუშავდა და დამოუკიდებელი ფედერაციის შექმნის ოცნებაც ოცნებად დარჩა. ივივე ბედი ეწია სპორტის სხვა სახეობის ფედერაციებსაც. დღესაც სპორტი დარჩა სახელმწიფოს ხელის შემყურედ, მათხოვრად, სახელმწიფომ ისინი თავის ჯიბეზე მიიბა...

სპორტსმენები ქვეყნის მოსიყვარულე, პატრიოტი და ერთგული ხალხია. არავის, ალბათ, სამშობლოს ისეთი შეგრძნება არ გააჩნია, როგორც სპორტსმენს. არავინ, ალბათ, ისეთი სიყვარულით არ უყურებს მაღლა აწეულ სახელმწიფო დროშას და არ ისმენს ქვეყნის ჰიმნს, როგორც სპორტსმენი.

ამიტომ გადავწყვიტე „რაინდი" პოლიტიკურ ორგანიზაციად გადამეკეთებინა და თანამოაზრეებთან ერთად შევქმენი პოლიტიკური გაერთიანება „სპორტული საქართველო".

მსოფლიო პოლიტიკურ სივრცეში არა ერთი მაგალითი მოიძებნება იმისა, რომ

სპორტსმენები, იგივე ყოფილი მოჭიდავეები საკმაოდ სერიოზულ პოლიტიკურ მოღვაწეებად ჩამოყალიბებულან, მაგალითად, ყაზახეთის პრეზიდენტი — ნურსულთან ნაზარბაევი; პოლონეთის პრეზიდენტი — კვასნევსკი; აშშ თავდაცვის მინისტრი — რამსველდი; „ზილის“ დირექტორი და მოსკოვის მერი — საიკინი; წარსულში ასევე ცნობილი მოჭიდავე, ცეკას მდივანი — რიაბოვი, კარტოზიას თაობა იყო; უფრო მოგვიანებით რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი და ა.შ.

1998 წელს ადგილობრივ არჩევნებში მონაწილე 125 პარტიიდან ჩვენი პარტია მეშვიდე ადგილზე გავიდა. თუ ჩვენ პარლამენტშიც მოვიდოდით, ჩვენი სახით ქვეყანას ერთ-ერთი ძლიერი, სერიოზული დასაყრდენი ძალა ეყოლებოდა. ჩვენ „მრეწველებთან“ ბლოკში გავერთიანდით. რაკი ადგილობრივ არჩევნებში მე-7 ადგილზე გავედით, 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებში მე-7 ნომრით მივიღეთ მონაწილეობა. 7%-იანი ბარიერი წარმატებით გა-

2002 წელს გამოიცა განკარგულება რომან რურუას 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით ბიუსტის დადგმის შესახებ



საქართველოს პრეზიდენტის

განკარგულება

№ 1456 2002 წლის 20 ნოემბერი ქ. თბილისი

რომან რურუას დაბადების 60 წლისთავის იუბილეს აღნიშვნის შესახებ

1968 წლის მეხიკოს XVIII ოლიმპიური თამაშების და მსოფლიოს ოლიმპიადის ჩემპიონის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ბერძნულ რომაულ ჭიდაობაში, თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი სპორტსმენის რომან რურუას დაბადების 60 წლისთავის იუბილეს ღირსეულად აღნიშვნის მიზნით:

1. საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა (ი.მეიმარიაშვილი) საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან ერთად მოამზადოს რომან რურუას საიუბილეო ღონისძიებათა გეგმა და ხელი შეუწყოს მის განხორციელებას.

2. საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულმა ბ.ჯიქიამ და მარტვილის რაიონის გამგეობამ (ა.წულაია) წარმოადგინონ წინადადება მარტვილის რაიონში რომან რურუას ბიუსტის დადგმის თაობაზე და ხელი შეუწყონ მარტვილის რაიონში რომან რურუას საიუბილეო თარიღის აღნიშვნას.

3. ეთხოვოს საქართველოს ფელერადიმაუწყებლობას (გ.შენგელია) სათანადოდ გააშუქოს რომან რურუას იუბილეს მიმდინარეობა.

№ 24

ედუარდ შევარდნაძე

29.11.2002

4-02/355

06.12.02

ქ.თბილისის მერიის სპორტის და ტურიზმის საქალაქო სამსახური
შემოსულია № 393
6 XII 2002 წ.

დავლახეთ და პარლამენტშიც მოვხვდით. ხალხმა მხარი დაგვიჭირა და გვენდო. მადლობელი ვარ ამისთვის.

პარლამენტში ყოფნისას ერთადერთი მიზანი გამაჩნდა, არასდროს დამეჭირა მხარი ჩემი ქვეყნისთვის საზიანო გადაწყვეტილებისთვის. არასდროს დამიჭერია ღილაკზე ხელი, თუ გადაწყვეტილება არასწორად მიმაჩნდა. მახსოვს ღილაკზე ხელის დაჭერა, როცა ნულოვან ვარიანტს ვიღებდით, როცა რუსეთს 7 მილიარდი დოლარი ჩამოვაწერეთ, ხალხნო, დღესაც გაუგებარია ჩემთვის, რატომ?! ამაზე პასუხი არც ყოფილ და არც დღევანდელ ხელისუფლებას აქვს. მეგონა, ამ 7 მილიარდის სანაცვლოდ აფხაზეთსა და ოსეთს დავიბრუნებდით, ვიფიქრე, თუ ასეთ კარგ საქმეს ვაკეთებთ, ჯანდაბას-მეთქი... შეიძლება საქართველომ ბევრი პოლიტიკური შეცდომა დაუშვა, მაგრამ, ჩემი აზრით, უახლოეს ისტორიაში ეს ყველაზე დიდი შეცდომა იყო.

რატომ ვიყავი ჩუმად პარლამენტში

— 2000 წელს სიდნეის ოლიმპიადიდან დაბრუნებულ ოლიმპიელებს საქართველოს პარლამენტმა საზეიმო შეხვედრა გაუმართა. შეხვედრის დასასრულს, ვიდრე სპორტსმენები სხდომათა დარბაზიდან გავიდოდნენ, მიკროფონში პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას ხმა გაისმა:

— მოითმინეთ, მოითმინეთ... ჩვენც გვყავს ოლიმპიური ჩემპიონები, აგერ ლევან თედიაშვილი, ბატონო ლევან!

ლევანი წამოდგა.

— ბატონი რომან რურუა!

ფეხზე ავდექი... რურუაო?!. დარბაზი ტაშით დაინგრა. 235 დეპუტატი, სიდნეის ოლიმპიადის მონაწილეები, ყველა, ვინც დარბაზში იყო, ფეხზე ადგა. მე უკან ვიჯექი, თითქოს დარბაზი მობრუნდაო, ყველა ჩემსკენ შემოტრიალდა და ტაშს მიკრავდა... შემრცხვა, თავი ძალიან უხერხულად ვიგრძენი. დავინახე, რომ პოზიცია თუ ოპოზიცია ერთნაირად დადებითად არის ჩემს მიმართ განწყობილი, პატივს მცემს. ამდენად, მომავალში ჩემი კრიტიკული გამოსვლა ან ვინმესთან პოლემიკა და კინკლაობა უხერხულად მივიჩნიე.

პარლამენტში ჩემი პასიურობის მიზეზი ეს გახლდათ, თუმცა, მე ის ღილაკი, რომელიც მებარა, კიდევ ვიმეორებ, არასდროს ჩემი ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ არ გამომიყენებია. ყველა რომ ასე ყოფილიყო, ეს ქვეყანა ასე დაქცეული არ იქნებოდა.

საპარლამენტო მოღვაწეობა 2003 წელს დავამთავრე. თუმცა, პოლიტიკური პარტია „მრეწველების“ წევრი დღესაც ვარ. მიმაჩნია, რომ სწორი ლოზუნგი ჰქონდათ არჩეული პარტიის მესვეურებს, რომ მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს! დღესაც ამ აზრზე ვარ. თუმცა, დღევანდელ მთავრობას სხვა პრიორიტეტები აქვს. არადა, გვინდა თუ არა, ამ გზის გავლა მაინც მოგვიწევს. სხვანაირად ქვეყანას ვერ დავაპურებთ. მათ, ვისაც ამის გაგება არ უნდა, შევახსენებ, მრეწველობის მნიშვნელობას ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან (გვ.749).

— მრეწველი: კაპიტალისტური საწარმოს მფლობელი.

— მრეწველობა: სახალხო მეურნეობის დარგი, წიაღისეულის დამმუშავებელი ან ნედლეულის გადამამუშავებელ საწარმოთა ერთობლიობა, მომპოვებელი (ქიმიური, საავიაციო, მძიმე).

— მეწარმე: სამრეწველო ან სავაჭრო საწარმოს მფლობელი კაპიტალისტი. წვრილი მეწარმე. კერძო მეწარმე.

რომან რურუა და
გოჩა ძასოხოვი

საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის 2000 წლის არჩევნები

ქვეყანაში ჭიდაობის პოპულარიზაციისთვის, მომავალი ნიჭიერი თაობების აღმოჩენისა და მათი ხელშეწყობისთვის, მერწმუნეთ, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინ იქნება სპორტის ამ სახეობის სათავეში, ვინ უხელმძღვანელებს.

ჩემი ცოდნა, უნარი, შეხედულებები, გამოცდილება უფლებას მაძლევდა, ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტობაზე სურვილი გამომეთქვა და 2000 წლის არჩევნებში მონაწილეობის მიღება გადავწყვიტე. თუმცა, მას შემდეგ, რაც კანდიდატების სიას გავეცანი და გოჩა ძასოხოვი აღმოვაჩინე, გვერდზე გადგომა ვამჯობინე. სხვა კანდიდატებსაც მოვუწოდე, ჩემსავით მოქცეულიყვნენ.

სხდომაზე სიტყვით პირველი მე გამოვედი და სიტყვის დასასრულს პრეზიდენტობის კიდევ ერთ ღირსეულ კანდიდატს — ლევან თედიაშვილს მივმართე: — ჩემო ლევან, ფედერაციის მართვა მხოლოდ ტიტულების იმედად ძნელია, არ გამოგვივა... ჩვენს შორის არის კაცი, რომელსაც შეუძლია ამ გაჭირვების ჟამს ფედერაციას ხელი შეაშველოს, ფინანსურად დაეხმაროს. ამ ეტაპზე ეს არც მე შემიძლია და არც შენ. ლევანმა ჩემი მოწოდება გაიზიარა და ჩემს შემდეგ თავის გამოსვლაში სიტყვითაც დაადასტურა. სხვა კანდიდატურები აღარ განხილულა. გოჩა ძასოხოვი საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტად ერთხმად ავირჩიეთ.



გაყოფა ძნელია

— 1980-იან წლებში ქსანში მინის ტარის ქარხნის მშენებლობა წამოიწყეს. მშენებლობა ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, რომ მის დირექტორად ჩემი მეგობარი ზაურ თოხაძე დანიშნეს. იმ დროს წარმოება-დაწესებულებებში ნებისმიერი საფინანსო ოპერაცია მხოლოდ გადარიცხვით კეთდებოდა. ორ შემთხვევაში შეეძლო წარმოების ხელმძღვანელს ბანკიდან ფულის გატანა — ხელფასებისთვის და მივლინებებისთვის. მართალია, ეს ჯერ კიდევ კომუნისტური წყობის პერიოდია, მაგრამ ქარხნის მშენებლობის დროულად დამთავრებისთვის, წარმოებაში მანქანა-დანადგარების შესატანად, დასამონტაჟებლად, ნედლეულით მოსამარაგებლად და სხვა ათასი წვრილმანი პრობლემის მოსაგვარებლად, ირიბად თუ პირდაპირ, ნაღდი ფულით ანგარიშსწორება მაინც საჭირო იყო.

ამ დროისთვის მე უკვე გარკვეული თანხა დაგროვილი მქონდა. თან მისი შენახვაც დიდ თავსატეხს მიჩენდა. მოვიდა ჩემთან ზაური და მთხოვა, — მომეხმარე ქარხნის ამუშავებაში და როცა წარმოებას გავუშვებთ, მთავარი მეწილე შენ იქნებიო. დავთანხმდი. ვაძლიე, ვაძლიე ეს ფული და ბოლოს, რომ დავითვალე 1 400 000 მანეთი გამომივიდა ამ წარმოებაში ჩადებული. ეს მაშინ, როცა 1 დოლარი საბჭოთა 60 კაპიკს უდრიდა.

საქმე წინ წავიდა. წარმოება ნელ-ნელა მწყობრში დგებოდა, მაგრამ თოხაძე ავად გახდა და სამსახურში გასვლა ვეღარ შეძლო. დანიშნეს ახალი დირექტორი — ირაკლი თაქთაქიშვილი. ახალგაზრდა კაცი იყო. ჩემი ინტერესების შესახებ, რა თქმა უნდა, არაფერი იცოდა, მაგრამ დირექტორის ორივე მოადგილე საქმეში კარგად იყო ჩახედული და ინფორმაცია ქარხნის „მეწილის“ შესახებ მალევე მიაწოდეს. ახალმა დირექტორმა თავი შორს დაიჭირა. მერე თოხაძესთან ერთად მეც შევხვდი. ძველმა დირექტორმა ქარხნის მშენებლობაში ჩემი წვლილი დაუდასტურა. ავუხსენი ყველაფერი, მაგრამ ხელები გაასავსავა, — ეს ყველაფერი ჩემამდე იყო. მანეთი დახარჯეთ თუ მილიონი ჩემი საქმე არ არის, მე თქვენთან ერთად არ ვყოფილვარ და ჩემგან რას ითხოვთო?..

მივხვდი, საქმიანი ურთიერთობების ამ კაცს ბევრი არ გაეგებოდა, მაგრამ ისიც კარგად ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან, ფულის კეთება მაინც მოუწევდა, სხვაგვარად წარმოებას ვერ ამუშავებდა, ამის გამოცდილება მქონდა. ამიტომ გავაფრთხილე: — თუ გინდა კომუნისტური მუშაობა, იმუშავე, ხელს არავინ შეგიშლის. მე დაველოდები შენს შემცვლელს, ახალ დირექტორს. მანამდე იყავით და აშენეთ კომუნიზმი...

სახელმწიფო ინტერესების საწინააღმდეგო არასდროს არაფერი მქონია.

ეს არის 80-იანი წლების შუა პერიოდი. დაიწყო „პერესტროიკა“. მთელი ამ ხნის განმავლობაში ხმა არ ამომიღია, პრეტენზია არ გამომითქვამს. ქარხანაში მიმდინარე მოვლენებს შორიდან ვაკვირდებოდი.

ნელ-ნელა ირევა ქვეყანა და დგება ზვიად გამსახურდიას პერიოდი. ქარხანას ჯერ გვარდიის, მერე მხედრიონის სახელით ეპატრონებიან. როგორც იცვლება ხელისუფლება, ისე იცვლებიან ქარხნის მეპატრონეებიც.

გამსახურდიას პერიოდში მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანში შექმნილმა გვარდიის შეიარაღებულმა ფორმირებამ ცნობილი ძმების — ტატიშვილების მეთაურობით, პირველმა გამოთქვა პრეტენზია ქსნის მინის ტარის ქარხნის მართვაზე. ტატიშვილები შეცვივდნენ დირექტორის კაბინეტში, დირექტორი გალახეს, გამოაგდეს და ქარხანას დაუკითხავად დაეპატრონნენ, — ქარხანა ცხინ-

ვალში საომარი მოქმედებებისთვის გვჭირდებაო... თუმცა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჯერ კიდევ თოხაძისდროინდელი მოადგილე, ჩემი მეგობარი მევლუდ ჩხაიძე დაანიშნინეს დირექტორად. ჩხაიძე კი დაინიშნა დირექტორად, მაგრამ ქარხანას, ფაქტობრივად, ტატიშვილები მართავდნენ. ფულსაც ისინი იყოფდნენ სხვადასხვა მაღალჩინოსნებთან ერთად.

ქვეყანაში სიტუაცია სულ უფრო და უფრო უმართავი ხდებოდა. საქართველომ სამანეთო ზონიდან გამოსვლა დაიწყო. ეს პერიოდი იმ შეცდომათა შორის, რომელიც საქართველომ მეოცე საუკუნის ბოლოსა და ოცდამეერთეს დასაწყისში დაუშვა, ერთ-ერთი ყველაზე დიდი შეცდომა იყო. სამანეთო ზონიდან გამოსვლამ სამრეწველო ობიექტების კატასტროფა გამოიწვია. რუსეთთან საბანკო ურთიერთობები შეწყდა. ჩხაიძე ინფორმაციას წარმოების მუშაობის შესახებ დროდადრო მაწვდიდა. როცა ქვეყანა კუპონიზაციაში საბოლოოდ გაეხვია, ქარხანა კატასტროფის წინაშე დადგა, წარმოება, ფაქტობრივად, პარალიზებული იყო. ყველა საჭირო ნედლეული, ძირითადად, რუსეთიდან შემოგვქონდა. ამ ნედლეულის შესყიდვა კუპონით შეუძლებელი იყო. წარმოება რომ არ გაჩერებულიყო, მე და დირექტორმა დავიწყეთ ფიქრი, რა შეიძლებოდა გაგვეკეთებინა, დავიწყეთ გადარჩენის გზების ძიება.

და მე ასეთ გადაწყვეტილებას ვიღებ: ქარხნის პროდუქცია მიაქვს ბორჯომის, ლუდის, ლიმონათის, ალკოჰოლური სასმელების საწარმოებს... (მაშინ მრეწველობა ჯერ კიდევ მუშაობდა). დავალებას ვაძლევ დირექტორს — გაეცით საქონელი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში კუპონი არ გამოართვათ. გააკეთეთ ბარტერული გაცვლა. მინის ტარის სანაცვლოდ პროდუქცია გამოართვით! მაშინ რუსეთის საზღვარი ღია იყო და ბაზარიც თავისუფალი ქართული პროდუქციისთვის. გადავწყვიტეთ, ბარტერული პროდუქცია ქარხანას თვითონ გაეყიდა, ფული რუსეთში შეგვენახა და იქ, რუსეთშივე შეგვეძინა ქარხნისთვის საჭირო ნედლეული და დამხმარე მასალები.

ეს გახლდათ ჩემს მიერ დაგეგმილი და მოფიქრებული ფინანსური სქემა, რომელსაც ძალიან დიდი ფინანსური მოგების მოტანა შეეძლო წარმოებისთვის.

პირველი 4 ვაგონი კონიაკი გავყიდეთ სახალინზე და 70 მილიონი მანეთი დავსვით აზოვის შუშის ქარხნის ანგარიშზე, რადგან იმ ქარხნის დირექტორი ჩვენი მეგობარი იყო. საქართველოში ვერ შემოვიდოდა ფული, იმიტომ რომ ქვეყანა სამანეთო ზონიდან უკვე გამოსული იყო.

საქართველოში არეულობა რომ დაიწყო, შუშის დამყალიბებელი ორი მანქანა-დანადგარი გავიტანეთ და აზოვის ქარხანაში დავაბინავეთ. ეს იყო ალტერნატიული გზა იმისთვის, რომ ქსნის მინის ტარის ქარხანას, ნებისმიერ შემთხვევაში, როგორც არ უნდა განვითარებულიყო ქვეყანაში მოვლენები, მუშაობა არ შეეწყვიტა. ჩვენ 8 მანქანა-დანადგარი, ანუ 8 ხაზი გვქონდა. საქართველოსთვის კი არა, მთელი ამიერკავკასიისთვის 4 ხაზი სრულიად საკმარისი იყო. ამიტომ ორი ხაზის დროებით სარგებლობაში გადაცემა აზოვის ქარხნის დირექტორს შევთავაზეთ. დაგვთანხმდა. ნებართვა სოფლის მეურნეობის სამინისტროს უნდა მოეცა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ამ მანქანა-დანადგარებისგან მიღებული მოგების 50%-ით ქართულ მხარეს უნდა ესარგებლა. ეს 50% ქარხნის გადარჩენის სრული გარანტია გახლდათ.

ამ შემთხვევაში პირადი ინტერესებით არ მიმოქმედია. ქსნის მინის ტარის ქარხანა ერთ-ერთი უზარმაზარი და უძლიერესი გახლდათ მთელს ამიერკავკასიაში. ეს იმიტომ გავაკეთე, რომ წარმოება არ გაჩერებულიყო, ქარხანა არ დანგრეულიყო. ჩემს მიერ შედგენილი ეს ორი ფინანსური გეგმა ამ მიზანს ემსახურებოდა. ერთის მხრივ ბარტერული გაცვლა, მეორეს მხრივ მანქანა-დანადგარების დროებით სარგებლობაში რუსეთისთვის გადაცემა, ქარხნის ფინანსური მხარის უზრუნველყოფას უპრობლემოდ შეძლებდა.

ორივე ოპერაცია ჯერ კიდევ ტატიშვილების ქარხანაში შემოსვლამდე გავაკეთეთ. ტატიშვილების შემოსვლით ეს ჩვენი აწყობილი საქმე უკუღმა დატრიალდა.

თავდაპირველად ჩემი, როგორც მეწილის აღიარება არ სურდათ. დირექტორმა ისინი საქმის კურსში ჩააყენა. ფეხი მოითრიეს, მაგრამ მერე, მოგვიანებით დათანხმდნენ. კარგად რომ გაერკვნენ, ფული როგორ კეთდებოდა, ქარხნის სამუშაო გეგმას რომ გაეცნენ, მოეწონათ, ამ გეგმის პირად სარგებლობაში გადატანა მოინდომეს და ყველასგან დაუკითხავად გადაიტანეს კიდეც. ამ საქმის თავის სასარგებლოდ მოსაგვარებლად მუხრანში შექმნეს ფირმა „ნიკო ბური", რომელსაც ქარხნის ნაცვლად უნდა ეწარმოებინა ბარტერული გაცვლა, ანუ ქარხნის გამოშვებული პროდუქცია — ტარა, რომელიც მზა ნაწარმზე, კონიაკზე, არაყზე და ა.შ. იცვლებოდა, პირდაპირ ამ ფირმაში შეიტანეს, ტარის საფასური კუპონი „ნიკო ბურიდან" ქარხანას გადაურიცხეს. ჩვენ ძლივს ავაცილეთ წარმოებას კუპონი და ამ „ჭკვიანმა საქმოსნებმა" ისევ კუპონიზაციაში დააბრუნეს. პირადი ინტერესები ქარხნის გადარჩენაზე მაღლა დააყენეს. ამის შემდეგ ქარხანა კვდომის, მისი „მესვეურები" კი გამდიდრების გზას დაადგნენ. ქარხანას კუპონი დარჩა, „ნიკო ბურს" არაყი და კონიაკი, რომელსაც რუსეთში დიდი წარმატებით ჰყიდდა.

ამ პერიოდში ტატიშვილების შუათანა ძმა და მისი მეგობარი ფულის გამოძალვის მიზნით მოიტაცეს. შს სამინისტრო და თავად მინისტრიც ამ გატაცების შესახებ ინფორმირებული იყო.

უფროსმა ძმამ მთხოვა, საქმეში ჩავრეულიყავი, — გამტაცებლები მოლაპარაკებებისთვის ავტორიტეტულ პიროვნებას ითხოვენო. ვიუარე, ქურდულ სამყაროსთან რა მესაქმებოდა, მაგრამ მერე რაკი დამარწმუნეს, რომ საქმე სიკვდილ-სიცოცხლეს ეხებოდა, დავთანხმდი.

გამტაცებლების მითითებით დიდუბელი „რამკიანი" ქურდის ცაულას სახლში მივედი. ცაულამ თავი შორს დაიჭირა, — მე არაფერი ვიცი, აქ დარეკავენ და თქვენ თავად დაელაპარაკეთო. დარეკეს.

— ბატონი რომანია აქ მაგათი წარმომადგენელი. — მოახსენა ცაულამ და ყურმილი გადმომცა.

— ბატონო რომან, ასეთი კარგი კაცი ამ საქმეში რატომ ჩაერიეთ? — რაღაც გამორჩეულად, გამოკვეთილი ჩახლეწილი ხმით მეკითხება გამტაცებელი.

— ჩემი როლი უმნიშვნელოა, რასაც მეტყვით გადავცემ და რასაც ტატიშვილები შემოგითვლიან, მოგახსენებთ. — ვუპასუხე.

დაიწყო ვაჭრობა. მოკლედ მილიონი დოლარი მოითხოვეს. ეს უზარმაზარი თანხა იყო. საქართველოს ბიუჯეტსაც კი არ ჰქონდა მაშინ ამდენი. ამის გადახდას ვერ შეძლებდნენ და ვურჩიე, უფრო რეალურ თანხაზე შეთანხმებულიყვნენ. მერე — 500 000-იო... დაახლოებით 15-ჯერ მაინც მომიწია მოლაპარაკებაზე წასვლა. ბოლოს, შევთანხმდით, 65 000 დოლარი გადაახდევინეს და ძმაც დაუბრუნეს.

ტატიშვილები მიხვდნენ, ვინ იდგა ამ გატაცების უკან. ის კაციც მიხვდა, რომ ტატიშვილებმა იცნოსეს (ეს შევარდნაძის პერიოდია) და შინაგან საქმეთა სამინისტროში გაჩნდა ბრალდებები ტატიშვილების წინააღმდეგ. ძმებს ბრალი ედებოდათ ზვიადისტობაში, მკვლელობებში, იარაღის უკანონო შენახვასა და ტარებაში.

ქვეყანაში ჯერ კიდევ რთული კრიმინოგენული სიტუაცია სუფევდა. ამ დროს შს მინისტრი შოთა კვირაია, სტაბილიზაციის დასამყარებლად შეიარაღებული დაჯგუფებების წინააღმდეგ თავის ცნობილ „რაუნდებს" იწყებს. შევარდნაძისგან ამ ოპერაციების დაწყებაზე თანხმობა აქვს მიღებული. ტატიშვილები მისი ერთ-ერთი პირველი სამიზნე აღმოჩნდა. ტანკებითა და ბეტეერებით დაესხნენ თავს მუხრანში მათ სახლს, კონფისკაცია გაუკეთეს მათსავე ახლად ნაშოვნ ქონებას, ამოიღეს დიდი რაოდენობით საბრძოლო იარაღი, ქარხნიდან კუპონების სანაცვლოდ ბარტერული გაცვლით მოპოვებული, რუსეთში გასაყიდად გამზადებული კონიაკი და არაყი, მსუბუქი და სატვირთო ავტომანქანები და ვინ იცის კიდევ რამდენი რამ... გაკოჭეს სამივე ძმა, მათი სიძე და ქალაქის იზოლატორში მოათავსეს. თუმცა, პირველი რაუნდის ჩატარება კვირაიას-

თვის გაცილებით იოლი აღმოჩნდა, ვიდრე იმ ბრალდებების დამტკიცება, რაც ძმებს წაუყენეს.

გავიდა 6 თვე. ამოღებული საბრძოლო იარაღი გვარდიის სარდალმა, გენერალმა ჭუმბურიძემ აიღო თავის თავზე, — გვარდიის არისო, მათ მიერ მოკლული ადამიანების ვერც კვალს მიაგნეს და ვერც გვამები აღმოაჩინეს, დიდი რაოდენობით კონიაკი და არაყი იურიდიულად სწორად იყო გაფორმებული. ბევრი აწამეს, მაგრამ ვერანაირი ბრალდება ვერ დაუმტკიცეს. გამოვიდა, რომ ერთი ოჯახიდან 4 კაცი სულ ტყუილუბრალოდ ჰყავთ დაკავებული. კვირაია მიხვდა, რომ მოატყუეს, ცრუ ინფორმაცია მიაწოდეს და შეცდომის გამოსწორებას შეეცადა. რაღაცით უნდა გაემართლებინა ამ ხალხის დაკავება. ქალაქის იზოლატორიდან რესპუბლიკის იზოლატორში გადაიყვანა, მოეფერა, დაუყვავა. ვიდრე სასამართლო შედგებოდა, უმცროსი ძმა და სიძე გამოუშვეს. ამ პერიოდში ტატიშვილების ახლობლებმა მთხოვეს, საქმეში ჩავრეულიყავი და დავხმარებოდი. უმცროსმა ძმამ, ალემ სამოძრაო-საბრუნავი თანხა მთხოვა. რა თქმა უნდა, მივეცი. სასამართლო მალე გაიმართა და ორივე ძმა გაათავისუფლეს. (ჩემი ვალი დღემდე შერჩათ, მოიმიზეზეს, მეორედ რატომ დაგვიჭირესო?! სასაცილოა, მაგრამ მეორედ მართლა დაიჭირეს, იმიტომ, რომ ქარხანას მეორედ დაესხნენ თავს. ჩემი პასუხი ასეთი იყო, მეორედ დააშავეთ და იმიტომ დაგიჭირეს-მეთქი. ერთი სიტყვით, ჩემი ვალი ამ მოტივით უკან აღარ დაუბრუნებიათ).

ქვეყანაში კი უკვე მხედრიონი ბობოქრობდა, ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად. გვარდიამ გვერდზე ჩაიჩოჩა და ყველაფერს ახლა მხედრიონი დაეპატრონა. მხედრიონმა ქსნის მინის ტარის ქარხანაში თავისი წარმომადგენელი გამოგზავნა. მხედრიონისგან გულმიცემულმა კანონიერი დირექტორი მევლუდ ჩხაიძე გააძევა და მის სავარძელს თავად ძალით დაეპატრონა. სოფლის მეურნეობის მინისტრი ქარხანაში დაიბარეს და ბრძანება დანიშვნაზე დირექტორის კაბინეტში დააწერინეს. ახალი დირექტორი მალევე მიხვდა, რომ ეს არაკაცური საქციელი იყო და ჩხაიძე მოადგილედ დააბრუნა. მოგვიანებით, მევლუდი ახერხებს, მას ჩემს შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს, — მართალია, ჩვენ აქ ფულს ვაკეთებთ, მაგრამ ამ წარმოებას მეწილე ჰყავსო. რა თქმა უნდა, ახალი დირექტორი ამ ამბავს სიხარულით არ შეხვედრია, მაგრამ საქმოსნებისა და საქმიანი ურთიერთობების შესახებ რაღაც გაეგებოდა. იფიქრა, მერე სადაო გახდებაო და მორიგება გადაწყვიტა. ჩხაიძესთან ერთად მოვიდა ჩემთან სახლში მცხეთაში და მითხრა: — თქვენ თუ საქმეში ხართ, მე საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, გაკეთდება მანეთი, ნახევარი თქვენი იქნებაო...

მაგრამ ფულის გაყოფა ძნელი საქმეა და ყველას არ შეუძლია. ტატიშვილების მსგავსად ამასაც ძალიან გაუჭირდა.

იმ პერიოდში ქარხნის დირექტორს პირადი პრობლემა შეექმნა და მთხოვა, სახელმწიფოს მეთაურთან ედუარდ შევარდნაძესთან მიღებაზე გავყოლოდი. შევედით ქვეყნის პირველ პირთან, ესაუბრა თავის საქმეზე და მერე უთხრა: — რა არის ბოლოს და ბოლოს, ქვეყანა ვერ დაგილაგებიათ, წესრიგი ვერ დაგიმყარებიათ, ალია-ბალია სულ 20 კაცია დასახვრეტი. თუ საქმის გამკეთებელი კაცი არ გყავთ, აი კაცი, — ჩემზე მიუთითა, — დანიშნეთ შს მინისტრად და ნახავთ, სამ თვეში ყველაფერს დაალაგებსო...

მხედრიონელისგან სახელმწიფოს მეთაურთან ასეთი ტონით ლაპარაკი არ გამკვირვებია. შექებისთვის მადლობელი ვარ, მაგრამ შსს-ში მუშაობის დაწყებაზე არც მიფიქრია. მე ჩემი საკეთებელი საქმე ყოველთვის მქონდა.

გავიდა დრო, დირექტორს რაღაც ბრალდებები წაუყენეს და დააპატიმრეს. ქარხანა დირექტორის გარეშე დარჩა. იძულებული ვიყავი ზომები მიმეღო, რომ წარმოებას მუშაობა არ შეეწყვიტა. მევლუდ ჩხაიძის კანდიდატურა მხედრიონის წარმომადგენლისთვის მიუღებელი იყო. გადავწყვიტე, ისეთი კადრი მომეძებნა, რომელიც არც მას გააღიზიანებდა და ჩემთვისაც მისაღები იქნებოდა. ამ კანდიდატურის ძიებაში ვიყავი, რომ მცხეთაში ჩემმა ყოფილმა უმცროსმა მე-

გობარმა, ავთანდილ მაისურაძემ სტუმრად ნოდარ კურტანიძე მომიყვანა. ნოდარი ძველი წყალბურთელია, სპორტული წრეებიდან ვიცნობდი და ისიც ვიცოდი, რომ რუსთავში აზოტის ქარხანაში დირექტორის მოადგილედ იყო ნამუშევარი. ვიფიქრე, წარმოებაში მუშაობის გამოცდილება ექნებოდა და ქარხნის დირექტორობა შევთავაზე. ბევრი არ უფიქრია, თანხმობა ორიოდ დღეში მითხრა.

ახალი დირექტორის დანიშვნას ძველების გაღიზიანება რომ არ მოჰყოლოდა, მინდოდა სახელმწიფოსთან შეთანხმებით მომხდარიყო, ანუ დირექტორი დანიშნა მთავრობას, მაგრამ კანდიდატი ჩემი შერჩეული ყოფილიყო.

კანდიდატურების წარდგინება სოფლის მეურნეობის სამინისტროში მინისტრ ზურაბ გეგეჭკორთან ხდებოდა. სხვადასხვა კანდიდატებს შორის ჩემს მიერ შეთავაზებული ნოდარ კურტანიძეც იყო. გავიგე, რომ საქართველოში კონიაკის მწარმოებელს, გუჯა ბუბუტეიშვილს თავისი კანდიდატურა ჰყავდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ქარხანასთან მიმართებაში ჩემი ინტერესი გავაცანი, თავისი კანდიდატურა მოხსნა.

ქსნის მინის ტარის ქარხნის დირექტორად ნოდარ კურტანიძე დაინიშნა. იგი ვალდებული იყო პერიოდულად მოეხსენებინა ჩემთვის წარმოებაში საქმე როგორ მიდიოდა, ხოლო საკვანძო საკითხები ერთობლივად გადაგვეწყვიტა.

ერთხანობას წარმოებას გაუჭირდა და შექმნილი კრიზისული მდგომარეობიდან გამოსასვლელად ასეთი რამ მოვიფიქრე: ალკოჰოლური სასმელების მწარმოებლებს მინის ტარის ერთობლივი წარმოება შევთავაზე. წერილი შევადგინეთ, ხელი ყველამ მოვაწერეთ და პრეზიდენტს გავუგზავნეთ. შევარდნაძემ რეზოლუცია დაადო, ქონების მართვის სამინისტროს — ავთანდილ სილაგაძეს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს — ბაკურ გულუას და მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორს — თემურ გიორგაძეს დაავალა, წინადადება მოამზადეთო. მაგრამ იმის ნაცვლად, რომ მოემზადებინათ, პრეზიდენტის რეზოლუციადადებული წერილი უგზო-უკვლოდ გაქრა. სწორედ ამ პერიოდში კურტანიძე მეუბნება, რომ ქარხანა უნდა გასხვისდეს და სავარაუდო მყიდველებსაც მისახელებს: გერმანული კომპანია „ემხარდი“ ან თურქული „შიშე-ჯამიო“. კურტანიძე მარწმუნებს, რომ თუ არჩევანს თურქულ „შიშე-ჯამზე“ გავაკეთებთ, ჩვენი წილი წარმოებაში არ დაიკარგება, თანაც „შიშე-ჯამი“ მსოფლიოს უმსხვილეს 10 კომპანიაში შედის და ქარხანას კარგად ამუშავებენო. დავთანხმდი, მაგრამ ერთი თვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ თურქები ჩვენ მეწილეებად არ მიგვიჩნევენ. არადა, ტენდერი სადაცაა გაიმართება და ყველაფერი მზადაა იმისთვის, რომ ქარხანა მათ ხელში გადავიდეს. შევხვდი სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრს — ავთანდილ სილაგაძეს. ჩემთან საუბარი მან ამ სიტყვებით დაამთავრა: — მე ვინ მკითხავს ქარხნის გაყიდვას, როგორც მეუბნებიან, ისე ვაკეთებო...

ძალიან გავბრაზდი და მოქმედება დავიწყე. თურქეთში ამერიკიდან რეკავენ და „შიშე-ჯამს“ აფრთხილებენ, რომ თუ რურუას ინტერესი გათვალისწინებული არ იქნება, თავის ტკივილი საქართველოში კი არა, თურქეთშიც არ აგცდებათო. ტენდერი ჩაიშალა.

პრეზიდენტი ტენდერის ჩაშლის მიზეზს კითხულობს. რომან რურუა უშლისო ხელს, — მოახსენეს. ბუნებრივია, ინტერესდება ქარხანასთან ჩემი კავშირის შესახებ და შინაგან საქმეთა მინისტრს კახა თარგამაძეს საქმის გარკვევას ავალებს.

როცა მე ტენდერის ჩაშლა განვიზრახე, ვიფიქრე, ამით თურქებს ჩემთან მოლაპარაკებაზე წამოვიყვანდი. ახლა კი რა ხდება, ქვეყნის პირველი პირები ჩარევენ და საქმეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მიანიჭეს. არ მეგონა, სიტუაცია ასე თუ დაიძაბებოდა.

კახა თარგამაძემ თავისი წარმომადგენელი, ერთ-ერთი გენერალი გამომიგზავნა და საქმეში გასარკვევად შს სამინისტროში მისვლა მთხოვა. საუბარი შს მინისტრის მოადგილის თემურ მურღულიას კაბინეტში შედგა. ჩვენს საუბარს მინისტრის მეორე მოადგილე ზურაბ ჩხაიძეც ესწრებოდა. ამიხსნეს, რომ ამ სა-

კითხით თავად პრეზიდენტი იყო დაინტერესებული და მასში გარკვევა თარგამაძეს დაავალაო. კითხვა ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე დამისვეს:

— რა ურთიერთობა გაქვს ქსნის მინის ტარის ქარხანასთან, მის გაყიდვას ხელს რატომ უშლი?..

სიმართლე გითხრათ, საკითხის ასე პირდაპირ დასმას არ ველოდი. პასუხი გონებაში წამებში გავიაზრე, მიკიბულ-მოკიბული საუბარი აღარც მე დამიწყია და აღსარებასავით მოვუყევი ჩემი ინტერესების შესახებ შსს მაღალჩინოსნებს. მუვუყევი ყველაფერი, საიდან დავიწყე, რა რაოდენობის ფული მქონდა ჩადებული, რომ იმ პერიოდში ფარულ ეკონომიკას „ვთამაშობდი", და ახლა, როცა საქმე ქარხნის გასხვისებაზე მიდგა, ბუნებრივია, ინტერესი და პრეტენზია გამიჩნდა. ისიც ვუთხარი, რომ თუ წარმოება სახელმწიფო მფლობელობაში დარჩებოდა, ჩემს ინტერესებზე უარს ვიტყოდი, ხოლო თუ იგი კერძო საკუთრებაში გადავიდოდა, მაშინ ჩემი პრეტენზიის დაკმაყოფილებას მოვითხოვდი.

— ან თანხა დამიბრუნდეს, ან წილი, ეს არის ჩემი აღსარება ძველ საქმეებზე. დღეს თუ ამის გამო დასაჭერი ვარ, დამიჭირეთ. ტენდერის ჩაშლის მიზეზიც ეს გახლავთ...

ჩემი პრეტენზია მინისტრს მოახსენეს. კახა თარგამაძემ მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის თემურ გიორგაძის სამინისტროში მისვლა მოითხოვა. იმ დღეს გიორგაძე ვერ იპოვეს. მეორე დღეს, კვირა იყო, 12.00 საათზე გიორგაძე შსს რეგიონალური სამმართველოს უფროსთან ჯემალ ჯიქურაულთან ერთად მურღულიას კაბინეტში მელოდა. მეც მივედი. გუბერნატორისთვის ზედაც არ შემიხედავს, სხვებს კი ყველას მივესალმე და ხელი ჩამოვართვი. გიორგაძე გაცხარდა და შემომიტია:

— ჩემგან რა გინდა?

— რას ჰქვია, რა მინდა, რატომ ჰყიდით ქარხანას?

— თუ სურვილი გაქვთ, ადექით და მიიღეთ ტენდერში მონაწილეობა. — მიპასუხა.

მისმა პასუხმა ლამის წონასწორობა დამაკარგვინა. აღარავის მოვრიდებივარ და პირდაპირ მივახალე:

— შენისთანა პოლიტიკოსებმა და ეკონომისტებმა დაღუპეს ქვეყანა, რაც ფული გვქონდა, ინფლაციასა და კუპონებს შეაჭამეთ, დაგვაუძლურეთ, გაგვატყავეთ ეს ფულიანი ხალხი საქართველოში და ახლა გვეუბნებით, რომ ტენდერში მივიღოთ მონაწილეობა? ბუღა თურქები მოიყვანეთ და იმათთან გვაჭიდავებთ ამ დასუსტებულ ხალხს?!

ჩვენი კამათი საკმაოდ მწვავედ წარიმართა. ბოლოს, გიორგაძემ თქვა, რომ იგი ახლა შევარდნაძის სახლიდან მოდიოდა და რომ პრეზიდენტმა თქვა, რუსეთში რომ არის ორი მანქანა-დანადგარი, რურუას ის მიეცითო... დანარჩენიმეთქი?.. — დანარჩენს თავი დაანებეო, მერე, როცა დანარჩენი 4 ხაზი მოიხსნება, იმასაც თქვენ გადმოგცემენო. რა თქმა უნდა, არ დამიჯერებია. მურღულიამ გვერდზე გამიყვანა და ჩამჩურჩულა, — რომან, მოგკლავენ და ჩვენ ვერ დაგიცავთო. არ დავუჯერე, ავდექი და კაბინეტიდან გამოვედი.

ერთ საათში გენერალი გივი ყვარელაშვილი უკან გამომაყოლეს, ბევრი ისეთი რამ განმიმარტა, რამაც მაიძულა, ასეთი შინაარსის წერილი დამეწერა ქონების მართვის სამინისტროს სახელზე:

მე, რომან რურუა, ვაცხადებ, რომ კმაყოფილი ვარ მთავრობის გადაწყვეტილებით ქსნის მინის ტარის ქარხნის გაყიდვასთან დაკავშირებით და კომპანია „შიშე-ჯამთან" არაფერი მაქვს სადაო.

ხელი მოვაწერე და გენერალს ვუთხარი „შიშე-ჯამს" შუბლზე ააფარე-მეთქი. ეს წერილი დღესაც „შიშე-ჯამში" დევს. ჩემი აზრით, თურქებს საქართველოში მრეწველობის განვითარება კი არ აინტერესებდათ, არამედ ბაზრის მოპოვება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ახლო მომავალში რაღაც მოტივაციებით ქარხანას გააჩერებენ, რათა თავის ქვეყანაში წარმოებული პროდუქცია გაასაღონ. ჩვენი უბედურება იმაშია, რომ ვერც მაშინ და ვერც დღეს ჩვენმა ხელისუფ-

ლებამ ეს ვერ დაინახა. დღეს, როგორც ქართული ჩაის დამაქცევარი მარტინ ბაიერი გაქრა უგზო-უკვლოდ და არავინ კითხულობს, რატომ დააქცია საქართველოში ჩაის მრეწველობა, იგივე ბედი ეწევა შუშის მრეწველობას ჩვენში. ვინ აგებს პასუხს?!

მაშინ ამ წერილით შესაძლოა საკუთარი სიცოცხლე გადავირჩინე, მაგრამ საქართველომ ბევრი დაკარგა. 68-მილიონიანი ქონება 4 მილიონად გაიყიდა. გიორგაძე, კურტანიძე და მათი მსგავსი ქვეყნის გამყიდველი ადამიანები დაკმაყოფილდნენ. ასეთი ხალხი მართავდა ქვეყანას.

რაც შეეხება ჩემთვის გადმოსაცემ იმ ორ მანქანა-დანადგარს, მეგონა უსასყიდლოდ უნდა მიმეღო, მაგრამ 4 მილიონ დოლარად შეფასებული ქონების ქარხნიდან ორი მანქანა-დანადგარის ხვედრით წილში შესაბამისი თანხა გადამახდევინეს. იქიდან მოყოლებული 5 წლის განმავლობაში ერთობლივი საქმიანობიდან მიღებული თანხის 50% ჩემი უნდა ყოფილიყო. ეს საკმაოდ სოლიდური თანხა გახლდათ. თვეში დაახლოებით 200-250 ათასი დოლარი. ჩემი კუთვნილი ქონების მისაღებად რუსეთში წავედი, ამ დროისთვის უკვე ეს ორი მანქანა-დანადგარი აზოვიდან ვლადიმირის ოლქში იყო გადატანილი და ამუშავებდნენ. იქ დირექტორის — ნოდარ კურტანიძის ჩასვლა მოითხოვეს, რომ მას დაედასტურებინა ნასყიდობის დოკუმენტების სინამდვილე. კურტანიძემ ფეხი მოითრია. გვითხრა, რომ ჩვენ წავსულიყავით, თვითონ იქაურ ხელმძღვანელობას დაურეკავდა და საქმის კურსში ჩააყენებდა. მოხდა ისე, რომ ჩვენს იქ ყოფნაში დარეკვით კი დარეკა, მაგრამ დირექტორს ეუბნება, ხელი არ მოაწეროო, რაღაც ფორმალური მხარე მოიმიზეზა და ჩამოდიო, მითხრა, ჯერ აქ უნდა გადაიფორმო შენს სახელზეო. ასე წინ და უკან სიარულში ხუთი წელი გავიდა. ამ ხნის მანძილზე მოგებული თანხა სად მიდიოდა, თავად განსაზღვრეთ. არც სახელმწიფოსთვის მოგების გადასახადი 20% გაუღია ვინმეს და, თქვენ წარმოიდგინეთ, არც სახელმწიფოს მოუკითხავს. ეს ყველაფერი „შიშე-ჯამმა“ ან კურტანიძემ თაღლითური გზით მიითვისა.

სასამართლოში ვიჩივლე ნასყიდობის ხელშეკრულებიდან ნივთისა და სანივთო უფლებების — მოგების გადმოუცემობის გამო. საქმე მოვიგე, მაგრამ 2001 წლის 15 ივნისის სასამართლო გადაწყვეტილება ქონების გადმოცემისა და ნაკლის გამოსწორების თაობაზე დღესაც აღსრულების გარეშე რჩება. ნაკლის დადგენიდან სამ თვეში ვიჩივლე, მოვითხოვე სასამართლოს მიერ დადგენილი ნაკლის გამო ზიანის ანაზღაურება. საოლქო სასამართლომ ჩემი მოთხოვნა დაკმაყოფილა და „მინას“ დააკისრა 5 მილიონი დოლარის გადახდა. მოწინააღმდეგე მხარემ გაასაჩივრა, უმაღლესმა სასამართლომ ხანდაზმულად ჩათვალა ჩვენი მოთხოვნა, რადგან ზიანის მოთხოვნა ნასყიდობის დროიდან, 1996 წლიდან ათვალა და უარი გვითხრა ზიანის ანაზღაურებაზე მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო. არადა, როგორ შეიძლებოდა ჩვენი მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებაზე ხანდაზმული ყოფილიყო, მაშინ, როდესაც 2001 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილებით თვითონ სასამართლომ დაადგინა გაყიდული ნივთის ნაკლი, ჩვენ კი ზიანის ანაზღაურება მოვითხოვეთ სასამართლოს მიერ ნაკლის დადგენიდან სამ თვეში. მაშინ, როდესაც კანონი ითვალისწინებს სამ წელიწადს. ამ საკითხზე დღემდე ვდაობ.

1998 წლიდან მოყოლებული ათეულობით მილიონი დოლარი მაქვს დაკარგული. საქართველოს ხელისუფლება ასე უწყობს ადგილობრივ ბიზნესმენებს ხელს. მთავრობას კი არ ვედავები, ვედავები უცხოურ კერძო სტრუქტურას, რომელიც ყველა დროის მთავრობის მფარველობით სარგებლობს. კერძო სტრუქტურების სასამართლო დავაში სახელმწიფოს უფლება არ აქვს ჩაერიოს, მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან ნათლად ჩანს, როგორ ერევა.

ერთ რამეში დარწმუნებული ვარ, სიმართლე ჩვენს მხარეს რომ არ იყოს, სასამართლო დავები აქამდე დასრულებული იქნებოდა. საბოლოო იმედად სტრასბურგის სასამართლო და დღევანდელი ხელისუფლების შეცვლა გვრჩება.

2008 წელი.

ვინ ვის ატერორებს, მკითხველმა განსაჯოს!

2004 წლის 25 ივნისს პრეზიდენტმა კოტე კემულარია უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ პირადად წარადგინა. წარდგინებისას თავის სიტყვაში სახელმწიფოს პირველმა პირმა ქსნის მინის ტარის ქარხანა – კომპანია „შიშე-ჯამზე“ პირდაპირ მიუთითა და მკაფიოდ განაცხადა, რომ საქართველოს ზოგიერთი მოქალაქე უცხოელ ინვესტორებს ავიწროვებს და ატერორებსო, საქართველოში ასეთი რამ არ უნდა ხდებოდესო... ამ სხდომას ჩვენი საქმის მოსამართლეებიც ესწრებოდნენ – ნუნუ კვანტალიანი (თავმჯდომარე), მოსამართლეები – მაია სულხანიშვილი და მაია ახალაძე. რამდენიმე დღეში ჩვენი დავის შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიეღოთ 5 000 000 დოლარის ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, რომელიც „რაინდი 1“-ს მიადგა, და რომელიც „რაინდი 1“-მა საოლქო სასამართლოში მოიგო.

მე გეკითხებით ყველას, არის თუ არა ეს პრეზიდენტის მხრიდან სასამართლო საქმეში პირდაპირი ჩარევა და ზეწოლა?!

რაში შევავიწროვე, ბატონო პრეზიდენტო, თურქები, იმაში, რომ ქონება ვიყიდე და თქვენი დამსახურებით არ მომცეს?! ჩემი კუთვნილი თანხა 5 000 000 დოლარი თურქებს აჩუქეთ და მე ვარ ტერორისტი?! ისინი, უცხოელები ადრე თუ გვიან ყველა წავა საქართველოდან, თქვენ კი დარჩებით თქვენს ხალხთან პირისპირ.

თუ როგორი ტერორისტი ვარ, თვალსაჩინოებისთვის წარმოგიდგენთ რამდენიმე საიდუმლო მასალას, რომელიც პრეზიდენტ შევარდნაძეს მიაწოდეს. ამ და სხვა დოკუმენტების გაცნობის შემდეგ ჩვენს სადაო საკითხთან მიმართებაში მან აზრი შეიცვალა. რას ვიფიქრებდით, რომ ახალი პრეზიდენტი ასე უსამართლოდ მოექცეოდა ადგილობრივ მეწარმეებს. თუმცა, არც იმას გამოვრიცხავ, რომ ისევე როგორც შევარდნაძეს, შესაძლოა მასაც გარემოცვამ არასწორი ინფორმაცია მიაწოდა.

სანამ თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, ქვეშევრდომებად გყავთ იუსტიციის საბჭო და გიორგი არველაძისნაირი ადამიანები, ცხადია, ყველა სასამართლოს მოიგებთ.

რა თქმა უნდა, წავაგე 5 000 000 დოლარი.

რაკი ჩემი თავგადასავალი დავწერე, მეთქვა ეს, ჩემი სრული უფლებაა. თქვენ ჩემი სახით იპოვეთ ტერორისტი, ეს – თქვენი უფლება, მაგრამ ამ საქმის უპასუხოდ დატოვება დღემდე მაწუხებდა. ამიტომ აქვე მოვიყვანეთ ის რამდენიმე წერილი, იმის საჩვენებლად თუ როგორ იცავენ დემოკრატიას უცხოელი ინვესტორები და როგორ ახდენენ ზეწოლას ჩვენს მთავრობაზე, ჩვენი მთავრობა კი თავის მხრივ როგორ უსხნის მათ გზას ჩვენივე ქონების განიავების ხარჯზე. იმედი მაქვს, საზოგადოება განსჯის ჩვენს შორის ტერორისტს.

საქართველოს პრეზიდენტს ბ-ნ ედუარდ შევარდნაძეს

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო ედუარდ!

მოგახსენებთ, რომ სახელმწიფო კანცელარიაში შემოსული იყო თურქეთის რესპუბლიკის სრულუფლებიანი ელჩის ქალბატონ დიჯლე ქოფუზის წერილი, რომელიც შეეხებოდა ქსნის მინის ტარის ქარხანასა (სააქციო საზოგადოება „მინა“) და შ.პ.ს. „რაინდი-1“-ს შორის არსებულ სასამართლო დავას.

სასამართლო პროცესი შეეხება კერძო სამეწარმეო სუბიექტებს შორის წარმოშობილ ქონებრივ დავას და შესაბამისად მისი განხილვის პროგროგატივა გააჩ-



საქართველოს პრეზიდენტს
ბ-ნ ედუარდ შევარდნაძეს

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ედუარდ,

მოგახსენებთ, რომ სახელმწიფო კანცელარიაში მემორიალი იყო თურქეთის რესპუბლიკის სრულუფლებიანი ელჩის ქალბატონ დიდლე ქოდუშის წერილი, რომელიც შეეხებოდა ქსნის მინის ტარის ქარხანასა (საიქიოთ სამოგზაურეა „მინა") დაკ.პ.ს „რაინდი 1"-ს მორის არსებულ სასამართლო დავას.

სასამართლო პროცესი შეეხება „ეკრძო სამეწარმეო სუბიექტის მორის წარმომობილ ქონებრივ დავას და შესაბამისად მისი განხილვის პრერეგატივა. გაჩნია საქართველოს საერთო სასამართლოს. უცხოელი ინვესტორის (სს „შიშე-ჯამი", თურქეთი) საქართველოში შემოსვლის შემოსულს ვერლიოდში შ.პ.ს. „რაინდი 1"-ის მიერ სს „მინა" - საგან შეძენილი იქნა მანქანა-დანადგარი, რომელიც მუშაობდა რუსეთის ფედერაციაში (ს/ს „ანოპინო") და მისგან მიღებული სოლიდური მოგება შ.პ.ს. „რაინდი 1"- ს, როგორც ქართულ მხარეს არ მიეცემოდა.

როგორც გამოირკვა, სს „მინა" რუსეთის მხარესთან (ს/ს „ანოპინო" დაფარული ხელშეკრულების საფუძველზე მოქმედებდა და ჩრდილოვანი გზით ინაწილებდა მოგებას, რომელიც შ.პ.ს. „რაინდი 1"-ს უნდა მიეღო. დაფარულ ხელშეკრულებას წარმოადგენდა საიჯარო კონტრაქტი, რომელიც გაფორმებული იყო ს/ს „მინასა" და ს/ს „ანოპინოს" შორის და რომლის არსებობის შესახებ „რაინდი 1"-სთვის ცნობილი არ იყო . „რაინდი 1"-ის წარმომადგენელთა განმარტებით საიჯარო ხელშეკრულების, როგორც ფარული გარიგების არსებობის გამო, მათ ვერ მოახერხეს რუსეთის მხარესთან პარტნიორული ურთიერთობის დამყარება. საბოლოოდ, „რაინდი 1"-მა მიმართა სასამართლოს დაფარული ხელშეკრულების მოშლისა (უფლებრივი ნაკლი) და ქონების ფაქტიურად გადმოცემის მოთხოვნით. სასამართლომ დააკმაყოფილა „რაინდი 1"-ის სარჩელი და საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2001 წლის 15 ივნისს მიღებული გადაწყვეტილებით დადგენილად სცნო ის გარემოება, რომ ს/ს „მინას" მიერ ადგილი ჰქონდა შ.პ.ს „რაინდი 1"-სთვის უფლებრივად ნაკლის მქონე ნივთის მიყიდვას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 494-ე მუხლის შესაბამისად ნივთის ნაკლის ან ხელშეკრულების პირობების დარღვევა წარმოშობს მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.



ამჟამად შ.პ.ს. „რაინდი 1"-ის მიერ აღძრული სასამართლო დავა შეეხება უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი, უფლებრივი ნაკლისაგან წარმოშობილი ზიანის ანაზღაურებას, რომელიც „რაინდი 1"-მა განიცადა 4 წლის განმავლობაში ქსნის მინის ტარის ქარხნის (ს/ს „მინა") ფარული მოქმედებათა გამო. ამასთანავე, როგორც „რაინდი"1-ის წარმომადგენლები განმარტავენ ს/ს „მინას" ამგვარი ფარული კომბინაციებს გზით ზიანი ადგებოდა არა მარტო შ.პ.ს. „რაინდი 1"-ს, არამედ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტსაც საგადასახადო დაბეგვრის გათვალისწინებით. ზიანის ანაზღაურების სახით „რაინდი 1"-ის მიერ მოთხოვნილი თანხა შეადგენს 5.064,785 აშშ დოლარს.

თბილისის საოლქო სასამართლოს 2003 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა შ.პ.ს. „რაინდი 1"-ის სარჩელი და ს/ს „მინას" გადასახდელად დაეკისრა 5.064.785 აშშ დოლარი. საოლქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ს/ს „მინას" მიერ გასაჩივრებული იქნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში. შედეგების თაობაზე გაცნობებთ დამატებით.

ცნობისთვის მოგახსენებთ, რომ თურქეთის რესპუბლიკის სრულუფლებიანი ელჩის წერილი მიმდინარე წლის 12 აპრილის თქვენი რეზოლუციით გადაგზავნილი იქნა საქართველოს იუსტიციის საბჭოში. იუსტიციის საბჭოსაგან მიღებული პასუხის თანახმად დადასტურებული იქნა ის გარემოებები, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დადგენილად სცნო უფლებრივი ნაკლი, რომელიც გამოწვეული იყო ს/ს „მინას" მიერ, ხოლო სამოქალაქო კოდექსის 494-ე მუხლის თანახმად, ნივთის ნაკლი წარმოშობს მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

ღრმა პატივისცემით,

სახელმწიფო მინისტრის
მოადგილე

გ. ისაკაძე

ნია საქართველოს საერთო სასამართლოს. უცხოელი ინვესტორის (ს/ს „შიშე-ჯამი", თურქეთი) საქართველოში შემოსვლის პერიოდში შ.პ.ს. „რაინდი 1"-ის მიერ ს/ს „მინა"-საგან შეძენილი იქნა მანქანა-დანადგარი, რომელიც მუშაობდა რუსეთის ფედერაციაში (ს/ს „ანოპინო") და მისგან მიღებული სოლიდური მოგება შ.პ.ს. „რაინდი 1"-ს, როგორც ქართულ მხარეს არ მიეცემოდა.

როგორც გამოირკვა, ს/ს „მინა" რუსეთის მხარესთან (ს/ს „ანოპინო") დაფარული ხელშეკრულების საფუძველზე მოქმედებდა და ჩრდილოვანი გზით ინაწილებდა მოგებას, რომელიც შ.პ.ს „რაინდი 1"-ს უნდა მიეღო. დაფარულ ხელშეკრულებას წარმოადგენდა საიჯარო კონტრაქტი, რომელიც გაფორმებული იყო ს/ს „მინასა" და ს/ს „ანოპინოს" შორის და რომლის არსებობის შესახებ „რაინდი 1"-სთვის ცნობილი არ იყო. „რაინდი 1"-ის წარმომადგენელთა განმარტებით საიჯარო ხელშეკრულების, როგორც ფარული გარიგების არსებობის გამო, მათ ვერ მოახერხეს რუსეთის მხარესთან პარტნიორული ურთიერთობის დამყარება. საბოლოოდ, „რაინდი 1"-მა მიმართა სასამართლოს დაფარული ხელშეკრულების მოშლისა (უფლებრივი ნაკლი) და ქონების ფაქტიურად გადმოცემის მოთხოვნით. სასამართლომ დააკმაყოფილა „რაინდი 1"-ის სარჩელი და საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2001 წლის 15 ივნისს მიღებული გადაწყვეტილებით დადგენილად სცნო ის გარემოება, რომ ს/ს „მინას" მიერ ადგილი ჰქონდა შ.პ.ს „რაინდი 1"-სთვის უფლებრივად ნაკლის მქონე ნივთის მიყიდვას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 494-ე მუხლის შესაბამისად ნივთის ნაკლის ან ხელშეკრულების პირობების დარღვევა წარმოშობს მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

ამჟამად შ.პ.ს „რაინდი 1"-ის მიერ აღძრული სასამართლო დავა შეეხება უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი, უფლებრივი ნაკლისაგან წარმოშობილი ზიანის ანაზღაურებას, რომელიც „რაინდი 1"-მა განიცადა 4 წლის განმავლობაში ქსნის მინის ტარის ქარხნის (ს/ს „მინა") ფარულ მოქმედებათა გამო. ამასთანავე, როგორც „რაინდი 1"-ის წარმომადგენლები განმარტავენ ს/ს „მინას" ამგვარი ფარული კომბინაციების გზით ზიანი ადგებოდა არა მარტო შ.პ.ს „რაინდი 1"-ს, არამედ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტსაც საგადასახადო დაბეგვრის გათვალისწინებით. ზიანის ანაზღაურების სახით „რაინდი 1"-ის მიერ მოთხოვნილი თანხა შეადგენს 5. 064, 785 აშშ დოლარს.

თბილისის საოლქო სასამართლოს 2003 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა შ.პ.ს „რაინდი 1"-ის სარჩელი და ს/ს „მინას" გადასახდელად დაეკისრა 5. 064, 785 აშშ დოლარი. საოლქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ს/ს „მინას" მიერ გასაჩივრებული იქნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში. შედეგების თაობაზე გაცნობებთ დამატებით.

ცნობისთვის მოგახსენებთ, რომ თურქეთის რესპუბლიკის სრულუფლებიანი ელჩის წერილი მიმდინარე წლის 12 აპრილის თქვენი რეზოლუციით გადაგზავნილი იქნა საქართველოს იუსტიციის საბჭოში. იუსტიციის საბჭოსაგან მიღებული პასუხის თანახმად დადასტურებული იქნა ის გარემოებები, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დადგენილად სცნო უფლებრივი ნაკლი, რომელიც გამოწვეული იყო ს/ს „მინას" მიერ, ხოლო სამოქალაქო კოდექსის 494-ე მუხლის თანახმად, ნივთის ნაკლი წარმოშობს მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

ღრმა პატივისცემით, სახელმწიფო მინისტრის მოადგილე **გ. ისაკაძე**

ბატონ ზ. აბაშიძეს

მიადევნეთ თვალყური აღნიშნულ საკითხს. წარმოადგინეთ მოსაზრებები. ვადა 10 დღე.

ე. შევარდნაძე

2003 წ. 12 აპრილი № 228/17



საქართველოს პრეზიდენტი

ბატონ ზ. აბაშიძეს

მიადევნეთ თვალყური აღნიშნულ საკითხს. წარმოადგინეთ მოსაზრებები. ვადა 10 დღე.

ე. შევარდნაძე

2003 წ. 12 აპრილი

№ 228/17



4 მარტი, 2003

4 მარტი, 2003

თქვენო აღმატებულებავ ბატონო პრეზიდენტო,

ეს წერილი ეძღვნება სააქციო საზოგადოება „მინასა“ („ქსანი“) და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რაინდი 1“-ს შორის არსებულ დავას. „რაინდი 1“-ის სარჩელი „ქსანის“ წინააღმდეგ გასაჩივრდა უზენაესი სასამართლოს საკასაციო ინსტანციაში. გვსურს, თქვენი ყურადღება მივაპყროთ აღნიშნულ საქმეს, რადგან ვთვლით, რომ ამ დავის გადაწყვეტილების შედეგები გავლენას იქონიებს არა მხოლოდ მონაწილე მხარეებსა და მათ უცხოელ ინვესტორებზე, როგორიცაა საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია და „ქსანის“ სტრატეგიული ინვესტორი – მინის ტარის თურქული მწარმოებელი „შიშე-ვე-ჯამი“ („შიშე-ჯამი“), არამედ საქართველოში მოღვაწე ყველა დანარჩენ ინვესტორზეც.

რა თქმა უნდა, საბოლოო გადაწყვეტილება ამ სარჩელისა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ უნდა გამოიტანოს. ამასთან, „ქსანის“ მენეჯმენტსა და მის იურიდიულ მრჩეველს მიაჩნიათ, რომ წინა სასამართლო გადაწყვეტილება ამ სარჩელთან დაკავშირებით, რომელიც „ქსანის“ საწინააღმდეგოდ იქნა გამოტანილი, არასამართლიანი იყო. ისინი თვლიან, რომ „რაინდი 1“-ის მეპატრონემ სასამართლოზე განახორციელა ზეწოლა. საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას, რომელიც არის „ქსანის“ და ასევე სხვა მრავალი პროექტის დამფინანსებელი საქართველოში, ძალზედ აღელვებს ის გარემოება, რომ ამ სასამართლო პროცესმა შესაძლოა „ქსანს“ აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენოს, ხოლო უცხოელ პარტნიორებს დაანახოს უარყოფითი დამოკიდებულება საქართველოში მომქმედი მსხვილი ინვესტორებისადმი. „ქსანსა“ და მის სტრატეგიულ პარტნიორს „შიშე-ჯამს“ ფასდაუდებელი წვლილი შეაქვთ საქართველოს ეკონომიკაში და ის ზარალი, რომელიც „ქსანმა“ შესაძლოა განიცადოს, საგრძნობლად შეამცირებს აღნიშნულ წვლილს.

როგორც თქვენთვის ცნობილია, მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, რომელიც კერძო სექტორში ახორციელებს ინვესტიციებს, საქართველოს ეკონომიკის და კერძო სექტორისთვის დაფინანსების აქტიურ წყაროს წარმოადგენენ. ჩვენ გვჯერა, რომ სამართლიანი და დამოუკიდებელი იურიდიული სისტემის არსებობა უმთავრესი წინაპირობაა ეკონომიკის განვითარებისა და უცხოური თუ ადგილობრივი ინვესტიციების მოზიდვის საქმეში. ამგვარად, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია მოგმართავთ თხოვნით, რომ უცხოელი ინვესტორისა და „ქსანის“ უფლებები დაცული იქნას ამ სარჩელის განხილვის პროცესში.

პატივისცემით,

ედვარდ ნასიმი,

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონალური დირექტორი

რიჩარდ რანკენი,

წარმოებისა და მომსახურეობის დარგების განყოფილების დირექტორი

№759-01 29. 04. 2003

მის აღმატებულებას საქართველოს პრეზიდენტს
ბატონ ედუარდ შევარდნაძეს



358

საქართველოს იუსტიციის საბჭო

0107, თბილისი, ეკალ. ალ.ნ.ჩხეიძის ქუჩ. №40, ტელ:95 88 77, ფაქსი:957040

№ 759-01 29. 04 2003 წ.

მის აღმატებულებას საქართველოს პრეზიდენტს
ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

დიდად პატივცემულო ბატონო ედუარდ,

საქართველოს იუსტიციის საბჭოში 2003 წლის 16 აპრილს თქვენი რეზოლუციით (№228/17) შემოვიდა თურქეთის რესპუბლიკის სრულუფლებიანი ელჩის დიჯლე ქოფუზის წერილი, რომელიც შეეხება ქსნის მინის ტარის ქარხნის მონაწილეობით სასამართლოში მიმდინარე დავას.

აღნიშნულთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ სს „მინასა" და შპს „რაინდი 1"-ს შორის 1998 წლის 18 მარტს გაფორმდა შუშის ტარის ჩამომსხმელი მანქანა-დანადგარების ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება. ხელშეკრულებით განისაზღვრა, რომ გამყიდველი მყიდველს გადასცემდა მანქანა-დანადგარებზე არსებულ მის ყველა უფლებას. ხელშეკრულების გაფორმების მომენტში ქონება ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების საფუძველზე იმყოფებოდა სს „ანოპინოში". ამ უკანასკნელმა თავის მხრივ უარი განაცხადა შპს „რაინდი 1"-თან ერთობლივი საქმიანობის



პირობებით თანამშრომლობაზე იმ მოტივით, რომ სს „ანოპინოსა" და სს „მინას" შორის არსებობდა ივარის ხელშეკრულება, რაც თავის მხრივ შპს „რაინდი 1"-სთვის ცნობილი არ ყოფილა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა შპს „რაინდი 1"-ის სარჩელი და სს „მინას" დაეკისრა განუხორციელებელი მოქმედების შესრულება და უფლებრივი ნაკლის გამოსწორება ივარის ხელშეკრულების მოშლის გზით. აღნიშნულიდან გამომდინარე შპს „რაინდი 1"-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში სს „მინას" მიმართ ზიანის ანაზღაურების (5.064.785 აშშ დოლარი) მოთხოვნით. თბილისის საოლქო სასამართლოს 2003 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ იქნა, რომ სს „მინას" მიერ ადგილი ჰქონდა შპს „რაინდი 1"-თვის უფლებრივად ნაკლის მქონე ნივთის მიყიდვას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 494-ე მუხლის შესაბამისად ნივთის ნაკლი ან ხელშეკრულების პირობების დარღვევა წარმოშობს მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

თბილისის საოლქო სასამართლოს 2003 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილება გასაჩივრებულია საქართველოს უზენაეს სასამართლოში. შედეგების თაობაზე გაცნობებთ დამატებით.

უღრმესი პატივისცემით,

დიდად პატივცემულო ბატონო ედუარდ!

საქართველოში იუსტიციის საბჭოში 2003 წლის 16 აპრილს თქვენი რეზოლუციით (№228/17) შემოვიდა თურქეთის რესპუბლიკის სრულუფლებიანი ელჩის დიჯლე ქოფუზის წერილი, რომელიც შეეხება ქსნის მინის ტარის ქარხნის მონაწილეობით სასამართლოში მიმდინარე დავას.

აღნიშნულთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ სს „მინასა" და შპს „რაინდი 1"-ს შორის 1998 წლის 18 მარტს გაფორმდა შუშის ტარის ჩამომსხმელი მანქანა-დანადგარების ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება. ხელშეკრულებით განისაზღვრა, რომ გამყიდველი მყიდველს გადასცემდა მანქანა-დანადგარებზე არსებულ მის ყველა უფლებას. ხელშეკრულების გაფორმების მომენტში ქონება ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების საფუძველზე იმყოფებოდა სს „ანოპინოში". ამ უკანასკნელმა თავის მხრივ უარი განაცხადა შპს „რაინდი 1"-თან ერთობლივი საქმიანობის პირობებით თანამშრომლობაზე იმ მოტივით, რომ სს „ანოპინოსა" და სს „მინას" შორის არსებობდა ივარის ხელშეკრულება, რაც თავის მხრივ შპს „რაინდი 1"-სთვის ცნობილი არ ყოფილა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა შპს „რაინდი 1"-ის სარჩელი და სს „მინას" დაეკისრა განუხორციელებელი მოქმედების შესრულება და უფლებრივი ნაკლის გამოსწორება ივარის ხელშეკრულების მოშლის გზით. აღნიშნულიდან გამომდინარე შპს „რაინდი 1"-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში სს „მინას" მიმართ ზიანის ანაზღაურების (5.064.785 აშშ დოლარი) მოთხოვნით, თბილისის საოლქო სასამართლოს 2003 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ იქნა, რომ სს „მინას" მიერ ადგილი ჰქონდა შპს „რაინდი 1"-თვის უფლებრივად ნაკლის მქონე ნივთის მიყიდვას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 494-ე მუხლის შესაბამისად ნივთის ნაკლი ან ხელშეკრულების პირობების დარღვევა წარმოშობს მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

თბილისის საოლქო სასამართლოს 2003 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილება გასაჩივრებულია საქართველოს უზენაეს სასამართლოში. შედეგების თაობაზე გაცნობებთ დამატებით.

უღრმესი პატივისცემით,
ზურაბ აბაშიძე

30 აპრილი 2003 წელი
საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის პროტოკოლის
სამსახურის უფროსს
ბატონ ***გიორგი გორგილაძეს***


30 აპრილი 2003
5-274

საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის
პროტოკოლის სამსახურის უფროსს
ბატონ გიორგი გორგილაძეს

ბატონო გიორგი,

როგორც ცნობილია, 2003 წლის 4 ივნისს მოეწყობა „შიშე-ჯამი" – „მინას" სასამართლო პროცესი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, დაგეგმილია სს „შიშე-ჯამის" გენერალური დირექტორის ვიზიტი საქართველოში.

ვიზიტის დროს დაგეგმილია საქართველოს პრეზიდენტ ბატონ ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრა. შეხვედრას ასევე დაესწრება თურქეთის რესპუბლიკის ელჩი ქ-ნი დიჯლე ქოფუზი.

გთხოვთ აღმოგვიჩინოთ დახმარება 15-16 მაისის, 20-23 მაისის ან 26-28 მაისის პერიოდში ბატონ პრეზიდენტთან შეხვედრის მოწყობასთან დაკავშირებით.

პატივისცემით,
მეორე მდივანი

პატივისცემით,
იაკუზ ჭული
მეორე მდივანი

საქართველოს პრეზიდენტის ბატონ ***ედუარდ შევარდნაძისა*** *და თურქეთის რესპუბლიკის ელჩის ქალბატონ* ***დიჯლე ქოფუზის*** *საუბრის შესაძლო მიმართულებები*


საქართველოს პრეზიდენტის ბატონ ედუარდ შევარდნაძისა და
თურქეთის რესპუბლიკის ელჩის ქალბატონ დიჯლე ქოფუზის
საუბრის შესაძლო მიმართულებები

საქართველოს დამოუკიდებლად არსებობის რთულ გზაზე, რომელიც გამოირჩეოდა სირთულეებითა და კატაკლიზმებით, ეკონომიკური პრობლემებითა და კონფლიქტებით არ შეიძლება არ აღინიშნოს საერთაშორისო თანამეგობრობისა და მეგობარი ქვეყნების თანადგომა, რამაც საბოლოოდ დიდი როლი ითამაშა ამ დამოუკიდებლობის შენარჩუნებასა და განმტკიცებაში. ამ კუთხით სხვა ქვეყნებთან ერთად აღსანიშნავია თურქეთის როლი, რომელთანაც ჩვენი ურთიერთობები განსაკუთრებული ინტენსივობით და შედეგიანობით გამოირჩევა, რასაც მოწმობს ყოველწლიურად მზარდი ეკონომიკური ბალანსი. თურქეთი რუსეთთან ერთად სათავეში უდგას ჩვენი ქვეყნის ათ უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორთა სიას. აღსანიშნავია ისიც, რომ თურქეთის კომპანიები აქტიურად არიან ჩართულები ჩვენი ქვეყნის, როგორც მცირე და საშუალო, ასევე დიდ ბიზნესში. უამრავი სამშენებლო კომპანია ეწევა ბიზნესს საქართველოში, იქმნება ერთობლივი კომპანიები, რაც დადებითად მოქმედებს ქვეყანაში ადამიანების დასაქმების საკითხზე.





დიდი ხანია ქვეყანაში შემოსულია ისეთი კომპანია, როგორიცაა სააქციო საზოგადოება „შიშე-ჯამი“, რომელიც აქტიურ მუშაობას ეწევა ქსნის მინის ტარის ქარხანაში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამჟამად ამ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობს სასამართლო დავა საქართველოს უზენაეს სასამართლოში (სხდომა დანიშნულია 2003 წლის 4 ივნისს) ქართულ და თურქულ მხარეს შორის. საოლქო სასამართლოს მიერ კი 2003 წლის 13 თებერვალს გამოტანილია გადაწყვეტილება ქართული მხარის სასარგებლოდ, რაც ითვალისწინებს თურქული მხარის მიერ 5 მილიონი აშშ დოლარის ზარალის ანაზღაურებას, როგორც ქართული მხარის ასევე სახელმწიფო ბიუჯეტისთვის ზარალის მიყენების გამო, რაც თურქულმა მხარემ გაასაჩივრა და დაინიშნა სხდომა უზენაეს სასამართლოში.

ამავე საკითხზე სასამართლო ჩატარებულ იქნა 2001 წლის 15 ივნისსაც უზენაესი სასამართლოს მიერ და გამოტანილი განაჩენით ქართული მხარე გამართლებულ იქნა. თუმცა როგორც ზემოთ აღვნიშნეთ თურქული მხარე არ სცნობს თავს დამნაშავედ და დაკისრებულ თანხის გადახდას ეწინააღმდეგება.

ამჟამად სასამართლო პროცესი შეეხება კერძო სამეწარმეო სუბიექტებს შორის წარმოშობილ ქონებრივ დავას და შესაბამისად მისი განხილვის პრეროგატივა გააჩნია საქართველოს სასამართლოს. იმედს გამოვთქვავთ, რომ სასამართლოს მიერ მიღებულ იქნება სწორი გადაწყვეტილება, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში უცხოელ ბიზნესმენთა მიერ დაბანდებული თანხის ზრდას.

კიდევ ერხელ გამოვხატავთ მადლიერებას თურქეთის რესპუბლიკის მიერ გაწეული დახმარების გამო ჩვენი დამოუკიდებლობის პერიოდში და გვაქვს იმედი მომავალში თანამშრომლობის გაფართოებისა.

გიორგი ისაკაძე

№GB-072

საქართველოს პრეზიდენტს
ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

ბატონო პრეზიდენტო,

თქვენი ინფორმირების მიზნით გადავწყვიტეთ გაცნობოთ, რომ მიმდინარე წლის 17 აპრილს საელჩოში მივიღე თურქეთის ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანიის — „შიშე-ჯამის“ დირექტორთა საბჭოს წევრები ბატონები რუშთუ ბოზქურთი და თეომან იენიგუნი მათივე თხოვნით. შეხვედრა ძირითადად თემას სს „მინა“-სთან (ქსნის მინის ტარის ქარხანა) დაკავშირებით შექმნილი მდგომარეობა წარმოადგენდა.

როგორც მოგეხსენებათ, სს „მინა“, რომელიც დღეისათვის საქართველოში მინის მწარმოებელ ერთად-ერთ მოქმედ საწარმოს წარმოადგენს, კომპანია „შიშე-ჯამის“ ინვესტიციის (საერთო ჯამში 18 მლნ. დოლარი) მეშვეობითაა შექმნილი. დღეისათვის სს „მინას“ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საქართველოსათვის პრიორიტეტული სამრეწველო დარგების განვითარებასა და საექსპორტო პოტენციალის ზრდაში.

თურქული მხარის განცხადებით, საწარმოს წარმატებული მოღვაწეობის ფონზე, ადგილი აქვს გარკვეული პირების მხრიდან მის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებს. კერძოდ, შპს „რაინდი 1“-ისა და მისი მესვეურების (წარსულში ცნობილი სპორტსმენი, ამჟამად პარლამენტის წევრი რომან რურუა) მიერ შეტანილ იქნა სარჩელი თბილისის საოლქო სასამართლოში, რითაც მათ სრულიად უსაფუძვლოდ მოითხოვეს სს „მინას“ მიერ 5 მლნ. აშშ დოლარის ზარალის ანაზღაურება. ამავე დროს დაყადაღებულ იქნა სს „მინას“ მთელი უძრავი და მოძრავი ქონება. 2003 წლის 13 თებერვალს შედგა საქმის განხილვა, რის შედეგადაც სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა და დააკისრა სს „მინას“ ხსენებული თანხის გადახდა. თურქულ მხარეს ეჭვი არ ეპარება, რომ სასამართლო გარკვეული ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა, რის გამოც მიკერძოებული გადაწყვეტილება მიიღო.

საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების უზენაეს სასამართლოში გასაჩივრების მიზნით თურქულმა მხარემ საკასაციო საჩივარი წარადგინა. უზენაეს სასამართლოში პროცესის წაგების შემთხვევაში ისინი საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს მიმართავენ, თუკი ეს უკანასკნელი დააკმაყოფილებს კომპანია „შიშე-ჯამის“ სარჩელს, მაშინ ხარჯების ანაზღაურება საქართველოს მხარეს მოუწევს, რაც დამატებით სირთულეებს შეუქმნის ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტს.

კომპანია „შიშე-ჯამის“ წარმომადგენელთა განცხადებით, მათ მიერ 5 მლნ. დოლარის გადახდა სს „მინას“ სრულ პარალიზებას და საქართველოდან ხსენებული ინვესტიციის გადინებას გამოიწვევს. აღნიშნული ფაქტი აგრეთვე უარყოფითად იმოქმედებს ჩვენს ქვეყანაში უცხოურ კაპიტალ-დაბანდებების განხორციელების პროცესზე.

ღრმა პატივისცემით,
ტარიელ ლეგასანიძე
საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი
ანკარა, 2003 წლის 23 აპრილი









საქართველოს პრეზიდენტი

ბატონებს: ა. სილაგაძეს,
ვ. პაპავას,
ბ. გულუას,
თ. გიორგაძეს

გთხოვთ, განიხილოთ და წარმოადგინოთ თქვენი მოსაზრება. (როგორც ვიცი, გამოცხადებული იყო ტენდერი, რატომ ჭიანურდება? გაუგებარია).

ე. შევარდნაძე

№ 317/4 23. 06. 97.

ბატონებს: *ა. სილაგაძეს,*
ვ. პაპავას,
ბ. გულუას,
თ. გიორგაძეს

გთხოვთ, განიხილოთ და წარმოადგინოთ თქვენი მოსაზრება (როგორც ვიცი, გამოცხადებული იყო ტენდერი, რატომ ჭიანურდება? გაუგებარია).

ე. შევარდნაძე

№317/4 *23.06.97*

№26101 *18 ივნისი 1997 წ.*

საქართველოს პრეზიდენტს
ბატონ ედუარდ შევარდნაძეს



საქართველოს პარლამენტი

№ 26101 18 ივნისი 1997 წ.

საქართველოს პრეზიდენტს
ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

ბატონო ედუარდ,

ბატონო ედუარდ,

მცხეთის რაიონის სოფ. ქსნის მინის ქარხანა ექსპლოატაციაში შევიდა 1987 წელს, საწარმოს უჭირავს 12,5 ჰა ფართობი, საწარმოო ფართობი შეადგენს 3,2 ჰა-ს ძირითადი ფონდების ღირებულება უახლოვდება 4 მლნ აშშ დოლარის ექვივალენტურ თანხას ეროვნულ ვალუტაში. საწარმოს გააჩნია მოხერხებული მდებარეობა, საკუთარი სარკინიგზო ჩიხი და საკმაოდ განვითარებული სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტთა ქსელი. სოფ. ქსნის მინის ქარხნის საერთო ეკონომიკური მაჩვენებლები და რაც მთავარია საწარმოს სიმძლავრეები იძლევა საშუალებას კონკურენტუნარიანი პროდუქციის საწარმოებლად.

მიუხედავად ამისა, ქარხანა სადღეისოდ ფაქტობრივად არ ფუნქციონირებს, თუმცა მზედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ აღნიშნული სიტუაციის გამომწვევ მიზეზთა აბსოლუტური უმრავლესობა მიეკუთვნება ისეთ კატეგორიას, რომლის დამოუკიდებლად დაძლევაც საწარმოს ხელმძღვანელობისათვის თითქმის შეუძლებელია, მიუხედავად ამ მიმართულებით განხორციელებული უდიდესი ძალისხმევისა.

აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტიც, რომ ქსნის მინის ქარხნის ორგანიზაციული სტრუქტურისა და მართვის პრინციპების საბაზრო ურთიერთობათა მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანისათვის, საწარმო ორჯერ მონაწილეობდა სახელმწიფო ქონე-

ბის მართვის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ საპრივატიზებო აუქციონებში, რის შედეგადაც, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა მისი საკუთრების ფორმის ტრანსფორმირება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულისა და ქვეყნის სამეწარმეო სფეროში სადღეისოდ არსებული დაბალი საინვესტიციო პოტენციალის არსებობის პირობებში მეტად სასურველ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ ქართველ მეწარმეთა გარკვეულ ნაწილს საკუთარი საწარმოო ციკლის სპეციფიკისა და ქვეყნის სამომხმარებლო ბაზარზე შექმნილი სიტუაციის დეტალური ანალიზის შედეგად, აქვს შესაძლებლობა და რაც მთავარია ეკონომიკური ინტერესი სოფ. ქსნის მინის ქარხანაში ინვესტიციების განხორციელებისათვის.



სახელდობრ თბილისის პარფიუმერიის ქარხანა „ივერიას“ აქვს შესაძლებლობა ყოველწლიურად შეუკვეთოს და შეისყიდოს სოფ. ქსნის მინის ქარხნიდან დაახლოებით 500 000 ერთეულის სპეციალიზირებული მინის ჭურჭელი, თბილისის შამპანური-ღვინოების ქარხანას დღევანდელ ეტაპზე ყოველწლიურად შეუძლია შეისყიდოს 1 000 000 ბოთლამდე, ქართული ღვინოებისა და კონიაკის მწარმოებელი კომპანიების მიერ გაკეთებული წინასწარი განცხადების საფუძველზე მათი ყოველწლიური მოთხოვნილება სხვადასხვა ასორტიმენტის მინის ტარის პროდუქციაზე მიაღწევს 50 000 000 ერთეულს, თბილლუდის საპროექტო განაცხადია 10 000 000 ბოთლი. ამასთან ერთად მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ ს/ს „ამალთეა“, „კოკა-კოლა კავკასიონი“ და მოჭიდავეთა საზოგადოება „რაინდის“ ხელმძღვანელობა მზადაა ქსნის მინის ქარხანასთან აქტიური თანამშრომლობისათვის, ხოლო სათანადო ორგანიზაციული საკითხების მოგვარების შემთხვევაში კი მინის ქარხნის აქციების შესყიდვისა და წილობრივად დაფინანსებაში მონაწილეობის მიღებისათვის.

ყოველივე ზემოთთქმული, აგრეთვე მთელი რიგი სასიკეთო პერსპექტივები გვაძლევს უფლებას გვქონდეს თქვენი თანადგომის იმედი, რისთვისაც მოგმართავთ თხოვნით აღმოგვიჩინოთ დახმარება, დაავალოთ საქართველოს ქონების მართვის სამინისტროს გაითვალისწინოს შექმნილი სიტუაცია და მისცეს იჯარა გამოსყიდვის წესით პრივატიზების საშუალება, მეწარმეთა კავშირის წევრ ზემოთჩამოთვლილ მეწარმე სუბიექტთა მიერ მოქმედი კანონმდებლობის დაცვით შექმნილ იურიდიულ პირს, რომლის მაღალი ფინანსური და საწარმო პოტენციალი უზრუნველყოფს მცხეთის რაიონის სოფ. ქსნის მინის ქარხნის ეკონომიკურ აღორძინებას.

პატივისცემით,
დეპუტატი,
მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე *ბ. ჯუღელი*

რომან რურუა:

— ჩვენი, ადგილობრივი მეწარმეების მიმართვა არ გაითვალისწინა საქართველოს მთავრობამ და პრეზიდენტმა და 68 მილიონ დოლარად ღირებული ქსნის მინის ტარის ქარხანა შეასყიდა თურქებს 4 მილიონ დოლარად.

ასე უწყობდნენ ხელს საქართველოში ადგილობრივ მეწარმეებს.

ჩემი ჯიშისა და ჯილაგისთვის

— ის, რაც ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში მოხდა, ყველაზე მტკივნეულად სოფელზე აისახა. დაიცალა, გაპარტახდა, ლამის სრულად აღიგავა პირისაგან მიწისა ერთ დროს სიცოცხლით, ხვავითა და ბარაქით სავსე ქართული სოფლები, ჩვენი გენოფონდის წყარო, ჩვენი ღირსება და სინდისნამუსი. მიუხედავად იმისა, რომ სოფელი ჯერ კიდევ ბავშვობის ასაკში დავტოვე, გლეხისა და მიწის სიყვარული არასდროს გამნელებია, პირიქით წლებთან ერთად ეს გრძნობა სულ უფრო მიმძაფრდებოდა. არასდროს შემიწყვეტია ფიქრი და ზრუნვა ჩემს სოფელზე. თუ ვინმეს რამე სიკეთე გაუკეთებია ჩემი სოფლისთვის, მე მაქვს გაკეთებული. სხვა რომ არაფერი, ჩვენი გვარი არავის ესმოდა, გამართულად ვერც კი კითხულობდნენ, მე ის არა მარტო საქართველოსთვის, მსოფლიოში გავხადე ცნობილი.

როდესაც ქართული მიწების უმოწყალო ჭრა-კერვა და უცხოელებზე გასხვისება დაიწყეს, გადავწყვიტე მეც მეყიდა მიწა, რომ ჩემს ჯიშსა და ჯილაგს რაღაც რგებოდა და მათი მამაპაპისეული საძოვრები თუ სახნავ-სათესი ფართობი გადამთიელების ხელში სრულად არ მოხვედრილიყო. მინდოდა, ხელი გამემართა რამდენიმე ოჯახისთვის მაინც. ვიფიქრე ახალგაზრდებს დავასაქმებდი, შემოსავალიც ეჭნებოდათ და სარჩო-საბადებელიც, მაგრამ როგორც კი ეს ზოგიერთებმა გაიგეს, ჩემს წინააღმდეგ ისეთი შავი პიარი ააგორეს, ერთმა მეზობელმა ისიც კი მითხრა, ბატონო რომან, თქვენ ბატონი იქნებით ჩვენ კიდევ ყმებიო?..

სწორედ ამან გადამაწყვეტინა ჩემი ცხოვრების ეს ერთი მტკივნეული ეპიზოდი ჩემს წიგნში შემეტანა, გადმომეცა ჩემი მიზნები და ამეხსნა ჩემი მოქმედება, რათა მომავალ თაობას არანაირი ეჭვის საფუძველი არ ჰქონდეს, ჩემს შესახებ ასე იფიქროს.

მე ვიყიდე სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწა. არავისთვის წამირთმევია, არავის საკუთრება არ მიმითვისებია. 2000 წელს იჯარით ავიღე და მერე შევისყიდე. როდესაც უცხოელებს მიჰყიდეს ათასობით ჰექტარი მიწა, აღელვებული ხალხი ნიღბიან ძალოვნებს დააშოშმინებინეს, მეც ნიღბიანებს ხომ არ დავაყენებდი ჩემს ხალხს თავზე?!. შევეცადე, კიდევ ერთხელ ამეხსნა, რომ დავასაქმებდი 12-დან 20 წლამდე ახალგაზრდა ბიჭებს, შევუძენდი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, მე ვუხელმძღვანელებდი და მოვუვლიდით მიწას. ამ თაობას სწორ გზაზე დავაყენებდი, სოფელს სიცოცხლეს დავუბრუნებდით. მაგრამ ვინ გვაცალა?! სოფელში რამდენიმე კაცმა, რომელნიც მოქალაქეთა კავშირიდან მოყოლებული ყველა ხელისუფლებას მორგებულნი არიან და რომელთა მიმართ ყოველთვის ოპოზიციაში ვიყავი, მოსახლეობა შეცდომაში შეიყვანა და დამიპირისპირა. მათივე მცდელობით, 2012 წლის მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით, მოსახლეობის ხმების სანაცვლოდ, საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ გამოსცა ბრძანება №1-1/1840, რის საფუძველზეც გამიუქმა 2000 წლის იჯარის ხელშეკრულება იმ მოტივით, რომ რაიონის გამგებელმა იჯარის გაცემის თაობაზე განკარგულებას ერთპიროვნულად მოაწერა ხელიო, განკარგულებაზე კი არა დადგენილებაზე უნდა მოეწერაო. არადა გამგებლის განკარგულებაში გარკვევით წერია, რომ საიჯარო კომისიამ წარუდგინა სხდომის ოქმი №31 (16 ოქტომბერი 2000 წ.), განიხილა ჩემი განცხადება მიწის იჯარით გაცემის შესახებ, რომელსაც 8 კაცი აწერს ხელს და რის საფუძველზეც გამგებელს მიეცა კანონიერი უფლება ხელი მოეწერა განკარგულებაზე №22 (17 ოქტომბერი 2000წ.) ამდენად, არაფერი არ არის დარღვეული, ჩვენი მოქმედება კანონიერების ჩარჩოშია მოქცეული.

ჩემს მიზნებზე უარის თქმას არ ვაპირებ, ყველანაირად ვეცდები დავამტკიცო ჩემი უფლებები იჯარის და ნასყიდობის შესახებ და დავიბრუნო ჩემი საკუთრება მიწაზე. მადლობა ღმერთს, სამართალი არ იკარგება, იმედი მაქვს, ჩემი ოცნება ასრულდება.

მიზანი, რომელსაც ვერ მივაღწიე



ჭიდაობის დამოუკიდებელი ფედერაციის შექმნა ოცნებად მექცა. გადავწყვიტე ყველაფერი მეღონა იმისთვის, რომ ეს ოცნება რეალობად მექცია. იმედი მქონდა, თანამოაზრეებს ვიპოვიდი, გამოჩნდებოდნენ სპორტსმენები და სპორტის მოყვარულები, რომლებიც თავიანთი შემოსავლებიდან ამ საქმისთვის გარკვეულ წილს გაიღებდნენ.

მათთვის მაგალითი მე უნდა მიმეცა. როცა ქსნის მინის ტარის ქარხნისგან რუსეთში გატანილი მანქანა-დანადგარის შეძენის უფლება მოვიპოვე, გადავწყვიტე ამ ქონების 30% საზოგადოება „რაინდისთვის“ გადამეცა საკუთრებაში. „რაინდს“ ჭიდაობის დამოუკიდებელ ფედერაციაში მოვიაზრებდი. ჩემი გამოანგარიშებით მოგება, მითუმეტეს რუსეთის პირობებში, თვეში დაახლოებით 250 – 300 ათასი დოლარი უნდა ყოფილიყო. ამ თანხის 30% ფედერაციის დამოუკიდებლობას სერიოზულ საფუძველს შეუქმნიდა.

რამდენიმე მოჭიდავემ ჩემი გადაწყვეტილება გააპროტესტა, ჭიდაობის დამოუკიდებელი ფედერაციის იდეა და სპორტული ინტერესებიც გვერდზე გადადო და მოგების პირად სარგებლობაში გადაცემა მოითხოვა. დიდ ხანს ვიდავეთ. ბოლოს, 15% შევთავაზე, დანარჩენი საზოგადოებას დავუტოვოთ-მეთქი, მაგრამ არც ამაზე დამთანხმდნენ. 7 კაცს გასაყოფად 15% ეცოტავა. გავბრაზდი, ავდექი და ის 30% მთლიანად „რაინდზე“ გავაფორმე. ეს ხალხიც გაბრაზდა, კურტანიძესა და მხედრიონს შეეკრა და პარლამენტის თავმჯდომარესთან – ზურაბ ჟვანიასთან ჩემზე საჩივარი აფრინეს, რომელსაც ადვოკატი ვინმე ნ. ჯავახიშვილი აწერდა ხელს.

ზურაბ ჟვანიამ წერილი შესასწავლად საპარლამენტო ფრაქცია „მრეწველების“ თავმჯდომარეს გოგი თოფაძეს გადასცა. პარლამენტში ფრაქცია „მრეწველების“ წევრი ვიყავი. ეჭვების გასაფანტად, ჩემი სიმართლის დასამტკიცებლად მოვითხოვე, საქმე პარლამენტის საგამოძიებო კომიტეტს და პირადად მის თავმჯდომარეს მიხეილ ოსაძეს შეესწავლა. ადვოკატმა რა იცოდა, რა უნდა დაეწერა? ცხადია, ინფორმაცია მოჭიდავეებმა მიაწოდეს. ამას „ანონიმკა“ ჰქვია.

„ანონიმკის“ ავტორები პარლამენტის თავმჯდომარეს არწმუნებდნენ, რომ მათ მანქანა-დანადგარებისთვის 30 000 დოლარი მოაგროვეს და ეს თანხა მე მივითვისე. გარდა ამისა, ბრალს მდებდნენ, ვითომ სპორტული ნაწარმის ფაბრიკა სხვისი ფულით ვიყიდე, ხოლო ის სხვა სამი წელია უკვე უგზოუკვლოდ არის გამქრალი, არავინ იცის, მკვდარია თუ ცოცხალიო.

საქმე ის გახლდათ, რომ ერთ კაცს ჩემი ვალი ჰქონდა. ფაბრიკის შესყიდვა რომ გადავწყვიტეთ, ეს კაცი შემითანხმდა, ვალის სანაცვლოდ წარმოების ანგარიშზე კუპონებს ჩაგირიცხავო. ჩვენს საუბარს ერთი მოჭიდავე ესწრებოდა. მასაც ჰქონდა ჩემი ვალი და სთხოვა ამ კაცს, შენ მიეციო.

ცოტა იყოყმანა, მაგრამ დათანხმდა. მისი ჩარიცხული თანხა მთლიანად ფაბრიკის შესყიდვას მოვახმარეთ. ამის შემდეგ ეს კაცი მართლა დაიკარგა. სამი წელი არსად ჩანდა. „ანონიმკაში“ მისი დაკარგვა მბრალდებოდა. ამ ფულისა და ამ კაცის დაკარგვის ამბავიც მხოლოდ ერთმა ჩემმა ძველმა კოლეგამ იცოდა.

საჩივრის საფუძველზე დაიწყო საქმის ძიება. მოვიწვიე საზოგადოება „რაინდის“ კრება. კრებაზე დასასწრებად ჩემმა ოპონენტებმა ადვოკატი ჯავახიშვილი გამომიგზავნეს. მისგან გავიგე, რომ ჩემზე განაწყენებულ იმ ჯგუფს ახალი „რაინდი“ შეუქმნია და თავი ძველის სამართალმემკვიდრედ გამოუცხადებიათ. ის 30%-იც ჩვენიაო. ჯავახიშვილი კრებიდან გავაგდე.

იმ „რაინდს“, რომელსაც ჩემი კუთვნილი ქონების 30% გადავეცი სასამართლო რეგისტრაცია 90-იანი წლების შემდეგ არ გაუვლია. გამოვიდა, რომ მოდავეებმა, ფაქტობრივად, არარსებულის სამართალმემკვიდრედ გამოაცხადეს თავი. ეს სერიოზული კანონდარღვევა გახლდათ და საქმე განსახილველად სასამართლოს გადავეცი. ოთხი სასამართლო გამოვიარეთ. ყველგან მოვუგე, ყველაფერი გადავიტანეთ გაწევ-გამოწევა, საქმეების გარჩევა... მაგრამ მე და ჩემმა სიმართლემ გავიმარჯვეთ. ეს ქონება საბოლოოდ „რაინდი-1“-ის სახელზე გავაფორმე. იურიდიულად ქონება ჩვენ გვეკუთვნის, მაგრამ რეალურად არ გადმოგვეცა. ამას ვდაობთ სახელმწიფოსთან და „მინასთან“ დღემდე.

ამდენად, მიზანი ვერ შევასრულე, ვერ შევქმენი ჭიდაობის დამოუკიდებელი ფედერაცია.

დავით ციმაკურიძე, ვახტანგ ბალავაძე, რომან რურუა, ზოთა ლომიძე, გიორგი სხირტლაძე

არსენობა

— საქართველოში ტიტულოვან მოჭიდავეთა ოჯახი მრავალრიცხოვანი გახლდათ, განსაკუთრებით, 60-70-იანი წლების თაობები. გადავწყვიტეთ, წელიწადში ერთხელ მხოლოდ ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონები შევკრებილიყავით. ჩვენს შეკრებებზე სხვა რანგისა და ტიტულის მქონე არცერთ სპოტსმენს არ შეეძლო დასწრება. მართალია, ბევრი გაგვინაწყენდა, მაგრამ ჩვენს ამქარში სხვები მაინც არ გავრიეთ.

თავდაპირველად ჩვენი შეკრებები უფრო მოლხენის ხასიათს ატარებდა, ვიმღერებდით, ვიცეკვებდით და დავიშლებოდით... მოგვიანებით, გივი კარტოზიას ინიციატივით, გადავწყვიტეთ, მოჭიდავეების შეკრება დაგვეკავშირებინა იმ ოლიმპიელებთან ან მსოფლიო ჩემპიონებთან, ვინც ჩვენს გვერდით აღარ იყვნენ. პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი არსენ მეკოკიშვილი გახლდათ, რომელმაც იმ დროისთვის რუსეთის სახელით იასპარეზა, მაგრამ საქართველოდან პირველი ოლიმპიური ჩემპიონი დავით ციმაკურიძე იყო. ჩვენ შეკრებებს არსენობა დავარქვით, ვინაიდან არსენა ჩემპიონთა შორის პირველი გარდაიცვალა. ერთი სიტყვით, არსენა ყველასათვის მისაღები აღმოჩნდა.

სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი ტოგაი გაიათლი

...ვიკრიბებოდით, ავტობუსით მივდიოდით საგარეჯოში, არსენ მეკოკიშვილის საფლავზე გავდიოდით, მერე ვზეიმობდით.

ერთ-ერთი ასეთი შეხვედრის დროს, ჩემთან მცხეთაში დაახლოებით 40-45 ჩემპიონი ვიყავით შეკრებილი, ვსაუბრობდით, შემთხვევით ჩვენმა საერთო მეგობარმა, ნოდარ კომახიძემ თურქი ჟურნალისტი ბაიათლი მოგვიყვანა სტუმრად. როცა აუხსნეს, რომ ყველა, ვისაც ის ხედავდა, მსოფლიო ან ოლიმპიური ჩემპიონი იყო, სიხარულსა და აღტაცებას ვეღარ იოკებდა. ამდენი ჩემპიონი ერთად არც ერთ ქვეყანაში არ მინახავს და, ალბათ, ვერც ვერასდროს ვნახავო... ჩვენი თურქი სტუმარი საერთაშორისო სპორტული ჟურნალისტიკის ასოციაციის პრეზიდენტი ყოფილა.

მოჭიდავეთა შეკრებები რამდენიმე წელიწადს გრძელდებოდა. მერე ქვეყანა დაინგრა და ეს ნგრევა ჩვენც შეგვეხო.

რომან რურუა, ზოთა ლომიძე, გიორგი სხირტლაძე, გივი კარტოზია

კიდევ ერთი და, ალბათ, უმთავრესი მიზეზი, „არსენობის“ მოშლისა ის გახლდათ, რომ გივი კარტოზია გარდაიცვალა. გივი ბუნებით ნამდვილი ლიდერი იყო, ინიციატორი, ორგანიზატორი, კაცი რომელიც ყველგან და ყოველთვის ყველაზე მეტს ხარჯავდა, იქ, სადაც გივი იყო, ჯიბეში ხელის ჩაყოფას ვერავინ ბედავდა... კაცი, რომლის სიტყვა ოქროზე მეტად ფასობდა.. ასეთი ადამიანები საუკუნეში ერთხელ იბადებიან.

მისი გარდაცვალების შემდეგ ბევრს გაუჩნდა კარტოზიობის სურვილი და ამბიცია, მაგრამ ეს თანამდებობა არ არის, ასეთად უნდა დაიბადო, ასე უნდა იცხოვრო და შეგეძლოს ასე წახვიდე ამ ქვეყნიდან...

ᲨᲝᲗᲐ ᲚᲝᲛᲘᲫᲔ, ᲒᲘᲕᲘ ᲙᲐᲠᲢᲝᲖᲘᲐ, ᲠᲝᲛᲐᲜ ᲠᲣᲠᲣᲐ

ამ წერილით გამოვემშვიდობე გივი კარტოზიას გაზეთ „თანადგომის“ 2002 წლის 17 მაისის ნომერში, მინდა ეს წერილი ჩემი წიგნის მკითხველსაც გავაცნო.

ეტალონად დარჩება

იბადებიან ნიჭიერნი, მამაცნი, სანდო და ა.შ. იგი როგორი დაიბადა? — კეთილი, მართალი, ამაყი, ქედ-მოუხრელი, ლიდერი, ავტორიტეტი, ფიზიკურად ლამაზი და ძლიერი. გაიხდის და შენ ჩაგაცმევს, არ შეჭამს და შენ გიწილადებს, მოგცემს და არ გამოგართმევს, გადასახდელს თვითონ იხდის, ვერ დაასწრებ, ღარიბს არ დაჩაგრავს, მდიდარს გამოართმევს — ღარიბს მისცემს. ძმა ხარ თუ მეგობარი, შვილი თუ ნათესავი, ვინც არ უნდა იყო, მართალს გეტყვის, არ დაგაჩაგვრინებს, დაგიცავს, თუ საჭიროა, გაგლახავს კიდეც.

ᲠᲝᲛᲐᲜ ᲠᲣᲠᲣᲐ, ᲒᲘᲕᲘ ᲘᲜᲬᲙᲘᲠᲕᲔᲚᲘ, ᲒᲘᲕᲘ ᲙᲐᲠᲢᲝᲖᲘᲐ

თავმოყვარე, თავმდაბალი, ქედმოუხრელი, უშიშარი, გამბედავი, რა თქმა უნდა, ლიდერია, ფიზიკურად ძლიერი.

ყოველივე ამან იგი ავტორიტეტად შექმნა. ჭიდაობის სამყაროში უდიდეს პატივს სცემდნენ, როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოში. ყველგან, სადაც ჭიდაობაზე ჩამოვარდებოდა საუბარი, მას მოიხსენიებდნენ, იყო უძლიერესი ტექნიკით და ფიზიკურად.

მსოფლიოს ყველა დროის უძლიერეს ნაკრებში ჭიდაობის სპეციალისტები გივი კარტოზიას ასახელებდნენ და მასთან ერთად კიდევ ერთ ქართველს. ორი ქართველი მსოფლიოს ყველა დროის ნაკრებში! ღმერთმა ქნას, ახლო მომავალში, მესამე მიმატებოდეს!

ბოლო დღეებში, როცა უძლური იყო სიკვდილის წინაშე, მისი აღზრდილები ვეწვიეთ. დაგვინახა, გაუხარდა და სახეზე ცხვირსახოცი აიფარა! არავის უნახავს მისი ცრემლი, მაგრამ იყო ცრემლიანი. შვილის მოულოდნელმა სიკვდილმა სასტიკად იმოქმედა, ხშირად ხელით შეეხებოდა ქეთის საფლავზე აღმართულ თეთრ მარმარილოს სვეტს, არ იმჩნევდა, რომ ეფერებოდა, შვილის გვერდზე ადგილი ჰქონდა, მასთან ეჩქარებოდა.

ჩვენი ჭიდაობის სამყაროში იგი მართავდა სიტუაციას. არავის დაუნიშნავს, მაგრამ ბუნებრივად მას ეკითხებოდნენ, თუ რამე გაუგებარი ან გასაყოფი იყო. იტყოდა და ისე იქნებოდა. ბევრი მისცა ჭიდაობას ადამიანური და კაცური. დღეს რომ ამბობენ ჭიდაობის ოჯახზე და მათ კაცობაზე, მან დანერგა და შექმნა. სიკვდილის შემდეგ იგი ვერავინ შეცვალა, ამ რანგში არ ინიშნებიან და არც ირჩევენ, ისინი იბადებიან.

ჭიდაობის ოჯახის გასაგონად ვამბობ: როგორც არ უნდა გძულდეთ ერთმანეთი, ოჯახის შინა ამბავი გარეთ არ უნდა გაიტანოთ, მტერი არ გაახაროთ!

გივი კარტოზიამ ძალიან ბევრი რამ დატოვა კაცური და ყოველთვის ყველაფერში ეტალონად დარჩება. მისი ინიციატივით ქართველი მოჭიდავე მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონები საფლავთან პატაკს აბარებდნენ ყველა ქართველის და განსაკუთრებით მოჭიდავეთა კერპს — არსენ მეკოკიშვილს. ღმერთმა ინებოს, რომ ტრადიცია გაგრძელდეს.

ჭიდაობა ძლიერ ადამიანთა ხვედრია.

რომან რურუა — ჭიდაობის დიდების დარბაზის წევრი

1968 წლის მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე რომან რურუა ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ სპეციალური პრიზით დააჯილდოვა.

მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი დღით ადრე, მოსკოვში საგანგებო ბანკეტი გაიმართა და მასზე, ფილა-ს პრეზიდენტმა რაფაელ მარტინეტიმ ლეგენდარული მოჭიდავეები და ამ სახეობაში თავგამოჩენილი სპეციალისტები ფილა-ს დიდების დარბაზში გააწევრიანა. რომან რურუა რუსეთში არ ჩასულა და მისთვის განკუთვნილი ჯილდო მარტინეტიმ საერთაშორისო კატეგორიის ქართველ მსაჯს, ედიშერ მაჩაიძეს გადასცა.

რურუას გარდა ჭიდაობის დიდების დარბაზის წევრები გახდნენ: რუსები — ანატოლი ბელოგლასოვი და ბუვაისა საიტიევი, პოლონელი ანდრეჟ ვრონსკი და ამერიკელი მსაჯი ვინს ზუარო.

რომან რურუა: ჩემს მაგივრად ედიშერ მაჩაიძე იღებს მსოფლიოს ყველა დროის უდიდესი და უძლიერესი მოჭიდავეების დიდების დარბაზის წევრობის რწმუნებულებას.

რომან რურუა: — არავინ იცის, როდის დაიწყო ადამიანმა ჭიდაობა. ადამიანებს შორის ჭიდილი, ალბათ, იმ დღიდან იღებს სათავეს, როცა მათ „მე“-ს, კის და არას, ანუ საკუთრების შეგრძნება გაუჩნდათ. იმ დღიდან მოყოლებული საკუთრებისა თუ თავის დასაცავად ჭიდაობენ. ასე რომ, სპორტის ამ სახეობას ადამიანის დაბადებასთან ერთად ჩაეყარა საფუძველი და უნდა ვივარაუდოთ, რომ თავდაპირველად იგი, ალბათ, უფრო ახლოს იყო მოქმედების თავისუფლებასთან, ანუ თავისუფალ ჭიდაობასთან.

„მე“-დან დაწყებული ჭიდაობა ადამიანის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა სახეს იღებს და ისე ვითარდება, როგორც თავად კაცობრიობის კულტურა. ორ ადამიანს შორის მორევაზე ბრძოლამ ჩამოაყალიბა ჭიდაობის სისტემა, მერე ეს სისტემა თანდათან განვითარდა და წარმოშვა სხვადასხვა სახეობები.

ერების გაჩენამ და განვითარებამ ჭიდაობა უფრო კულტურული გახადა. ერმა შექმნა ჭიდაობის ხერხები და წესები.

ჭიდაობის უძველესი სახეობა — კლასიკური ორთაბრძოლაა. კაცობრიობის მეხსიერებას იგი იმ უძველესი ოლიმპიური თამაშებიდან მოჰყვება ჩვენს წელთ აღრიცხვამდე რომ იმართებოდა და იქიდან მოყოლებული დღემდე ყველა ოლიმპიური თამაშების თანამგზავრია. ამდენად, კლასიკური ჭიდაობა ჭიდაობის სახეობათა შორის უნდა მოვიხსენიოთ როგორც ერთ-ერთი ყველაზე ინტელექტუალური და მაღალი კულტურის მატარებელი საბრძოლო ხელოვნება.

საქართველოში კლასიკურ ჭიდაობაში არიან შესანიშნავი თაობები. კლასიკური ჭიდაობის წიაღიდან წარმოიშვა ვახტანგ ბალავაძე, დავით ციმაკურიძე, გოგი სხირტლაძე, ვლადიმერ რუბაშვილი და სხვები. თავისუფალმა ჭიდაობამ შვა ისეთი კორიფეები, როგორებიც იყვნენ ძიუდოში ანზორ კიკნაძე, ანზორ ქიბროწაშვილი, ფარნაოზ ჩიკვილაძე და სხვები.



და მაინც...

განვლილი წლების, უზარმაზარი წარმატებებისა და საყოველთაო აღიარების, ამქვეყნიური ყველა სიკეთისა და ახდენილი ოცნებების მიუხედავად, მას ბედისწერის არ სჯერა, არც იღბალის სწამს. მიაჩნია, რომ ადამიანი ბედსაც და იღბალსაც ყოველდღიური ცხოვრებით თავადვე ქმნის.

„– იღბალი? იღბალი ლატარიაა, თამაშია, ან გაგიმართლებს, ან – არა. ჩემზე ვერავინ იტყვის, რომ მე გამიმართლა და ამა თუ იმ შეჯიბრზე შემთხვევით გავხდი ჩემპიონი. თითოეული გამარჯვება სისხლით და ოფლით მაქვს მოპოვებული, ყველა წარმატებას უზარმაზარი ენერგია შევალიე, ბოლომდე დავიხარჯე...“

სწორედ ამიტომ, ყველა წარმატებას, რაც წილად ხვდა, იგი თავის შრომისმოყვარეობასა და ცხოვრების წესს უმადლის. ენდობა საკუთარ ინტუიციას, რომელიც, თითქმის არასდროს ღალატობს, სიტუაციის მომენტალურად გააზრების უნარს და შეგრძნებას...

„– ცხოვრების წესი? იცით რა არის ჩემი ცხოვრების წესი? მოქმედება, შრომა. უსაქმოდ ყოფნა არ შემიძლია, მლლის... ახლა დანამდვილებით ვიცი, ქალაქი საერთოდ თვალით რომ არ მენახა, საცხოვრებლად სოფელში რომ დავრჩენილიყავი, იქაც საუკეთესო, სამაგალითო, თითით საჩვენებელი გლეხი ვიქნებოდი; ფეხბურთს რომ გავყოლოდი, იქაც მივაღწევდი წარმატებას... უბრალოდ, ისე მოხდა, რომ ჭიდაობაში შემთხვევით აღმოვჩნდი, მომეწონა და მთელი ჩემი შესაძლებლობები სპორტის ამ სახეობაში გამოვიყენე. ფიზიკურად შეიძლება ჩემზე უფრო ძლიერი სპორტსმენებიც იყვნენ, მაგრამ ვერაფერს მიაღწიეს, არაფერი გამოუვიდათ. წარმატების მიღწევას ალღო სჭირდება, ინტუიცია, ანუ ის უხილავი თვისებები, რომელიც მეტ-ნაკლებად ყველა ადამიანშია, ხოლო ვისაც ამის შეგრძნება შეუძლია, ის წარმატების მიღწევასაც შეძლებს.“

მცხეთა

რომან რურუას სახელი მცხეთას 80-იანი წლებიდან უკავშირდება, იმ პერიოდიდან, როცა მან აქ სახლის მშენებლობა წამოიწყო. ამ სახლს იგი რამდენიმე წელიწადს აშენებდა. ბევრი წინააღმდეგობის მიუხედავად აქაურობამ საბოლოოდ ისეთი სახე მიიღო, როგორიც მას ჰქონდა ჩაფიქრებული. ეს არის მეგრულ ეთნოგრაფიულ სტილში მოწყობილი კარ-მიდამო, სადაც თითოეული ხე, თითოეული ძირი ვაზი, ბალახიც კი, მოვლილი კი არა მოფერებულია, პატრონის სიყვარულით სავსე... აქ, ამ სახლში და ეზოში ყველაფერს თავისი ფუნქცია აქვს, რაღაც მოვალეობა აკისრია, და სწორედ იმიტომაც არიან აქ, რომ ეს მოვალეობა შეასრულონ. დეკორატიული ხე ან ბუჩქი არსად ჩანს. ეს ოჯახის უფროსის პრინციპია, უნაყოფო არაფერი უყვარს. თუ ცოცხალი ხარ, თუ ხარობ, ნაყოფის მომცემიც უნდა იყო...

„— სახლის აშენება უდიდესი ბედნიერებაა, მე ავაშენე სახლი, რომელიც არასდროს დაბერდება. თუ გინდა ცხოვრების შინაარსს ჩასწვდე, ეზოს კარი ღია უნდა გქონდეს. ადამიანებთან კარგი ურთიერთობები დიდ სიამოვნებას მანიჭებს. არ მიყვარს მაღალი კედლებით შემოღობილი ეზო, დასამალი კაცი არასდროს ვყოფილვარ და, ალბათ, იმიტომაც... რა არის ის სახლი, სადაც სტუმარი არ შედის, გამვლელი არ შემოიხედავს?!.“

ვინ მოსთვლის, რამდენი ადამიანი ყოფილა ამ სახლის სტუმარი, ცნობილი სპორტსმენები, პოლიტიკოსები, ბიზნესმენები, საზოგადო მოღვაწენი... ვინ სახლით მოიხიბლა, ვინ — სარდაფით, დაძველებულ 30-წლიან ღვინოებს რომ ინახავს, ვინ — ეზოთი და ვინ — ამ აივნიდან დანახული ხედით... აქედან ხელისგულივით მოსჩანს საქართველოს სამხედრო გზის ვრცელი მონაკვეთი, ჯვრისა და ზედაზნის მონასტრები, მთელი თავისი ბრწყინვალებით...

აქ რომ სტადიონია, ადრე ხევი იყო. სტადიონის მოწყობას მთის მოხსნა და ხევის ამოვსება დასჭირდა. ახლა, დილიდან გვიან ღამემდე ბავშვების ჟრიამულის ხმა ისმის. ეს ხმაური ჩვენ რომ ყურის წამღებად გვეჩვენება, ბატონ რომანს ენერგიით ავსებს, სიცოცხლეს მატებს, ტკბილ ჰანგებად ჩაესმის... თუმცა, რა არის ამაში გასაკვირი, ის ხომ „ჭიდაობის მოცარტია“...

ბადრი პატარაკაციშვილი სტუმრად
რომან რურუასთან ღვინის სარდაფში

სერგეი გუგკა, რომან რურუა,
ვიქტორ სანაევი და ვალერი გორზოვი

რომან რურუა და
გოგი თოფაძე



გივი ბერიკაშვილთან

მიხეილ მამიაშვილი და რომან რურუა

რობერტ შავლაყაძესთან და შოთა ხაბარელთან

რომან რურუა და მძლეოსანი მაია აზარაშვილი



უცხოელი სტუმრები რომან რურუასთან მცხეთაში

ყოველდღე





ვისაც რომან რურუა მხოლოდ საჭიდაო ხალიჩაზე ან კაბინეტში უნახავს, ალბათ, ვერასდროს დაიჯერებს, რომ მისთვის ყოველი დილა 12 ძროხის მოვლით იწყება. დაბანს, მოწველის, თუ დასჭირდა, ყველსაც ამოიყვანს, საუკეთესო სულგუნს... მერე ეზოს მოივლის, ხელს შეავლებს ვაზს, ახალ ნარგავებს დაათვალიერებს და თბილისში წასვლის დროც მოვა...

მისი მობილურის ზარი განუწყვეტლივ რეკავს, ვინ შეხვედრას სთხოვს, ვინ — დახმარებას. პასუხს ხშირად ერთი მოკლე სიტყვა იტევს, — მოდი... და თუ მოხდა ისე, რომ დახმარება ვერ შეძლო, იწყება ნერვიულობა, განცდა იმისა, რომ ვიღაცას მისი იმედი ჰქონდა და მან ხელი ვერ გაუმართა... ეს უსიამოვნო ემოცია საკმაოდ დიდხანს მიჰყვება. უმეტესად კი მადლობების მოსმენა უწევს...

დღეს (როცა ამ წიგნზე ვმუშაობდით) ვიღაცამ, ჩვენი თანდასწრებით, სრულიად უცნობმა კაცმა, ორმოცი წლის წინანდელი შეჯიბრი გაახსენა. გუშინდელი დღის ამბავივით სხაპასხუპით მოუყვა თბილისის სპორტის სასახლეში იაპონელ მოჭიდავესთან გამართული შეხვედრა. ბულგარელმა პროფესორმა, ცნობილმა მწვრთნელმა, საერთაშორისო ფედერაციის „ფილას“ წევრმა გაზეთ „სოვეტსკი სპორტში“ ყველა დროის საუკეთესო მოჭიდავე რომ გიწოდათ, კიროვი კი არა რურუა არის საუკეთესოო, ისიც ჩემი თვალით მაქვს წაკითხულიო...

დღე სწრაფად ილევა, საღამოს 6 საათზე ისევ მცხეთაში უნდა იყოს, საქონელი ჰყავს დასაბინავებელი...

და როცა სატახტო ქალაქს ბინდისფერი შემოსავს, დასასვენებლად აივანზე დაჯდომაც შეიძლება. თვალს გააყოლებს სამხედრო გზას, ამ გზის იქით მთელი სამყაროა, ახდენილი ოცნებების სამყარო...

გული მწყდება

„— გული რაზე მწყდება?! საბჭოთა კავშირმა ნგრევა რომ დაიწყო 49 წლის ვიყავი. ამ ასაკში ქარიზმატული წლები უკან რჩება და ადამიანები დაბრძენებული აზროვნებით მოქმედებენ. მქონდა ენერგია, ძალა, ჭკუა, გონება, საქმის კეთების უნარი და სურვილი... ისე გავიდა ოცამდე წელი, და კიდევ ვინ იცის, რამდენ ხანს გაგრძელდება, რომ ვერაფერში გამოვადექი ჩემს ქვეყანას. არადა, რამდენი რამის გაკეთება შეიძლებოდა?! ყველაზე დიდი სინანული, რაც გამყვება სამარეში, ეს უსაქმური, მოცდენილი წლებია...

მეც შემეძლო სხვებივით წართმევა, მოტყუება, მომენტების გამოყენება, მაგრამ მგონი სინდისისა და ნამუსისთვის არასდროს მიღალატია... დასამალი არაა, ბევრჯერ მოვხვედრილვარ ისეთ სიტუაციასა და გარემოებაში, საიდანაც თავისუფლად შეიძლებოდა დღევანდელი მილიონერების გვერდით აღმოვჩენილიყავი, მაგრამ ამის გამო გული ნამდვილად არ მწყდება, მგონი ზოგიერთი მათგანის ყოფას ჩემი მდგომარეობა სჯობს...“

ვოვა:
— მოჭიდავე რომ გამოვსულიყავი, მამაჩემზე მაგარი უნდა ვყოფილიყავი. ვიცოდი, ვერ ვიქნებოდი, ამიტომ არასდროს მიცდია.

ძეთი მეუღლესთან
გიგა გაგუნიასთან



სურვილი

„— სურვილი? ასაკთან ერთად სურვილები არ იკლებს, იცვლება მხოლოდ. ახალგაზრდას სხვა სურვილი აქვს, ჭარმაგ ადამიანს — სხვა. ადამიანს სურვილი არასდროს ელევა, სურვილი არ კვდება, არ ბერდება, სურვილი ყოველთვის ცოცხალია და მუდამ ახალგაზრდაა. სურვილი რომ არ იყოს, არც სიცოცხლე იქნებოდა, ჩვენი ცხოვრება სურვილითაა, მიდის და მიდის ყოველდღე წინ. სიცოცხლეც სურვილია, გინდა და გინდა... რაღაცის სურვილი ყოველთვის ებადება ადამიანს, თუნდაც ის, რომ სიკვდილის წინ გინდა კიდევ დიდხანს იცოცხლო...

ერთადერთი, რაც არ კვდება ჩვენს ცხოვრებაში, ეს სურვილია, მუდამ თან გვახლავს და ასე იქნება ყოველთვის...“

მარი
და
დეა

2008 წ.

დეა ბებოს კალათაში ჩასკუპდა, კისერზე ხელი მოხვია და წასჩურჩულა:

— ბებო, მომენატრე!..

— მეც მომენატრე...

— მე უფრო მომენატრე...

მერე ბაბუს ფეხის ხმა მოესმა. ბებოს კალთიდან წამოხტა და შესაგებებლად გაექანა. ბაბუს ჯერ წელამდე სწვდება, ამიტომ ხელები წელზე მაგრად შემოჰხვია, ფეხის წვერებზე შედგა, აკოცა, მოეფერა...

— ბაბუ, მოხვედი?

— ხო, ბაბუ!..



დეა ბაბუსთან

რედაქტორი
მანანა ჯარიაშვილი

გამომცემლობის რედაქტორი
მირანდა ტყეშელაშვილი

დიზაინის იდეის ავტორი
ლევან მაყაშვილი

კორექტორი
მარინა ელიზბარაშვილი

ფოტო:
იური ტეუში
გენადი ბაკუშევი
სანდრო კოტორაშვილი
მიხეილ ზარგარიანი
ზურაბ გენგიური
გივი კიკვაძე
აგრეთვე ფოტოები
პაატა ნაცვლიშვილის
ბიბლიოზეუმიდან

აიწყო-დაკაბადონდა
„გამომცემლობა სამშობლოში“
კომპიუტერული უზრუნველყოფა
კახა მახარაშვილი

ISBN 978-9941-0-4991-0

2012

მადლობელი ვარ იმ დიდი სიყვარულისთვის,
რომელიც მსოფლიო მაყურებელმა
ჩემს მიმართ გამოხატა.